05
ხ-51

1924.

სიმართლის
ხმა

20 იანვარი 1924 წ. მეორე წელიწადი პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# სომხეთის ხმა

№ 10 ყოველკვირეული ჟურნალი № 10

| რედაქცია და კანტორა | ფ ა ს ი | რედაქცია და კანტორა |
|---|---|---|
| ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102. | 5 კაპ. მაჟალოთ ოქროთი | ღია ა ყოველ დღე გარდა ქვირა უქმისა დილის 8 ს. შუად. 1 ს.-დე. |



მენშევიკების მიერ ვერაგულად მოკლული ამხ. ილ. ჯიორგაძის გამოსვენება მთავარ [illegible] (ფოტ. [illegible])

# კიდევ ახალი რაზმი.

ჩვენი რიგები დღითი დღე იზრდება, ძლიერდება.

ჩვენს ლაშქარს ყოველდღე ემატება ახალ-ახალი რაზმები...

ჩვენ მივდივართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე... 25-30 აგვისტო თანდათან ისტორიულ გამართლებას პოულობს...

როცა 30 აგვისტოს ყრილობის სამზადისი სწარმოებდა და ამხანაგები ძველი პოლიტიკური ხაზის გადაფასებას ახდენდნენ, ზოგიერთებს ეტყობოდა ყოყმანი, ბორძიკი, გაუბედაობა, ეძნელებოდა უცბად ძველის უარყოფა, ახალის მიღება.

მაგრამ 30 აგვისტოს შემდეგ ყველანი გამაგრდენ ახალ პოზიციაზე, გაკაჟდნენ ახალ გზაზე.

დაიწყო საერთო მასიური გამოფხიზლება და ძველი ტაქტიკის გადაფასება.

ამ გადაფასების პროცესს მეტად ხელი შეუწყო და დააჩქარა სოც.-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის სეით დევდარიანის წერილებმა და მენშევიკური ცეკას მიერ ძველი რევოლიუციონერის ილ. გიორგაძის ვერაგულად მოკვლამ.

სეით დევდარიანის წერილებმა თვით ურწმუნო თომასაც კი დაუჯერა, რომ არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, ეს არის რეაქციის და კონტრ-რევოლიუციის წისქვილზე წყლის დასხმა, რომ „გზა დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ" უკვე აღივსო რეაქციონური შინაარსით და სოც. დემოკრატიული პარტიის ტაქტიკა დღევანდელ პირობებში გადიხარა მარქსიზმის ხაზიდან.

ყველა მიხვდა, რომ ამ სახიფათო გზით სიარული არ შეეძლო მშრომელ მასებს, ის მას გადაჩეხავდა უფსკრულში და იმათაც კი აქციეს ზურგი მენშევიკურ ცეკას, რომელნიც უკანასკნელ ხანებამდე მათთან იყვნენ, მათ გავლენას განიცდიდენ.

ამას დაემატა ამხ. გიორგაძის, ძველი მუშა რევოლიუციონერის მუხანათურად მოკვლა და ვ. ხმალაძის, ცეკას ახლობელი თანამშრომლის გამომჟღავნება. უკანასკნელის გამომჟღავნებამ ყველასათვის ნათელი გახადა, რომ მენშევიკური პარტიის ცეკა ნამდვილად ადგა აჯანყების და ტერორისტული აქტების მოწყობის გზას.

ამავე დროს მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის საკითხი. თვით ინგლისის კონსერვატორების პარტიაც ალაპარაკდა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. ყველაფერმა ამან დააჩქარა გადაფასება.

ჩვენ მიერ გატარებული პროგნოზი გამართლდა, გამართლდა ჩვენ მიერ აღებული პოლიტიკური გეზიც.

და აი ახლა ჩვენს რიგებს მოუმატა კიდევ 239 ძველი რევოლიუციონერი, ბრძოლაში გამობრძმედილი მუშები და გლეხები. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელნიც მუშაობენ სოც.-დემოკრატიული პარტიის ჩვენში ჩასახვის დროიდან. ბევრ მათგანს გამოვლილი აქვს ციხე, კატორღა და ნიკოლოზის დროის რეპრესიების მთელი საშინელებანი.

დღეს ამ ამხანაგებმა სრული შეგნებით და გულწრფელობით ყოველგვარი ძალდატანების გარეშე (ძალდატანებაზე ლაპარაკი შეუძლებელია სხვათა შორის იმიტომაც, რომ თუ ძალდატანება იყო, რატომ ჩვენი კონფერენციის და ყრილობის დროს არ მოვიდა ეს ამხანაგები ჩვენთან?) მოვიდნენ ჩვენთან და აღიარეს, რომ მათ არ შეუძლიათ ისეთ პარტიაში დარჩენა, რომელიც რეაქციონურ გზას ადგია და მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ მუშაობს. ისინი უნდა იყვნენ იქ, სადაც რევოლიუციის საქმე კეთდება; ისინი უნდა იყვნენ მუშებთან...

და დღეს მუშები და გლეხები ირაზმებიან მესამე კომინტერნის დროშის ქვეშ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მათში ნამდვილად მოხდა ძველის გადაფასება და მათი განცხადება ახალ გზაზე, კომინტერნის პლატფორმაზე დადგომის შესახებ, სავსებით გულწრფელია.

ჩვენ გვჯერა, რომ 239 ჩაებმება საბჭოთა აღმშენებლობაში და ჩვენი ქვეყნის კულტურის და ეკონომიკის განვითარების საქმეს წინ წაუჯიკავებენ.

ჩვენ გვწამს, რომ კომუნიზმის დამყარებისათვის გიგანტურ ბრძოლაში ეს 239 კაციც საიმედო და საუკეთესო მებრძოლი რაზმი იქნება.

ამ იმედით ჩვენ მივესალმებით მათ ჩვენთან მოსვლას და ვეუბნებით:

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა.

# ისტორიული დოკუმენტები

ჩვენს წინაშე გადაშლილია მენშევიკური ცეკას ერთი ახლობელი თანამშრომელის ვანო ხმალაძის წერილები ამავე ცეკას საქმიანობის შესახებ. აქ არის გადმოცემული მთელი რიგი ისტორიული დოკუმენტებისა, რომელიც ამიერიდან მნიშვნელოვანი ფურცელი იქნება ჩვენი მუშათა კლასის ისტორიაში. ჩვენთვის, როგორც ყოფილი მენშევიკებისათვის ყველაზე უფრო საინტერესო და საყურადღებოა ეს დოკუმენტები. აქედან შეუძლია ყველა ჩვენგანს, ერთხელ კიდევ შეამოწმოს თავისი ნაბიჯის სისწორე თუ უსწორობა და გადახედოს უკანასკნელი წლების პოლიტიკურ მუშაობას და იმ ფერხულს, რომელშიაც იგი იყო ჩაბმული.

უნდა გამოვტყდეთ — ჩვენზედ ხმალაძის წერილებმა მეტად მძიმე, შემზარავი და უნუგეშო შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენ მით უფრო ვამტყუნებთ მენშევიკური ცეკას წარსულის ნამოქმედარი და ყოვლად გაუმართლებელი საქციელი, რომ ჩვენ ამ პერიოდში მათი მოღვაწეობისა მათთან ვიყავით და ჩვენი სახელით ხდებოდა უდიდესი ბოროტმოქმედება არა მარტო პოლიტიკური, არამედ კრიმინალური ხასიათისაც.

ჩვენ დღეს უკვე ფაქტები გვაქვს ხელში, რომელიც ასურათებენ მენშევიკური ცეკას მიერ მოწყობილ და განზრახულ ბოროტმოქმედებათა სერიას. აქ არის აჯანყების პირდაპირი სამზადისი, ტერორისტული აქტების მზადება, ლიანდაგის აყრით მთელი მატარებლის დამსხვრევის ცდა, მატარებლის გაცარცვის მომზადება, კავშირი ეროვნულ-დემოკრატებთან. შავ ძალებთან, კავშირი ყაჩაღთა ბრბოებთან და ბანდებთან, შეგნებული მოტყუილება ხალხის, ცდა და სამზადისი ინტერვენციისა, გატაცება საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა და სხ.

ერთი სიტყვით აქ საქმე გვაქვს ისტორიულ დანაშაულობათა სერიასთან, რომელიც ქართველი ხალხის ძვლებითა და სისხლით უნდა ყოფილიყო მოკირწყლული მენშევიკური პარტიის სასარგებლოდ.

ამას გარდა აქ არის კიდევ ერთი უდიდესი ბოროტმოქმედება, ბოროტმოქმედება თვით პარტიით, იმ ხალხით, რომელნიც ამ პარტიის ქვეშ იდგა და მის სიტყვას უჯერებდა. ჩვენ დღემდე ვიცოდით ჩვენი ყოფილი ცეკას პოლიტიკური შეცდომები და ამ ნიადაგზე კავშირი მემარჯვენე წრეებთან, ამიტომაც გავშორდით მას, მაგრამ ჩვენ დღემდე არ ვიცოდით, რომ ეს ცეკა ძარცვას, ყაჩაღობას და მკვლელობასაც თუ აწარმოებდა.

ისტორიამ საკვირველი ბედი არგუნა სოციალ-დემოკრატიას საქართველოში. იგი პირველად გამოვიდა მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელად, შესძლო გაძლიერება და მუშათა მასის დაპყრობა, ისე როგორც ვერც ერთმა პარტიამ ცალკე და ვერ ცველა პარტიებმა ერთად. იგი ცარიზმის ბრძოლაში იღებდა უდიდეს მსხვერპლს, შესანიშნავი და სასახელო იყო თავისი რევოლიუციონური ტაქტიკითა და საქმით, ხოლო დღეს ამ უძლიერეს პარტიის დასასრულს თითქოს უკუღმა შებრუნდა მისი ისტორიის ჩარხი. რამდენადაც თავის დასაწყის იგი წმინდა, რევოლიუციონური, მებრძოლი და ხალხის ინტერესების დამცველი იყო, იმდენად ეხლა დაცემული, რეაქციონური, ყაჩაღურად მებრძოლი და ხალხის ინტერესების ფეხქვეშ გამთელავად გამოდის მისი ოფიციალური ნაწილი, რომელიც კიდევ განაგრძობს პარტიის სახელით არსებობას.

მართალია დღეს მენშევიკური ცეკა არსებითად არ არის მენშევიკური პარტიის ცეკა, რადგანაც არ არსებობს მენშევიკური პარტია, მაგრამ იგი ერთი ნაწილია მენშევიკური პარტიის, რომელსაც შესწევს თავხედობა მთელი პარტიის სახელით ყაჩაღური აქტების ჩადენისა.

სად უნდა ვეძებოთ მენშევიკური ცეკას ასეთი დაცემის მიზეზები? რით აიხსნება ეს მოვლენა? რამ მიიყვანა მენშევიკური ცეკა ამ მდგომარეობამდე?

უმთავრესი მიზეზი ისევ ის პოლიტიკური შეცდომაა, რომელმაც ანტისაბჭოთა რიგში მოაქცია მენშევიკური პარტია, ამ შეცდომამ გააქანა პარტია არა მარტო მარჯვნით პოლიტიკურად, არამედ მარჯვნით ზნეობრივადაც, თუ შეიძლება ასე გამოთქმა, და იგი დაუკავშირა ობიექტიურად ყველა ნაძირალს, რომლის ისარი მიმართული იყო საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ. ბრძოლის ლოღიკამ, ბრძოლის სტიქიამ შეადუღა, შეასისხლხორცა მენშევიკური ცეკა ყოველ ჯურის ელემენტებთან და ამან დასცა პარტია არა მარტო პოლიტიკურად, არამედ მორალურადაც.



მენშევიკების ჯალათების მიერ მუხანათურად მოკლული ამხ. ილ. გიორგაძე კუბოში.

ამ მხრივ დამახასიათებელია ამავე ცეკას თავმჯდომარის სეით დევდარიანის წერილები, იგი სწორედ ამ რიგად სვამდა საკითხს; იგი პოლიტიკურ შეცდომებზე გველაპარაკებოდა და აღნიშნავდა, რომ მან უკანასკნელად მიიღო ცნობები, რომელნიც ააშკარავებენ პარტიის ხაზის გადახრას მარქსიზმიდანო. ცხადია, აქ სეით დევდარიანი არ გულისხმობდა ყაჩაღურ აქტებს, რადგან უკანასკნელი გადახრილია არა მარქსიზმიდან, არამედ ელემენტარულ ზნეობიდან და ადამიანური სინიდისისაგან. ამიტომ ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ასეთი აქტები დაფარული ყოფილა თვით მენშევიკურ ცეკას თავმჯდომარისთვისაც, რომ პარტიაში ადგილი ჰქონია სრულ დეზორგანიზაციას და დემორალიზაციას, რომ ცენტრალური კომიტეტის ერთი ნაწილისთვისაც არ ყოფილა აშკარა ის აღმაშფოთებელი საქმიანობა, რომელსაც ეწეოდა ამავე კომიტეტის მეორე ნაწილი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სეით დევდარიანი თავის წერილების გაგრძელებაში სრულიად ხელს აიღებს მენშევიკურ პარტიაზე, რომელიც ყაჩაღურ და ბანდიტურ საქმიანობის ხელმძღვანელ ორგანოდ იქცა.

ჩვენ არ შევუდგებით ვრცელ დახასიათებას მენშევიკურ ცეკას მოღვაწეებისას. ამისათვის დღე მისმა უახლოესმა თანამშრომელმა გაგვიწიოს უშუალო სამსახური, აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ამის შემდეგ არა თუ არც ერთი მუშა და გლეხი, არამედ არც ერთი პატიოსანი მოქალაქე არ იქნება საქართველოში, რომელსაც შეეძლება მენშევიკური ცეკას საქმიანობის გამართლება.

ჩვენ სავსებით გვინდა გადავსცეთ გამოქვეყნებული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ყველა წრის და ჯგუფის სამსჯავრო წინაშე, რადგან არც ერთი სოციალური წრე და ჯგუფი არ შეიძლება ამართლებდეს მენშევიკურ ცეკას მოღვაწეობას.

აქ საჭიროც არ არის მუშათა კლასობრივი თვალსაზრისით მათი საქმიანობის განხილვა. აქ მხოლოდ უბრალო ადამიანური სინიდისი და ზნეობა საკმარისია, რომ ზიზღით და აღშფოთებით უკუაგდო ის ძალა, რომელიც უსაზღვროდ ჩაეფლა პოლიტიკური და ზნეობრივი სიბინძურის მორევში.

დღე ისტორიული დოკუმენტები დარჩეს ისტორიულ დოკუმენტებად, ხოლო ბოროტმოქმედთ მიეზღოთ თავისი შესაფერი სასჯელი — მუშათა გულისწყრომის სახით.

**გ. ვარდოიანი.**

# პირველი მსხვერპლი.

**(ილ. გიორგაძის ხსოვნას)**

იმ დროს, როცა ცის კიდური
აფერადდა, აბიბინდა
მშრომელ მასის შეთანხმების
მზე დიადიც ამობრწყინდა...
და როდესაც საამურად
ახმაურდა შვების ქნარი,
ხმა გაისმა სანეტარო
მშრომელთათვის გასახარი.
შენც ამ ხმებმა გაგიტაცა
მოიშორე გულზე წყლული,
და გინდოდა მშრომელთათვის
შენც გეკონა თაიგული!..
ამით მტერი გააბრაზე
მოუკიდე ცეცხლის ალი;
აღზგნებულმა ბოროტებით
დაიჭირა შენსკენ თვალი.
არ დაგინდო, გამოაკლო
ჩვენსა რიგებს შენი თავი,
აგვატირა. აგვაკვნესა
საქმე გვიქნა მეტად ავი!..
მაგრამ ფიცს ვდებთ შენს წინაშე:
ერთი ასად გადვიქმნებით;
და აღთქმული ქვეყნისაკენ
ვივლით მუდამ, — არ დავცხრებით.

**ხოფლელი.**

# ისტორიული დღე.

15 იანვარი ეს ისტორიული დღეა, ამ დღეს შესრულდა ხუთი წელი მას შემდეგ, რაც მუშათა კლასის მტრებმა სიცოცხლეს გამოასალმეს მუშათა საქმისთვის თავ დადებული ორი დიდებული ადამიანი: კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუკსენბურგი: მაგრამ ეს მტრებს ძვირათ დაუჯდათ. მუშათა კლასმა მათ შესაფერი პასუხი გასცა. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა თავი მოიყარა მესამე კომინტერნში და სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ამ გამცემლებს. მთელი დედამიწის მეექვსედი ნაწილი დაიპყრა და დანარჩენ ქვეყნებში ყველა მუშათა კლასს მოუწოდა სოციალისტური რევოლიუციისაკენ, ჩვენ ვხედავთ დღეს თუ როგორ ინგრევა და ირღვევა შემთანხმებლების რიგები. შორს აღარ არის ის დრო, როცა სრულიათ დაემხობა ყვითელი მეორე ინტერნაციონალი, რომელზედაც დღეს ეყრდნობა მთელი ქვეყნის ბურჟუა-კაპიტალისტები. ამის ნიშნები საკმაოთ არის ევროპის სინამდვილეში.

ჩვენი ვალია ამ ნაგრევის პროცესს ხელი შეუწყოთ და დავაჩქაროთ ის. რაც მალე მოისპობა მე-2-ე ყვითელი ინტერნაციონალი, მით უფრო მალე გაიმარჯვებს მუშათა კლასის დიქტატურა. მე-2 ყვითელი ინტერნაციონალი ეს ერთათ ერთი დასაყრდნობია მუშათა კლასის მოსისხლე მტრების, ბურჟუა-კაპიტალისტების, ამიტომ ჩვენი ვალია და ამას გვავალებს ჩვენ აგრეთვე ჩვენი ამხანაგების — კ. ლიბკნეხტის და როზა ლიუკსენბურგის დაღვრილი წმინდა სისხლიც, რომ სამაგიერო გადაუხადოთ მტრებს: მივანგრ-მოვანგრიოთ ბურჟუა კაპიტალისტების ყველა სიმაგრეები და დავაჩქაროთ მსოფლიო სოციალისტური რევოლიუცია.

„ისარი".

# 9–22 იანვარი

ეს იყო 19 წლის წინათ.

1905 წლის სუსხიან პეტროგრადის მოღრუბულ დღეს.

გაძვალტყავებული, მშიერი, პეტროგრადის მშრომელი მასა პირველად გამოვიდა ქუჩებში და თავის ადამიანური ღირსების დასაცავად ალიმაღლა ხმა გამოვიდა მშვიდათ, წყნარად, ხატებითა და ჯვრებით, შემოსილ მღვდლის წინამძღოლობით.

სად მიდიოდა?

მიდიოდა მეფესთან — ნიკოლოზ მეორე ჯალათთან.

თავისი გასაჭირი მუშა ხალხს ქაღალდზე დაეწერა და თხოვნით უნდოდა მიემართა მეფისათვის, რათა მას შეემსუბუქებია მძიმე, აუტანელი მდგომარეობა მდაბიო ხალხისა.

მრავალი ათასი მუშა, ქალი, ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა, ქუდმოხდილი მიემართებოდა სასახლისაკენ. მღვდელ გაპონის მეთაურობით — მიემართებოდა იმ მეფესთან, რომელიც ხალხის კეთილდღეობის დამცველად და ქომაგათ ჰყავდათ წარმოდგენილი — პროვოკატორ გაპონის შთაგონებით.

მიჰყვებოდა იმავე გაპონს, რომელმაც მეფის ოხრანკის შესყიდულმა დააბრმავა მუშათა კლასის შეუგნებელი ნაწილი, ბრძოლის ნაცვლად მშვიდი „ქრისტიანული" მოთმინება და მეფის წყალობისათვის ცდა უქადაგა, რომელმაც დაბოლოს ეს ხალხი ჯალათების ცეცხლზე და მახვილზე უსირცხვილოდ მირეკა.

უკანასკნელ ხანებში რევოლიუციონურმა მოძრაობამ ფესვი გაიდგა პეტროგრადის, მოსკოვისა და სხვა მთავარ საწარმოვო ცენტრების მუშებში; რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ფართო აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა მათ შორის და ათას ცხრაას ხუთი წლისათვის მას უკვე საკმაოდ ჰქონდა მომაგრებული ფესვები ფაბრიკა-ქარხნების შეგნებულ მუშებში.

ეს გარემოება ძალიან აწუხებდა მეფის მთავრობას და მის ერთგულ დარაჯ ოხრანკას.

მან კარგად იცოდა რომ თუ მუშებში ერთხელ ფეხს მოიკიდებდა შეგნებულად აღებული სწორი გეზი, თუ ისინი მონახავდენ თავის ინტერესების დამცველ პარტიას და სწორი გზით შეუტევდენ თვითმპყრობელობას, შემდეგ ვერავითარი „ზომები" ველარ გასჭრიდა და მეფის მთავრობასაც დიდი საფრთხე მოელოდა „გარევოლიუციონერებული" მუშებისაგან.

ამიტომ ოხრანკამ ერთი ჩინებული ხერხი გამოიგონა. მან მონახა ვიღაც მღვდელი გაპონი და დაავალა მას ემუშავნა მუშათა ფართო მასაში და მისი ყურადღება აეცდინა რევოლიუციონური ბრძოლისაგან.

სხვადასხვა ხრიკების საშუალებით გაპონმა მართლაც შესძლო ნაწილობრივ თავის მიზნის მიღწევა და ირგვლივ შემოიკრიბა მუშების შეუგნებელი ნაწილის დიდი რაოდენობა.

მაგრამ მან ვერ შესძლო მაინც მიეფუჩეჩება ხალხში გაჭივრების, უმაგალითო ექსპლოატაციის გამო გამოწვეული სამართლიან უკმაყოფილებისა.

მუშა, რა გინდ შეუგნებელი არ ყოფილიყო ის, არ კმაყოფილდებოდა მღვდლის კეთილი სურვილებით „საიქიოს ცხონების" შესახებ და საკმაოდ ენერგიულად მოითხოვდა ამ ქვეყანაზედ გაუმჯობესებას თავის მდგომარეობისა.

ამ შეგნების გაღვიძებაში და გაღვივებაში, რა თქმა უნდა, დიდი დამსახურება მიუძღვის რევოლიუციონურ შეგნებულ მუშებს მაშინდელ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით.

გაპონის გარშემო თავმოყრილმა ხალხმა გაპონს მოსთხოვა: „აი შენ ამბობ, რომ ჩვენსკენ ხარ, აბა ეცადე, რომ გაუმჯობესებულ იქნეს ჩვენი არსებობის პირობები — გამოგვიყვანე ჩვენ პირუტყვულ მდგომარეობიდანო".

რა თქმა უნდა, ამ მოთხოვნილებებს გაპონი ყურადღებას არ მიაქცევდა, რომ ის საკმაოდ ძლიერი და მტკიცე არ ყოფილიყო.

ის იძულებული შეიქნა ჩასდგომოდა ხალხს სათავეში, შეადგინა პეტიცია ე. ი. მიმართვა მეფისადმი მუშა-ხალხისაგან, შეიმოსა, გამოიტანა ხატები, ხორუგვები და დიდძალი ხალხი საეკლესიო ჰიმნის სიმღერებით გაემართა ნიკოლოზ მეორის სასახლისაკენ.

რა უნდოდა იქ ამ ხალხს?

პეტიცია ხელმოწერილი მრავალი ათასი მუშების მიერ შემდეგნაირად მიმართავდა მეფეს.

„... ჩვენ პეტერბურგის მუშები და სხვადასხვა წოდების მცხოვრებლები, ჩვენი ცოლები, ბავშვები და საწყალი მოხუცი მშობლები მოველით შენთან, მეფევ, რათა ვიპოვოთ სიმართლე და მფარველობა.

ჩვენ გაღატაკდით, ჩვენ გვჩაგვრავენ, გვაწვალებენ აუტანელ შრომით, გვლანძღავენ ჩვენ არ გვცნობენ ადამიანებათ, ჩვენ გვეპყრობიან როგორც მონას, რომლებიც ვალდებულნი არიან შეურიგდენ თავიანთ მწარე ბედს და ითმინონ. ჩვენ კიდევაც ვითმენთ, მაგრამ ჩვენ კიდევ გვერეკებიან უუფლებობის, სიღატაკისა და სიბნელისაკენ, ჩვენ გვახრჩობს დესპოტიზმი და თვითნებობა და ჩვენ ვისრჩობით. მოთმინების ფიალა აივსო.

დადგა დრო როდესაც ჩვენთვის უმჯობესია სიკვდილი ვიდრე აუტანელ წამებაში ცხოვრება...

მრავალი ასი მუშა, ცოლებით, შვილებით მიეშურებოდა მეფის სასახლისაკენ ამ თხოვნით.

მაგრამ ჯალათს ნიკოლოზ მე-II უკვე მოემზადებია ამ უგუნურ ხალხისათვის კარგი საჩუქარი.

ვეებერთელა პროცესიას მშვიდი ხალხისა, ბავშვებს და ქალებს, წინ ჟანდარმერია და კავალერია გადაეღობა.

გაწვნმდა ტყვია...

ამუშავდა ხმლები...

მრავალი ათასი უმანკო ბავშვი და საცოდავი დედები წუთისოფელს გამოესალმა. აი როგორ „მიიღო" მეფემ თავისი ქვეშევრდომნი.

ტყვიითა და მახვილით გაუმასპინძლდა. ჟანდარმების და სალდათების ცხენებს გააქელეტია მასთან მშვიდი თხოვნით გამობრუნებული ხალხი. მაგრამ ამ მსხვერპლს ტყვილად არ ჩაუვლია. ეხლა უკვე დაინახა მშრომელმა მასამ, დარწმუნდა თავის ზურგზე გადაიტანა თვითმპყრობელობის საშინელება. მან შეიგნო რომ ჯალათურ მთავრობას, მუშების, ბავშვების და მოხუცების სისხლში მოსვრილ ნიკოლოზ მე-II იარაღით უნდოდა შებრძოლება...

და აკი აისხა კიდეც მან იარაღი.

9 იანვარი სამართლიანად შეიძლება 1905 წლის რევოლიუციის დასაწყისად ჩაითვალოს.

დიდი მსხვეპლით, ძალიან დიდი მსხვერპლის გაღებით მივიდა თვით ჩამორჩენილი ფენები მუშებისა და ღატაკი ხალხისა იმ დასკვნამდი, რომ მშვიდობიანი გზით ნიკოლოზ მე-II-სთან ლაპარაკი არ შეიძლებოდა. და იარაღის საპასუხოთ მანაც იარაღს მიმართა.

მართალია 1905 წელს ვერ დაამხო მუშათა კლასმა ცარიზმი.

1905 წელს მან მხოლოდ ფრთები შეაჭრა ცოტა ხნით მის თარეშს, მაგრამ 1905 წლის შემდეგ მეფის ჯალათებს მოსვენებით აღარ უცხოვრიათ.

აღშფოთებული, უკვე გამოფხიზლებული მშრომელი ხალხის შიში მას აღარ ასვენებდა.

და აკი 1917 წელს ამ მშრომელმა ხალხმაც სასრულეში მოიყვანა თავისი დიდი ხნის წადილი.

მან ერთი ხელის მოქნევით დაამხო თვით-მპყრობელობის ტახტი და გზა გაუკაფა დიდ ოქტომბერს მშრომელი ხალხის საერთო ბატონობასა და გაძარცვებას.

9 იანვარი დიდი დღეა ჩვენს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში. ამ დღეს პეტროგრადში დაიწყო რევოლიუციის საქმე, ამ დღეს ასეთი საშინელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ მშრომელი მასა შესდგა იქ ბრძოლის გზაზე.

და რევოლიუციონურმა ყიჟინის ხმამ პეტროგრადის ქუჩებიდან მთელი მაშინდელი ენერგიით აალელვა, ფეხზე დააყენა.

ვის არ ახსოვს ჩვენში ათას ცხრაასს ხუთი წლის დღეები?

ვის არ ახსოვს განრისხებული აჯანყებული ხალხი, შეიარაღებული რითაც შეეძლო, თოფებით, ბარით, კეტებით...

9 იანვარმა გაუკაფა გზა ამ მოძრაობას.

მას შემდეგ 19 წელი გავიდა...

ამ ბრძოლის ნაყოფები ხელთა აქვს მშრომელ ხალხს.

და დღეს, როდესაც მან მიაღწია უკვე დიდი ხნის ნატვრას, რომელსაც შეეწირა მრავალი ათასი უმწიკვლო მსხვერპლი, გამარჯვებული პროლეტარიატი მოიგონებს 9 იანვარს და იმ გმირებს, ვინც მსხვერპლად შეეწირა დიდ საქმეს მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა თვითმპყრობელობის კლანჭებისაგან.

კლდე.

# გამარჯვებიდან-გამარჯვებისაკენ.

ორი კვირა გაეიდა მას შემდეგ, რაც ავანტიურისტ-ჯალათებმა გული გაუგმირეს ჩვენ ამხანაგებს, მაგრამ ამ სიკვდილებით საგრძნობი გამარჯვება-განმტკიცება მოხდა ჩვენს რიგებში.

ამ უმანკო სისხლმა საშინელი ზიზღი გამოიწვია მუშებში და დღეს ვხედავთ, რომ მეორე გამასწორებელ სახლიდან ორასორმოცდაათმა კაცმა ზიზღით და კრულვით მოიხსენია მათი ავანტიურისტული ხელმძღვანელები.

წარსულ ორშაბათს 14 იანვარს მე საქმეების გამო შევიარე ჩვენს რედაქციაში. იქ დამხვდა ჩვენი ამხ. გიგო მთლად გაბრწყინებული და გამხიარულებული სახით. იმის სევდიან მჭმუნვარე, ჩაფიქრებულ სახეს, რაღაც სიხარული და ღიმილი ამშვენებდა.

რა ახარებდა ამ მუდამ ბოღმიან ადამიანს ვერ წარმომედგინა.

გამარჯობა გიგო, რაშია საქმე, რამ გაგახარა?!

—გამარჯვებიდან - გამარჯვებისკენ მივდივართ, ბიჭო. გუშინ მე და სანდრო დაგვიბარეს, ავანტიურისტების მოქმედებით გაღიზიანებულმა. დატუსაღებულ ამხანაგებმა და სიამოვნებით ორასორმოცდაათმა კაცმა სურვილი გამოსთქვეს სრულიად შეგნებულად ჩვენთან მუშაობისათვის. დილიდან საღამომდე იქ ვიყავით და ბრწყინვალე გამარჯვებასაც მივაღწიეთ.

—ასეა ჩემო გიგო, ორი მოგვიკლეს, მაგრამ ამ ორის სისხლმა სამუდამო გაკოტრება მოახდინა მტრის ბანაკში...

—ხუთ საათზე გამოუშვებენ ყველას და გამოდი ნაძალადევში, თუ გეცლება შევხვდეთ ახლათ-მოსულ ამხანაგებს.

—სიამოვნებით:

რედაქციიდან გავექანე რუსთაველის პროსპექტისკენ და სიხარულით თითქოს მივფრინავდი და ყველას ვეუბნებოდი ამ სამხიარულო ამბავს.

ყველას კმაყოფილება ეტყობოდა, მაგრამ უეცრივ რუსთაველის პროსპექტზე წავაწყდი ერთ უსაქმოთ მოყიალე „მენშევიჩქას“ და, რასაკვირველია, მე დამიწყო გინება.

მე კი უთხარი: რომ გამარჯვებიდან-გამარჯვებისაკენ მიედივართ და დღეს ორას-ორმოცდა ათ ამხანაგს, გამოუშვებენ მეტეხიდან და ჩვენთან მოვლენ.

—მერე არ გეშინიათ ასეთ მასიურ გამოშვების, ისინი ხომ ყველანი ძალ-დატანებით გამოვიდენ და ყველანი ზურგს შეგაქცევენ...

—ჩვენ გვწამს, რომ ისინი გულ-წრფელად, ძალ-დაუტანებლათ მოვიდნენ ჩვენთან, იმ საზიზღრობების შემდეგ, რაც ამ უკანასკნელ ხანებში ჩაიდინეს თქვენმა ავანტიურისტებმა.

—მერე თქვენ გგონიათ კომუნისტები დიდი ნდობით გიცქერიან? იმათაც ეზიზღებათ მოღალატეები.

—უკაცრავათ, ჩვენ არა ვართ მოღალატეები, ჩვენ ჩვენ ძმებ მუშებთან მივედით და იმათაც გულწრფელად მიგვიღეს... ჩვენ ახალი გზით უღალატეთ ბურჟუაზიას და ჩვენი შეცდომებიც გამოვასწორეთ.

და დღეს არავის ნდობაში არ ვსაჭიროებთ, ჩვენ თუ დაგვჭირდა ჩვენი ნდობის მოპოება, ამას პირველ დაძახილსავე ჩვენი სისხლით დავამტკიცებთ და დღევანდელი დღე ეს უდიდესი გამარჯვებაა ჩვენი და სამუდამო დასამარება თქვენი.

ამ ბაასით დავშორდი ამ გზა-უბნეს. მოხეტიალეს, მაგრამ ჩვენი რიგების შემჭიდროება-გამაგრება გულს მიხარებდა და იმედიც მქონდა, რომ ასეთი გაღიზიანებული, გაფანატიკებული ამხანაგებიც მოვლენ ჩვენთან.

# სოლომონის პასუხი.

მართალია, წამოვედი—მივატოვე საქართველო,
მაგრამ, იცი, აქაც ვერსად გავიტანე ჩვენი ლელო.
კიდით-კიდე მოვიარე—ვის არ ვთხოვდი ჩვენთვის შველას,
მაგრამ ჩვენზე უფრო მეტი თავის ჭქონდათ ჭირი ყველას.

შევცდი, ძმაო, რომ დავტოვე მშობლიური არე-მარე
(ამის გამო სინანულით ბევრი ცრემლი ჩამოვღვარე).
ჩემი საქმე სხვა გვარია რა თავიდან გავჯიუტდი—
თითქოს (რა ვქნა) დროს გამოცვლას კიდევ ვფიქრობ, კიდევ უცდი,
მაგრამ გეტყვი: ეს ევროპა ისე არის აწეწილი
რომ არც ფრანგსა, არც ინგლისელს ღამით არ აქვთ მყუდრო ძილი,

არ გაამართლა იმედი კონგრესსმა ვაშინგტონისა.
(ეს იყო ჩვენთვის მომცემი პირველი ტკბილი ტონისა).
ჩაფლავდენ: ჰააგა, გენუა და შემდეგ ორჯერ ლოზანა
და ყველა ამით მე მითხრეს: „სულთათანა“ და „ოსანა“.

გადამავიწყდა მშობელი და დროს ვატარებ ლხინითა.
კვირაში შვიდჯერ დავთვრები შამპანიური ღვინითა.
აქ არხეინათ თავსა ვგრძნობ, როგორც ბორჯომში და ცემში,
ფეხზე მკიდია დემოსი, ხოლო მე ვიყო ედემში.

მაგრამ, არა—არ დაგტოვებ, რომ არ მოგქცე დარიგება.
მართალია, ჩვენი პირით კომუნიზმი არ იქნება,
მაგრამ ჩუმად ჩაგჩურჩულებ: მართალია საბჭოები;
თუ როგორმე მოახერხო შეურიგდი და მოები.
დაჰგმე, ძმაო, ყოველივე: ჩვენი გზა და ჩვენი ხაზი.
უკვე დროა მოიცილო: შური, მტრობა, ქინი, ბრაზი.

შენ, როგორც მწერ იქ ხარ—დარჩი მარტო, კენტი, ერთი
და თუ გინდა კვლავ სიცოცხლე კომუნისტებს შეუერთდი—
მაგრამ, ვაი—იმის შემდეგ, რაც დაჰღვარე მოძმეს სისხლი
არ მიგიღებს კომუნისტი და მოგელის მისგან წიხლი.

ეს ისტორია ცხოვრების ყოფილა, ძმაო, შაირი;
ცვალებადია ვით დედის სამოსი ნაირ-ნაირი.
გაგვაბითურა ჩვენ ყველა ტრიალმა ისტორიისა.
ნარი-ეკალი მოვკრიფეთ, მოკრეფა გვსურდა იისა.
გაფრთხილებ: რადგან ცხოვრება აქ ახლა მეტად ძვირია,
რაც გავიტანეთ ქონება სულ სახარჯავათ გვჭირია.
ნუ ელი ჩვენგან ერთ გროშსაც, შენ მაქ მარტო ხარ ერთია;
დაგლოცავ: შენი მფარველი იყოს ზეცაში ღმერთია.
მშვიდობით სამარადისოდ, აწ ვერ შევხდებით ერთმანეთს.
პურის ფულისთვის გიგზავნი უკანასკნელად ერთ მანეთს.

მენგო.

ჩვენსკენ ამხანაგებო, მჭიდროთ რიგებში, ფოლადისებული სიმტკიცით და გაჭირვებულ დროსა სისხლით მოვრწყოთ, ბრძოლის ველი ჩვენი დიად საქმის განსახორციელებლათ.

**ილიკო ჯუღელი.**

# მეტეხის პოლიტიკურ პატიმართა რეზოლიუცია.

დიდი ხანია, რაც ჩვენ ციხიდან მოგვდიოდა ამბები, რომ იქ ხდება გადატეხა პატიმართა შორის და ახალ გზას ადგებიანო. რამოდენიჯერმე მოითხოვა ტუსაღთა ჯგუფებმა ამხ. ფარნიევის ციხეში მისვლა. ბოლოს გაზ. „კომუნისტი“-ს ფურცლებზედაც მოთავსებულ იქნა რამოდენიმე ათეული პატიმარის განცხადება მენშევიკური ტაქტიკის უარყოფის შესახებ და თან ითხოვდნენ ამხ. ფარნიევს მოხსენების გასაკეთებლად და საბოლოო დასკვნის გამოსატანად.

ამის შემდეგ ამხ. ფარნიევმა და ვარდოიანმა ინახულეს პატიმრები, გაიმართა დიდი კრება-მიტინგი, რომელზედაც გამოტანილი იქნა ის რეზოლიუცია, რომელსაც ქვევით ვათავსებთ.

**რედაქციისაგან.**

რუსეთის გასაბჭოების შემდეგ ხუთი წლის განმაელობაში ჩვენ დიდის ყურადღებით ვადევნებდით თვალ-ყურს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მუშაობას, ისე სოციალ-დემოკრატიული პარტიის „მოღვაწეობას“. ამ დაკვირვებამ თანდათანობით შეასუსტა ჩვენში სოციალ-დემოკრატიული რწმენა და ახლა ის უკვე სავსებით გაქრა ჩვენში და ჩვენ სავსებით დავრწმუნდით ყოფილ მენშევიკების კონფერენციის მიერ მიღებული ტაქტიკის სისწრაფეში და მიზანშეწონილებაში. ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეეძლო და შესძლო რუსეთის კონტრრევოლიუციის დამარცხება,—ეს არის კომუნისტური ხელისუფლება, მისი რკინის დისციპლინით და სწრაფი მოქმედებით.

„დემოკრატიული გზა“ და კოალიციის პოლიტიკა საკმაოთ სუსტი აღმოჩნდა და თავისი საშვალებით არ შეეფერებოდა რევოლიუციის დაცვის საქმეს.

მართალია რუსეთის რეაქცია დამარცხებულია, მაგრამ ის დღეს ძლიერდება საერთაშორისო მასშტაბით.

საერთაშორისო ბურჟუაზია დიდ საფრთხეს ხედავს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობისათვის საბჭოთა სისტემის სახით, რომელიც ამჟამად მსოფლიო სოციალური რევოლიციის ციხე-ბურჯს და აკვანს წარმოადგენს და ამიტომ ბურჟუაზია (ფაშიზმის საშვალებით) ცდილობს მის დამარცხებას და მოსპობის, რასაც, ჩვენი ღრმა რწმენით, მოყვება მონარქიის აღდგენა იმის გამო, რომ რუსეთში არ არის სხვა ძალა, რომელიც შესძლებს კომუნისტური ხელისუფლების შემკვიდრეობის მიღებას.

ასეთ პირობებში, მსოფლიო ფაშიზმის საფრთხის წინაშე, ყოველგვარ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ თვლით ხელის შემწყობად რეაქციისათვის და უდიდეს მოღალატეობად რევოლიუციისა და საქართველოს ერის წინაშე.

თავდაცვის მიზნით საჭიროა ყველა რევოლიუციონური ძალების გაერთიანება ერთიან ფრონტში, რომელიც მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით შესძლებს გამოუცხადოს ბრძოლა რევოლიუციის და სოციალიზმის ამ უდიდეს მტერს.

პროლეტარიატის დიქტატურა საუკეთესო იარაღი აღმოჩნდა არა მარტო რეაქციასთან ბრძოლაში, არამედ ჩვენი საბოლოო მიზნის—სოციალიზმის განსახორციელებლადაც.

„დემოკრატია“ და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა კი, პირიქით, გვაშორებს ჩვენ ამ მიზანს იმის გამო, რომ ასუსტებს კლასობრივ შეგნებას, ამ რიგად ბრძოლის დროს ბურჟუაზია იყენებს დემოკრატიას თავისი ინტერესების დასაცავად.

ასევე სწორია კომუნისტური პარტიის გზა მუშების ინტერესების დაცვის საქმეში და მშენებლობაში.

ამას საყსებით ადასტურებს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობა, რის გამო მცირე ხნის განმაელობაში საგრძნობი პირობები შეიქნა კულტურულ-ეკონომიური და გონებრივი განვითარება აღორძინებისათვის.

ეს დაადასტურა სვით დევდარიანის გამოსვლამ, რასაც ჩვენ ვთელით მოწოდებათ სხვა წევრებისადმი განთავისუფლდენ ყოველგვარი ორპირობისაგან და გულრწფელად შეუერთდენ მშრომელი ხალხის ნაბიჯს.

კრება აღშფოთებულია ამხ. გიორგაძის საზიზღარ მკვლელობით და დარწმუნებულია, რომ მშრომელი ხალხი და მისი ხელისუფლება მონახავენ დამნაშავეებს და ღირსეულად დასჯიან მათ.

ყველა ზემოთქმულის გამო, ჩვენ მეტეხის პოლიტიკური პატიმარნი, ვტოვებთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და უერთდებით ყოფილ მენშევიკების კონფერენციის დეკლარაციას.

1. პორფილე ეფრემიძე, 2. არტ. ჩაჩუა, 3. დავით მუჯირი, 4. ალ. რეკვბიშოვი, 5. დავით მიქელაძე, 6. ლუკა ზაქაროს ძე ბერიტაშვილი, 7. პლატონ ნიკოლოზის ძე გარსევანიშვილი, 8. ალექსანდრე კვატაძე, 9. სიო დიმიტრის ძე ჭანტურიშვილი, 10. ივანე ალექსანდრეს ძე მთიულიშვილი, 11. ლავრენტი კუპრაშვილი, 12 ლასა ბობოხაძე, 13. აკაკი წივწივაძე, 14. აბესალომ ნიკოლოზის ძე შალამბერიძე ახ მარქ., 15. სიმონ ებრალიძე, 16. დიანოს გვანცელაძე, 17. ნიკოლოზ ჯიჯელავა, 18. პანტო სიმონიშვილი, 19. კოზმა რაზმაძე, 20. ივანე ბურკაძე, 21. კალისტრატე კუპრაშვილი, 22. ვლადიმერ ჯალაღანია, 23. ალექსადრე კალანდარაშვილი. 24. დავით კოკაია, 25. ნეოფილე ხუბაბია, 26, აკაკი კალანდარიშვილი. 27. მიხეილ სოხაძე, 28. დავით დვალი, 29. ივანე სინაურიძე, 30. დუმბაძე კონსტანტინე, 31. პლატონ ვასილის ძე თალაკვაძე, 32. ვლადიმერ სიმონის ძე ნანაძე, 33. ივანე ჯაბუა, 34. ამბაკო გიორგის ძე ახობაძე, 35. აკაკი გიორგის ძე მეგრელიშვილი, 36. დორენტი გუგუნავა. 37. გალაქტ. კოპალეიშვილი, 39. ბიქტორ იაგორის ძე ჭედია, 40. გიორგი რევიშვილი. 41. კოლა (იგივე გიორგი) ხუჭუა, 42. იოსებ არსენის ძე გოგავა, 43. რაჟდენ გიორგის ძე მიქაძე, 44. პავლე მეფარიშვილი, 45. ალექსანდრე ჩხეიძე' 46. არხიპო ახობაძე. 47. ბაგრატ წულაძე, 48. გერასიმე ფირცხალაშვილი, 49. დავით სიმონის ძე ღლონტი, 50. ილარიონ გეგია, 51. შალვა ჩხიძე, 52. შამშე ჩხაიძე, 53. ზაქარია შუბითიძე, 54. ევგენი ივანეს ძე ფაელენიშვილი, 55. შალვა სერგოს ძე დოლიძე, 56. ნოე სოლომონის ძე ბელიშაძე, 57. გიორგი სიხარულიძე, 58. ი. კიკაბიძე, 59. ი. ჩიხვარია, 60. ვალერიან ინწკირველი, 61. დავით მურმანოვი, 62. ვასილ ჯაფარიძე, 63, ელიზბარ ჭიჭინაძე, 64. აკაკი მეგრელიშვილი, 65. ანდრო დვკანოიძე, 66. სიო ქურიძე, 67. ვასილ კილაძე, 68. მირონ ცინცაძე, 69. მ. კამკამიძე, 70. აკაკი პატიეშვილი, 71. იაკობ პეტრიაშვილი, 72. იოსებ მეგრელიშვილი, 73. ვასილ პაპავა, 74. ირადიონ ბოლქვაძე, 75. ივანე იოსების ძე ლომიძე, 76. ნიკოლოზ ჩიჩუა, 77. ილია კოქაშვილი, 78. გიორგი კარკუზაშვილი, 79. ალექსანდრე დავეთიშვილი, 80. ვასილ სტეფანეს ძე რაზმიაშვილი, 81. ზაქარია გიგაშვილი, 82. პეტრე ბაიძე, 83. ბავლე გიგაშვილი, 84. პეტრე ერგებლიძე, 85. დავით თუნაძე, 86. ვ. მეტრეველი, 87. ალექსი ბერუზაშვილი, 88. დადავით ჩიკვაიძე, 89. გაბრიელ ლოთაშვილი, 90. ვასილ ლაზარაშვილი, 90. თათე დუდაშვილი, 92. ერმალოზ ჩხეიძე, 93. გიორგი ბეროზაშვილი, 94. ს. ელბაქიძე, 95. ევგენი დიმიტრ. ძე ხორგუაშვილი, 96. ვასილ ევსტაფი. ძე თოდაძე, 97. პავლე ჯავახიშვილი, 98. ლაზარე ლევანის ძე ფაფაშვილი, 99. ივანე კანდელაკი, 100. იოსებ მოსიაშვილი, 101 მიხეილ ონიაშვილი, 102. კონსტანტინე. ჩიხლაძე, 103. ნოე მიქაძე. 104. დავით ხუციშვილი, 105 ანდრო ფერაძე, 106. ვალიკო კანდელაკი, 107. ლუკა ლორია, 108. ტიტე ზარაპიძე, 109. იოსებ კრაწაშვილი, 110. ნიკოლოზ იოსებისძე ელიოზიძე, 111. გიორგი ეგნატესძე ამაღლობელი, 112. მიხეილ კვატაშიძე. 113. ნიკოლოზ კუტალაძე, 114. ბესარიონ გვასალია, 115. ვლადიმერ გიორგობიანი, 116. პარმენ ფირცხალაშვილი, 117. აბრამ ჯორჯაშვილი, 118. საფოკლე ხოშტარია, 119. გერმან ღლონტი, 120. სიმონ ცხომელიძე. 121. იოსებ ბაბილოძე, 122. დავით გონიაშვილი, 123. ისიდორე ახვლედიანი. 124. ივანე კომახიძე, 125. დავით გუდუშაური, 126. შალვა გამყრელიძე, 127. ალექსი გოგობერიძე, 128. ნიკოლოზ არსენისძე საბაშვილი, 129. პოლიკარპე დავითისძე გოგიაშვილი, 130. გიორგი ჯინორია, 131. სოლომონ ივანესძე ვადაჭკორია, 132. გიორგი სპირიდონისძე ჩიტაია, 133 გიორგი წერეთელი, 134. ამბროსი ებანოიძე, 135. ივანე ღლონტი, 136. შალვა თომასძე დუგლაძე 137. შალვა ნესტორისძე ბერიშვილი, 138. შალვა ამბაკოსძე ჭუმბურიძე, 139. სოლომონ ესტატესძე თელია, 140. ივანე სამსონისძე ბახილაშვილი, 141. ივანე გუდუშაური, 142. ნიკოლოზ გრიგოლისძე ლაფანაშვილი, 143 იასონ გელდიაშვილი, 144. ილიკო კილაძე, 145. ზაქარია ნადირაძე, 146. მელქისედეკ ჭანტურია. 147. ალექსანდრე ფიცხალაური, 148. ალექსანდრე მარგველაშვილი, 149 შალიკო რამიშვილი, 150. ალექსანდრე ვაჩნაძე, 151. გრიგოლ ლაფანაშვილი, 152. ალექსანდრე მიხეილისძე ღლონტი, 153. დავით ივანესძე ცოც-

ქიშვილი, 154. ი. ტატიშვილი, 155. იოსებ კობალაძე, 156. ზაქარია პავლესძე მაისურაძე 157. სანდრო კასრაძე, 158. კოლია დათაშვილი, 159. ზურაბ დათაშვილი, 160. ბაგრატ ისაკისძე, ბაიაძე 161. ივანე სიმონისძე რომელაშვილი, 162 კონსტ. ზაქარიასძე გოგიშვილი, 163. იასონ ოთიაშვილი, 164. რაჟდენ ბაბუციძე, 165. ზაქარია ჩილაძე, 166. ალექ. ზაქარიას ძე მაისურაძე, 167. დავით ბაბუციბე, 168. ლეონტი რაზმაძე, 169. ილიკო ნასყიდაშვილი, 170. გიორგი-გაბო დოიჯაშვილი, 171. დავით თათრიშვილი, 172. ბესარიონ ჭკუასელი, 173. ვახტანგ ადეიშვილი, 174. ოსეთი გულვანის ძე ჩხაიძე, 175. ალექსანდრე მოსეს ძე არეშიძე, 176. ლავრენტი თევზაძე, 177. ზაქარია მალალდაძე, 178. ალექს. დიმიტრის ძე ჰანკოტაძე, 179. ვასილ მანჯავიძე, 180. ილია ჩაგვილიშვილი, 181. იოსებ იაგორის ძე შახნაზაროვი, 182. ილია ნემსაძე, 183. ნიკოლოზ დვალიშვილი, 184. ივანე ბროძელი, 185. გრიგოლ ლომაძე. 186. ალექსანდრე ჯოხაქე, 187. ნიკოლ. ზაქარიას ძე მჭედლიძე, 188. იოსებ ივანეს ძე ხატიაშვილი, 189. იაგორ გიუნაშვილი, 190. დავით ზუბაშვილი, 191. ნიკოლოზ ჩაგელიშვილი, 192. ვლადიმერ მეფარიძე, 193. ნესტორ გიუნაშვილი, 194. ალექს. არაბიძე, 195. შალეიმან სანაძე, 196. ევგენი ნაჭყეპია, 197. ფიდა სპირიდონის ძე გათიაშვილი, 198. პროკოფი დარჩია, 199. ალექს. მალლაკელიძე, 200. ივანე დოლიძე, 201. ნიკოლოზ დოლიძე, 202. პოლიკარპე გორდაძე, 203. გაბრიელ დოიჯაშვილი, 204. პლატონ რუსიშვილი, 205. შალვა მეგრელიშვილი, 206. დომენტი ბოჭოძე, 207. ვლადიმერ რუხაძე, 208. სიკო ელბაქიძე, 209. ივანე ხუციძეიშვილი, 210. გიგუცა ჩიტაძე, 211. დავით კონსტ. ალხაზაშვილი, 212. შალვა ბაკურაძე, 213. იუსტინე შარაშიძე, 214. ნოე ჩარკვიანი, 215. შალვა ილიას ძე მეთეშაშვილი, 216. კონსტანტინე ჯანჯღავა, 217. აპოლონ ჩიჩუა, 218. შალვა თედორეს ძე ფირცხალავა, 219. მიხეილ. ივანეს ძე ანანიაშვილი, 220. გერმან ლომთათიძე, 221. გრიგოლ ბურჯალიანი, 222. აკაკი ურუშაძე, 223, როლანდ თალაკვაძე, 224. ივანე ირაკლის ძე ხომერიკი, 225. ხარიტონ თევზაძე, 226. ალექსან. მელიმონაძე, 227. კონსტ. ილიას ძე ბრეგვაძე, 228. არჩილ ხუსკივაძე, 229. ალექსანდრე შენგელია, 230. ალექს. თევზაძე, 231. პავლე ვაშაძე, 232. ანნა მიხეილის ასული კაპანაძე, 233. ევტიხი სურგულაძე, 234. ნიკოლოზ იასონის ძე იოსელიანი, 235. ელენე კონსტ. ასული ურუშაძე, 236. ვერა ალექსან. ასული ხალდასტანიშვილი, 237. ვალენტინა იოსების ასული მშვიდობაძე, 238. ამალია მშვიდობაძე, 239. ილია სანაია.

## „სიმართლის ხმა"-ს.

როს მომესმა სიმართლის ხმა,
გამიხარდა გამოვფრინდი
ულრანი ტყე გადმოვლახე
გამოვაპე ბნელი ბინდი.
სწრაფ ნაბიჯით მოვდიოდი,
შორეულ გზას ახლო ვჭრიდი,
თქვენგან დიდი ხნით მოწყვეტილი,
სიხარულის ცრემლებს ვღვრიდი.
ჰა მოვედი მოგესალმოთ
მეგობარი მეგობრებსა,
გულს უხარის სულიც სტკბება,
რომ გიყურებთ ბრძოლის ძმებსა.
დღეიდანა თქვენთანა ვარ,
თქვენთვის ვიწყებ ჩანგის ჟღერას,
შრომამ მზარდა შრომის შვილი,
ვენაცვალე მშრომელთ კერას.

**გ. შინატეხელი.**

# ვ. ჟმალაძის წერილები

## ნილაბი მოვიხსნათ

ვსწერ საქართველოს საგანგებო" კომისიის საკანში. ამ ორგანოს მხრივ ჩემზე რაიმე ზეგავლენის შესახებ ან ძალადობაზე ჩემს მიმართ დაუშვებელია ლაპარაკი, რადგან ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონებია. არასოდეს მე არავისი არ მშინებია. ვათავსებ რა პრესაში ამ წერილს, რომელიც შეიცავს ჩვენი არელეგალური ც. კ. მოღვაწეობის გამოაშკარავებას საქართველოს იმ ნაწილის მასშტაბში, სადაც მე მიხდებოდა მუშაობა, მე ვხელმძღვანელობ მხოლოდ ერთი რამეთი—გულწრფელი სურვილით გავაცნო საქართველოს მშრომელ მასებს ც. კ. „მუშაობა", რომელიც უკვე სამი წელიწადია ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

ამ აზრს—შეუწყვეტო დუმილი—დამაყენა ჩვენი ამხანაგის ილარიონ გიორგაძის ვერაგულმა მოკვლამ და საბჭოთა პრესაში მოთავსებულმა—ჩვენი პარტიის უდიდესი მოღვაწის, ნ. ნ. ჟორდანიას შემდეგ მისი მეორე ლიდერის, ჩვენი ც. კ. თავმჯდომარის და მისი იდეური ხელმძღვანელის სეით დევდარიანის წერილებმა, რომელმაც თუმცა ცოტათი გვიან, მაგრამ მაინც აღიარა ც. კ. ხაზი შემცდარათ, დამღუპველათ როგორც პარტიისათვის, ისე ქართველი ხალხისათვის.

ჩვენი გამომჟღავნება გაანცვიფრებს ჩვენს ცეკისტებს და გამოიწვევს მათში სურვილს „გამისწორონ ანგარიში".

სიკვდილის არ მეშინია, მეშინია მხოლოდ მშრომელი ხალხის, რომელსაც შეუძლიან ანგარიში გამისწორონ მე მოტყუებისათვის, ავანტიურიზმისათვის. ჩემი გამოაშკარავებით მე შესაძლოა ცოტათი ვაწყენიებ პატივცემულ ამხ. სეითასაც. ის თავის წერილებში აცხადებს, რომ ცეკისტების მუშაობის შესახებ საქართველოში ავანტიურისტული აჯანყების მოსამზადებლად მან არაფერი არ იცოდა და პირველად გაიგო მხოლოდ ჩეკაში. ამ არცოდნას ის ხსნის არალეგალური მუშაობის პირობებით. რომელიც შეუძლებლად ხდის შეთანხმებულ და კოლექტიურ მოქმედებას, საკითხი აჯანყების შესახებ ცენტრალური კომიტეტისათვის ხომ პირველხარისხოვანი საკითხი იყო, მის გარშემო ხომ თავმოყრილი იყო ც. კ. მთელი მოღვაწეობა.

ნუ თუ ამხ. სეითს შეეძლო ამის არცოდნა!
არ ეპატიება მას ეს, არ ეპატიება!

გადავიდეთ საქმეზე.

მე—ძველი სოციალ დემოკრატი ვარ 1904 წლიდან. მეფის თვითმპყრობელობის დროს მე აქტიურად ვმუშაობდი ჩვენი პარტიის არალეგალურ ორგანიზაციებში და განსაკუთრებით მებრძოლ ორგანიზაციებში. პროფესიით მასწავლებელი ვარ, ვმსახურებდი ახალციხეს, გორის, დუშეთის, ბორჩალოს და თელავის მაზრებში. 1917 წლის გადატრიალებამ ციხეში მომისწრო. დროებითი მთავრობის იუსტიციის მინისტრის განსაკუთრებული განკარგულების თანახმად მე განმათავისუფლეს და იმ დროიდან საქართველოს გასაბჭოებამდი მეჭირა სხვადასხვა თანამდებობანი ახალციხეს და ბორჯომის რევოლიუციონურ ორგანიზაციებში.

1921 წლის იენისში ჩვენმა არალეგალურმა ცენტრ. კომიტეტმა მიმიწვია არალეგალური მუშაობისათვის საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ჩემი კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან არ შეწყვეტილა შემდეგი წლების განმავლობაშიც; დამატუსაღეს მე ამხ. ნოე ხომერიკთან ერთად და მარტო ეს ფაქტი იმის დამამტკიცებელია, რომ მე არ შეიძლება მიმათვალონ უსაქმო მნახველთა რიცხვს. ვყოფილვარ მასთან რამდენჯერმერ.

1921 წლის ივნისში, რიცხვი არ მახსოვს, ბორჯომის საავტომობილო ბაზამ, რომლის საქმეთა მმართველი ვიყავი მე, გამგზავნა ტფილისში. პლეხანოვის პროსპქტზე შევხდი ექიმ იოსებ ცინცაძეს (მაშინ ის ლეგალურად ცხოვრობდა).

მას გაეხარდა ჩემი ნახვა—„კარგი ქენ, რომ ჩამოდი. ვანო! ჩვენ გვინდოდა შენი დეპეშით გამოწვევა",—მითხრა მან და მთხოვა მენახა ბინაზე სალამოს. დანიშნულ დროზე მე მივედი მასთან და მივიღე მისგან „იავკა" ცენტრალური კომიტეტის წევრებთან და მეორე დღეს წავედი მათთან დანიშნულ ადგილზე აქ იყვნენ ამხ. ანანია სულაქვაძე, გოგიტა ფაღავა და სხვები; მთხოვეს გამეკეთებია პატარა მოხსენება ბორჯომის რაიონის და ახალციხ ახალქალაქის მაზრების მცხოვრებთა ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ხალხის დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა ხელისუფლებისადმი და სახალხო გვარდიელების და ჩვენი ამხანაგების ხვედრის შესახებ.

ჩემი მოხსენების შემდეგ ამხ. ანანიამ ც. კ. სახელით წინადადება მომცა მომეწყო ბორჯომში, და შეძლებისდაგვარად ახალციხეში, სამეულები, დამპირდა მე „თავის" არალეგალურებს შორის გასავრცელებლად არალეგალური ლიტერატურის რეგულიალურად გზავნა; მაშინ გამოდიოდა მხოლოდ ჟურნალი „თავისუფალი საქართველო", რომელიც ევროპაში იბეჭდებოდა.

ჩემს შეკითხვაზე მომავალი პერსპექტივების შესახებ, ამხ. ანანიამ გადაჭრით განაცხადა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების და წითელი „საოკუპაციო" ჯარის არსებობა—დროებითი მოვლენაა, ანტანტის მოთხოვნით

ახლო ხანში წითელი არმია გაყვანილი იქნება და ამის შემდეგ, ბუნებრივად სცენიდან ჩამოვა საბჭოთა ხელისუფლება, ამ მომენტისათვის მზად, ადგილობრივ შეკავშირებული უნდა ვიყვეთ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ: რომ წითელმა არმიამ საქართველოდან წასვლის დროს წაიღოს სიმდიდრის ნაშთები, მოახდინოს „პოგრომები“ და ნგრევა, ამ შემთხვევაში საქართველოს შეუძლია იქონიოს ანტანტის იმედი, რომელიც ანანიას სიტყვით, დაპირებულია დახმარებას არა მარტო ცოცხალი ძალით, არამედ აგრეთვე მატერიალური საშუალებით დანგრეული მეურნეობის აღსადგენათ. ჩვენმა მთავრობამ დაუმტკიცა ანტანტას, რომ საქართველო „დაპყრობილია“. ასე მელაპარაკებოდა მე ამხ. ანანია.

მივიღე რა ინსტრუქციები და დირექტივები და აგრეთვე ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ № 3, მე გავემგზავრე ბორჯომში, და 1921 წ. ზაფხულის განმავლობაში მე მქონდა დაჭერილი კავშირი ცეკასთან ამხ. იოსებ ცინცაძის საშუალებით, და რეგულიალურად ვღებულობდი ჟურნალის უკანასკნელ ნომრებს. პარტიული სამეული მე, რა თქმა უნდა, მოვაწყვე ბორჯომში (სამეულის წევრები წარსულ 23 წელში შეგნებულად გავიდნენ პარტიიდან და ამჟამად მუშაობენ საბჭოთა აღმშენებლობის პლატფორმაზე).

იმავე წლის ივლისის დამლევს ჩემთან ბორჯომში მოდის გორის სამაზრო კომიტეტის წევრი ამხ. მურადოვი (რომელიც გარდაიცვალა გორის ციხეში), მუშაობის შესამოწმებლად და გორთან კავშირის დასამყარებლად; მე მას განუცხადე, რომ უშუალო კავშირი მაქვს ცეკასთან. ამ მომენტში მე გამომიძახეს ტფილისში. ჩამოველი რა იმავე ამხ ცინცაძესთან, მან მე გამაგზავნა ამხ. სილვა (სილიბისტრო) ჯიბლაძესთან. გამომკითხა რა პარტიულ მუშაობის შესახებ, მან გადმომცა შემდეგი ამბავი: „ვანო, ანტანტის მოთხოვნილებით მოსკოვის მთავრობა იძულებულია გაიყვანოს ჯარები საქართველოს საზღვრებიდან და ეს უნდა მოხდეს არა უგვიანეს ერთი,—ერთნახევარი თვისა. ამ არმიას გაჰყვება კომუნისტების უმრავლესობა და, მაშასადამე, ხელისუფლება ფაქტიურად მოიხსნება: შესაძლებელ შემთხვევებისათვის მზად უნდა ვიყოთ, ანარქიის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ადგილებზე ყოფილ გვარდიელებისაგან და ჩვენი ამხანაგებისაგან შეადგინოთ რაზმები, მიანდოთ მათ დაწესებულებების, საწყობების, მცხოვრებთა უშიშროების დაცვა და დარჩენილ კომუნისტების განიარაღება და არმიის უზიანოთ გაყვანისათვის ხელის შეწყობა ანტანტის რეალური დახმარება, იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნა წინააღმდეგობას წითელი არმიის მხრივ, მზადაა სტამბოლში. მთელ საქართველოში ამ მიმართულებით უკვე სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა. არავითარი აცდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის სხვა პარტიების მხრივ არ იქნება, ხელისუფლების სათავეში ვიქნებით ჩვენ“.

არ მქონდა არავითარი საფუძველი არ დამეჯერებია განსვენებულ სილიბისტროს, ჩვენი პარტიის ბელადის სიტყვები. მივემგზავრები უკანვე ბორჯომში, ვკვებავ ამხანაგებს და მცხოვრებთ იმედებით, რომელიც შემდეგ საეჭვო და განუხორციელებელი აღმოჩნდა და ვიწყებ მუშაობას. უეცრად, ერთ მშვენიერ დღეს—მგონი 21 წ. აგვისტოს შუა რიცხვებში ბორჯომში მყოფი წითელი არმიის 96 თუ 92 ბრიგადის ნაწილები მოემზადენ წასასვლელად. მათ მოხსნეს რადიო, ტელეფონები მთელ ბორჯომ-ახალციხის ხაზზე. ერთი სიტყვით ნაწილების გარეგანი შეხედულობა, აჩქარებული მზადება ამტკიცებდა, რომ ისინი ემზადებოდენ წასასვლელად და დასტურდებოდა ამხ. სილიბისტროს სიტყვები. ამხანაგების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თვითეული ჩვენგანი ხომ, უნდა ვაღიაროთ, ოცნებობდა დაბრუნებოდა ძალაუფლებას! ჩემ ბინაზე ცხოვრობდა 96 ბრიგადის შტაბის უფროსი ამხ. პეტროვი ოჯახობით.

მე შევეცადე გამეგო მიზეზი ნაწილების ასე აჩქარებული მზადებისა წასასვლელად, მაგრამ ამაოდ! ვერას გავხდი. ბოროტმა ირონიამ მწარედ დაგვცინა ჩვენ, მეორე დღეს ჯარები თავის ადგილზე დარჩენ; ყველაფერი ძველებურ კალაპოტში ჩადგა. აგვისტოს ბოლო რიცხვებში (მგონი 25 აგვისტოს) ხელისუფლება შეეცადა ჩემს დაპატიმრებას, მაგრამ მე მოვასწარი დამალვა და სექტემბრის დასაწყისში უღელტეხილ „ლომის მთით“ ქუთაისის გუბერნია შიგადასვლა. გაიარა ერთ-ნახევარმა თვემ, მაგრამ წითელი არმიის გასვლის შესახებ არაფერი არ ისმოდა, იმედები არ გამართლდა (მაგრამ მაინც იმედს არ ვკარგავდით), ამხ. ჯიბლაძის სიტყვები არ გამართლდენ. არმიის გაყვანაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ეხლა მთელ იმედებს ვამყარებდით კანის და გენუის კონფერენციებზე, რომლებზედაც, ჩვენი პარტიულ ხელმძღვანელების სიტყვით, უნდა ყოფილიყო განხილული საქართველოს საკითხი. წვრილმან რადიო-ჭორებზე მე არაფერს ვიტყვი: ეს ჭორები ყველას კარგად მოეხსენება! 22 წლის იანვარში მე ვიმყოფებოდი ჭიათურაში. ბორჯომიდან მე მითხოვენ ამხანაგები. დაუყოვნებლივ მივემგზავრები, რა თქმა უნდა გადაცმული და სხვისი პასპორტით; ხაშურში ვიყავი ღამის 11 საათზე, 22 წელში სუსხიანი ზამთარი იყო, დიდი თოვლი და საშინელი სიცივეა. ხაშურიდან ბორჯომამდე მატარებლით ჩემი წასვლა არ შეიძლებოდა, ვინაიდან მე ყველა მიცნობდა და მე გადავწყვიტე გავდგომოდი გზას ქვეითად. 28 ვერსის მანძილი მე გავიარე 6 საათში, ბორჯომში ჩავედი დილის 6 საათზე. „გიემაჟ ხევთან“ მე წავაწყდი ორ მილიციონერს, რომლებიც, როგორც შემდეგ შევიტყე, მისდევდენ მილიციიდან გაქცეულ ტუსაღებს. ეს მილიციონერები იყვნენ ციპლუგინი და მელაშვილი. მათ გამაჩერეს მე და შემეკითხენ, ორი კაცი ხომ არ დაგინახავსო და როდესაც ჩემგან მიიღეს პასუხი, გამშორდენ. როგორც ჩანს ვერ მიცვნეს. თვით ბორჯომში გაჩერება არ შეიძლებოდა. მომცეს ბინა ბორჯომის მახლობლად. აქ მე მელოდებოდა ცეკადან გამოგზავნილი ამხანაგი ნ. ცეკას **დავალებით მე გენუას კონფერენციის მოწვევის მომენტისათვის (1922 წ. 8 მარტი) უნდა მომემზადებია ბორჯომის რაიონი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები აჯანყებისათვის, რომელიც მთელ საქართველოში უნდა დაწყებულიყო. ეს აჯანყება დაუმტკიცებდა კონფერენციას ქართველი ხალხის მტრულ განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი და აიძულებდა ანტანტას გადასულიყო სიტყვიდან საქმეზე, ე. ი. აქტიურად ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში.** ამხ. ნ. გადმომცა რა ცეკას დავალება, გაემგზავრა უკანვე ტფილისში. უნდა ვაღიარო სიმართლე, მე ვერაფერის გაკეთება ვერ შევსძელი. ამხანაგები ერთხელ უკვე იყვნენ მოტყუებულნი და, მაშასადამე, იმედ დაკარგულნი. ჩემ მუშაობაში მათ მონაწილეობა არ მიიღეს. საშუალებათა უქონლობამ ამხანაგების სასოწარკვეთილებამ, რომელთა მიმართ ხელისუფლებას თურმე უკვე არა ერთხელ მიეღო ზომები, სუსხიანმა ზამთარმა შეუძლებლად გახადეს ჩემი გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეში და შექმნეს მუშაობისათვის მეტათ მძიმე პირობები, უეცრად მე მივიღე გაფრთხილება ამხანაგებისაგან დაუყოვნებლივ დამეტოვებია ბორჯომი, ვინაიდან მოსალოდნელი იყო დაპატიმრებანი. მე იძულებული ვიყავი დამეტოვებია რაიონი და 22 წლის თებერვალში „ლომის მთაზე“ ქარბუქში გადავსულიყავი უკან ქუთაისის გუბერნიაში. როგორც ვიცით, გენუას კონფერენციიდან არაფერი არ გამოვიდა და ყველა ისინი, ვინც დიდ იმედებს ამყარებდენ გენუას კონფერენციაზე, მოტყუებულნი დარჩენ. 22 წ. მაისის დამლევს საბჭოთა ხელისუფლებამ ნება დამრთო დავბრუნებულიყავი ბორჯომში და შევდგომოდი ლეგალურ ცხოვრებას.

## II.

ჩავედი ბორჯომში 22 წ. 27 მაისს, წინა დღით თურმე ინტელიგენტების და მუშათა პატარა ჯგუფი შეეცადა მოეწყო „ჩვენი დღესასწაულის—26 მაისის“ გამო საპროტესტო მიტინგი ეროვნული დროშით. მიტინგის გახსნა მიანდვეს ძველ მებრძოლ რევოლიუციონერს მუშა არშაკა რ—ას, ხოლო დროშის აფრიალება მინდობილი ჰქონდა ჩემს დას თიკოს (ამ ჟამად გარდაცვალებულია—ის თანაუგრძნობდა ფედერალისტებს) ბორჯომში მაშინ დაბანაკებული იყვნენ კავკასიის 2-ე საკომანდო სკოლის კურსელები. ეს მხედველობაში მიიღეს ჩვენმა ინტელიგენტმა ამხანაგებმა. წინასწარ ისინი სადღაც გაემგზავრენ. ჩვენი არშაკა კი, რომელიც ძალიან უყვარდათ ბორჯომის რაიონის მუშებს, დასტოვეს მარტოკა. მიტინგი რა თქმა უნდა არ შესდგა. ხელმძღვანელებმა სამართლიანად დაიმსახურეს არშაკას საყვედური, რომელიც არა ერთხელ ეუბნებოდა მათ: „ჩვენ, მუშებს გვაქეზებთ, და თქვენ თვითონ გარბიხართო“. ამ ჟამად არშაკა არის ერთ-ერთი გამოჩენილი მუშაკთაგანი, რომელიც დადგა ყოფ. მენშევიკების ყრილობის მიერ მიღებულ პლატფორმაზე. ჩემ ბორჯომში არ ყოფნის დროს თუ რა კეთდებოდა ჩვენი პარტიული მუშაობის ნიადაგზე, მე არაფერი არ ვიცი. ჩასვლის შემდეგ კი ადგილობრივმა ამხანაგებმა წინადადება მომცეს ჩამებარებია სამეულის მუშაობის ხელმძღვანელის პორტფელი. მე უარი ვსთქვი ავადმყოფობის გამო და მართლაც მე ძრ ვიყავი კარგად. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მოკლე ხნის განმავლობაში ქარბუქში, ყინვასა

და სიციეეში მე რამდენჯერმე მომიხდა უღელტეხილ „ლომის მთაზე და შქმერზე“ გადასვლა, ტანისამოსი არ მქონდა. ხშირად მშიერი ვიყავი, და ყველაფერ ამას არ შეეძლო გაელენა არ მოეხდინა ჩემ ჯანმრთელობაზე. ბორჯომის ამხანაგების უმრავლესობის და მცხოვრებთა ერთი ნაწილის სულიერი განწყობილება ძალიან დაცემული იყო. ყველა მოელოდნენ გენუას კონფერენციიდან „ცის მანანას“, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. დაიწყეს ლაპარაკი ლოზანას კონფერენციის შესახებ, რომელსაც უკავშირებდენ საქართველოს ბედს იმ მხრივ, რომ თითქოს ეს კონფერენცია გაიყვანდა მოსკოვის წითელ არმიას. დააბრუნებდა ახლო მომავალში დემოკრატიულ მთავრობას და სხვა. ჩვენი პარტიის ქვედაფენების და საქართველოს მეშჩანების სულიერ განწყობილების განსამტკიცებლად ავრცელებდენ ათასგვარ ჭორებს და სიყალბეს. და ყველაფერი ეს ხდებოდა ჩვენი არალეგალური ცეკას. მის ახლო თანამშრომლების და მათ შორის ჩემი ლოცვა-კურთხევით. თუ დიდი ხეითი გახდა მსხვერპლი იმედების, რაღა უნდა ითქვას ჩვენზე, მასაზე. ცეკისტები ხომ, როცა სამუშაოთ გვაგზავნიდენ, გვარწმუნებდენ ამ იმედების სიმართლეში. ამ გვარად ჩვენი თვალები ბრმავდებოდა მრავალ იმედების სათვალეებით და ჩვენ ჩვენის მხრივ ასეთივე იმედებით უპრმაეებდით თვალებს მორწმუნე მასას. იენისში მე უმოქმედობაში ვიყავი. პარტიულ მუშაობაში მონაწილეობას არ ვიღებდი.

მაგრამ იელისში (არ მახსოვს რომელ რიცხვებში) მე მივიღე ტფილისიდან დეპეშა ცეკას რწმუნებულის გენო ბელთაძესაგან, რომელიც იყო ინსტრუქტორად საქართველოს პარტიულ და სამხედრო ორგანიზაციებისა. დეპეშით მატყობინებდა ჩემს დაუყოვნებლივ ტფილისში გამგზავრების შესახებ, დეპეშაში აღნიშნულ მისამართით მე მივაგენი მას და ერთად გავემგზავრეთ ანანია სალუქვაძესთან, რომელიც ავადმყოფი იწვა საწოლში. მას ექიმობდა იოსებ ცინცაძე, რომელიც უკვე არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო. გამომკითხეს საქმის მდგომარეობის, პარტიულ მუშაობის, ამხანაგების და სხვ. შესახებ. ერთი სიტყვით იწყება ახალი ისტორია. თუ წინად ლაპარაკობდნენ ანტანტაზე, რომელიც ვითომდა აჯანყების დროს გამოგზავნიდა რეალურ დახმარებას, ეხლა უკვე ალაპარაკდენ ოსმალეთზე, რომელსაც ანტანტამ ლოზანას კონფერენციის სასურველ დასრულების პირობად დაუყენა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა. საქმე ამნაირად ყოფილა: კონფერენცია დაიწყებოდა შემოდგომაზე, განიხილავდენ საქართველოს საკითხს, დაჟინებით და მუქარით მოსთხოვდენ მოსკოვის მთავრობას ჯარების გაყვანას — წინააღმდეგ შემთხვევაში ამიერ-კავკასიის გაწმენდას მიანდობდენ ოსმალეთს, რომელსაც ჰპირდებოდენ ზოგიერთ დათმობას საზავო მოლაპარაკების დროს. აქ კი, საქართველოში, რათა მოემზადებიათ ევროპის საზოგადოებრივი აზრი, დაერწმუნებიათ იგი იმაში, რომ ქართველ ხალხს არა სურს საბჭოთა ხელისუფლება, საჭირო იყო ანარქიულ პირობების შექმნა. და იმათთვის, კი, ვინც უკვე ქმნიდენ ამ ანარქიას. ე. ი. ბანდებისათვის ხელის-შეწყობა. ეს პირობები ჩამოყალიბდენ რეალურ ფორმებში. მოიგონეთ ჩოლოყაშვილის, გვერდწითელის ბანდების გამოსვლა დუშეთის მაზრაში და კახეთის სხვა ადგილებში, მატარებლებზე თავდასხმანი. კომუნისტების მოკვლა კასრაძის ბანდების მიერ გორის მაზრაში და სხვა. ერთი სიტყვით. საჭირო იყო ყოველ ძალღონით სახელი გაეტეხათ ხელისუფლებისათვის. ცეკისტების მოლაპარაკება ჩემთან სწარმოებდა ამ თემაზე ერცელ დირექტივების მისაღებად ამხანაგმა ანანიამ მე გამგზავნა ამხ. ძაძამიასთან ის განაგებდა სამხედრო-ტეხნიკურ ხასიათის მუშაობას. ამხ. ძაძამიას (ის იყო ნაძალადევის რაიონის გვარდიის შტაბის თავმჯდომარე) მე ვიცნობდი 1920 წლიდან ბორჯომიდან, სადაც ის განაგებდა შეშის დამზადებას ქ. ტფილისის გვარდიის მთავარ და სარაიონო შტაბისათვის. ამხ. ძაძამიამ დამავალა მე, რათაც არ უნდა დამჯდომოდა მომეწყო 22 წ. ზაფხულზე ბორჯომში: 1) ვოროშილოვის ან სკლიანსკის მკვლელობა და 2) სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ბუდუ მდივნის და საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის ცოცხლად ხელში ჩაგდება. ვოროშილოვი იმყოფებოდა ბორჯომში და ცხოვრობდა ლიკანის სასახლეში, სკლიანსკის ჩამოსვლას მოელოდენ. ბუდუ მდივანი უნდა ჩამოსულიყო ბორჯომში მუშებისათვის გენუას კონფერენციის შედეგების შესახებ მოხსენების გასაკეთებლად, ხოლო ფილიპე მახარაძე, რამდენადაც მახსოვს, მიემგზავრებოდა ახალციხის მაზრაში. ამ საქმეების მოწყობას უნდა ჰქონოდა სასტიკი კონსპირატიული ხასიათი ჩემ ახლო ამხანაგებისათვისაც კი. ამ აქტების შემსრულებლებად უნდა ყოფილიყვენ გამბედავი, მტკიცე ნებისყოფის მქონე ამხანაგები, რომლებიც გაუძლებდენ ყოველგვარ წამებას და არ შეუშინდებოდენ დახვრეტასაც კი, თუ მათ დააპატიმრებდენ.

ისე უნდა მომეწყო საქმე, რომ ჩადენილ აქტებში ცეკას და ჩვენი პარტიის მონაწილეობა არ გამომჟღავნებულიყო, ამიტომ საჭირო იყო ისეთ აქტიურ აღმასრულებლების გამონახვა, რომლებიც არსად და არავითარ პირობებში არ გასცემდენ პარტიას. ეს კი ძალიან ძნელი იყო. პარტიის და ცეკას დაფარვასა და დასახვრეტად თავის გადადებაზე ვინ დასთანხმდებოდა! შემდეგ ანგარიში უნდა გაგვეწია ბორჯომში მყოფ კავკასიის 2-ე სკოლის კურსელების საკმაოდ დიდი რიცხვისათვის, და ბორჯომის და მისი მიდამოების მცხოვრებთა დამღუპველ მოსალოდნელ რეპრესიებისათვის. ზედმეტად ჩავსთვალე რა დამტკიცება ამხ. ძაძამიასათვის ცეკას დავალების უმიზნობა (ის მელაპარაკებოდა ცეკას სახელით), მე დავეთანხმე მას და წავედი. „ნუთუ ჩვენი ცეკა ასეთ გზას დაადგა?“ — ვეკითხებოდი მე ჩემს თავს, მაგრამ პასუხს არსაიდან არ ვღებულობდი. ძაძამიას სიტყვების შესამოწმებლად გადავსწყვიტე, რათაც არ უნდა დამჯდომოდა მენახა ხელახლა ამხ. გენო და გოგიტა ფალავა. ნახვის ნებართვა მე მივიღე ამხ. ძაძამიასაგან. გოგიტასთან მე

## ნანგრევები.

ო, ნუ იცინით...
გველურ სისინით
ვერ-რას გახდებით,
თორემ ჩვენ ამით
ყოველი წამით
უფრო ვძლიერდებით.
რა გინდა მერე!?
დიახ! მე ვქენი:
გავაცამტვერე
კოშკი ნაშენი...
დიდი ხანია მას ვაშენებდი
და ვამშვენებდი—
მაგრამ, მომწყინდა,
იგი დავკნინდა
და ახლა მინდა
წმინდათა-წმინდა
ისევ ავაგო
და იგი ვაქო,—
რომ მომავალმა
და სამართალმა
გამასამართლოს
და გამამართლოს.
ო, ნუ იცინით...
ტყუილად ცდებით:
ეკლის გვირგვინით
თქვენ ვერ შეგვხდებით.
ეს ნანგრევები,
ციხის კედლები
სამომავალო იყო ოდესმე,
მაგრამ, ხომ ხედავ—დღეს გაცამტვერდა
და ღმერთიც მოჰკლეს, როცა დაბერდა...
    ახლა ოდეს მე
    ახალ კოშკს ვაგებ,
    და სხვა ღმერთს ვაქებ,
    ნუ გაიკვირებ,
    ნუ შემიყვირებ.—
თორემ მე მაინც, ხომ სულ-ერთია,
                                        გავაცამტვერებ
    და შენი სიტყვა არ დავიჯერე.
იქნებ შენც დაგმო და მე გამომყვე:
                                        ჩემთან იარო
    და ჩემი რწმენა გაიზიარო.
მაშ, განადგურდეს ეს ნანგრევები,
    ციხის კედლები,
    ძველი ნაშთები,
    პირამიდები.

**გაროლდი.**

---

შევხედი ამხ. გენოს და ლეო რ-ძეს. როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი გაოცება. როცა მე მათგან მივიღე მოცემულ დავალების დასტური და კიდევ ერთი დავალება: მიმეღო მონაწილეობა მოსკოვის ჩქარ მატარებლის ექსპროპრიაციაში წითის გვირაბთან, მაგრამ ამაზე შემდეგ. ამ მუშაობასთან ერთად, წინადადება მომცეს განმეგრძო მასების მომზადება გამოსასვლელად და გამომეყენებია ყველა უკმაყოფილო ელემენტები და ბანდები (გორის მაზრაში მოქმედებდა მაშინ კასრაძის ბანდა).

გადაჭრილი პასუხი მე არ მიმიცია: განვუცხადე, რომ „ჩავალ ბორჯომში, ავსწონ-დავსწონი დავალებათა დადებით და უარყოფით მხარეებს, ვინახულებ ამხანაგებს და ვაცნობებ

მათ ამის შესახებ". ამ სიტყვებით დავშორდი მე მათ. ჩაველი სახლში, „საქმისათვის" გამოსადეგი ამხანები მე ვერ ვიპოვე; და დავრწმუნდი რა ხანგრძლივი ფიქრების შემდეგ იმაში, რომ ტერორს და სხვა აქტებს შედეგად მოჰყვებოდა პოლიტბიუროს აღრიცხვაზე მყოფ ჩემ პარტიულ, უდანაშაულო ამხანაგების და რაიონის მცხოვრებთა ტანჯვა, რომელთა შორის მე აღვიზარდე. რომლებსაც მე ვუყვარდი, ვაცნობე ცეკას დავალებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. ამ დროს ბორჯომის ტყეებში ხელისუფლებას ემალებოდა ცარიზმის დროს ცნობილი ტერორისტი, თავადების, ყაზახების და ჟანდარმების მოსისხლე მტერი ფორია და სახალხო გვარდიელი მიქრო კუმერიტაშვილი.

ძაძამია უშუალოთ აწარმოებდა მათთან მოლაპარაკებას ამხ. დათიკო ბატონესაშვილის (ამ ჟამად პარტიიდან გასულია) საშუალებით, მაგრამ ტერორში მონაწილეობის მიღებაზე ისინი არ დასთანხმდნენ, ვინაიდან ფიქრობდენ დაბრუნებოდენ მშვიდობიან ცხოვრებას. შემდეგ კიდეც დაბრუნდენ. ჩემი წერილი დაკისრებულ ამოცანების შეუსრულებლობის შესახებ, არ იქნებოდა მოსული ცეკაში და უკვე ჩემთან ჩამოდის ამხ. დათიკო შემდეგი შინაარსის პირობითი წერილით: „ამხანაგო, ისმაილ (ჩემი მაშინდელი ზედმეტი სახელი), თქვენსკენ მოფრინავს დიდი ჩიტი, დაიჭირეთ იგი. სხვა საქმეებზე მოგელაპარაკებათ წერილის მომტანი. როინი". ჩიტის ქვეშ იგულისხმებოდა ბუდუ მდივანი. ჩამოვიდა თუ არა ის ბორჯომში, არ მახსოვს ვიცი მხოლოდ ერთი: ის ცოტახნის წინად, ვიდრე მე ბარათს მივიღებდი, იმყოფებოდა ხაშურში და აკეთებდა იქ მოხსენებას გენუას კონფერენციის შესახებ. მეორე საქმე კი, რომელზედაც ლაპარაკი იყო წერილში, იყო მოსკოვის ჩქარი მატარებლის ექსპროპრიაცია. როგორც ვიცით, 1922 წ. ბათუმის ნავთსადგური გახსნილი იყო უცხოეთიდან საქონლის შემოსატანად. იქ რუსეთის და ამიერ-კავკასიის ყოველ კუთხიდან მიდიოდენ ვაჭრები და „გოსტორგის" სხვა და სხვა წარმომადგენლები სავალიუტო ფულების დიდი თანხებით. გაძარცვის დროს დასახული იყო ორი მიზანი: ცეკასათვის საშუალებათა გამონახვა და ევროპისათვის დამტკიცება იმისა, რომ საქართველოში ანარქიაა გამეფებული, არ არის ნამდვილი ხელისუფლება.

ცეკას ტეხნიკურმა წევრმა ძაძამიამ დამავალა მე გამეწია დახმარება 6—7 ვინტოვკის შოვნით ექსპროპრიატორების—ჩვენი პარტიულ ამხანაგებისათვის, რომლებიც იმავე მატარებლით გაემგზავრებოდენ ტფილისიდან. ტეხნიკურად ხელისუფლებისაგან ფარულად ამის გაკეთება შეიძლებოდა ასე: ბორჯომის რაიონიდან სოფელ ბანისხევზე გადის გზა წიფისაკენ; კარგ ამინდში ამ გზის 18—20 ვერსის მანძილის გავლა შეიძლება 5—6 საათში. ვინტოვკების შოვნა ყოველთვის შეიძლებოდა. მატარებელის გამოსვლის 2—3 დღით წინ ჩემთან უნდა ჩამოსულიყვნენ ერთ ერთი ექსპროპრიატორთაგანი ვინტოვკების მისაღებად. გამცილებლების სახით მათ გაჰყვებოდა 3—4 კაცი; განზრახული იყო მათთან ერთად გამგზავრებულიყო ფორიაც. ექსპროპრიაციაში უშუალო მონაწილეობას ისინი არ მიიღებდნენ, მაგრამ ვალდებულნი იყვნენ დაეცადათ ექსისტებისათვის სადგურის უკან, ტყეში. მე შევპირდი გამეკეთებია, რაც კი შესაძლებელი იყო. ამხ. დათიკო გაბრუნდა უკან ტფილისში.

ჩემთან მეტი აღარავინ ჩამოსულა ამ საქმეზე და შემდეგ გავიგე, რომ ჩვენი ექსისტების მთელი ჯგუფი შეპყრობილი იყო ჯერ კიდევ ტფილისში იმ მომენტში, როცა ისინი თურმე სხდებოდენ ჩქარ მატარებელში; შემდეგ ისინი გამოტყდენ, სთქვეს სიმართლე, გასცეს, რა თქმა უნდა, არა ყალბად, პარტია, ცეკა და ძაძამია და ასეთ ამხანაგების შერჩევისათვის, არა ექსის ორგანიზაციისათვის, რომლებიც, ცეკას სიტყვით, სუსტნი აღმოჩნდენ, რომელთაც გასცეს დაპატიმრების დროს პარტია და ცეკა, ამხ. „როინი" (ძაძამიას ზედმეტი სახელი) ჩამოშორებული იქნა ცეკას მიერ საქმისაგან. ამგვარად არც ეს საქმე დაგვირგვინდა სასურველად, საჭირო იყო რაიმე ახალის მოწყობა. ცეკისტებმა საქმე ამით არ გაათავეს: დასრულდა ზაფხული, ბორჯომიდან მიდიოდნენ უკვე მოაგარაკენი. მოემზადნენ წასასვლელად კავკასიის 2-3 სკოლის კურსებიც. ერთიც ვნახოთ, ჩემთან ტფილისიდან მოდის ამხ. გენო ცეკას დავალებით და ხაშურ-ბორჯომის რკინისგზის უბნის რუქით 23—25 ვერსთა შორის. მოხვეულში განზრახული იყო რელსების აყრა და კურსელების მატარებლის დამსხვრევა. მატარებელი ჩავარდებოდა მტკვარში, თუ მთლიანად არა, კურსელების დიდი ნაწილის დაღუპვა მაინც აუცილებელი იყო. ერთმა რაღაც გარემოებამ (ვერ შემიძლია გავიხსენო), არ ვიცი მატარებლის დღისით გასვლამ, თუ ტეხნიკურ აღმასრულებელის, რელსების ამყრელის უყოლობამ ხელი შეუშალა ამ აქტის შესრულებას. გადარჩენ კურსელები, გადარჩენ ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი, რომლებიც ბუნებრივად გახდებოდნენ რესპუბლიკების მსხვერპლათ. ამხ. გენო იძულებული გახდა წასულიყო უკანვე ტფილისში ხელცარიელი. დადგა შემოდგომა. დაიწყო თავადების ჩოლოყაშვილის და გვერდწითელის ბანდების გამოსვლები. ასეთივე გამოსვლა მზადდებოდა კახეთის რაიონში ლაშქარაშვილის მეთაურობით და გორის მაზრაში—კასრაძის მეთაურობით. რა თქმა უნდა, ეს ტალღა ჩვენ რაიონშიაც გავრცელდებოდა და შემდეგ სხვა რაიონებშიაც, მაგრამ ზემოაღნიშნულ ადგილებში გამოსვლების ლიკვიდაციამ ხელი შეუშალა დანარჩენ რაიონებს, რომლებსაც, უნდა ითქვას, არ ჰქონდათ იარაღი და რომლებიც არ იყვნენ საკმაოდ დარაზმული აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად.

1922 წლის ოქტომბრის დამლევს გორის მაზრის ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციისაგან მივიღეთ ცნობა, რომ ბორჯომის რაიონში ის გზავნის კასრაძის ბანდას, რომელიც 8 კაცისაგან შესდგება. ის გვთხოვდა გვეშოვნა ბანდისათვის უშიშარი ადგილი ჩვენს რაიონში, ან გადაგვეყვანა ის გაზაფხულამდი ახალციხის მაზრასთან მოსაზღვრე პროვინციაში (ოსმალეთის საზღვარი ახალციხიდან 12 ვერსზეა) ნოემბრის პირველ რიცხვში) ეს ბანდა უკვე მოვიდა ჩვენთან ბორჯომში და დაიმალა ტყეში აწყურის რაიონის ახლო. მათ ჩამოსვლისთანავე ეს შევატყობინე ტფილისის ც. კ. რწმუნებულს ამხ. გენოს და ვსთხოვდი მოეცა სათანადო ინსტრუქციები და გამოეგზავნა პასპორტები. უნდა ვსთქვა, ამ ბანდის ჩამოსვლა, რომელმაც იმდენი უბედურება მიაყენა ტყვიავის და ცხინვალის მცხოვრებთ, ჩემთვის მეტად არასასიამოვნო მოვლენა იყო.

ჩამოვიდა გენო, ყველას გადასცა საცხოვრებელი საბუთები (ბლანკები, როგორც ბეჭედიდან და შტამპიდან სჩანდა, გამოტანილი იყო ტფილისის აღმასკომის შინა-მართველობის განყოფილებიდან) და ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა ისინი სამხედრო უწყების ხე ტყისსახერხი ქარხნების ვიღაც წარმომადგენელის გასაძარცვავად, რომელსაც, მისი ცნობებით, ნოემბრის ათს თუ თერთმეტს ახალციხეში უნდა წამოეღო სახაზინო ფულების საკმაოდ დიდი რაოდენობა. ამ ფულის ნახევარი ნაწილი უნდა გადასცემოდა პარტიულ ორგანიზაციას.

მათ არ გაუძარცვავთ, და მგონი არც არავინ იყო გასაძარცვავი, მაგრამ თავიდან ფეხამდი გახადეს, გასცალეს მგზავრი ქალები, მამაკაცები და ბავშვები, რომლებიც ორი ეტლით მიემგზავრებოდნენ ახალქალაქიდან ბორჯომში.

თუ არ ვცდები, ეს იყო ნოემბრის შუა რიცხვებში და ამავე რიცხვებში ბანდა ისევ გორის მაზრაში გადავიდა, სადაც დარჩა 1923 წ. გაზაფხულამდი.

ამხ. გენო გაიგზავნა აზერბეიჯანში და მთიელთა რესპუბლიკებში არალეგალურ პარტიათა მუშაობის ადგილობრივ გასაცნობათ, ჩვენი პარტიის საშუალებით მათთან კავშირის დასაჭერათ და იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად არიან მომზადებული ჩვენი მეზობლები აჯანყებისათვის.

ლოზანას კონფერენციამ, რომელიც 1926 წლის ნოემბერში გაიხსნა, არა ფერი არ მოგვცა ჩვენ და ამ რიგად ეს წელიც ისე დასრულდა, რომ ჩვენი პარტიისა და საქართველოს მეშჩანური მასის იმედებს განხორციელება არ ეღირსა.

გადავიდეთ ახლა ც. კ. 1923 წ. მოღვაწეობის მიმოხილვაზედ, ისევ, თუ შეიძლება ასე ითქვა, ჩემი რაიონის მასშტაბში. თუ რა ხდებოდა სხვა რაიონებში, ამის შესახებ უთხრან მშრომელ მასებს იქ მომუშავე ამხანაგებმა.

უნდა ეყოთ მათ გამბედაობა სიმართლის სათქმელათ!

ამხ. ილარიონ გიორგაძის სიკვდილი ნუ შეაშინებს მათ!

III.

დადგა 1923 წელი. ჩემი კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან არ შეწყვეტილა, ვმუშაობდი შეძლების დაგვარად, ტფილისიდან რეგულიარულად ვიღებდი „ჩვენს ერთობას" ფურცლებს და სხვა. ვავრცელებდი ბორჯომში, ვანაწილებდი ახალციხეში, ახალქალაქში, ვცდილობდი ამემაღლებია მასის სულიერი განწყობილება, რისთვისაც ვავრცელებდი იმავე რადიო-ჭორებს, ერთი სიტყვით ატმოსფერას

უცლენთაუდი პოლიტიკური „ახალი ამბებით“, რომლებსაც ვიღებდი ტფილისიდან.

ევროპიდან მოდიოდა ცნობები, რომ მუშები დაიწყეს გავლენის მოხდენა რ. კ. პარტიაზე ჩვენი საკითხის გადასაჭრელად.

მთელ პოლიტიკას აშენებდენ იმედებზე გარედან დახმარების შესახებ. დაიწყო ძველი სიმღერა რუსეთის ინტერვენციის შესახებ ანტანტის მიერ, ამიერ-კავკასიის —ოსმალეთის მიერ, ერთის მხრით პოლონეთსა და რუმინეთის და მეორეს მხრით რუსეთის შორის მოსალოდნელ შეტაკების, ისევ ლოზანის კონფერენციის, სოციალისტური კონგრესების და სხვ. შესახებ.

კერზონის ულტიმატუმმა თითქოს გაამართლა ჩვენი იმედი, ზროთები შეგვასხა ჩვენ, ყველანი ფიქრობდენ: „აი, დაიწყება ომი, ზეგავლენას მოახდენენ რუსეთზე, რომელშიც „ყველაფერი რიგზე არ არის“, ლოზანას კონფერენციას შემდეგ აიძულებენ ქემალს გაილაშქროს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, გასწმინდოს ამიერ-კავკასია წითელ არმიისაგან, ჩვენც დავიწყებთ „მუშაობას“ შიგნით და ამრიგათ განვთავისუფლდებით, ვიქნებით დამოუკიდებელი, რის გარანტია მოგვცა ანტანტამ და ამიერ-კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკების მთავრობების და ხელმძღვანელ პარტიების შეთანხმებამ“. მთიელთა რესპუბლიკების მცხოვრებთა აჯანყებისთვის მუშაობა გრძელდებოდა. კერძოთ საქართველოში ამ მუშაობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო გაზაფხულიდან. ეს აიხსნება იმით, რომ „ჩვენები“ ევროპიდან იტყობინებოდენ, რომ არ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ გარედან დახმარების იმედს, უნდა ვემზადოთ თითონ, ხელში ჩავიგდოთ ძალა უფლება და ამით მომხდარი ფაქტის წინაშე დავაყენოთ ევროპა.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა რაიმე იმედის დაჭერა ანტანტის, პოლონეთის მხრივ და სხვა.

ამ რიგათ სულ სხვა ენით ალაპარაკდენ. ეს იყო ზაფხული. მართლა, ჩვენი იმედი „გარედან“ დახმარების შესახებ არ ხორციელდებოდა, ჩვენ დავკარგეთ ნიადაგი, გავლენა მასაზე, რომელმაც თანდათანობით დაჰკარგა ჩვენი იმედი.

საქართველოდან რუსეთის წითელი არმიის წასვლის მაგიერ, დაიწყო ჩვენი პარტიისაგან მისი უბრალო წევრების—მუშების, გლეხების და ინტელიგენციის ნაწილის ჩამოშორება.

ჩვენი პარტიის დაშლის პროცესი დაიწყო და საჭირო იყო მისი შეჩერება, ამ მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა თავის აქტიურ თანამშრომლებს გამოსულიყვნენ სამაზრო კონფერენციებზე ჩვენი პარტიის კონტრ-დეკლარაციით, ჩაეშალათ კონფერენციები.

ხალხში გაუშვეს ისევ ნაცნობი ხმები—საქართველოს განთავისუფლების იმედები, რომელსაც უკავშირებდენ გერმანიის საკითხის დაბოლოვებას. გაცხოველდა პროვინციაში პარტიული მუშაობა, მაგრამ იმისდამიხედვით, თუ როგორის ტემპით მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის დაშლა, ნათელი იყო რომ მას არაფერი უშველიდა.

ც. კომიტეტში იდგა საკითხი აჯანყების შესახებ, ეს პირველი მნიშვნელობის საკითხად ითვლებოდა. საქართველოს ყველა კუთხეებიდან ჩვენი ორგანიზაციების პასუხისმგებელ მუშაკებისაგან, როგორც არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის ამხ. ნ. ხომერიკს, მოდიოდა ინფორმაცია, რომელიც მოწმობდა, რომ ხალხი მზად არის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისთვის.

1923 წლის ზაფხულზე მე ვმსახურებდი ტფილისში მიწათ-მოქმედების კომისარიატში. თანამდებობის გამო მე მიხდებოდა საქართველოში მოგზაურობა. ამხ. ნოე ხომერიკმა იცოდა ეს, იცოდა მან ისიც, რომ მე—როგორც სახალხო გვარდიის ბორჯომის რაიონის და მესხეთ-ჯავახეთის საოლქო შტაბის თავმჯდომარე, ამ მხარის მკვიდრი—ვიცნობდი ყველა ეროვნების მცხოვრებთ, ადგილობრივ პირობებს, ვსარგებლობდი ავტორიტეტით, ხალხის და გვარდიის განუსაზღვრელი ნდობით და სიყვარულით.

სექტემბრის შუა რიცხვებში დამიბარა მან (მანამდი მე მასთან სამჯერ ვიყავი პარტიული საქმეების გამო) და პარტიული დისციპლინის ძალით წინადადება მომცა გავმგზავრებულიყავი ბორჯომ-ახალ-ციხე-ახალ-ქალაქში, გზაში გამევლო—გორში და ხაშურში.

მე დამევალა შემდეგი ამოცანა:

1) პარტიულ კომიტეტებთან შემექმნა სამხედრო კომისიები, ყველაზე უფრო საიმედო, კონსპირაციის დაცვის შემძლე ამხანაგებისაგან; 2) მათი დაკავშირება ერთმანეთთან; 3) დამევალებია ამ კომისიებისათვის, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოეწყოთ რაზმები ჩვენი ამხანაგებისაგან, პარტიისათვის გულწრფელათ თანამგრძნობ პირებისა და სახალხო გვარდიელებისაგან; 4) აღმერიცხა იარაღი, თუ ასეთები მოეძებნებათ მათ, მოხალისეები იარაღით და უიარაღოთ, 5) გამომერკვია მოწინააღმდეგეს რიცხვი, 6) დამეკავშირებია ჩვენი სამხედრო კომისიები ნაციონალ-დემოკრატების ასეთივე კომისიებთან, რომლებიც ჩვენთან, სრული კონტაქტით მოქმედებდენ, 7) გამომერკვია: 1) მცხოვრებთა ქართველების, სომხების და მუსლიმანების) დამოკიდებულება ურთიერთ შორის, ხელის უფლებისადმი, ქემალისტებისადმი, რომლებიც ახალციხეს და ახალ-ქალაქის მაზრების საზღვარზე იმყოფებიან 2) არალეგალურ პარტიების დამოკიდებულება ურთიერთ შორის, თუ ასეთები ამ მხარეში არსებობენ.

მთელი ეს მუშაობა უნდა დამესრულებია ოქტომბრის დამლევისათვის.

სოფლათ მუშაობის დასრულების შემდეგ განზრახული იყო აჯანყების დაწყება მთელს ამიერ-კავკასიაში, რომლის წინ, ნოე ხომერიკის სიტყვით, უნდა მომხდარიყო პოლონეთის გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ, ანტანტა ულტიმატუმს გამოუგზავნიდა რუსეთს სამხედრო ძალების გადახდის შესახებ და დაიწყებოდა გლეხების მღელვარება რუსეთის შიგნით. ყველა ეს ამბები მიიპყრობდენ მოსკოვის მთელ ყურადღებას და ამით საშუალებას წაართმევდენ მას გამოეგზავნა ჯარები ამიერ კავკასიაში. აჯანყება უნდა დაწყებულიყო ერთდროულათ. მესხეთ-ჯავახეთში და გორის მაზრის

ნაწილში აჯანყების დაწყება და ხელმძღვანელობა დამევალა მე.

ვკითხე მე ამხ. ნოეს ამ საფრთხის შესახებ, რომელიც მოელოდა 1918 და 1919 წლებში ოსმალეთის ურდოების და ჩვენთვის კარგად ცნობილი ფეოდალის, სერვერბეკ ათაბეკოვის ბანდის მიერ მრავალჯერ აწიოკებულ მესხეთ-ჯავახეთს მათ მხრით; მაგრამ მან დამამშვიდა და მთხოვა გადამეცა მცხოვრებლებისათვის, რომ ქემალისტები საქართველოს არ უცქერიან მტრულად, პირიქით, აღიარებენ რა მის იურიდიულად ცნობას, გვპირდებიან დახმარებას რუსეთის წითელ არმიის საწინააღმდეგო ბრძოლაში იარაღით და სამხარი მასალებით.

მე ვფიქრობ, რომ სერვერბეგი, რომელსაც ახალ-ციხის და ახალ-ქალაქის მაზრაში ჰქონდა დაახლოვებით 50 ათასი დესიატინა მიწა აუარებელი სახლები, ბაღები და სხვ. ქონება, უსათუოდ მოინდომებს ჩვენი სამოქალაქო ომის გამოყენებას და ერთხელ კიდევ თავისი ბანდებით შეიჭრება ჩვენს საზღვრებში და ცეცხლსა და მახვილს მისცემს ჩვენს გაწამებულ მესხეთ-ჯავახეთს. წარსულის გაკვეთილები ყველასათვის დაუვიწყარია! მაგრამ რა უნდა გვექნა, უნდა დაგვეჯერებია ამხ. ნოესათვის. ამ წინასწარი მუშაობის შემდეგ უნდა შევსულიყავ მასთან, მიმეღო საბოლოო დარიგებები, დირექტივები, მოქმედების გეგმა დამეტოვებია ჩემი სამსახური, გავბრუნებულიყავი უკან და მელოდა სიგნალისათვის. ნაციონალ-დემოკრატიული არტიის ქართლის ორგანიზაციასთან კავშირის დასაჭერად მან გამგზავნა წერილით პარტიული კომიტეტის წევრთან და ნაც.-დემოკრ. ცეკას სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელთან „ლექსოსთან“ (გიორგი წინამძღვარიშვილის ზედმეტი სახელი) მას შევხვდი ორი დღის შემდეგ, მივიღე პაროლი და ნახვის ნებართვა ქართლის სამხედრო ორგანიზაციაში მისასვლელად, მე დამრჩენიყო მხოლოდ წასვლა, მ გრამ ხომ ვმსახურობდი, ხოლო ეხლა სამსახურის დატოვებას ამხ. ნოე არ მირჩევდა. საჭირო იყო მიელინების მიღება; მე ვიყავი კომისარიატის რწმუნებული სასოფლო საადგილ-მამულო კომისიებისათვის ინსტრუქციების მიწოდებისათვის, კარგად ვიცნობდი აგრეთვე გადასახლების საქმესაც: ვიცოდი ისიც, რომ აუარებელი თხოვნები იმ პირთა, რომლებსაც სურდა გადასახლება ახალქალაქის მაზრაში (მთხოვნელები იყვნენ სხვა და სხვა მაზრებიდან დაახლოვებით 1000-დე), განუხილველად იდვა კომისარიატში, ხოლო იმავე დროს გადასახლების შესახებ მრავალი წერილები იწერებოდა; მეც ავიღე და მოვათავსე შენიშვნა „რაბოჩაია პრავდა“-ში, რასაკვირველია სხვა გვარით. ამ შენიშვნისათვის ანგარიში რომ არ გაეწია კომისარიატს, არ შეიძლებოდა და ამას შედეგათ მოჰყვა, განკარგულება, რომლითაც მე მეძლეოდა მივლინება ახალციხის, ახალქალაქის და გორის მაზრებში იმ სოფლების დასათვალიერებლად, საიდანაც გადმოსახლება სურდათ (მსურველები იყვნენ 27) და იმ თავისუფალ ადგილების რაოდენობის გამოსარკვევად, რომლებიც გამოდგებოდენ დასასახლებლად.

ამრიგად მე გავემგზავრე გზაში. გავიგე, რომ ჩვენი გორის პარტიული ორგანიზაციის დაპატიმრების გამო ქალაქში და მაზრაში შემო-

ღებული იყო რეპრესები და რომ ის პირი, რომელთანაც მე გამგზავნა „ლექსომ“, იქ აღარ იყო: ამიტომ მე გორში ჩაველი მხოლოდ სამსახურის საქმისათვის, დავათვალიერე ჩვენი ყოფილი ამხანაგების, ეხლა ყოფილ მენშევიკების ბიუროს წევრების ნესტორ ქერჩაშვილისათვის ჩამორთმეული მიწები და წაველი ბორჯომში. ჩემი რაიონი მე მოვიარე 27 დღის განმავლობაში და გავაკეთე ცოტა რამ ცეკას ორგანიზაციული განყოფილების გამგის ამხ. ხომერიკის მიერ მოცემულ დავალების დარგში. დააუხლოვდი რა საქმეს, გავეცანი რა მასების განწყობილებას, მე დავრწმუნდი იმაში, რომ ბეგები და მათი სულის ჩამდგმნლი სერვერ ათაბეგოვი მუშაობდენ; მოხერხებულ დროს ისინი მასიურად თავსდაესხმებიან ჩვენს გლეხობას განურჩევლად ეროვნებისა. მათ ხომ გლეხობამ ჩამოართვა ქონება; ბუნებრივია, შურის ძიების გრძნობა მათში არ ჩამქრალა.

მათ მოაქვთ დაღუპვა და გაჩანაგება მშრომელთათვის. მაგონდება მე მახლობელი წარსული უბედურ ჯავახელთა ცხოვრებიდან. რამდენჯერ დაურბევიათ ისინი ოსმალეთის ბანდებს და ჯარებს... ვინ არ იცნობს ბაკურიანის მაღლობებს, რომლის 1918 და 1919 წლებში წარმოადგენდენ გადმოხვეწილ სომხების და ქართველების პირდაპირ სასაფლაოს? ამ შთაბეჭდილებით მოვემგზავრები მე ოქტომბრის დასასრულს ტფილისში, გზაში გავჩერდი ხაშურში ქალაქის მახლობლად, ვინახულე ვასო კასრაძე, „ბერი“-ს ერთ ერთი ამხანაგი, გამოირკვა, რომ კასრაძე ზაფხულში ამხანაგებმა გამორიცხეს მათი წრიდან, იხეტიალა მან რამოდენიმე ხანს მარტო, ხოლო შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ბანდას, რომელიც მაშინ შესდგებოდა 15—16 კაცისაგან.

მათ მიმართ მე მქონდა უკვე გარკვეული დირექტივები: მომავალში გამოყენება მათი, როგორც ყოფილ სახალხო გვარდიელების, საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ბრძოლაში, ხოლო ჯერ კი მათთვის აკრძალვა გამოსვლების, ტერორისტულ აქტების მოხდენის და მით უფრო მცხოვრებლების ცარცვის: მე უნდა მეპოვნა მათვის თავშესაფარი ჩვენს რაიონში, დამებინავებინა პატარ პატარა ჯგუფებად თითქმის თითო თითოთ სოფლებში, სადაც კი შესაძლებელი იქნებოდა: განზრახული იყო ახალციხის მაზრის საზღვარზე ქემალისტების სოფლები, რომლებიც მდებარეობენ ახალციხიდან 10—12 ვერსის მანძილზე, სიამოვნებით ღებულობენ ჩვენგან გაქცეულებს. იქ უნდა გამეგზავნა მე ცეკას ინსტრუქტორის ამხ. გენოს (მე და ის ერთად ვიყავით ამხ. ნოესთან აგვისტოში) წინადადებით გოგია ლლონტის ბანდა, რომლის გულისთვის გურია განიცდიდა საშინელ რეპრესიებს. საჭირო შემთხვევაში ამ ბანდებს დაუყოვნებლივ შეეძლოთ გადმოსვლა ჩვენს რაიონებში და გურიაში. გურიიდან აბასტუმანისაკენ გზა მოდის ულელტეხილით. შემოდგომის დღეს თავისუფლად შეიძლება ამ გზის გავლა 12-14 საათში. კასრაძეს ველაპარაკე 15-20 წუთი, შემდეგ გამოვეთხოვე და შევპირდი შემეტყობინებინა ტფილისიდან მისი ჩვენ რაიონში გადმოყვანის შესახებ: ამავე დროს გავაფრთხილე, რომ ძარცვის ხელისუფლების წინააღმდეგ თვითნებური გამოსვლების და მკვლელობების შემთხვევაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რეპრესიები გლეხობისადმი, ორგანიზაციები თვითვე მიიღებენ ზომებს მათ წინააღმდეგ. ჩამოვედი ტფილისში 4 ნოემბერს, ხოლო 9 ნოემბ. გავემგზავრე ამხ. ნოესთან ჩემს მიერ გაწეულ მუშაობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად და შემდეგი ინსტრუქციების მისაღებად. ბინაზე ის მარტო ვნახე, დავუწყე მას საუბარი; არ გასულა 15—20 წუთი, რომ ოთახში შემოვიდნენ საგანგებო კომისიის („ჩეკა“) თანამშრომლები, დაგვაპატიმრეს ორთავე და მოგვიყვანეს აქ. ვათავებ რა ამ მოკლე წერილით ჩვენი პარტიის და მისი უმაღლესი ორგანოს — ცეკას მუშაობის გამომჟღავნებას, ამის შემდეგ არავის არ შეუვა ეჭვი ჩვენი ტაქტიკის ავანტიურისტობაში, რომელიც მდგომარეობდა და მდგომარეობს:

**1) აჯანყების მოწყობაში.**

**2) კავშირში ფაშიზმთან, ნაციონალ-დემოკრატებთან, ბანდებთან და ქართველი საზოგადოების ყოველგვარ ნაძირალებთან.**

**3) ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოების საქართველოში ინტერვენციის იმედში.**

**4) მასებისთვის თვალების ახვევაში აშკარათ საეჭვო იმედებით და**

**5) ხელისუფლებასთან საბრძოლველათ ყოველგვარი საშუალების გამოყენებაში.**

მე გავიგე, რომ ჩემს შემდეგ სურთ გამომჟღავნებით გამოსვლა ზოგიერთ ამხანაგებს — ცეკას აქტიურ თანამშრომლებს, რომლებიც იმყოფებიან ჩეკაში, მაგრამ ეშინიათ შურისძიების. გაბედულათ ამხანაგებო, რევოლიუციონერი არ უნდა შეაშინოს სიკვდილმა! დროა თქვენც მართალი სთქვათ ბერი! („ბერი“ — ზედმეტი სახელია ერთ ერთი ამხანაგის). ჯერი თქვენზეა!

მაშასადამე, მზადდებოდა აჯანყება, ვფიქრობდით გამოსვლას ნაციონალ-დემოკრატებთან — ამ ჩოლოყაშვილის, გვერდწითელის ბანდების სულის ჩამდგმელებთან ერთად, არსებობდა პარიტეტული კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგენ ჩვენი ცეკას ხელმძღვანელები და ნაციონალ-დემოკრატების ცეკას წარმომადგენლები. სწარმოებდა გაფაციცებული მოსამზადებელი მუშაობა, მუშაობაში ვაბამდით ქალაქ ტფილისში საქართველოს დივიზიის ნაწილებს (მუშებზე, ამხ. ნოეს სიტყვით, ნაკლებად შეიძლებოდა იმედის დამყარება), ინტელიგენციის ნაწილს, რუსთველის პროსპექტზე მოხეტიალე ოფიცრობას, თავადებისა და აზნაურებისაგან მეშჩანების ნაწილს, ვაჭრების და სხვ. სახით, და ნუთუ ყველაფერი ეს არ იცოდა ამხანაგმა სეითმა?

მას შეეძლო არ სცოდნოდა წვრილმანები ცეკას მუშაობიდან, მაგრამ საკითხები ინტერვენციის, აჯანყების შესახებ, რომლებთანაც დაკავშირებული იყო საქართველოს ბედ-იღბალი, ითვლებოდა პირველ ხარისხოვანად. ალბად მრავალჯერ ირჩეოდა ცეკას პლენუმის მიერ, ხოლო ამიტომ ამხ. სეითის — ცეკას თავმჯდომარეს უნდა სცოდნოდა, თუ ერთი წუთით დავუშვებთ, რომ ამხ. სეითმა მართლაც არ იცოდა ის, თუ რას აკეთებდენ მისი ამხანაგები — ცეკას წევრები ხომერიკი, ფალავა, ძაძამია, მეტად პასუხისმგებელი რწმუნებულები გენოკობა და სხვ., რომლებიც დავალებებს გვაძლევდენ მე და აქტიურ თანამშრომლებს, რომელთაც გვგზავნიდენ პროვინციაში, მაშ გამოდის ისე, რომ ჩვენ პროვინციალისტებს საქმე გვქონდა არა ჩვენი პარტიის უმაღლეს ორგანოსთან, რომლის სახელითაც ისინი გველაპარაკებოდენ ჩვენ, არამედ ავანტიურისტების ორგანიზაციასთან. და თუ ეს ასეა, ამხ. სეითის წმინდა ზნეობრივი მოვალეობაა, უთხრას მშრომელებს, რომლებიც ყურს უგდებენ მას, ენდობიან, სრული ჭეშმარიტება და მით იხსნას გზააბნეულები საბოლაო დაღუპვისაგან.

დროა გამოვიჩინოთ პირდაპირობა და გულწრფელობა!

ნაკლები სიტყვა, ნაკლები მიკიბ-მოკიბული აზრი!

მეტი საქმე! ნუ დაკარგავთ ძვირფას დროს „ახალი გზების“ ძებნაში!

ვანო ხმალაძე.

# ა. ფარნიევის მოხსენება რაიონის მუშებში.

10 იანვ. მრავალრიცხოვან მუშათა კრებაზე ამხ. ფარნიევმა გააკეთა ვრცელი მოხსენება ახლად მოკლულ ამხ. გიორგაძის და ქაიხოსროშვილის და საერთოდ არალეგალურ ცეკას მოღვაწეობის შესახებ.

ამხ. მომხსენებელი იწყებს გიორგაძის და დობორჯგინიძის დახასიათებას, როგორც შეგნებული და მოწინავე მუშებისას, რომელთაც საპასუხისმგებლო ადგილი ეჭირათ წინათაც და უკანასკნელ ხანებში ტრიალობდენ იმავე მუშათა წრეში, სადაც ამხ. გიორგაძე ხელმძღვანელობდა არალეგალურ პროფ. კავშირებს და იყო მისი თავმჯდომარე.

ფარნიევი დაწვრილებით აცნობს კრებას ამხ. გიორგაძისა და დობორჯგინიძის გარდატეხვის მიზეზებს, რომლებიც ღრმა დაკვირვებისა და აწონ-დაწონვის შემდეგ სწყვეტენ კავშირს არალეგალურ ცეკასთან, ვინაიდან მისი მოღვაწეობა არ არის მიმართული მუშათა კლასის საკეთილდღეოდ, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს შავი რეაქციის გამარჯვებას.

არალეგალური კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო სექტემბერს ს.-დემოკრ. ყრილობის შემდეგ და რომელსაც თავჯდომარეობდა თვით ამხ. გიორგაძე მისივე გადმოცემით-განაგრძობს მომხსენებელი, იყო სამარცხვინო თათბირი რამოდენიმე პირისა და სრულიად არ შეეფერებოდა ისეთ ძლიერ პარტიას, როგორიც იყო ოდესღაც საქართ. სოც. დემოკრატია.

ამხ. გიორგაძე ვერ შეურიგდა იმ უზურპაციას, რომელსაც ჩადიოდა და ჩადის არალეგალური ცეკა. რომელიც მოქმედობს საქართველოს მუშების სახელით, როდესაც თვით ეს მუშები არ თანაუგრძნობენ არალეგალური ცეკას პლატფორმას.

ამიტომ სრულიად გულწრფელად აღიარეს და შემდეგ პრესაშიაც გამოაცხადეს ამხ. გიორგაძე და დობორჯგინიძემ, რომ ისინი ტოვებენ მენშევიკურ პარტიას, რასაც ადასტურებდენ დაუევანდელი სერიოზული მდგომა-

რეობით, რომელიც განსაკუთრებული დაფიქრებასა და მსჯელობას მოითხოვს მუშათა კლასისათვის, რომ არ გახდეს რეაქციის ხელის შეწყობათ, რასაც ნებით თუ უნებლიეთ ჩადის არალეგალური ცეკა.

„მე თვითონ მძულს ლაპარაკი ჩემ ყოფილ ამხანაგებზე — ამბობს ფარნიევი — მაგრამ ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ მე არ შემიძლია სიჩუმით გავიარო იმ ფაქტის გვერდით, როდესაც ამხ. ხოცავენ იმიტომ, რომ მათ შესცვალეს აზრი და მოქმედების ხაზიო.“

შემდეგ მომხსენებელი გადადის ჩვენი პარტიის წარსულისა და მისი დღევანდელი არალეგალური ცეკას დახასიათებაზე. თუ წინათ საქ. სოც. დემოკრატია იყო უძლიერესი პარტია საქართველოში არა წევრთა რიცხვით მარტო, არამედ პოლიტ. ხაზის სისწორით და იყო ღირსეული მედროშე მუშათა კლასის, რომლის არსებობის პირველი ნახევარი მდიდარია გმირული ბრძოლის შინაარსით, მებრძოლთა მსხვერპლის გაღებით და გამარჯვებათა მიღწევებით, დღეს ეს ოდესღაც ძლიერი და სახელოვანი პარტია შეიქნა აშკარა კონტრ-რევოლიუციონური და მუშათა ინტერესების წინაღმდეგ მომქმედი.

არალეგალური მენშევიკური ცეკას მოღვაწეობა უმთავრესად ამოიწურება საარსებო ფონდის შეგროვებით და პოლიტიკური ტყუილების უცხოეთში გზავნით. პირველ მიზანს არალეგალური ცეკა აღწევს ვაჭრებში ფულების შეგროვებით. რომელსაც უკანასკნელად ძლიერ ზანტად იღებენ, 3 წლის განმავლობაში იმედების გაცრუების გამო, ხოლო მეორეს კიდევ უფრო ადვილად ახერხებს, ვინაიდან ცეკა დასწერს რაც მას მიაჩნია სასურველად და მოაწერს ხელს ვინმე სოფლის მუშის სახელს თითქოს ეს იყოს ამ უკანასკნელის გულწრფელი განცხადება, რომელიც ცეკაში შეიტანა. ასე მოუვიდა მურმანოვს, დაჭერილ საბუთებში აღმოჩნდა ვრცელი წერილი, რომელსაც აწერია მურმანოვი, რომელიც ჩვენი ყრილობაზე გამოვიდა მოწინააღმდეგეთ, და რომელიც ყოფილა დაწერილი არა თვით მურმანოვის მიერ არამედ ცეკას ერთ ერთი ხელმძღვანელის მიერ. რასაც ადასტურებს თვით მურმანოვი. ასეთი პოლიტიკური ტყუილებით კვებავდა არალეგალური ცეკა საზღვარგარეთელ ჩვენს ამხანაგებს ტ. ცხადია, რომ ამ უკანასკნელთ არ შეეძლოთ სწორი წარმოდგენა ქონებოდათ ჩვენი მუშების და საერთოდ ქართველი მშრომელ კლასის მდგომარეობის შესახებ.

დღევანდელი არალეგალური ცეკა და მისი ხელმძღვანელები სავსებით დასცილდენ ძველ ნაცად გზას, რომელიც გადიოდა კლასობრივი თვალსაზრისიდან და ქუთაისის საიდუმლო კონფერენციის თავმჯდომარე უსირცხვილოთ აცხადებს, რომ დღეს საქართვ. სოც. დემოკრატია იცავს მთელი ერის ინტერესებსო. ეს არის მტრობა საქართ. სოციალ-დემოკრატიის, როგორც სოციალისტური და რევოლიუციონური პარტიის, რასაც თვით არალეგარული ცეკაც არ უარყოფს, როცა ამბობს, რომ დღეს იგი იცავს არა მუშათა ინტერესებს, არამედ მთელი ერის ინტერესებსო.

ფარნიევი ეხება მენშევიკური ცეკას თავმჯდომარე ამხ. სეით დევდარიანის საყურადღებო წერილებს, მისი მიმართვას ნოე ჟორდანიასადმი, რომ პარტია გაიხრწნა, საჭიროა საერთო ენის გამონახვაო და სხვა. კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ბოლოს სეით დევდარიანიც ტოვებს არალეგ. ცეკას ხაზს, რადგან იქ არ შეუძლია ფეხი მოიმარჯვოს და დარჩეს პატიოსანმა რევოლიუციონერმა და სოციალისტმაო.

დღეს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ არალეგალური ცეკას მოქმედება და ტაქტიკა საზიზღარი და მიუღებელი გახდა არა მარტო მუშებისათვის, არამედ საზოგადოების ფართო წრეებისათვისაც; ეგრედ-წოდებული საზოგადოების „პატრიოტული“ ნაწილიც უკმაყოფილოა ამ ტაქტიკით.

ცხადია, რომ მუშებს, გულწრფელ და რევოლიუციონურ მუშებს არ შეუძლიანთ არ დაჰგმონ ეს ავანტიურისტული პოლიტიკა და ჩვენ ვხედავთ, რომ პატიოსანი ნაწილი, წმინდა, ფაქიზი რევოლიუციონერები გარბიან ცალ-ცალკე და ჯგუფობრივად მენშევიკური პარტიიდან.

კრება მეტათ აღელვა მომხსენებლის მიერ მოყვანილმა ფაქტებმა. გაისმოდა ხმები: „წყევლა და კრულვა ავანტიურისტებს“. დაუნდობელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ“ და სხვა.

მოითხოვეს კამათის გახსნა, მაგრამ სიგვიანის გამო კამათი არ გახსნილა, კრება გადაიდო შემდეგისათვის.

მეორე კრებაზე უნდა მოხდეს მოხსენების სრულად რუსულად გამეორება და კამათი.

# მუშათა წერილები

## უძღვნი გერმანიის პროლეტარიატს.

რაც გინდ გაავდეს ცხოვრება
ტანჯვანი ასკეცდებოდეს,
მიწის პირიდან აღგვითა
მტარვალი გვემუქრებოდეს,

მშრომელთა სისხლის ნანთხევით
ხმელეთი მოირწყვებოდეს
მომდინარეობდეს ნაკადი
ყოველ მხრით ზღვებს უერთდებოდეს,

ლეში ეყაროს ოხრადა
მტაცებელთ ხროვა სძღებოდეს,
ყვავმა ყორანმა დაგვჩხაველოს
სვამდეს, სისხლითა სთვრებოდეს,

დამქაშნი მათნი წყეულნი
ჰბანავდეს უერთდებოდეს,
წუთიერ გამარჯვებისთვის
ზეიმი იმართებოდეს,

იმ ზეიმის ჟამს ყველა მათი
წამები დაეთვლებოდეს.
დაკაჟებულის ხელებით
მიწასთან გასწორდებოდეს.

**შაქრო ნავთლუღელი.**

## „სისხლის კვირა“ ანუ 9 იანვარი 1905 წელი

სწორედ ასეთი სახელი უძღვნა რუსეთის პროლეტარიატმა 9 იანვარს, როდესაც სისხლით შეიღება მთელი პეტროგრადის ქუჩები, სწორედ 9 იანვარი იყო პირველი მერცხალი მუშათა მოძრაობის გაღრმავებისა და მომავალი განვითარებისა.

საბაბად ამ დღისა ის იყო, რომ რამდენიმე მუშა იქნა დათხოვნილი პუტილოვის ქარხნიდან; როდესაც დანარჩენ მუშებმა მოითხოვეს თავიანთი დათხოვნილი ამხანაგების უკან დაბრუნება, ქარხნის ადმინისტრაციამ უარით უპასუხა მათ მოთხოვნას და 3 იანვარს გამოცხადდა საერთო გაფიცვა მთელ ქარხანაში.

4 იანვარს გაფიცვას მიემხრო დანარჩენი ქარხნებიც სახელდობრ **ხემიანიკოვისა** და **ობუხოვისა**. მალე ამ გაფიცვამ მიიღო მასიური ხასიათი და 6 იანვარს გაფიცულთა რიცხვი ავიდა 200 ათას მუშამდე. გაფიცვამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

მოთხოვნილებანი, რომელიც წამოყენებული მუშების მიერ იყო არა მარტო ეკონომიური, არამედ იყო ეგრეთვე რამდენიმე მუხლი პოლიტიკურ ხასიათისა. მაგალითად, დამფუძნებელ კრების მოწვევა და სხვა.

იმ დროს მუშათა შორის იზრდებოდა თანდათანობითი შეუგნებელი მისწრაფება, რომ ყოველივე ეს მოთხოვნილებები წარედგინათ უმაღლეს ძალისთვის ე. ი. სახელმწიფოსათვის.

ამნაირად იბადება ასეთი აზრი, რომ გასწიონ მეფესთან და გადასცენ პირადათ „პეტიცია“, რომელშიაც იყო აწერილი მთელი მათი გაჭირვება, მუშებს სჯეროდათ მეფის გულკეთილობა, მათ დიდი იმედი ქონდათ, რომ მეფე მიიღებდა და მოუსმენდა მათ და დაკმაყოფილებული დაბრუნდებოდენ.

მუშებმა იწყეს შეკრება თავიანთ რაონებში და გასწიეს დანიშნულ ადგილზე, სადაც იყო რუსეთის ქარხნების მუშათა საკრებულოები, აქ მათ სათავეში მოექცა მღვდელი გაპონი, რომელსაც დიდი კავშირი ქონდა საიდუმლო განყოფილებასთან. ამნაირად ზემოხსენებულ საკრებულოში მუშები ხსნიან კრებას, სადაც ადგენენ, რომ გასწიონ საზამთრო სასახლისკენ.

გაპონმა წინდაწინვე მისწერა ბარათი მეფეს და მის ერთგულ მინისტრ სვიატოპოლკ-მირსკის, რომელშიაც აფრთხილებდა ხალხის მისვლაზე.

მთავრობა სდუმდა, მხოლოდ ქალაქში დადიოდა ხმები, ხოლო 8 იანვარს მუშებმა შეიტყვეს, რომ სასახლესთან არ მიუშვებდენ და თვით უმთავრესი ქალაქის ქუჩები დაკავებული იყო ჯარის მიერ.

შუაღამეს, 8 იანვარს გაგზავნილი იყო დეპუტაცია ინტელიგენტების მხრივ მინისტრ ვიტესთან, რომელსაც სთხოვდენ, რომ აცდენილ იქნეს უდანაშაულო ხალხის სისხლის ღვრა.

მაგრამ დეპუტაცია დაბრუნდა უშედეგოთ. დილით 9 იანვარს რამდენიმე ათასი მუშები გაემგზავრენ სასახლისკენ ჯვარ-ხატებით და

მეფის სურათით, როგორც კი მუშები მიუახლოვდენ უმთავრეს ჭიშკრებს, იქ მათ ჯარმა სასტიკი სროლა დაუწყო, რომელიც გაგრძელდა მთელ დღეს, სადაც იყო მრავალი მსხვერპლი.

ხალხი, რომელიც მიდიოდა მეფესთან უსაზღვროდ დიდი რწმენით, მათ გაუმასპინძლდენ ტყვიით.

მუშების მოძრაობა, რომელიც იყო მიმართული მშვიდობიანობისკენ, ერთბაშად გადაიქცა რევოლიუციონურ ტალღათ და გაიშალენ ყოველ კუთხისკენ. აქედან იწყება პირველი რევოლიუცია რუსეთისა. აქედან ეყრება საძირკველი რუსეთის მოძრაობას. ცხადია, რომ საბაბად ამ მოძრაობისა გახდა პუტილოვის ქარხანა.

მეფის პირველმა გასროლილმა ტყვიამ შეაგნებინა მათ, თუ რის მიცემა უნდოდა მეფეს მუშებისათვის. მას შემდეგ შეიგნო რუსეთის მუშებმა, რომ ერთად ერთი გამოსავალი ყოფილა თავისუფლებისთვის საჭირო აშკარა ბრძოლა. ამ ბრძოლამ ჩვენ მიგვიყვანა დღევანდელ ბედნიერებამდის.

**მუშა სიმონა.**

## კიდევ გამოურკვეველ ამხანაგებს.

მე ვარ მენშევიკურ პარტიის ყოფილი წევრი მუშა, რომელმაც დავინახე ჩემი საკუთარი შეხედულებით საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებაში სწორი გზა და ვიგრძენ, რომ ცოდვა იყო ამ მთავრობასთან ბრძოლა: ეს იქნებოდა ღალატი მუშათა კლასის წინაშე. მე ამხანაგებო, ჩემი უსახსრობის გამო ნაკლებად ვკითხულობ გაზეთებს. წავიკითხე შემთხვევით ამხ. ხმალაძის წერილები, გავეცანი მოყვანილ საბუთებს. ამ საბუთებიდან ყველასათვის აშკარაა, რომ მენშევიკურმა პარტიამ მუშებთან დაჰკარგა ყოველივე კავშირი, მხოლოდ მუშის სახელით თავადებთან და ბეგებთან მუშაობენ და ამზადებენ მუშათა კლასის სისხლის ღვრას თავად-ბეგებ და გზა დაკარგულ ბანდიტების დახმარებით ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის სისხლის დასაღვრელად, რომ დაებრუნებიათ თავიანთი დაკარგული პორტფელები და თბილი ადგილები. ეს იმ ვაჟბატონებს სურდათ, რომლებიც დაძრწოდენ ფარულად, გამოდიოდენ საწყალ უვიც მუშებში და გლეხებში და შეჰყავდათ ზოგიერთები შეცდომაში. მათმა მოქმედებამ იმსხვერპლა რამდენიმე ათეული ოჯახი გურიაში, ხევსურეთში, კახეთში და სხვაგან. ეხლა თურმე ეს ვაჟბატონები კიდევ აწყობენ ამ ანარქიას ქართველ თავადების, თათრის ბეგების და გზა დაბნეულ ბანდიტების დახმარებით. ამ საბუთების შემდეგ მე არ მგონია, რომ რომელიმე მუშა კიდევ დარჩეს ამ ბანაკში და ეჭვობდეს საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებაში და მოვუწოდებთ იმ ამხანაგებს: დროა გამოერკვიონ და აღიარონ თავიანთი წარსული და შეურიგდენ მუშათა ხელისუფლებას, რადგანაც მუშათა კლასი ლმობიერია და ყოველივე პატიოსნად გამორკვეულ მუშას ის შეირიგებს.

ვინ დაარბია გურია, ბათუმი? თათრის ბეგებმა, თქვენ, ამხანაგებო, არ შეცდეთ, არ იფიქროთ, ვითომ ისინი იყვნენ სათათრის მუშათა კლასი. არა, კიდევ ის ბეგები გახლდათ, რომელ ბეგებსაც დღეს მუშის სახელით უკავშირდებიან მენშევიკები და უნდათ ვითომდა გაანთავისუფლოს მუშათა კლასი წითელ არმიისაგან. ვინ არიან ეს წითელი არმიელები?

ნუ თუ ისინი არ არიან იმ მუშების შვილები, რომლებიც იბრძოდენ მეფის წინააღმდეგ ამიერ-კავკასიის მუშებთან ერთად? არა, ამხანაგებო, ნუ სცდებით, ისინი ჩვენი ამხანაგების შვილებია, რომლების მამებმა ზოგმა ციმბირში დალია სული და ზოგმა ბრძოლის ველზე და თქვენ, ბატონო ცეკავ, მუშის სახელით ნურავის ნუ უკავშირდებით. მუშებმა კარგად იციან ვინ არიან ბეგები. გველმა ტყავი რაც უნდა გამოიცვალოს, ის მოხერხებულ დროს მაინც გიკბენს. სჯობს გონს მოხვიდეთ და ჩადგეთ კიდევ ძველ მებრძოლ პატიოსან მუშათა რიგებში. მე არ მაინტერესებს არავითარი პირადი ანგარიში, მე ვარ ერთი უსწავლელი მუშა, დღიურ ლუკმის მძებარი და წინადაც ეგრე ვიყავი, ვიქნები კიდეც, მაგრამ მე ბედნიერი ვარ რომ ჩემი ამხანაგების წინაშე არ მიმიძღვის ღალატი და გამოვერკვიე ყოველივე ძალდატანების გარეშე. ყოფილ ამხანაგებს ვურჩევ, რომ მათაც გამოერკვიონ.

მუშა **დოლიძე.**

# პოლიტიკური მიმოხილვა

## (კვირიდან-კვირამდე).

წარსულ კვირას საერთაშორისო პოლიტიკურ სფეროში განსაკუთრებული არა მომხდარა რა. მაინც აღსანიშნავია ინგლისის მუშათა მთავრობის მოლოდინი, საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი, გერმანიის ამბები, მცირე ანტანტის კონფერენცია და ჩვენში, საქართველოში, 239 ძველი მენშევიკის ჩვენს რიგებში გადმოსვლა.

შევეხოთ მოკლეთ ყველა ამ მოვლენებს.

* * *

ინგლისის ამბებს დღეს ყურადღებას აქცევს და გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მთელი მსოფლიო. ყველა დაინტერესებულია იმით — აიღებს თუ არა მუშათა პარტია მთავრობას ხელში და თუ აიღო, რამდენად ხანგრძლივი იქნება მისი ბატონობა დღევანდელ პირობებში, შესძლებს თუ არა ის იმ „ზომიერი გონიერების“ ფარგლებში დარჩენას, რომლის შესახებ აცხადებენ თავიანთ სიტყვებში მუშათა ლიდერები?

მუშათა მთავრობის შედგენის საკითხი სამი მეოთხედით უკვე გადაწყვეტილია. თემთა პალატაში უკვე დაიწყო კამათი მეფის სიტყვის გარშემო და ყველა წრეები ფიქრობენ, რომ ეს კამათი დასრულდება კონსერვატორების მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებით.

მუშათა პარტიის ლიდერმა მაკდონალდმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ მთავრობა არ არის პალატის ნდობის ღირსი. მუშათა პარტიას, როგორც ვიცით, ამ უნდობლობის გამოცხადებაში მთავრობისადმი მხარს უჭერს ლიბერალური პარტიაც. ერთი სიტყვით ბალდვინის კაბინეტის გადადგომა დღე-დღეზე მოსალოდნელია. მის ადგილს უსათუოდ დაიჭერს მაკდონალდის მთავრობა, მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად შესძლებს ის „ზომიერ გონიერების“ ფარგლებში გაჩერებას, ეს უკვე დამოკიდებულია მასსის სულიერ განწყობილებაზე და ინგლისის პრესაში უკვე გაისმა ხმები, რომ მაკდონალდი ალბათ ვერ შესძლებს თავისი პარტიის გაჩერებას ზომიერების ფარგლებში. იმავე დროს მას ადარებენ კერენსკის. ერთი კი ცხადია, რომ ასეა თუ ისე, მუშათა მთავრობის შედგენის საქმე გადაწყვეტილია. ეს კი დიდი პოლიტიკური გადახრაა მარცხნივ არა მარტო ინგლისში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც. რომ ინგლისში ეს ასე არ მომხდარიყო, საერთაშორისო რეაქცია უფრო მეტად აიშვებდა თავს და პროლეტარიატის მოძრაობა ძალუმად შეფერხდებოდა. მაგრამ საბედნიეროდ უკვე ლაგამი ედება გათამამებულ საერთაშორისო ფაშისტს. აქედან წითელი საბჭოთა კავშირი, იქედან ინგლისის მუშათა მთავრობა, თუმცა ზომიერ-ლიბერალური, მაგრამ მაინც მუშათა მთავრობა. ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა.

* * *

დეპეშებმა მოგვიტანა კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი. ინგლისში ფაქტიურად უკვე გადაიდგა ნაბიჯი მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ.

ინგლისის მუშათა პარტიის ცეკა დათანხმდა კომპარტიის ცეკას წინადადებაზე, რომელიც მოითხოვს შეთანხმებულად განსილვას იმ საარჩევნო ოლქებში შექმნილი მდგომარეობის, სადაც კანდიდატებათ პარლამენტში გამოდიოდენ კომუნისტები. მუშათა პარტიამ კომპარტიასთან მოსალაპარაკებლად გამოჰყო კომისია, რომელშიაც შედიან ვებბი, ჰენდერსონი და ლანსბერი. „როსტა“-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს კომუნისტების ბელადებმა განაცხადეს, რომ ეს თათბირი წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ერთიანი ფრონტის შექმნის გზაზე და მოწმობს კომუნისტების გავლენის ზრდას.

ჩვენ სიხარულს გამოვსთქვამთ ამ ფაქტის გამო და დავსძენთ, რომ მუშათა ერთიანი ფრონტის გარეშე არაა მუშათა კლასის ხსნა. რათაც არ უნდა დაჯდეს, ეს უნდა მიღწეულ იქნას.

* * *

წარსულ კვირის განმავლობაშიც მეტად აქტუალური იყო საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი. ამ მხრივ წარსულ კვირაში ჩვენ გავეცანით ახალ აზრს საბჭოთა კავშირის შესახებ. ეს არის ინგლისის კონსერვატიული პარ-

ტიის აზრი. „დეილ-ტელეგრ.“ კონსერვატიული გაზეთი პოლიტიკურ მიმოხილვაში სწერს: საბჭოთა მთავრობა დამშვიდებულად უცქერის ინგლისის მუშათა მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის პერსპექტივას. რომ კონსერვატიულ მთავრობას უფრო ადრე ეცნო საბჭოთა რუსეთი, მას სავსებით მხარს დაუჭერდა სოციალისტური ოპოზიცია. ეხლა კი კონსერვატიულ მთავრობას, პირიქით, ჰყავს ძლიერი მოწინააღმდეგე მუშათა პარტიის სახით.

კონსერვატორების პოზიცია საბჭოთა რუსეთის ცნობის საკითხში უფრო ლმობიერია, ვიდრე იყო წინად. „მორნინგ პოსტ“-ი კმაყოფილდება მაკდონალდის გაფრთხილებით და აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობას არავითარი თვალსაჩინო შედეგები არ მოყვება. ლიბერალები გამოსთქვამენ კმაყოფილებას მუშათა პარტიის გადაწყვეტილებით იცნოს საბჭოთა მთავრობა.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებად უნდა ჩაითვალოს ისიც მოვლენაც, რომ ნიუ-იორკის ბანკებმა თანხმობა განუცხადეს საბჭოთა საფეიქრო სინდიკატისათვის სესხის მიცემაზე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამერიკის ფინანსიურმა წრეებმა უკვე შეიცვალეს პოზიცია საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულებაში.

ამერიკაში სენატორი ბორა განაგრძობს საბჭოთა კავშირის ცნობისათვის კამპანიას.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი ცენტრალური საკითხია ყველა ქვეყნებისათვის და, მათ შორის ავსტრიისათვისაცო.

ბელგიის პრესაც აღნიშნავს, რომ ახლო-მომავალში ბელგია იცნობს საბჭოთა კავშირსო.

ერთი სიტყვით ყველა, ყველა და ყველა ლოიალურადაა საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხისადმი განწყობილი. ნერვიულობს და ჯიუტობს მხოლოდ საფრანგეთი, სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ამ დღეებში საფრანგეთის ელჩმა რომში ბარერმა გაუგზავნა მუსოლინს წერილი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ვერავითარი ეკონომიური სარგებელი, რომელსაც იტალია მიიღებს ხელშეკრულებიდან საბჭოთა რუსეთთან, ვერ აანაზღაურებს იმ პოლიტიკურ ზიანს, რომელსაც მიაყენებს ის თავის თავს და თავის მეგობრებს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ცნობით. იტალიის წრეები ლონდონში ამ უსირცხვილო ჩარევას იტალიის საქმეში დიდი განცვიფრებით უცქერიან, ვინაიდან, იქაური ცნობით, საფრანგეთის დიპლომატიამ თვითვე გადასდგა ამ დღეებში ნაბიჯები ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის საშუალებით საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დასაწყებად.

* * *

წარსულ კვირაში სწარმოებდა ეგრედ წოდებულ მცირე ანტანტის კონფერენცია. ჩვენთვის საყურადღებოა ამ კონფერენციის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხთან. სამწუხაროდ ამ კონფერენციამ ამ საკითხშიაც, როგორც სხვა სახელმწიფოებრივ საკითხებში, გამოიჩინა სრული მონობა დიდი სახელმწიფოებისადმი. მან სთქვა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა საჭიროა და დროულია, მაგრამ ჩვენ ამას მაშინ ვიზამთ, როცა დიდი სახელმწიფოები იცნობენო. ამ რიგად მათ ამ საკითხშიც არ აქვთ საკუთარი აზრი და შეხედულება.

* * *

გერმანიაში, როგორც წინა კვირეულ მიმოხილვაში ავღნიშნავდით, მარქსის მთავრობა გადავიდა შეტევაზე და განაგრძობს ამ შეტევას მუშების მიმართ. მუშები იბრძვიან 9-10 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ. ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს თანდათან. მდგომარეობა რთულდება. მთავრობა არაფერს არ ერიდება და რეპრესიებს აძლიერებს.

სოც.-დემოკრატია დღითი დღე კოტრდება. დასაღუპავად განწირულს ხან ერთი ლიდერი და ორგანიზაცია წაკრავს წიხლს, ხან მეორე. მისი ბედი საშინელია. გერმანიის სოც.-დემოკრატიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლედებურმა პროლეტარიატს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აცხადებს, რომ სოც.-დემოკრატია არის მუშათა კლასის გამყიდველი და მოღალატეო. ის აცხადებს, რომ სოც.-დემოკრატების წყალობით მრავალი მუშები არ ღებულობენ მონაწილეობას ათი საათის სამუშაო დღის საწინააღმდეგო მოძრაობაშიო.

ლედებურს გამოჰყავს ისეთი დასკვნა, რომ საჭიროა ახლა ისეთი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შედგენა, რომელსაც სამარცხვინო წარსული არ ექნებოდა და შესძლებდა პროლეტარიატის გაერთიანებას სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

გერმანიის კომპარტია წარმოუდგენელ დევნას განიცდის. მიუხედავად ამისა მისი გავლენა მაინც ძლიერდება. საქსონიაში სათემო არჩევნებზე სოციალ-დემოკრატები მარცხდებიან. იმარჯვებენ ბურჟუაზიული პარტიები და კომუნისტები. ბურჟუაზიულ პარტიებს ჯერ-ჯერობით უმრავლესობა გაჰყავთ საქსონიის თითქმის ყველა ქალაქებში. დრეზდენში ბურჟუაზიულმა პარტიებმა მიიღეს 44 ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა—21, წინათ კი ჰქონდათ 38 ადგილი; კომუნისტებმა მიიღეს 10, წინათ კი ჰქონდათ 4 ადგილი. ხემნიცში ბურჟუაზიულმა პარტიებმა მიიღეს 30 ადგილი, ხოლო სოციალ-დემოკრატებმა და კომუნისტებმა—31. კომუნისტ-დეპუტატების რიცხვი იზრდება, სოციალ-დემოკრატების რიცხვი კი კლებულობს. სოციალ-დემოკრატები თვითვე აღიარებენ მათ დამარცხებას ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში. დეპუტატ კომუნისტის **რენერის განცხადებით კომუნისტებმა დიდ ქალაქებში მიიღეს ორჯერ მეტი ხმა, ხოლო პროვინციებში ოთხჯერ მეტი წინანდელთან შედარებით.**

* * *

წარსულ კვირას მეტეხის ციხიდან გამოვიდა 239 ძველი რევოლიუციონერი მუშა და გლეხი. ზოგს მათგანს ათეული წლობით უბრძოლნია მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და გამოვლილი აქვს კატორღა, ციხე და ათასგვარი წამება-წვალება. ყველა ესენი დადგნენ ყოფილ მენშევიკების დეკლარაციის ნიადაგზე და ჩაებმებიან საბჭოთა აღმშენებლობაში. ეს მეტად დიდი პლიუსია ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლების მტერთა რიცხვს კიდევ გამოაკლდა ერთი რაზმი და მის მეგობართა რიგებში დაიჭირა ადგილი. აშკარაა, რომ გადაფასება ძველი ტაქტიკისა ახლა უფრო ჩქარის ტემპით სწარმოებს, ვიდრე ოდესმე.

# ქრონიკა

◆ **კომუნისტურ პარტიაში** შესვლის მსურველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ სათანადო განცხადებებით მსურველებმა უნდა მიმართონ თავიანთ-წარმოება-დაწესებულების კომუჯრედს, რომელიც მათ მიიღებს პარტიაში საერთო წესით. ასე უნდა მოიქცნენ ისინიც, ვისაც დღემდე შეტანილი ჰქონდა სადმე განცხადება.

◆ **239** პატიმარი მეტეხის ციხიდან დადგა ყოფ. მენშევიკების პლატფორმაზე და უკვე განთავისუფლებულ იქნენ ციხიდან.

◆ **საქართველოს საგ. კომ.** მძევლებათ გამოაცხადა 38 მენშევიკი. „ჩეკა“ აცხადებს, რომ თითეულ მოკლულ მუშის და გლეხის სამაგიეროდ ათეულობით დახვრეტთ მძევალ მენშევიკებსო.

## სხვა და სხვა ამბები.

◆ **გერმანიის** სოც. დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ლედებურმა გამოაქვეყნა მოწოდება პროლეტარიატისადმი, რომელშიაც სოც.-დემოკრატებს მუშათა კლასის გამყიდველებს და მოღალატეებს უწოდებს.

◆ **მუშები** გერმანიაში განაგრძობენ სასტიკ წინააღმდეგობის გაწევას მთავრობისადმი 9—10 საათის სამუშაო დღის შემოღების გამო.

◆ **სათემო** არჩევნებში საქსონიაში კომუნისტები 2-4 ჯერ მეტ ხმებს იღებდნენ წინა არჩევნებთან შედარებით.

◆ **ნიუ-იორკის** ბანკებმა თანხმობა განაცხადეს საბჭოთა საფეიქრო სინდიკატისათვის სესხის მიცემაზე. ეს პირველი მაგალითია ნდობის.

◆ **ინგლისის** კონსერვატიული პარტიაც ლოიალურადაა განწყობილი საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის მიმართ.

◆ **ინგლისის** ყველა საზოგადოებრივი წრეები მოელიან მუშათა მთავრობის შედგენას. პარლამენტში მუშათა პარტიამ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა.

◆ **საკავშირო** ცაკმა ესერების ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომელთაც დახვრეტა ჰქონდათ გადაწყვეტილი, სასჯელი შეუმსუბუქა: დახვრეტა შეუცვალა 5 წლის ციხით. ეს გარემოება ახსნილია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის განმტკიცებით.

◆ **საბჭოთა რესპუბლიკების** კავშირის საბჭოთა მეორე ყრილობა გაიხსნება 22 იანვარს.

# წერილები პროვინციიდან

## ხონის რაიონი.

ჯინიანობას და პარტიულ ჯიუტობას ბოლო ელება. დღეს მთელი მშრომელი მასის ყურადღება გაერთიანებულ ფრონტისაკენ არის მიმართული.

დღეს ვერავინ ვერ იტყვის იმას, თითქო ყოველივე ის, რაც მოხდა 25-30 აგვისტოს ჩვენის ზეგავლენით მომხდარიყო: დიახ, დაიშალა მენშევიკური პარტია და დღესაც განაგრძობს იგი დაშლას პერიფერიებში და თუ სადმე ორიოდე გულწრფელი მენშევიკი არის, ისიც იჩქარის ფარდა ახადოს თავის პარტიულ მიდრეკილებას (სახეში არ მყავს ჩვენი პარტიის ის გლეხობა, რომელიც თავის ლობე-ყორეს ვერ გასცილებია და საეკლესიო საკითხითაა დაინტერესებული და იესო ქრისტეს ცეცხლითა და მახვილით მოსვლას ელოდება).

უმთავრესი მომქმედი ძალა ჩვენი პარტიისა უკვე კომპარტიის კარებზეა მიმდგარი და მას ზურგს უმაგრებს, მის გაძლიერება-გაღონიერებას ცდილობს.

სულ ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტიის ლიკვიდაცია მოხდა და ამ ხნის განმავლობაში, როგორც ამხანაგები გვატყობინებენ, ბევრი რამ გაკეთებულა; ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ურიგო არ იქნება ცოტაოდენი პროვინციისაკენაც მოიხედოთ, ამხანაგებო, თვალყური ადევნოთ მის მდგომარეობას, არსებობას და ხანდისხან ჩამოიაროთ.

ცხვი არ არის, რომ ამ ბოლო დროს მეტად გაფართოვდა თანაგრძნობა ყოფილ მენშევიკებს შორის 25-30 აგვისტოსადმი, აშკარაა ისიც, რომ თემებში უკვე მომქმედმა ძალამ ჩვენი პარტიისამ ოფიციალურად დაგმო თავისი პარტიის საქმიანობა და კომპარტიის პლატფორმა მიიღო, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. „ოფიციალობა“ საქმეს არ შველის, საქმიანობას კი თემებში ამ მხრივ ჯერჯერობით ნაკლებად ვხედავ. საჭიროა ამ ამხანაგების თავის მოყრა, დარაზმა და შემდეგი მიზნებისათვის გამოყენება. არის ასეთი შემთხვევაც, რომ ხელმოწერილი მალავს თავის ხელის მოწერას და ლობე-ყორეს ეფარება. მართალი გითხრათ ჩვენი პარტია არ არის ჩვეული ორპირობას, ლაქიობას, ეს ვისიც თანდაყოლილი სენია, მისთვის დაგვითმია და ჩვენ პარტიულ ამხანაგს არ შეშვენის ასეთობა; დროა გავერკვეთ, გავიგოთ ჩვენი მტერ-მოყვარე, დაუახლოვეთ სოფელი ქალაქს, და ხელი შეუწყოთ რევოლიუციის უმაღლეს წერტილამდე აყვანა-განვითარებას. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენც პასუხისმგებელნი ვართ თუ რაიმე ზიანი მოუვა რევოლიუციას და იმ დროს, როცა დარწმუნებულნი ვართ, რომ განდგომით საქმეს ვავნებთ და ზიანს ვუტანთ, პირადი ჯინიანობა, განდგომა მოსატანი არ არის, მოიგონეთ რა მისცა იტალიას ფაშისტურმა გადატრიალებამ, იმას მოგვცემს ჩვენც ყოველგვარი გადატრიალება და არევ-დარევა, ნუ უხვევთ თვალს ისედაც საშინელ უვიდფერესობაში ჩაცვენილ გლეხობას, ნუ ავყოლილვართ ორიოდე იმ გლეხის სურვილებს, რომელიც ჩამორთმეულ მიწების დაბრუნების მოლოდინში, ვინ იცის, რას არ ჩადის, ნუ ვიქნებით მოღალატე, გამყიდველები ჩვენი პირადი საქმისათვის საერთო საქმის, უთხრათ ხალხს სიმართლე, ნუ ვაფეთებთ წვრილ მესაკუთრეებს, გლეხობას, საკუთრების ჩამორთმევით, აწიოკებით, განადგურებით, როცა ამ უკანასკნელის ობიექტიური პირობები არ შექმნილა და ჯერ კიდევ შორსაა.

მართალია ჩვენს ცხოვრებაში შეცდომებს აქვს ალაგი (სახეში მაქვს 1923-1924 წლის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რაიც დიდი შეცდომებით არის ნაწარმოები; ხშირად შეძლებული გლეხები გამოტოვებულია და ღარიბებზე კი ზომაზე მეტია შეწერილი). რამდენად მჭიდრო კავშირი შეიკრება ყოფილ მენშევიკებისა და კომუნისტებს შორის, იმდენად ეს უკანასკნელი თავდები იქნება ჩვენი მიზნების მიღწევისა, მართალია ზოგი ჩვენი ამხანაგები ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან და რაღაც ინდიფერენტიზმს შეუპყრია მისი ჭკუა-გონება, მაგრამ დროთა მსვლელობა, მათაც მოიყვანს გონს. ეს კი მაშინ მოხდება, რამდენადაც ჩვენ დაუახლოვდებით პროვინციელ ამხანაგებს და რამდენ ხშირად დაუთმობთ მათი გულის ნადებს ჩვენი „სიმართლის ხმი“-ს ფურცლებს და ეს უკანასკნელი მომასწავებელი იქნება ჩვენი ერთმანეთთან სულიერად დაკავშირებისა და გაჯანსაღებისა. შორს ჩვენგან ფეტიშიზმი და გაუგებრობა, წინ გაბედულად სიმართლისაკენ.

სოფლელი.

## ქ. ხონი.

### (ამხ. გიორგაძის სიკვდილის გამო).

მოგვიკლეს ამხ. ი. გიორგაძე, რომელმაც სრულიათ შეგნებულათ დაგმო ძველი გახრწნილი ს.-დემოკრატიული გზა. მათ ეგონათ ილარიონის მოკვლით შეაჩერებდენ მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციას, მათ ეგონათ იარაღით ჩაკლავდნენ იდეიას, არა და არა. ს.-დემოკრატ ფაშისტებს იდეიის ჩაკვლა იარაღით არ ძალუძს, თქვენ სავსებით გაირიყეთ და რას ჩადიხართ არ იცით. ასისინებთ თქვენს გველურ ენას და შხამს ანთხევთ იქნებ ამით რამეს გავხდეთო, მაგრამ არა. თქვენი დღეები საბოლოოთ დათვლილია, დიახ, დღეს თქვენს ირგვლივ თავ მოყრილი არის ყველა ჯურის შავი რეაქციონური ძალები. ჩვენ უსისტიკესათ შევებრძოლებით ასეთ შავ ძალებს. ისტორია არ დაივიწყებს ბანდიტურ ს.-დემოკრატიის მიერ ჩადენილ ბარბაროსობას, რომლებმაც დაანთხიეს უმანკო მუშაკის ძველი რევოლიუციონერის სისხლი.

მ. გაღდავაძე.

## გარე კახეთი.

გარეკახეთის ალმასკომის წევრეპი შეუდგნენ მუშაობას; საგარეჯოს, მარტყოფის, ნორიოს და გამბორის ყოფილ ალმასკომის ინვენტარი და საქმეებს იბარებს გარე კახეთის ალმასკომი. მიქცეულია ყურადღება რაიონებში, რათა ადგილობრივმა გლეხთა საბჭოებმა და სხვა ყველა დარგმა მოაწოდოს ალმასკომს თუ რისი გაკეთება სურთ და რა ესაჭიროება საზოგადოებებს ამ ჟამად.

ალმასკომმა ჯერჯერობით მოახერხა როზენფელდის გზატკეცილზედ სოფლის კუთხეში და ქალაქის გზის პირის სასადილოს გახსნა, რომლის მიზანია მოსამსახურე ხალხს და მგზავრსაც კარგი ღირსების და ხელმისაწვდენელ ფასებში მიაწოდოს სანოვაგე.

ალმასკომი ხელიხელ ჩაკიდებულ მუშაობს ყველა პასუხისმგებელ ორგანოებთან და ამხანაგებთან. მუშაობა წესრიგიანათ სწარმოებს და ნაყოფიერიც იქნება უსათუოდ.

1923 წ. 5 დეკემბერს მოხდა მასწავლებელთა კონფერენცია. მასწავლებლები იყვნენ მოწვეულნი ხაშმიდან, პატარძეულიდან, სართიჭალიდან, მალხაზოვკიდან, როზენფელდიდან, მულანლოვიდან და უჯარმიდან. შეიკრიბა 35 მასწავლებელი. დღიურ წესრიგში იყო დასმული:

1. ცენტრალური კავშირის წევრის ამხ. მეგრელიშვილის მოხსენება.
2. დელეგატის არჩევა თბილისში კონფ. დასასწრებლათ.
3. ადგილკომის მოხსენება.
4. ადგილკომის არჩევა და სხვ.

მომხსენებელმა მეგრელიშვილმა დამაკმაყოფილებელი მოხსენება გააკეთა. ადგილკომის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მისი მუშაობა სრულებით არ ყოფილა დამაკმაყოფილებელი. 8-თვის განმავლობაში სამჯერ მოუწვევია კრება და აქედან მხოლოდ ერთხელ შემდგარა. ადგილკომის წევრებმა თავის მართლება დაიწყეს. მარა-უადგილო იყო მიზეზები.

სად იყვნენ ამ რვა თვის განმავლობაში თვით ადგილკომი ან მათი ამომრჩევლები? განა ასეთ პირობებში სიჩუმე დასაშვებია!

რომ მიზანშეწონილი იქნეს და დადგეს სწორ ნიადაგზე სოფლის საქმე, საჭიროა მოხდეს მასწავლებლების გაწმენდა. უვარგისი მასწავლებლები მოხსნილ უნდა იქნან. დღეს სოფელს სჭირია ნამდვილი ჭეშმარიტი მასწავლებელი და არა მხოლოდ თავის კერძო საქმისათვის მზრუნავი ხალხი. მასწავლებელთა კონფერენციამ კი ჩვენზე ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. ჩვენ გვსურს და საჭიროც არის საზოგადო მასწავლებელი ჭირშიაც და ლხინშიაც ხალხთან იყოს, მას ედგას გვერდში.

ტურა.

სარედაქციო კოლეგია: ა. ფარნიევი. ა. რუხაძე. კ. თოფაძე. კ. შენგელია. გ. ვარდოიანი.

24 თებერვალი 1924 წ. მეორე წელიწადი პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# სიმართლის ხმა

№ 15 ყოველკვირეული ჟურნალი № 15

| რედაქცია და კანტორა | ფასი | რედაქცია და კანტორა |
|---|---|---|
| ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე" ოთახი № 102. | 5 კაპ. ბაჟაღლო ოქროთი. | ღია ა ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა დილის 8 ს. შუად. 1 ს.-დე. |

## საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავი და ჩვენ.

დღეს, 25 თებერვალს, საქართველოს მშრომელი ხალხი დღესასწაულობს მის განთავისუფლების დღეს...

25 თებერვალი ჩვენ მოგვევლინა, როგორც უარყოფა იმ პოლიტიკური და ეკონომიური ხაზის, რომელიც გამომდინარეობდა 26 მაისის ბუნებიდან.

ერთმანეთს დაუპირდაპირდა ორი ხაზი, ორი დროშა. ერთი—დროშა პროლეტარიატის დიქტატურის და მეორე—ბურჟუაზიაზე ხელის მოსმის, მასთან თანამშრომლობის, ძალაუფლების გაზიარების. მუშათა და გლეხთა პირმშო შვილის წითელი არმიის დახმარებით გამარჯვება ხვდა პროლეტარიატის დიქტატურის დროშას და ის ამაყად აფრიალდა 25 თებერვალს ტფილისის თავზე. ტფილისში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ტფილისის გასაბჭოებამ გადასწყვიტა ბედი საქართველოს დანარჩენი ნაწილის და, როგორც ვიცით, მთელ საქართველოში, აფრიალდა წითელი დროშა.

ჩვენ, ყოფილი მენშევიკები, მაშინ კი მენშევიკური პარტიის წევრნი, მტრულად და უარყოფით შევხედით საქართველოს გასაბჭოებას.

ჩვენ, სოც.-დემოკრატიული ტრადიციაზე აღზრდილნი და სამი წლის ცრუ-დამოუკიდებლობის აზრით გაჟღენთილნი ვერ შევურიგდით პროლეტარიატის დიქტატურის დროშას და მას ბრძოლა გამოუცხადეთ.

მაშინ, როცა საქართველოდან დიდი მანძილით იყო დაშორებული საბჭოთა წითელი ვარსკვლავი და ჩვენ, მუშებს არ გვქონდა საშუალება გავცნობოდით ახალი ხელისუფლების ბუნებას, მუშაობას, ჩვენ გვესმოდა მხოლოდ გინება საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი მესვეურნი წარმოდგენილი გვყავდა მუშათა კლასის მტრებათ, მისი განმანადგურებლათ.

ჩვენ არ ვიცოდით ნამდვილი ამბავი. ჩვენ ჭორებით და ტყუილებით ვიკვებებოდით.

და როცა საქართველოში შემოვიდა წითელი არმია და ზრდილობით, თავაზიანათ დაგვიწყო ყველას მოპყრობა, ჩვენ ვიგრძენით, რომ ჩვენი აზრი წითელ არმიაზე ყალბ ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

გავიდა დრო.

ჩვენ გაფაციცებით ვადევნებდით თვალყურს საბჭოთა მთავრობის და კომუნისტური პარტიის მუშაობა-საქმიანობას. ვუკვირდებოდით ღრმათ მათი მუშაობის ნაყოფს.

და დავრწმუნდით, რომ ცდება სოც.-დემოკრატიული პარტია, როცა ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას და მის დამხობაზე ოცნებობს. შემცდარნი ვართ ჩვენც, მუშებიც, რომ ვებრძვით ჩვენივე მთავრობას, მუშურ-გლეხურ მთავრობას.

შედეგათ ამისა მივიღეთ 25 აგვისტო:

25 აგვისტომ ჩვენ მიგვიყვანა 25 თებერვლამდე.

და დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 25 აგვისტო გამართლდა.

მას შემდეგ მრავალი ისეთი რამ ჩაიდინა მენშევიკური პარტიის არალეგალურმა ცეკამ, რომ ჩვენ, ყოფილ მენშ.-ბს ერთის მხრივ გვრცხვენია, რომ 25 აგვისტომდეც რომ მოვყვევით ამ პარტიას და მეორეს მხრივ გვიხარია, რომ უარვყავით ეს პარტია და დავადექით ახალ გზას.

თუ დღეს, საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავზე ჩვენ თვალს გადავავლებთ ჩვენი ცხოვრების უმთავრეს დარგებს, დავინახავთ:

საქართველო ნამდვილ აღორძინების გზაზეა შემდგარი.

აქ მუშათა საკითხი გადაჭრილია მუშების სასარგებლოდ. 8 საათის სამუშაო დღე უზრუნველყოფილია. მუშის უფლებები მაქსიმუმამდეა დაცული და გაფართოვებული. მისი ხელფასი საგრძნობლად აწეულია შედარებით იმასთან, რასაც დემოკრატიული მთავრობის დროს იღებდნენ. თუ მაშინ მუშა ერაძის ტალახიანი პურით იკვებებოდა და ისიც არ ქონდა საკმარისი, დღეს მას შეუძლია თეთრი პურის ხმარებაც. დამზღვევი კასის მოქმედება ხომ ყველას ხიბლავს. მუშა უფასოდ იღებს წამალს და საექიმო დახმარებას. სწარმოებს დიდი კულტურული მუშაობა მუშებში.

სოფლად მემამულეებს დ „კულაკებს" ჩამოერთვა მიწა-მამული და გადაეცა ღარიბეს გლეხობას.

ყოველი ზომებია მიღებული სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად, მისი ფეხზე დასაყენებლად. სწარმოებს არხების გაყვანა, ჭაობების ამოშრობა და სხვა. მთავრობა არ იშურავს ღონეს და საშვალებას გლეხური მეურნეობის ასაყვავებლად.

შენდება ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური; ელექტრონული სადგურების აშენება დაწყებულია რესპუბლიკის სხვა ადგილებშიაც. ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის მნიშვნელობა, რომელიც ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის აშენებას აქვს. მის მნიშვნელობას მომავალი დააფასებს.

აღმშენებლობითი მუშაობა, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში ჩქარი ტემპით მიდის წინ. საკმარისია დავასახელოთ ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა, გზების, ხიდების გაკეთება ყველა მაზრებში, რომ ვსთქვათ: ქვეყანა ნამდვილ აღორძინების გზაზეა შემდგარი.

ფართო და გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს კულტურულ ფრონტზედაც. განათლების დარგში დიდი მიღწევებია. გაიზარდა რაოდენობა სკოლების, მასწავლებლების, მოწაფეების. მოსახლეობა დაინტერესდა სწავლით ისეთ ადგილებშიაც, რომელნიც ჩამორჩენილი არიან განვითარებით. ერთი სიტყვით განათლების საქმე დამკვიდრელი ამოცანადაა აღიარებული და ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის ბ[illegible]ტის დიდი პროცენტი განათლებას [illegible]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით მოისპო ეროვნული ომები და კონფლიკტები ამიერ-კავკასიაში. დავიწყებას მიეცა ის უთანხმოებანი და განხეთქილებანი, რომელთა წყალობით 1918 წელში დაიღვარა ქართველ-სომეხ მშრომელთა წმინდა სისხლი. ისტორიას ჩაბარდა ადერბეიჯანთან უთანხმოების მიზეზიც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ჩამოვარდა ერთაშორის მშვიდობიანობა, ძმობა.

ჩვენმა გლეხობამაც მოისვენა ომებიდან. მას არ უხდება ყოველ თვე' თოფ ქვეშ დადგომა და საომრად გამზადება. მას მიეცა საშვალება დამშვიდებულად აწარმოოს თავისი მეურნეობა.

ეს ცოტაა, საბჭოთა ხელისუფლებას დიდი მიღწევები აქვს არა მარტო შინაურ ფრონტზე, არამედ საგარეო ფრონტზედაც. მისი საგარეო მდგომარეობა იმდენად განმტკიცდა, მისი საერთაშორისო ხვედრითი წონა იმდენად გაიზარდა, რომ 1924 წ. ის იურიდიულად იცნეს ინგლისმა, იტალიამ, ნ-რვეგიამ და დღეს თუ ხვალ იცნობენ სხვებიც.

და დღეს, 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავზე, როცა ასეთი დიდი მიღწევები გვაქვს ცხოვრების ყოველ დარგში, ჩვენ გვიხარია, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან ვართ, მას ვიცავთ, მისთვის ვიბრძვით.

ჩვენ სავსებით ვგრძნობთ, ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობას და მთელი ჩვენი ძალ-ღონით, ენერგიით ვიმუშავებთ კომპარტიასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად და გასამაგრებლად.

მართალია საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავზე საბჭოთა ხელისუფლება გამარჯვებულია ყველა ფრონტებზე, მაგრამ არის ერთი პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ არაა სავსებით გადაწყვეტილი. ეს არის „მაკრატლის“ პრობლემა. ჩვენ ვიცით, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლების მომავალი ბედი და ამიტომ ჩვენც, ყოფილი მენშევიკებიც კომპარტიასთან ერთად მთელი ჩვენი ძალ-ღონით ვიბრძოლებთ „მაკრატლის“ პირების დასაახლოვებლად, ქვეყნის ეკონომიურად ასაღორძინებლად, ასაყვავებლად.

1924 წლის 25 თებერვალს ჩვენ ვხვდებით ღია გულით და აღფრთოვანებული სულით.

საქართველოს გასაბჭოების მესამე წლისთავს ჩვენც საქართველოს დანარჩენ მშრომელ-ხალხთან ერთად ზეიმით და აღფრთოვანებით ვდღესასწაულობთ.

25 თებერვალი—ეს საქართველოს ოქტომბერია.

ჯამუშაროების ჩვენს ოქტომბერს—25 თებერვალს.

# მტკიცეთ რევოლიუციის სადარაჯოზე!.

ს. დევდარიანი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის მენშევიკური ცეკას თავმჯდომარედ ითვლებოდა და უარყოფით უქებდა ჩვენს კონფერენციებს და ყრილობას, ერთ-ერთ წერილში გვწერდა, რას იტყვით, რომ საზღვარ-გარეთის სოციალისტურ გამოცემებში გამოქვეყნდეს იმათი გვარები, რომლებიც თქვენთან იყვნენ, გამოაცხადეს, რომ ანებებენ თავს მენშევიკურ პარტიას, მაგრამ ამავე დროს მათ მისცეს განცხადება ცეკას, რომ რჩებიან პარტიაშიო.

ჩვენ იოტის ოდენა იჭვიც არ ვვეპარებოდა ამ სიტყვების სიმართლეში.

12 ათას კაცში, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ჩვენს კონფერენციებზე და ყრილობაზე, სულ ადვილი დასაშვებია ყოფილიყო რამდენიმე ორ სკამზე მჯდომი პირი.

და ეს დამტკიცდა, როცა მენშევიკური ცეკას დოკუმენტები ჩაუვარდა ხელში საგანგებო კომისიას.

აღმოჩნდა რამდენიმე პირი, რომლებიც თურმე ერთსა და იმავე დროს ეშმაკსაც და ღმერთსაც უკმევდენ საკმეველს.

ასეთი პირების სულმდაბლობა, დაცემა, დალუპვა სამუდამოთ რევოლიუციისათვის მშვენიერად დაახასიათა ს. დევდარიანმა თავის ერთ ერთ უკანასკნელ წერილში.

ის რევოლიუციონერი, რომელსაც კვირაში შვიდი პარასკევი აქვს, არაა რევოლიუციონერი.

მახსოვს, ჩვენს სალიკვიდაციო ყრილობაზე მურმანოვმა განაცხადა:

მე რამდენიმეჯერ მივეცი ხელწერილი კომუნისტებს, რომ მენშევიკური პარტიას ვანებებ თავს და ვიმუშავებ კომუნისტებთან, მაგრამ ფაქტიურად კი ვმუშაობდი მენშევიკურ პარტიაშიო.

მე იძულებული ვიყავი მეპასუხა, რომ ის პირი, ვინც ასე თაღლითობს, ყალბობს, ალარაა რევოლიუციონერი, ის ჩირქს სცხებს იმ პარტიას, სადაც მუშაობს და ითვლება წევრად, ასეთი პარტიის წევრი არავისთვის არაა საიმედო.

დღესაც გვესმის, ზოგიერთი იმათგანი, ვინც ოფიციალურად თქვენ მოგემხრო, ისევ დარჩა მენშევიკურ პარტიაში, ისევ მუშაობს მათთანო.

არც ეხლა მებადება იჭვი ამ სიტყვების სიმართლეში.

ჩვენს მხარეზე 17 ათასამდე კაცი გადმოვიდა. რა გასაკვირია, რომ ამათში რამოდენიმე კაცი ყალბობდეს.

მაგრამ ვაი იმ პარტიას, რომელიც მათ ებღაუჭება.

თუ ვინმე იმათგანი, ვინც ხელი მოაწერა დეკლარაციას მენშევიკური პარტიიდან გამოსვლის შესახებ, დღეს ისევ უბრუნდება მენშევიკურ ცეკას და მუშაობს იქ, ეს ფაქტი ლახვარ დამცემია თვით მენშევიკებისათვის, ეს ფაქტები ერთხელ კიდევ ამტკიცებს თვით ამ პარტიის არასიფაქიზეს.

რომელი რევოლიუციონური პარტია მიიღებს უკან თავის ყოფილ წევრს, რომელმაც მხოლოთ პირადი ანგარიშების მიხედვით მოაწერა ხელი პარტიიდან გასვლას და დაჯდა ორ სკამზე?

ასეთი არა სიფაქიზე, გაურჩევლობა ახასიათებს მხოლოთ მენშევიკურ ცეკას, რომელიც დღეს უკვე სისხლის სამართლის საქმეებშია გახვრილი.

ის პირნი კი, რომლებიც აქაც იკეთებენ საქმეს და იქაც, უკვე აღარ არიან რევოლიუციონერები.

ასეთ სულმდაბლებს არ აქვთ ადგილი რევოლიუციონერთა რაზმებში.

ისინი მივლენ მხოლოთ იქ, სადაც კაი ხანია დაივიწყეს რევოლიუცია, რევოლიუციის ინტერესები და სულდგმულობენ ბანდიტიზმით, ავანტიურით.

საბედნიეროთ, ასეთ სულმდაბალთა რიცხვი ძალიან მცირეა. და უმთავრესად მათ შორის, როგორც ნ. ხომერიკის მასალებიდან სჩანს, არიან ისეთი პირები, რომლებიც შემთხვევითი ელემენტებად ითვლებიან რევოლიუციისათვის.

ეს ხალხი პირადი სარგებლობის მიზნით მოვიდა ოდესღაც მზამზარეულ რევოლიუციასთან, პირადი სარგებლობის მიზნით გავიდა მერმეთ მენშევიკური პარტიიდან და იმავე პირადი სარგებლობის მიზნით მოუარა უკან კარებიდან მენშევიკურ ცეკას და ჩუმად შეიტანა განცხადება, რომ მაინც რჩება მასთან.

ის დიდი მასა კი, რომელმაც შეგნებულათ აიღო ხელში პროლეტარიატის დიქტატურის დროშა, მაგრად სდგას თავის პოზიციებზე, თავდადებით ემსახურება რევოლიუციის საქმეს და თავს იყრის კომპარტიაში და კომპარტიის ირგვლივ.

შორს ჩვენგან სულმდაბლები, მხდალები!. მათი სახელებით იამაყონ სისხლის სამართლის საქმეებში ხელგასვრილებმა...

ჩვენ კი გვინდა გვყავდეს ჩვენს რიგებში აქტიური რევოლიუციონერები, რევოლიუციის ქარცეცხლში გამობრძმენდილი ძველი მუშები, პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე მტკიცეთ მდგომი ელემენტები.

და ასეთები კი ათი ათასობით ითვლებიან დღეს იმ რევოლიუციონურ რაზმებში, რომლებმაც თავი დაანებეს კონტრრევოლიუციონურ მენშევიზმს და მაღლა ააფრიალეს კომინტერნის დროშა.

ა. რუხაძე.

# წითელი არმიის 6 წლის თავი

23 თებერვალი ოქროს ასოებით აღიბეჭდება მშრომელი ხალხის განმანთავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში.

ამ დღეს ჩაეყარა საფუძველი ოქტომბრის დარაჯს და მის დამცველ ლაშქარს, მუშურ-გლეხურ წითელ არმიას.

სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში წარმოიშვა ის, და მასში მიიღო კიდეც ნათლისღება საკუთარი ხელისუფლების დასაცავად წარმოებულ სამოქალაქო ომებში, მრავალ განსაცდელში და ჭირში გამოატარა მან სახელოვანი დროშა პროლეტარიატის დიქტატურისა, სალი კლდესავით უდრეკად შეურყეველს დღემდის ერთხელაც არ დაუხრია ძირს, ერთხელაც არ მოუხრია ქედი მტრის წინაშე. გაშლილ, მონარნარე მებრძოლთა სისხლით შეფერილი წითელი დროშა, წითელი ვარსკვლავითურთ მრავალ ბრძოლებში გამოატარა მან და დღესაც ისევე გაშლილი, პირმცინარი, და ხალისიანია ჩვენი დროშა.

არ შეუდრკა ჩვენი არმია შემოსეულ ურიცხვ მტერს.

არ შეუდრკა იმიტომ, რომ ის იყო და არის პირმშო შვილი მუშებისა და გლეხებისა, მშრომელი ხალხის წიაღიდანაა გამოსული და მის დასაცავად იბრძვის.

ამბობენ, დღეს მსოფლიოში ნაკლებად მოიპოვება ისეთი გაწვრთნილი შეკავშირებული და ძლიერი ჯარი, როგორიც წითელი არმია არის. ამას ბურჟუაზიული პუბლიცისტები აღნიშნავენ ხოლმე, რომელთაც უნახავთ ჩვენი წითელი არმიის სიმტკიცე და სიძლიერე.

და მართლაც ჩვენი არმია, ეს განსაკუთრებული არმია არის. არც ერთი ჯარი თანამედროვე სახელმწიფოებში არ არის ასეთ პრინციპებზე აგებული, როგორც წითელი არმიაა.

ჩვენი ჯარი — ბრმა იარაღი როდია ხელისუფლების ხელში.

ჩვენი ჯარი მექანიკურად მოძრავ მანქანას როდი წარმოადგენს, როგორც არის იმპერიალისტური სახელმწიფოების ჯარისკაცები, რუსეთის ძველი არმიის სალდათები იყო.

თვითეული წევრი სახელოვანი წითელი არმიის ოჯახისა უპირველეს ყოვლისა სრულუფლებიანი მოქალაქეა მშრომელთა რესპუბლიკისა.

ის მიუხედავათ იმისა, რომ იარაღს ქვეშ სდგას, უშუალო მონაწილეობას იღებს ქვეყნის განთავისუფლებაში, აქტიურად ერევა მის ცხოვრებაში და მშრომელ ხალხთან ერთად ეწევა ყოველდღიურ აღმშენებლობით მუშაობას.

მას შეგნებული აქვს რისთვის არის ის წითელ ჯარში.

მან იცის ვისი ხელისუფლების დამცველი ბურჯია თვითეული წითელარმიელი და ამაშია სწორედ წითელარმიელის სიძლიერე და შეურყეველი სიმტკიცე.

ამ შეგნებით სძლია მან შემოსეულ ურიცხვ მტერს, რომელიც შეიარაღებული იყო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით

მკვიდრი, რევოლიუციონური სიტყვა, პროპაგანდა აგიტაციით, აი ის ერთ-ერთი იარაღთაგანი, რომლითაც ჩვენმა წითელმა ჯარმა მოწინააღმდეგეს სძლია.

აი ის საშუალება, რომლითაც ჩამოიშორა მან მშრომელი ხალხის მატყუებელი ნაწილი ავანტიურისტ გენერლების და კაისერი მოსტეხა მათ.

წითელი არმია მუდამ ცეცხლით და მახვილით მებრძოლი არმიაც არ არის.

მშრომელი ხალხის პირმშო შვილი მშრომელ ხალხთან არის პირში და ლხინში, მას ეხმარება.

წითელი არმიის ნაწილები ხშირად, ძალიან ხშირად სთესვენ და მკიან, ეხმარებიან სოფლად გლეხებს, აკეთებენ შარა გზებს და ხიდებს.

მოკლე წერილში ვერ აღიწერება წითელი არმიის მნიშვნელობა და ღირსებანი.

მისი ბრძოლის ისტორია პროლეტარულ რევოლიუციის ისტორია არის და ამაზე არა ერთი და ორი ტომი დაიწერება.

დღეს მშრომელთა დამცველი წითელი არმიის არსებობისა 6 წლის თავზე, ჩვენ გვინდა მხოლოდ განსაკუთრებით მივესალმოთ სახელოვან წითელ ჯარს.

ჩვენ გვინდა უსურვოთ მას გამარჯვება. სიმტკიცე და კვლავინდებურით შეგნებულათ, თავდადებულათ დაცვა მშრომელთა ხელისუფლებისა. ჩვენ გვინდა შევსძახოთ ვაშა ჩვენს სახელოვან წითელ არმიას...

ვინაიდან ამაზე ძლიერი სიტყვა მის საქებად, სამადლობელად არ მოგვეპოვება,

ვ. ბერაძე.

# „25"

პარალელი:
ბრძოლის ველი...
ლენინგრადი...
ბარიკადი...
სისხლის ფერი
ოცდა ხუთი ოქტომბერი.

2.

ოკეანეს დიდი სივრცე აგვიანებს ტალღებს ნაპირს.
აღმართული მთის კლდეები იფარავენ ღამის ვამპირს,
—მაგრამ... აჰა—ტალღის სრბოლამ გადმოსტყორცნა აქეთ ზვირთი.
და ჯვარსაცმელს გოლგოთაზე ჩამოხადა მძიმე ტვირთი.

3.

პარალელი:
ტაბახმელა და კრწანისის დიდი ველი...
ომის ალი...
ოცდა ხუთი თებერვალი.

4.

საქართველო (ამირანი
ციდან ცეცხლის ჩამომტანი...
...არ დაინდო ძუვსი, არა...)
დაეწაფა წითელ ტალღებს და მის ნექტარს ეზიარა.

გაროლდი.

# საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავი.

სამი წელი შესრულდა, რაც საქართველოს მიწა-წყალზე საბჭოთა დროშა ფრიალებს და მუშურ გლეხურ ხელისუფლება ბატონობს. ამ სამი წლის განმავლობაში, ჩვენ პირველი ორი წლის თავს არსებულ ხელისუფლებასთან ბრძოლით შევხვდით.

ორი წლის განმავლობაში არ ურიგდებოდით საბჭოებს: და ვინ იცის, რამდენი ძალღონე, ენერგია და შრომა იქნება დახარჯული მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ ორი წლის ბრძოლა საკმარისი შეიქნა იმისათვის, რომ ჩვენ სავსებით შეგვეცვალა ფრონტი.

მე-3 მე წლის დასაწყისი უკვე ნიშანი. შეიქნა გარდატეხისა, არსებული წყობილების სასარგებლოთ და გასული წლის განმავლობაში მოხდა დიდი აქტი მშრომელთა ჭეშმარიტად რევოლიუციონური ნაწილის მშრომელთა ხელისუფლებასთან შერიგებისა.

საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცემ გაჰფანტა მის წინააღმდეგ არსებული ენდობლობის ქსელი ფართო მასსებში.

კომუნისტურ პარტიის მიერ ეროვნულ პოლიტიკაში სწორად აღებულმა გეზმა მშვიდობიანობა და ძმობა დაამყარა ამიერ-კავკასიის მრავალფეროვან ეროვნებათა შორის და მოსპო საშინელი შური და მტრობა.

ყველაფერ ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა არსებული წყობილების წინააღმდეგ განწყობილ მშრომელთა ფართე წრეებზე და აი ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ გასულ წელს ერთი მეორეზე დაიშალა საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე პარტიები. დაიშალა მუსავატისტური პარტია, დაშნაკელების ნაციონალისტური პარტია, მათ მიჰყვა საქართველოში კარგათ ძირ მომაგრებული მენშევიკური პარტია, რომელიც გასული წლის განმავლობაში სავსებით დაიქსაქსა.

მისი საუკეთესო ნაწილი მუშებისა და გლეხების სახით, რევოლიუციონური მასსა ხელ აღებით მოსცილდა ავანტიურებისა და უმიზნო ბრძოლების გზას, მიატოვა მენშევიკური პარტია და კომუნისტური წითელი დროშის ქვეშ შეაფარა თავი.

მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკურ პარტიის ნაშთები, ხალხი, რომელთაც არ სურდათ ანგარიში გაეწიათ რეალურ სინამდვილისათვის, რომელნიც ფანატიკური ჟინით გატაცებულნი, საშინელ ბრძოლას აწარმოებდენ ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი რიგები დღითი დღე მაგრდებოდა და ჩვენ ახალ ახალი რაზმები გვემატებოდა გამოუცხიზლებულ ამხანაგებისა.

უკანასკნელი სიმაგრეც კი, რომელიც არალეგალურ მენშევიკურ ცეკას შერჩენოდა, მეტეხის ციხის პატიმრები, ეს დასაყრდენობი ფუძე და იმედი, ისიც კი გამოეცალა მას ამ რამოდენიმე კვირის წინად.

დასასრული კი ამ უდიდეს რღვევის პროცესს მიეცა ყოფილ პარტიის ერთ-ერთი უდიდესი ხელმძღვანელის და ბელადის ამხ. სეით დევდარიანის უკანასკნელი განცხადებით.

მან საბოლოოთ მოჰკვეთა ბოლო იმასაც კი, რაც გადარჩა დაშლილი პარტიიდან კონფერენციების შემდეგ.

მისი მაღალი და ჩვეულებრივ გულწრფელობით თქმული სიტყვა იყო უკანასკნელი სულთათანა, რომლითაც მენშევიკურ პარტიის არ-

სებ ობას საბოლაოთ ჯვარი დაესვა. და დღეს მე 3-მე წლის თავზე, ჩვენ თამამათ შეგვიძლია უკვე ვსთქვათ: მენშევიკური პარტია აღარ არსებობს.

ეს საჩუქარი თამამათ შეგვიძლია ჩვენ მიუძღვნათ საქართველოს მშრომელ ხალხს.

შესწყდა უმიზნო უმნიშვნელო ბრძოლა მუშურ გლეხური ბატონობის წინაალმდეგ მშრომელთა რიგებში.

აღარ არის უკვე გამთიშველი, დამღუპველი ბრძოლა ძმათა ოჯახში.

მისი მთლიანობა აღდგენილია და მშრომელთა მთელი ოჯახი ხალისით და სიხარულით ეგებება მე-3-მე წლის თავს მუშურ გლეხური სახელმწიფოს არსებობისა.

მაგრამ დღეს ამ ზეიმისა და მხიარულების წუთებში, სევდის წვეთები, მაინც არ სცილდება გულს.

რამდენი მსხვერპლი გაიღო საქართველოს მშრომელმა ხალხმა, უმიზნო და უშინაარსო ბრძოლაში?

რამდენი ჯან-ღონით, ენერგიით სავსე ახალგაზრდა დაიღუპა აი თუნდაც იქ, ბრძოლის ველზე, ძმათა შეტაკების დროს?

რა უმიზნო, ტყვილა და ფუჭი იყო ის მსხვერპლი.

რომ ასე არა—ხომ თავიდგან ავიცილებდით მას და დღეს ჩვენი რიგები, მშრომელთა ლაშქარი კიდევ მეტი მტკიცე და მაგარი იქნებოდა.

საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავზე ჩვენ სევდით, მწუხარებით ვიგონებთ იმ დღეებს, როდესაც ძმათა შორის საშინელი სისხლის ღვრა გაიმართა და მშრომელთა სისხლი უმიზნოთ დაიღვარა ორივე მხარეს.

პატიოსან, პირდაპირ, თუმცა უმიზნო ბრძოლაში დაცემულ რევოლიუციონერთა საფლავის წინაშე, დღეს საერთო ზეიმისა და მხიარულების დღეს, გვმართებს მოვიხადოთ ქუდები.

დღევანდელ ზეიმს ერთი დიდი სევდა კიდევ თან სდევს და მხიარულ მშრომელის სახეზე მწუხარების ნაოჭებს ართავს.

დღეს საქართველოს გასაბჭოების მე-3-მე წლის თავზე ჩვენს რიგებში მებრძოლი პროლეტარიატის სათავეში, აღარ არის მისი ბელადი—ლენინი.

ის მოკვდა და ამიტომ ჩვენი ზეიმი დღეს გლოვის ფერებით არის გადასერილი.

ის მოკვდა—მაგრამ ჩვენი სევდა არ არის თავზარდამცემი შიში, გამოწვეული მომავალ ბრძოლების წინაშე.

ჩვენი სევდა არ არის—სიმხდალისა და დრეკის ნიშანი.

ჩვენი სევდა, გლოვის ნაოჭი, მხოლოდ დიდი ბელადის სიყვარულით, მისი დაკარგვის სიმძიმით გამოწვეული სევდაა...

სევდა, რომელიც აათკეცებს და ამტკიცებს ჩვენს რიგებს.

დღეს მე-3-მე წელი შესრულდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა.

და მე-3-მე წლის თავს ჩვენ მშრომელ ხალხთან ერთად ვდღესასწაულობთ.

აღარ არის ლენინი—მაგრამ მშრომელთა მთლიანი ოჯახი, აღდგენილი ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის ჟამს, ამიერიდან აღარ დაირღვევა.

კეკლუც, პატარა, მაგრამ თვალწარმტაც მომხიბლავ საქართველოს, საბჭოთა ხელისუფლების მე-3-მე წლის თავზე შეუძლია მისცეს ფიცი დიდ მასწავლებელს, რომ მისი მშრომელი ხალხი ამიერიდან ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლის საერთაშორისო რევოლიუციისაკენ პროლეტარიატთან ერთად.

ვ. ქოროშელი.

# 25 თებერვალი და მენშევიკური პარტია.

1917 წლის რევოლიუციის ბუნების გარკვევა შეიქნა ის საბედისწერო უღელტეხილი—სადაც ორი ღვიძლი პარტია ერთი საერთო მიზნის მქონე, სამუდამოთ გასცილდა ურთიერთს.

ერთი მათგანი მისდაუნებლიედ კლასიური მოწინაალმდეგეს ბანაკში მოექცა, ხოლო მეორე ფრთამ ერთხელ აღებული გეზით განაგრძო სვლა და თუმცა მრავალ ქარიშხალმა გადაიარა მის თავზე, მაგრამ მაინც უდრეკათ განაგრძობს გამარჯვების პოზიციების აღებას.

იმ თავითვე ორი რადიკალური შეხედულება დაუპირდაპირდა ერთიმეორეს რუსეთის რევოლიუციის საკითხში.

მენშევიკური პარტია სრულის შეგნებით ამტკიცებდა, რომ რუსეთის რევოლიუცია ბურჟუაზიული რევოლიუციაა, ხოლო ბოლშევიკური ფრთა ამხ. ლენინის მეთაურობით გაბედულად აყენებდა რუსეთის რევოლიუციას, როგორც სოციალისტურ რევოლიუციას.

დღეს, როდესაც ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს დავა საბოლოოდ გადაიჭრა რუსეთის სინამდვილეში—საკმაო მასალა დაგროვდა იმისათვის, რომ გამორკვეულიყო იქნას თუ რომელი შეხედულება შეეთანხმება ისტორიულ აუცილებლობას.

ბურჟუაზიული რევოლიუციის ხასიათი განისაზღვრება იმ როლითა და ამოცანით, რომელსაც ბურჟუაზია ასრულებს. 1917 წ. რევოლიუციის დროს რაიმე დადებითი როლზე ლაპარაკი ბურჟუაზიის მხრივ ყოვლად შეუძლებელი იყო, ვინაიდან რევოლიუცია ეს ბურჟუაზიის დაღუპვაა და ამიტომ სრულიად ბუნებრივად მისი დამოკიდებულება რევოლიუციისადმი უნდა ყოფილიყო რეაქციონური. თუ ბურჟუაზიული რევოლიუციის მიზანი არის—ძალა-უფლების ამ უკანასკნელისათვის გადაცემა, ასეთი რამ რუსეთში შეუძლებელი იყო, ვინაიდან იგი უკვე იყო მის ხელში. ცნობილია მე 19 საუკუნე არის ბურჟუაზიის სრული ბატონობის ეპოქა.

ამნაირად ბურჟუაზია ძალა-უფლების გადაცემას არ საჭიროებდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, ყოველგან წარმოადგენდა არსებითად გაბატონებულ კლასს და თუ რუსეთის რევოლიუციამ წამოაყენა საკითხი ძალა-უფლების აღების შესახებ—ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ შეუძლებელი იყო სხვა კლასი, როგორც მმართველი, თუ არა პროლეტარიატი, რომლის გაბატონების ხანა ობიექტიურად ყოველგან უკვე მომწიფებულია.

ამნაირად ერთადერთი კლასი, რომელიც კანონიერ მემკვიდრეს წარმოადგენდა რუსეთის რევოლიუციისას, იყო პროლეტარიატი და ამდენად რუსეთის რევოლიუცია უპირველესად იყო პროლეტარული რევოლიუცია.

დღიდან რუსეთის რევოლიუციისა ბურჟუაზია ასრულებდა და ასრულებს რეაქციონურ როლს და ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ რუსეთის რევოლიუცია ანტიბურჟუაზიულია. სრულიად ბუნებრივია, როცა შემცდარი ანალიზიდან შემცდარ დასკვნამდე მივდივართ.

ჩვენმა ხელმძღვანელებმა დასახეს რა რუსეთის რევოლიუცია ბურჟუაზიულ რევოლიუციად აქედან მთელი რიგი ყალბი დებულებები შექმნეს. ერთი უმთავრესი პრინციპი, რომელიც ჩვენ გვახასიათებდა, იყო კლასთა კოალიციის დაცვა. ჩვენი გაგებით ბურჟუაზიის როლი პროგრესიულია და ამიტომ მისი თანამშრომლობა საჭირო და აუცილებელია. როდზიანკოსა და ჩხეიძის რევოლიუცია არსებითად ლიბერალური იყო სადაც გუჩკოვები და კომპ. არ ხედავდენ რაიმე აღმშფოთებელს, რადგან დარწმუნებული იყვენ რევოლიუციის ავტორებს არ ქონდათ განზრახული რაიმე ღრმა სერიოზული სოციალური რეფორმების გატარება. ამიტომ სრულის კმაყოფილებით აცხადებდა გუჩკოვი, რომ ძველი რეჟიმს ქვეყანა მიყავდა დანგრევისკენ და ამიტომ მისი შეცვლა რაგინდ მსხვერპლი არ მოყოლოდა, იყო სამშობლოს ხსნა და გადარჩენაო. და ცხიერად აცხადებდა-ამიტომ გავხდი მეც რევოლიუციონერიო.

დღეს, როცა იგონებ ყოველივე წარსულს, როცა ითვალისწინებ ამ საბედისწერო შეცდომებს, რაიც დაუშვა მენშევიკურმა პარტიამ, გიკვირს: რამ დააბრმავა ეს ხალხი ისე, რომ გუჩკოვების რევოლიუციონერობა სწამდა და ჯეროდათ.

რამდენად გუჩკოვები და როდზიანკოვები და მათი დამატება ჩხეიძე—წერეთლები იყვნენ რუსეთის ისტორიულ სინამდვილეში შემცდარი პოლიტიკის მატარებელი, ამდენად მათი დამარცხება ოქტომბერში იყო უაღრესად პროგრესიული მოვლენა, რომელმაც ახალი ეპოქა შექმნა არა მარტო რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ მთელს მსოფლიოში.

პირველად მსოფლიო ისტორიაში გასკდა სოციალისტური რევოლიუციის მეხი, რომელმაც მძლავრად იატორტმანა არა მარტო დასავლეთი, არამედ საუკუნოების განმავლობაში ზანტად მთვლემარე აღმოსავლეთიც.

პირველად ჩინეთში და ინდოეთში ეზიარეს კაცობრიობის განმათავისუფლებელ ბრძოლას. რუსეთის საშვალებით, რომელიც მიჯნაა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის—კაცობრიობა პოულობს ერთ მთლიან ენას მსოფლიოს განთავისუფლებისას, მისი უდიდესი და ისტორიული მტერის კაპიტალიზმისგან.

კაცობრიობის წინაშე ნათლად დაისახა ორი შესაძლებლობა ან ძველის გზით სვლა, რომელსაც ახასიათებს განუწყვეტელი ჩაგვრა-ექსპლოატაცია-ომები, ან და შექმნა ისეთი პირობების, სადაც ობიექტიურად არ არსებობს წინამგზავრები ურთიერთ შეჯახებასა.

ოქტომბრის რევოლიუციამ გამოხმაურება ჰპოვა მთელ რიგ ქვეყნებში, როგორიც იყო გერმანიაში, უნგრეთში, იტალიაში და სხვა, მართალია პირველ ორ სახელმწიფოში რევო-

ლიუციამ განიცადა სასტიკი დამარცხება—მაგრამ ვერვინ იტყვის ადგილობრივი პროლეტარიატი ყოველ დღე არ ემზადებოდეს უფრო მეტის ინტენსიობით ახალი რევოლიუციის მოსახდენათ. ამნაირად კაცობრიობა ოქტომბრის რევოლიუციით შევიდა სოციალისტურ რევოლიუციების ციკლში.

ბურჟუაზიული პოლიტიკოსები მიხვდენ, რომ კაპიტალიზმი უახლოვდება თავის დასასრულს და ბევრი მათგანი თუმცა შიშით, მაგრამ მაინც გულახდილად აცხადებენ სოციალისტურ რევოლიუციების ეპოქის დაწყებას.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი სოციალური წყობილებისათვის ობიექტიურად ნიადაგი მზათ არის, ხოლო სუბიექტიურად მსოფლიოს ერთ მეექვსედს ხელთ უპყრავს განმათავისუფლებელი მახვილი.

ამიტომ გასაგებია ბურჟუაზიის შიში და გოდება. 25 თებერვალი ერთი მომენტია რევოლიუციონური აქტების, რომელმაც ლამაზი კოლხიდა მოაქცია რევოლიუციონურ ორბიტში.

აკ. კ—ძე.

# 25 თებერვალი.

ორშაბათს 1924 წელს საქართველოს ყველა პატიოსანი მუშა და გლეხი. ყველა კუთხე დიდი ზეიმით და აღფრთოვანებით იდღესასწაულებს საქართველოს სამი წლის გასაბჭოებას...

25 თებერვალი ეს რევოლიუციის განმტკიცების დღეა ქართველ მშრომელ ხალხისათვის...

25 თებერვალი ეს მუშათა და გლეხთა დიქტატურის გამარჯვების დღეა, შრომის გამეფებისა და გაბედული ნაბიჯით სოციალიზმისკენ წინსვლის დღეა.

25 თებერვალს უნებლიეთ გათიშული საქართველოს პროლეტარიატი პირველად გაერთიანებული გამოდის ამ დღესასწაულის აღსანიშნავად და თავისი სიმტკიცით. მწყობრი დისციპლინით და შეგნებით გულს შეუშფოთებს უაზროთ მოხეტიალე ბურჟუაზიას...

ჩვენც დიდი სიხარულით ვდღესასწაულობთ ამ მშრომელი ხალხის დიად დღესასწაულს.

თუ აქამდე ეს დღე, ვითომ „გლოვის" დღე იყო ჩვენთვის, დღეს ყველას გასაგონათ გავიძახით: „ეს დღე საქართველოს მშრომელი ხალხის დღეა" და ყველა დღეებზე უფრო სიყვარულით გულში ვიხუტებთ.

და თუ აქამდე მხოლოდ ბოიკოტით და სხვა პროვოკაციული ჭორებით-ჟინიანობით და თავმოყვარეობის გამო ხელს უშლიდით ამ დღესასწაულის ღირსეულად ჩატარებას, დღეს სრულებით შეგნებულად განწმენდილ ყოველგვარი ჯიუტობა მერყეობიდან, ბურუსიდან ნათლად გამოსული, მთელი ჩვენი ენერგიით, სიმტკიცით, თავდადებით, წარსული რევოლიუციონური გამოცდილებით, წითელ დროშებით გამოვდივართ ჩვენ ამხანაგებთან გაერთიანებული და მთელი გრძნობით ფიცს ვდებთ ამ რევოლიუციონურ დღის განმტკიცებისთვის მთელ ქვეყანაზე დავლიოთ სული.

ილიკო ჯუღელი.

# ალლუმი.

სმენა...
მარცხნით სწორება...
იარაღით სალამი.
იწყო დენა...
გარება...
წითლად ელავს ალამი.
მოსჩანს ათასეული... კიდევ ბევრი... მრავალი.
გამარჯვება ზეიმობს—და მოდის კარნავალი.
აქ დღეს ყველა ერთია—ერთი უამრავია.
ჯერ მსოფლიოს არ ახსოვს ასეთი ამბავია.
ბრძოლის ველზე ყიჟინებს და ალლუმზე ჩუმია.
მარშმა აამოძრავა ქანდაკება, მუმია.
ვინც გაბედავს აღუდგეს მათ ბრძოლის მღელვარებას
—თითონ ნახავს თვის ხელით თავის დასამარებას.

მიწა მზისა გარშემო ექვსჯერ შემოტრიალდა.
უკუნეთის მსოფლიოს მეექვსედი მოაკვდა.
მიწის ღერძი ხიშტია, ზედ სიცოცხლე ტრიალებს.,
შრომის დროშას მწვერვალზე ხიშტი აფრიალებს.

მეომარი—
მხედარი
ბრძოლის ჟინით
ყიჟინით
კვლავ აიღებს ხმალს, თოფსა
და კვლავს ექვსჯერ რომ მიწა შემოურბენს მნათობსა
—მაშინ ქვეყნის ხუთ ნაწილს სიცოცხლეს აზიარებს
და თორმეტი წლის ნადავლს ყველას გაუზიარებს.

სმენა.
ცეცხლი ქვემეხის შავ ყორნების ქვეყანას.
გაწვიმება ტყვიების, ტყვისმფრქვეველის, შაშხანის...

იჰრ...
მარცხნით სწორება...
რიგებში ინტერნვალი.

იარ...
მძიმე ნაბიჯი.
მაღლა ხიშტი და თვალი.

იარ...
ჩქარი სირბილით დაიპყარით მწვერვალი.
სმენა...
მარცხნით სწორებ…
იარაღით სალამი.

იწყო დენა...
გარება...
წითლათ ელავს ალამი.
მოსჩანს ათასეული... კიდევ ბევრი... მრავალი
გამარჯვება ზეიმობს და მოდის კარნავალი.

გაროლდი.

# მომავალი ყრილობა.

სრულიად საქართველოს ს. დ. მუშათა პარტიის სალიკვიდაციო ყრილობის ლოზუნგები არ დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსაშინა".

რუსეთის მთელ რიგ მაზრებში, უკრაინაში და მრავალ მუშათა ცენტრებში უკვე დამთავრდა სალიკვიდაციო ყრილობები.

ჯერი მიდგა სრულიად საკავშირო ყრილობაზე, რომელიც, ალბად, გაზაფხულზე შესდგება.

ამ ყრილობამ, რომელსაც ექნება დიდი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა, უნდა დაადასტუროს ის დადგენილებანი, რაც გამოტანილ იქნა სხვადასხვა კუთხეების კონფერენციებზე და ყრილობებზე.

ამ ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს ის საპირბოროტო საკითხი, რომელიც ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობიდან დაწყებული, თიშავდა, ყოფდა ორ ბანაკად, ქსაქსავდა მუშათა კლასს და ამნაირად ასუსტებდა რევოლიუციას.

წინეთ თავსამტვრევი საკითხი პროლეტარიატის როლის შესახებ რუსეთის რევოლიუციაში უკვე გადაწყვიტა თვით პრაქტიკამ, თვით რევოლიუციის ძლევამოსილმა მსვლელობამ.

პროლეტარიატი გამოვიდა გეგემონად, პროლეტარიატმა გადაიტანა თავის ზურგზე რევოლიუციის მთელი სიმძიმე, მან აიღო ხელში

დიქტატურა და კიდეც შესძლო ამ დიქტატურის პოზიციებზე გამაგრება.

სხვა გზა არ იყო.

სხვა მიმართულებით ჩვენი რევოლიუცია ან სრულიად დამარცხდებოდა, ან დამთავრდებოდა ისე, როგორც 1848 წლის რევოლიუცია, რომელიც მოგვცემდა მხოლოდ ზოგიერთ რეფორმებს, გათავდებოდა კომპრომისებით და ნაყოფი რევოლიუციონური ბრძოლისა, ნაყოფი ბრძოლის ველზე მუშების მიერ დაღვრილი სისხლისა დარჩებოდა ბურჟუაზიას, ე. ი. განმეორდებოდა ის, რაც 1848 წელს განმეორდა მთელ რიგ ქვეყნებში.

ეს თეორეტიული ბრძოლა დამთავრდა რევოლიუციის პოზიციებზე ბოლშევიკების გამარჯვებით.

თუ ეს გამარჯვება ვინმეს ოქტომბრის და შემდეგ დღეებში არ სჯეროდა, დღეს უკვე ყველასთვის აშკარა ფაქტია.

ამიტომ მომავალი სალიკვიდაციო ყრილობა ყოველგვარ ჯიუტობისა და სულელურ თავმოყვარეობის გარეშე, რაც ასე დასჩემდა ზოგიერთ მენშევიკებს, აშკარად, ხმამაღლა, ყველასთვის გასაგონად იტყვის თავის სიტყვას და სამართლიანად შეაფასებს ჩვენს რევოლიუციას და მის მიერ გავლილ ეტაპებს.

თეორიული კამათი, პარტიის მეორე ყრილობიდან დაწყებული და შემდეგ უთანხმოება, ბრძოლა პრაქტიკულ ნაბიჯებში თებერვლის რევოლიუციიდან, ისტორიამ ინება გადაეწყვიტა ბოლშევიზმის სასარგებლოდ.

და დღეს მომავალ ყრილობას დარჩა მხოლოთ დადასტურება იმისი, რაც ფაქტიურად მოხდა, და მოწოდება პროლეტარიატის მთლიანი ოჯახის გაერთიანებისაკენ კომინტერნის დროშის ქვეშ.

**პლებეი.**

# გოგიტა ფაღავა.

ალექსანდროვის ქუჩაზე, № 41 შეიპყრეს გოგიტა ფაღავა...

ასე გვამცნო ამ რამდენიმე დღის წინად გაზეთებმა.

გოგიტა ფაღავას იზოლიაცია დიდი დასაკლისია იმ რამდენიმე მენშევიკისთვის, რომლებიც არა მკითხე ცეკაში არიან მოკალათებულნი და მხოლოთ ავანტიურაზე ფიქრობენ.

ავანტიურისტთა ჯგუფს გამოაკლდა ნ. ხომერიკის შემდეგ ერთი თვალსაჩინო და აქტიური წევრი.

საზოგადოებრივი აზრი ბევრ ბრალდებას უყენებს გოგიტა ფაღავას.

მას აბრალებენ სამხედრო და ტერორისტული ორგანიზაციების ხელმძღვანელობას.

მას ბრალდება ბენდელიანის მოკვლის განზრახვა, იმ ბენდელიანის, რომელიც ერთხელ გადუდგა მენშევიკურ ცეკას, მაგრამ შერმეთ დაშინებული გოგიტა ფაღავას რევოლვერით, ისევ გარბის არალეგალურ ცეკასკენ და საზღვარ-გარეთ გადაგზავნილი, ჰორებს ათავსებს „ჩვენ ერთობაში".

გოგიტა ფაღავას აბრალებს საზოგადოებრივი აზრი ილარიონ გიორგაძის მოკვლის მოწყობასაც.

მას ბრალდება კიდევ ბევრი სხვა სისხლის სამართლის საქმეები.

ავანტიურის გზაზე დამდგარი ცეკა, სადაც უმთავრეს მომქმედი პირები იყვნენ ნ. ხომერიკი და გოგიტა ფაღავა, დღეს თავის რიგებში ველარ სთვლის ამ ორ უმთავრეს პერსონას.

და ამნაირად წახდა ავანტიურისტული ცეკას ანსამბლი.

არალეგალური ცეკა მახვილ ჩაცემულია დღეს.

ის განადგურდა როგორც ფიზიკურად, ისე მორალურათაც.

უმთავრესი მახვილი, სასიკვდილო მახვილი მას ჩასცეს სწორეთ იმ პირებმა, ვისზედაც ის ემყარებოდა, ვისი იმედითაც ცოცხალი იყო ცეკას ავანტიურისტული ხელი.

ის ფაქტები, რაც ცეკას მოღვაწეობიდან გამოქვეყნდა, აშკარად ამტკიცებს ყველასათვის, თუ რა საშინელი ფიზიონომია ქონია იმ პარტიას, რომლითაც ერთხელ ვამაყობდით.

ვფიქრობ, ეს მასალები მხოლოთ მეასედი ნაწილია, იმისი, რასაც ფაქტიურად ადგილი ქონდა მენშევიკურ ცეკაში.

ალბად, კიდევ გამოქვეყნდება მასალები, რომელიც გაუფანტავს უკანასკნელ სიმპატიასაც კი ყველა იმათ, ვისაც ჯერ კიდევ სწამს, რომ მენშევიკურ ცეკას ხაზი სწორია.

**ნაცნობი.**

# წერილი მეგობარს

(ბ-ს)

არ გაგაკვირვოთ ამ წერილმა. თვეზე უწინ მინდოდა ეს დამეწერა, მაგრამ დრო არ მქონდა.

არის კი საჭირო ეს წერილი?—არის. ქვემოთ ნახავთ თუ რატომ ადამიანთა დამოკიდებულებაში საჭიროა გამბედაობა და გულწრფელობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთს საქმეს ვემსახურებით, ერთი საქმე გვაერთიანებს, გვაინტერესებს, ჩვენ ყოველდღე ერთმანეთს ვხვდებით, ხელს ვართმევთ ერთმანეთს, ვუცინით ერთმანეთს. აბა ჩალის ფასი არ ექნება ჩვენს დამოკიდებულებას თუ ტუჩებზე ღიმილი გვაქვს. ხოლო გულში უნდობლობა და... მტრობა-სიძულვილი?

მე თქვენ გძულვართ, მე ამას ვგრძნობ. ხოლო ზრდილობა რომ ნებას არ გაძლევთ ეს სიძულვილი ფორმაში ჩამოაყალიბოთ, (მაგალითად-სულაც არ მითხრათ გამარჯვება) ამასაც ვხედავ. ვხედავ და მსურს ამ წერილით თქვენც დაინახოთ ის, რისი დანახვაც ან არ გინდათ, ან გაურბით ჩემი და საერთოდ ჩვენი ცხოვრების და მოვლენათა ლოღიკას.

თქვენ სამჯერ მითხარით ის, რაც, ალბათ, გაცილებით სამჯერ მეტს გაწუხებთ. ერთხელ მითხარით:

— თქვენზე შეხედულება შევიცვალე... ერთხელ გატეხილი გული არ გამთელდებაო.

მეორეთ ასე იყო, სეით დევდარიანის წერილს ვკითხულობდი. თქვენ დაიწყეთ ლაპარაკი: სეით დევდარიანის похождение-ბზე, მოღალატეობაზე. თქვენ ასე სთქვით: „мне стыдно, что я грузинка" და სხვა. ამ დროს თქვენი სიტყვებიდან სიტყვა „მოღალატე" უშუალოთ მე მიძღვენით. მე არაგიპასუხეთ რა. ხომ გახსოვთ ეს?

მესამეთ, თქვენ მითხარით:

— კბილებით დაგგლეჯთ ყველასო...

და, აი, ამ უკანასკნელმა სიტყვებმა დამაწერინეს ეს წერილი. მინდა გიამბოთ მოკლეთ, თუ რატომ გავხდი „მოღალატე" და „კბილებით დასაგლეჯი". გიამბობთ მოკლეთ, სულ მოკლეთ, ჩემს წარსულს. ხოლო რაც შეეხება ჩემი (და დევდარიანის) „მოღალატეობის" პოლიტიკურ-იდეოლოგიურ გამართლებას, ამას თქვენ ჩვენი სტატიებიდან დაინახავდით. დარწმუნებული ვარ წაიკითხავდით ჩემს წერილებს. აბა როგორ ვიფიქრო კულტურულმა ადამიანმა მსჯავრი ისე გამოიტანოს, რომ საბუთებს არ გაეცნოს? ეს ასეა და ყური მიგდეთ რას გეტყვით.

ჩემს წარსულს ვიგონებ. ტანჯვით და ცრემლით გაზრდილი ვარ, მეგობარო, 13 წლისა ვიყავი, როდესაც დუქანში მიმაბარეს. დღეში ორი შაური მეძლეოდა. შაურის პურით ვცხოვრობდი, ხოლო მეორე შაურს ვინახავდი, ხაზეინს რომ არ ენახა, ეს შეკრებილი შაურები და არ ეფიქრა, თითქოს მე ეს მას მოვპარე— ამ შაურებს მჩვარში ვახვევდი და მიწაში ვინახავდი. კვირიდან კვირამდე ექვს შაურს შევკრებდი. ბაზარში წავიდოდი და წიგნებს ვიყიდდი. ზ. ჭიჭინაძის წიგნაკებმა საქართველო შემაყვარეს, ხოლო ლიბკნეხტის წიგნმა: „Паучки и мухи" მუშა ხალხი შემაყვარა. ანტონ განჯის-კარელის ლექსებმა მეფე შემაძულეს. ერთხელ, კვირა დღეს ერთი მუშა დაეჭირათ, ასასები მას ხმლითა სცემდნენ, მარცხენა მკლავიდან სისხლი წასკდა და ერთი კუნთიც ხმლით მოჭრილი მკლავს დაეკიდა.

აჰა, მცემეთ, მომკალით, მაინც გეტყვით „პადლეცები" ხართო,—ზიზღით ეუბნებოდა მუშა.

— მაგრათ, ბიჭებო!—აქეზებდა ბოქაულის თანაშემწე. ეს იყო კვირა დღეს. წირვა გამოსული იყო, მხოლოთ ხალხი ეკლესიიდან ბრუნდებოდა. ყველა ხედავდა ამას და ყველა თავისი გზით მიდიოდა, ჩამოიარა მღვდელმაც, სალამი მისცა ბოქაულს და... წავიდა.

მე ვუყურებდი ამას. მუშა რომ ცემით დაქანცეს და სიარული რომ ვერ შესძლო, წაათრიეს სადღაც და იმ დღეს მე შემძულდა მღვდელი და ბოქაულის თანაშემწე და შემიყვარდა მუშა.

წიგნების კითხვის გამო ხაზეინმა დამითხოვა. მაშინ დავიწყე ქუჩებში გაზეთების ტარება, ფეხშიშველა დავრბოდი, დავკიოდი გაზეთების სახელებს. ხშირათ, დილაობით, სასწავლებლებში მიმავალ მოწაფეებს ვუყურებდი და ვნატრობდი: ახ, ნეტავი მეც ვიყო მათსავით ბედნიერი მეთქი. ხშირათ მიფიქრია რატომ მე არ უნდა ვიარებოდე სასწავლებელში მეთქი. გადავსწყვიტე ერთხელ ბედი მეცადა. ერთმა ნათესავმა ქალმა მითხრა—ბინას მე მოგცემ თუ სკოლაში მიგიღებენო. წავედი ერთ მასწავლებელთან. მივუტანე ჩემი ლექსთა კრებული და ჩემი რვეული მოვახსენე. თვალებში შემომხედა და, მახსოვს სთქვა: რაღაც ცეცხლი არის შიითო. მომაწყო სასწავლებელში. მაგრამ წიგნები არა მქონდა. გამახსენდა სადღაც წამიკითხავს წითელ ყდიან წიგნაკში—

მუშებს ყველასათვის კარგი სურსო. ავდექ და ფოთის გადამტვირთველ მუშებთან მიველი. შაბაშის დროს პურის ფქვილიან ტომრებზე შევდექი და სიტყვით მივმართე. მუშებმა გაიცინეს, ტაში დამიკრეს და 25 მანეთი მაჩუქეს. ისე გამეხარდა, რომ ავტირდი (ახლაც, როცა ამას ვწერ, თვალები ამიცრემლდა), ზღვის პირისკენ გავექანე. ქვაზე ჩამოვჯექ და იქიდან ვუყურებდი ჩემს მოკეთე მუშებს, ვეებერთელა ტომრებს ზურგით რომ ეზიდებოდენ.

იმ დღეს შევფიცე ჩემს თავს: როცა გავიზრდები, უეჭველათ მუშებისათვის ვიშრომებ მეთქი. და თუ მე დღეს ყველა სხვას ინტერესებს მუშების ინტერესებს ვანაცვალებ, განა გასაკვირია? დე, გაგიტყდეთ ჩემზე გული, მხოლოდ ჩემი გული არ გატყდეს მუშებზე!..

რამდენიმე ხნის შემდეგ სწავლის ფულის შეტანა მომთხოვეს, სად მეშოვა? ისევ მუშებთან მისვლა შემრცხვა და მიველი ერთი მდიდარ მწარმოებელთან. როცა გაიგო მისვლის მიზეზი დამიყვირა:

— **Убирайтесь отсюда! надоели мне эти бедняки-то.**

საშინელი შეურაცყოფა ვიგრძენი. ავკანკალდი, გავვარდი კარში. იმ დღეიდან შემძულდა მდიდრები. მაშინ სიტყვა მივეცი ჩემს თავს: გავიზრდები, სულ მდიდრების მტერი ვიქნები მეთქი.

და რათ გიკვირთ დღეს, თუ ასე მეჯავრება ბურჟუაზია? განა იმისათვის ვარ „მოღალატე", რომ მინდა წაიქცეს, დასამარდეს ბურჟუაზია? თუ ამისთვის, მაშინ შუბლზე დავიწერ ამ სიტყვას. არ შემრცხვება, არა!

სიტყვას არ გავაგრძელებ წარსულის მოგონებით. მხოლოთ ერთს ფურცელს კიდევ გადაგიშლით ჩემი წარსულის წიგნიდან. მე ამ ფურცელს ძალიან იშვიათად ვუჩვენებ სხვას. ის ჩემი სისხლით არის დაწერილი და ამიტომ მიყვარს ის.

სამოქალაქო ომში მონაწილეობას ვღებულობდი. დენიკინელებმა დაგვამარცხეს. ირგვლივ შემოგვერტყენ.

მე უფროსობდი ჯარის იმ ნაწილს, რომელსაც ალყის შემორტყამდე ებრძანა: რითაც არ დაგიჯდეთ საშუალება მიეცით მთავარ ძალებს სამშვიდობოს გაიდენო. მე მოვაგონე ამხანაგებს ეს ბრძანება და მოვუწოდე გმირულ სიკვდილისკენ. ჩემი ჯარის უმრავლესობა ხარკოველი და ლუგანელი მუშებისაგან შესდგებოდა. შევსძახეთ ვაშა და ვეკვეთეთ მტერს. ხოლო მტერმა ახლოს არ მიგვიშვა. დაგვიშინა ყუმბარები და ტყვიის მფრქვევლები და ამოგვხოცა. ოთხმა ამხანაგმა მოასწრეს ჩემი ტყეში შეთრევა—მე მძიმეთ დაჭრილი ვიყავი. ტყეში გრძნობა დამეკარგა, ყორნები დამხვეოდა და ერთმა რომ ნისკარტი ჩამკრა თავში, თვალები გავახილე, უნდა გითხრათ, სამოქალაქო ომის დროს ჩვენ მუდამ ყორნები დაგვსდევდა უკან. (ზაფხული იყო) დახოცილთა დასაფლავების დრო ვის ქონდა და ყორნები კორტნიდენ მათ. გონს რომ მოვედი, თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ ამხანაგებს რევოლვერი გადაეგდოთ. ჩვენ კი თავის მოკვლას იმიტომ ვარჩევდით, რომ დენიკინელები ტყვეებს აწამებდენ, საშინლათ აწამებდენ. მაგალითად, იყო შემთხვევა, რომ ერთს ამხანაგს კანი გაუჭრეს და შიგ მარილი ჩაყარეს. რაინდობა კი არ იწვევდა, მაშასადამე, თავის მოკვლას. მაშინ მე შევიხსენი სარტყელი, მოვიბი ყელზე და მოვიჭირე, მაგრამ ძალა დამკარგვოდა, ვერ დავიხრჩვე თავი. თითები ჩავუჭირე ყელს, ვერც ამან მიშველა, სისხლისგან ვიცლებოდი და ღონე არა მქონდა. საშინლათ მომწყუროდა. პირში თითქოს გახურებული თონე მქონდა. იცით რა ვქენი? ჩემი სისხლი დავაგროვე ხელში და პირი დავისოლე. მეძნელება ყველაფრის მოგონება. იმით დავამთავრებ, რომ მიპოვეს. მათრიეს მიწაზე. ტანისამოსი გამხადეს. კედელზე მიმაყენეს დასახვრეტათ, წავიქეცი. უხეშათ ამათრიეს, ისევ მიმაყენეს. ოთხი საათის განმავლობაში მაწამეს. იცით რამ მიხსნა? როდესაც გაიგო ერთმა ჯარისკაცმა, რომ მე ქართველი ვარ, უთხრა ამხანაგებს:—ქართველები კარგი ხალხია. მე ტფილისში ბევრი პურ-ღვინო მიჭამია მათთან. ეგებ არაა ბოლშევიკი (არც ვიყავი), გადავსცეთ საველე სასამართლოსო.

მას დაუჯერეს და გლეხებს გადასცეს ჩემი თავი. სულ ამ ამბავმა ოთხი საათი გასტანა. ღამით გლეხებმა მომიპარეს და სამშვიდობოს გამიყვანეს.

და, აი, ახლა, როდესაც თქვენ მეუბნებით: კბილებით დასაგლეჯი ხართ ყველანიო,—მე მაგონდება ეს პატარა ამბავი ჩემი რევოლიუციონური ცხოვრებიდან და ვფიქრობ თუ იმდენ გლეჯასა და წამებას გავუძელი, თქვენს კბილებსაც გავუძლებ. გავუძლებ, მეგობარო ჩვენ, რევოლიუციონერებს ვერავისი კბილები ვერ შეგვაშინებს. მე ცხოვრებამ გამხადა სოციალისტი და რევოლიუციონერი. ცხოვრებაში კი მუდამ ვხედავდი, რომ მუშებს კბილებით გლეჯდენ მართლაც. ჩვენ ვიცით, რომ თუ დავმარცხდით, მაშინ ძაღლების კბილებთ დაგლეჯინებენ ჩვენს თავს და განა მარტო ჩვენს? თქვენც ხომ სოციალისტს უწოდებს თქვენს თავს და მაშინ ჩვენს ტაფაში თქვენც მოიხრაკებით. გაათრთებული რეაქცია არც თქვენ დაგინდობთ. მისი კბილები მართლაც საშინელი იქნება. როდესაც პარიზის კომუნა დამარცხდა პარიზის ბურჟუაზიის ქალები დახვრეტილ და დახოცილ კოხუნარებს ეძებდენ, მოვიდოდენ და ჭრილობებში ქოლგის წვერებით და ჯოხებით იჩიჩქნებოდნენ. ჩვენ ეს ვიცით. ჩვენი ძალა იმაშია, რომ ჩვენ, ქართველმა რევოლიუციონერებმა, ჩვენს ტყავზე გამოვცადეთ ძველი ცხოვრების სათავე და როსკიპობა და გვინდა ჩვენც გაგვიცინოს ცხოვრების მზემ. ორი სამი მაგალითი, რომელიც მე მოგიყვანეთ ჩემი წარსულიდან, წვეთია იმ ცრემლისა და სისხლის ზღვაში, რომელიც ჩვენ საუკეთესო მერმისისთვის დაგვიქცევია. გძულხართ? განზე დგებით? რა ვუყოთ, მეგობარო! მხოლოთ გახსოვდეთ ერთი: ჩვენ ვიბრძვით, შეიძლება აქტიურნი მებრძოლნი ჭონქაძის ზურაბის როლში ჩაგვაყენოს ბედმა (რევოლიუციასაც აქვს თავისი სურამის ციხე რომ რევოლიუციონური კედლები გამაგრდეს. მაშინ თქვენ და თქვენისთანები უზრუნველ ყოფილნი იქნებით რევოლიუციონური ციხის კედლებში. და ის რწმენა, რომ თქვენ მაშინ მოგაგონდებით და გაამართლებთ ჩვენ გზას, ჩვენს მსხვერპლს, ჩვენს „მოღალატეობას", გვამაგრებს, გვაძლევს საშუალებას და ძალას ავიტანოთთ დღეს თქვენი დაცინვაც, სიძულვილიც, ზიზღიც.

ეკლიანია ჩვენი გზა, სისხლი გვდის ამ გზაზე სიარულით. მაგრამ რა ვქნათ! „ვარდი უეკლოთ არავის მოუკრეფია?..

ჩვენ, რევოლიუციონერები, მუდამ სადგურზე ვსცხოვრობდით. აი, საცაა, დაჰკრავს მესამე ზარი; დაინგრევა რევოლიუციის მატარებელი. სად წაგვიყვანს, სად? სად არის დასვენების სადგური? სად შეაჩერებს მემანქანე ჩვენს მატარებელს? ან როდის? სანამ უნდა ვიცხოვროთ სადგურზე და ველოდეთ მესამე ზარს? კიდევ გრძელი მანძილია საბოლოო სადგურამდე?

ჩვენ გვგონია, მეგობარო, რომ ოქტომბერმა ჩამოკრა მესამე ზარი; რომ საბჭოთა სისტემაა ის მატარებელი, რომელსაც მეიყვავართ დასასვენ სადგურამდე; რომ პროლეტარიატის დიქტატურა გვიმოკლებს გასავლელ მანძილს.

და სასტიკათ მოვეპყრობით მათ, ვინც ლიანდაგს გაგვიფუჭებს ჩვენი მატარებლის ხრამში გადასაჩეხათ.

რ. ქორქია.

# ძვირფასი თებერვალი

რიცხვი: ცამეტი და ოცდახუთი.
წვიმა. ქარები. ყინვა და თოვა.
გაშავებული მწუხარე წუთი
და საოცარი ლანდების გროვა.
სინამდვილეში: ყალბი საბუთი.
ფიქრი: წარსული უთუოდ მოვა.

—

დადგა სალამო—ნიშანი ცოდვის.
და თებერვალი აღარ იწამა.
ხსნა და საშველი კიდევ არ მოდის,
სულში კი რღვევა შემოიპარა.
გაისმა წყევა ლამაზი მოლის:
არ მინდა სისხლი არა და არა.

—

მორჩა ქაოსი. უკუღმა ბრუნვა.
შეირყა ლოცვა და ძველი ყორე.
მოთმინებაში აწ აღარ სდუმდა,
გადაისროლა ლოზუნგი სწორედ.
ამაყ სიცოცხლეს კვლავ დაუბრუნდა—
ჩვენი შეცდომა, კვლავ გავასწორეთ.

—

აწ თებერვალო! მოვიდეს თუნდაც
მრისხანე შავი ძალა მეორე.
ჭალარა რაზმი აქ ვართ, აქ უნდა.
მას სამარეში გადავაგორებთ.
ამაყ სიცოცხლეს კვლავ დაუბრუნდა—
ჩვენი შეცდომა, ჩვენ გავასწორეთ.

ჭაგნელი ბზიკი.

# დიდი ბრიტანეთის მენშევიკური მთავრობა.

(წერილი მოსკოვიდან).

პირველი საერთაშორისო მნიშვნელობის ნაბიჯი ინგლისის მუშათა მთავრობამ საბჭოთა კავშირის de iure-თ ცნობაში გამოხატა. მაგრამ

ვინ არ იცის, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოების თანამედროვე პირობებში, როცა ალებმიცემობა უაღრესად განვითარებულია და ცალკე სახელმწიფოს ბედი, რაც უნდა ძლიერი იყვეს ის, მჭიდროთ არის გადაჯაჭული სხვა სახელმწიფოთა ეკონომიურ ურთიერთობასთან, ნორმალური დამოკიდებულება სახელმწიფოთა შორის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სანამ საბჭოთა კავშირი იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომით მიყენებულ იარებს მოიშუშებდა, სანამ მისი პურის ბეღლები ცარიელი იყო მოუსავლობის და სხვა მიზეზების გამო, საბჭოთა კავშირს გენუები და ჰააგები ახსოვს. შეიარაღებული ინტერვენციის ფრონტზე დამარცხებული ევროპის ბურჟუაზია, ეკონომიურ ფრონტზე უპირობდა დაჩოქებას ოქტომბრის რევოლიუციას. მაგრამ საკმარისი შეიქნა ერთი, ან ორი წლის ნორმალური მოსავალი, რუსეთის პურის უცხოეთის ბაზარზე გამოჩენა, შინამეურნეობის გაუმჯობესება და მოლონიერება, რომ მთელი კაპიტალისტური ბანკი აყაყანებულიყო. საბჭოთა კავშირის კონკურენციამ დასცა ამერიკის ფერმერების განუსაზღვრელი ბატონობა მსოფლიოს პურის ბაზარზე, საბჭოთა ქვეყნის ნედლმა მასალამ ნერწყვი მოჰგვარა კრიზისის ჩიხში მომწყვდეულ ევროპის ბურჟუაზიას, რომლის კეთილდღეობასაც ძილს უფრთხობს უმუშევართა უსაზღვრო ლაშქრები. და აი, 1924 წელს დღის წესრიგში დაისვა საბჭოთა კავშირის de jure-თ ცნობის კითხვა.

თვით საფრანგეთიც-კი, ეს კოპწია, კეკლუცი ქალი, როგორც საერთოდ მიღებულია მისი ალეგორიულად გამოხატვა, ის საფრანგეთი, რომელიც სულის ჩამდგმელი იყო ყოველივე კონტრ-რევოლიუციონურ ავანტიურის ევროპაში, დღეს თვალებს უქნევს საბჭოთა კავშირს და პოლიტიკურ მაჰანკლებსაც უგზავნის მას. და ამ კეთილშობილურ საქმეს კისრულობს ვითომდა სოციალისტი ბენეში. ჩეხო-სლოვაკიის პრემიერი, რომელიც არსებითად არაფრით განსხვავდება დ. კლდიაშვილი სოლომონ მორბელაძისაგან და მხოლოდ საკუთარ ხელის მოთბობაზე ჰფიქრობს.

ამნაირად, საბჭოთა კავშირის მსოფლიო ურთიერთობაში ოფიციალურად შესვლა მხოლოდ სინამდვილის დადასტურებაა. იმ სინამდვილის, რომლის წინაშეც უძლური და სასაცილო ხდება ბურჟუაზიის ისეთ დახელოვნებულ დიპლომატთა ცოფ-მორეული ყეფა, როგორიც ლორდ კერზონი და რაიმონდ პუანკარეა. და ის გარემოება კი, რომ საბჭოთა კავშირის de jure-თ ცნობის საქმე სწორედ ინგლისმა დასძრა მკვდარ წერტილიდან, მხოლოდ მისი მაჩვენებელია, რომ ანტანტის სხვა წევრთა შორის სწორეთ ეს სახელმწიფო იყო და არის ისეთი, რომელსაც შინაეკონომიური და ევროპის კონტინენტზე შექმნილი ძალთა ურთიერთობა უნებლიეთ მიაქანებდა აქეთკენ. ადრე თუ გვიან, ევროპის სხვა სახელმწიფოებიდან, ეს სწორეთ ინგლისს უნდა ეკისრა. აქ არაფერი მნიშვნელობა აქვს იმას, ვისი პირით ითქვა ეს ცნობა, მაკდონალდის, ბალდვინის, ბონარ-ლოუს და ლოიდ-ჯორჯის. ეს აქტი ლოღიკურ აუცილებლობის მიერ მიძღვნილი საჩუქარია საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხისათვის, იმ აუცილებლობის, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის ეკონომიური წარმატება.

მაგრამ ამის გარდა ინგლისში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა და მის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა, განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველ მშრომელ ხალხისათვის. დღეს მსოფლიოს უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოს აპარატი მუშათა პარტიის ხელშია. რამზეი მაკდონალდი, არტურ ჰენდერსონი, ფილიპე სნოუდენი და ტომას შოუ და სხვანი ეს სულით და ხორცით ქართული მენშევიზმის მონათესავე ხალხია. ინგლისის მუშათა პარტია იმ უძლიერეს ბოძს წარმოადგენს, რომელზედაც დღეს ეყრდნობა მეორე ინტერნაციონალი და რომლის მეოხებითაც ის კიდევ იბრუნებს სულს ჯერ ხანად. ინგლისის დღევანდელი მდგომარეობა, თუმცა გაცილებით უფრო მეტი მასშტაბით, მაგრამ საქართველოში არსებული სოც.-დემოკრატიის ბატონობას მოგვაგონებს, ჩვენ ვიცით, რა საბედისწერო შეიქნა მენშევიკურ პარტიის განუკითხავი ბატონობა, როგორც ქართველი მშრომელი ხალხისათვის, ისე თვით ამ პარტიის კეთილდღეობისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ერთ დროს ძლიერ და მრავალრიცხოვან მენშევიკური პარტიის სწრაფ და თითქოს მოულოდნელ მარცხში ამ გარემოებამ დიდი როლი ითამაშა. სამი წლის განმავლობაში სახელმწიფოს სადავის ხელში ჰქრა. სამი წლის დამოუკიდებელი საქმიანობა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შერიგებისაკენ მიმართული, საუკეთესო გამოცდა შეიქნა მენშევიკურ პარტიისათვის, რომ მას რევოლიუციონურ აღმშენებლობის ორგანიზაციაში თავისი უსუსურობა და სიძაბუნე აშკარად დაემტკიცებინა. ყველასათვის, ვისაც თვალი ხედვათ ჰქონდა და ყური სმენად, უდავო შეიქნა რომ სოციალ-დემოკრატია, როგორც პროგრესიული ელემენტი დროთა ვითარებამ თან გაიყოლა. რომ ეს პარტია ჩამორჩა რევოლიუციონურ ცხოვრების მაჯისცემას და მის წინამძღოლობას უმართებულოდ ჩემობდა.

ამ პატარა მაგალითის შემდეგ დიდი წინასწარმეტყველება არ იქნებოდა იმის თქმა, რომ ინგლისის მუშათა პარტიასაც ასეთი ბედი ხვდა წილად. სხვას რომ თავი დავანებოთ, ინგლისის შინაურ ძალთა განწყობილება სავსებით განსხვავდება იმ მდგომარეობიდან, რომელსაც საქართველოში ჰქონდა ადგილი. თუ ჩვენებურ მენშევიკებს დამფუძნებელ კრებაში 180 თითიდან ას ცხრა თითი ეკუთნოდა, ინგლისის პარლამენტში მუშათა პარტია მხოლოდ ერთ მესამედს აღწევს. რაც შეეხება დანარჩენ ორ მესამედს, ეს სრულიად არ წააგავს იმ წვრილფეხა საზოგადოებრივ ჯგუფებს, როგორც კედია-ვეშაპელები იყვნენ. ინგლისის ბურჟუაზია, სხვა ქვეყნების ბურჟუაზიასთან შედარებით ყველაზე უფრო ძლიერი, დიდი ისტორიულ წარსულის და გამოცდილების მქონე კლასია.

თუ ქართული სოციალ-დემოკრატია სულ იმას გაიძახოდა, რომ ისეთ წვრილ მეურნეობის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ნაადრევია სოციალისტურ რევოლიუციაზე ლაპარაკი და გულდამშვიდებით ელოდა ბურჟუაზიის განვითარებას, ინგლისის მუშათა მთავრობას შეუძლია ამაზე თავი არ იტკივოს, ინგლისის ბურჟუაზია, თუ მეტად არა, იმდენადვე ძლიერია პარლამენტს გარეთ, რამდენადაც მის კედლებს შიგნით. ამიტომ ბუნებრივია, რომ ინგლისის დღევანდელი კაბინეტი ვერ დაუახლოვებს ერთმანეთს სიტყვასა და საქმეს, რომ ის ვერ გადასდგამს გაბედულ ნაბიჯს სოციალურ ღონისძიებათა სფეროში. როცა ეს ვერ ჩაიდინა, აკადემიურათ მოაზროვნე ქართულმა მენშევიზმმა, რომელიც ქვეყნის განუსაზღვრელი ბატონი იყო სამი წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, მას ვერ გაბედავს მისი უფროსი ძმაც, ინგლისის მუშათა პარტია, რომელიც ბურჟუაზიის წყალობით ზის მინისტრთა სავარძელში.

და ამის ნიშნები ინგლისის დღევანდელ მთავრობას დაბადებისთანავე დაჰყვა. ჯერ ის გარემოება რად ღირს, რომ მუშათა კლასის მთავრობა ქვეყნის ძველ, დამყარებულ პოლიტიკურ მართვა-გამგეობის ქერქში გულ დამშვიდებით მოკალათდა. თუ ასეთი რამ კიდევ უფრო ადრე ჩაიდინა ვანდერველდემ, რომელმაც არა თუ მეფის მინისტრებმა არ ითაკილა, არამედ ვერსალის ზავიც კი დაამშვენა თავის ხელმოწერით, ეს კიდევ თითქოს იმის ნიშნებს არ იძლეოდა, რომ ინგლისის მუშათა პარტია, როცა ის მთლიანად ჩაუდგებოდა სათავეში სახელმწიფოს, მეფის კურთხევით შეუდგებოდა საქმეს და მის კვერთხის ქვეშ წარმართავდა მუშათა კლასის ბედს.

მაგრამ ამაზე უფრო საგულისხმო დეპეშების მიერ მოტანილი ცნობა არის, რომ ინგლისის მუშათა მთავრობა ცდილობს ხელოვნურად შეაჩეროს კლასთა ბრძოლა, ის ძლიერი მუშათა მოძრაობა, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ინგლისში გაფიცვების სახით. მუდამ აკადემიურათ მოაზროვნე მუშათა კაბინეტის ტვინს ის ანბანური ჭეშმარიტებაც ვერ შეუგნია, რომ იმ ეკონომიურ კონფლიქტებს, რომელთაც ადგილი აქვთ ინგლისის დღევანდელ ცხოვრებაში, სარჩულად ისეთი ღრმა მიზეზები უდევს, რომელთა წინააღმდეგ უძლურია ყოველივე ბიუროკრატიული ღონისძიებანი. გაფიცვები მუშათა მთავრობის პრესტიჟს სცემს და იმიტომ მას განუზრახავს პირობით შეეკრას პროფკავშირებს ათი წლის განმავლობაში გაფიცვებზე ხელის აღების შესახებ. ოპორტუნისტულ პარტიისათვის ეს ნიმუში მეტად დამახასიათებელია. სამოქალაქო ზავი, კლასთა ჰარმონია ისეთ კერპად გადაიქცა მეორე ინტერნაციონალისათვის, რომ ის ფხიზლათ და ცხადათ მის ღმერთზე ლოცულობს. ამ მხრივ დიდი ბრიტანეთის დღევანდელი quasi მუშათა მთავრობა დიდი მასშტაბით იმეორებს მას, რაც საქართველოში მინიატიურით ხდებოდა.

თვით საბჭოთა კავშირის იმ ფორმით ცნობა, როგორც ეს მოხდა, ერთხელ კიდევ იმას მოწმობს, რომ რამზეი მაკდონალდი და ტომას შოუ საკუთარ თავს არ ეკუთვნის. თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის de jure-თ ცნობამ ლახვარი ჩასცა მთელ თეთრ ემიგრაციას და მის საქათმეში არევ-დარევა გამოიწვია. მაგრამ უფრო დამაფიქრებელია ეს როგორც საზღვარ გარეთ მყოფ, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებში დარჩენილ ქართულ მენშევიკურ პარტიის ნამსხვრევებისათვის, რომლებიც-

არც ეხლა იშლიან კონტრ-რევოლიუციონურ ჩხირკედელაობას.

დღევანდელი ინგლისის მთავრობა მეორე ინტერნაციონალის პირმშო შვილია. ამ მთავრობის ხელმძღვანელი პირები მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის წევრებია. იმ ინტერნაციონალის, რომელზედაც მთელ იმედებს ამყარებდა, როგორც გადახვეწილი, ისე სახლში დარჩენილი ქართველი მენშევიკები. ვის არ ახსოვს რანაირ გულშემატკივრობით, მამობრივი სიყვარულით მიითვისა მეორე ინტერნაციონალის ლიდერებმა მენშევიკური ემიგრაცია; ვის არ ახსოვს რამდენი გულშემატკივრობის გრძნობით აღსავსე სიტყვები დაიხარჯა ამ ინტერნაციონალის მიერ საქართველოს ბოლშევიკურ „ტირანიისგან“ განსათავისუფლებლათ. მაგრამ დღეს, როცა ბ. მაკდონალდი, რომელმაც საკუთარი ფეხით დაიარა „სოციალიზმის ოაზისი“ რუსეთის იმპერიის ყოველ ტერიტორიაზე, რომელმაც საკუთარ თვალით იხალა დემოკრატიული საქართველო კახური ზვრებით, შვლის მწვადებით და იმერულ ხაჭაპურებით, დღეს ეს მაკდონალდი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საბჭოთა კავშირს, რითაც პირში ჩალა გამოვლებულს სტოვებს ქართულ მენშევიკურ ემიგრაციას. ამას უბრძანებს მას ინგლისის სასიცოცხლო ინტერესები, ასეთია ნება ინგლისის მსხვილ ბურჟუაზიის, რომელსაც არ სცალია ქართველ მენშევიკების და თვით ინგლისელ მენშევიკ მაკდონალდის ყურის საგდებიდ.

ინგლისის მუშათა მთავრობა და მისი აუცილებელი, ეხლაც საკმარისად თვალსაჩინო პოლიტიკური მარცხი კიდევ ზედმეტ დაღათ დარჩება საერთაშორისო მენშევიზმის ოპორტიუნისტულ შუბლზე. 1914 წელი, რუსეთის და და გერმანიის რევოლიუცია, ვერსალი, რური და ეხლა ინგლისის მუშათა მთავრობა ეს მეორე ინტერნაციონალის ისეთი გრძელი მოლალატური კუდია, რომელსაც მისი რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიიდან შეკერილი კოხტა კოსტუმიც ვერ დაფარავს. დღეს თუ ხვალ ყველა შეგნებული თვალახელილი მუშა დაინახავს ამ ხელოვნურად მიმალულ კუდს. ადრე თუ გვიან ინგლისელი მუშაც შეიგნებს, რომ ყოველი ნაბიჯი მენშევიკურ პარტიის მიერ გადადგმული მას არსებითად კონტრ-რევოლიუციის ბანაკს აშორებს. ამის ოავდებია ინგლისის დღევანდელი მუშათა მთავრობა თავისი ანტიმუშური საქმიანობით. ამაშია და მხოლოდ ამაში ამ მთავრობის დადებითი მხარე. მისი მოღვაწეობა დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასს მიიყვანს იმ დასკვნამდი, რომლამდისაც მიიყვანა მენშევიკურმა მთავრობამ პატარა საქართველოს მშრომელი ხალხი.

აკ. მჟონია.

ქ. მოსკოვი, 7 თიბერვალი.

# პატაკი სოლომონს საიქიოს

ო, რად დავხარჯე ცრემლები, როცა პირველად მოგწერე.
მდგომარეობა, სოლომონ, უფრო იცვალა მას მერე.
შენ საპასუხო წერილში თუმცა მიკრძალავ პასუხსა,
მაგრამ მე რა ვქნა, მნათობო, თვალებზე ცრემლი მომქუხსა.
გემახსოვრება—მე გწერდი: „ჩეკა წამავლებს ხელს მალე“.
ეს ასეც მოხდა; მის კლანჭებს მე ვერსად ვერ დავემალე.
იქ, სადაც იჯდა სეითი, ახლა მე ვზივარ ჩეკაში.
(ჩეკა თვით კრუხსაც აჯობებს ჩვენების გამოჩეკაში)
ასე მგონია, ამ ოთახს შეჰყვარებია ჩვენები.
არც ნამეტანი ცუდია, (ცსტყუოდით ავი ენები)
შენ გაიგებდი: სეითში რომ მოხდა დიდი ცვლილება:
გაიზიარა ყოფილთა მან ყველა დადგენილება.
არტილერია მოგვეშორდა, არც მაჰახელა არა გვაქვს.
სეითის ერთი წერილი მჭადის ფქვილსავით ცეკას ფრქვავს,

ჩვენ სხვა ვართ... მაგრამ, ვერ მიხვდი—რად აწუხებენ „მამებს“
რევტრიბუნალში უდგამენ საბრალმდებლო სკამებსა.
იცი, სოლომონ, ამეროსის (და მასთან მთელი ამალა,
რადგანაც ოქრო და ვერცხლი გაუგეს ვეღარ დამალა)
ასამართლებენ... ო, ღმერთო, როგორ გაირყვნა ქვეყანა.
ვინ უთხრას გარდაცვალების ჩვენს ცეკას აწ „სულთათანა“.

კიდევ ახალი ამბავი—არ ვიცი რისი ბრალია,
მხოლოდ, კი ვხედავ გაგიედენ ინგლისი და იტალია.
აღარ დაიწყეს გრძელ-გრძელი კონფერენცია, თათბირი
და ამას წინად ანაზდათ იცნეს საბჭოთა კავშირი.
გეცოდინება: რამზეი ინგლისის პრემიერია
(სულ ერთი არის ეს ჩვენთვის... არ ახსოვს მას ივერია)

ეჰ! რა მოგწერო, სოლომონ... იქნებ ქეიფობ შენ ახლა.
კარებს მომადგა ჩეკისტი, დასაკითხავად მე ახლა.

მენგო.

# საფურადღებო რეფორმა.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ამ ახლო ხანში იწყებს ფინანსიური რეფორმის გატარებას, რასაც ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ფულის საკითხი თავისთავად იმდენად რთულია და მნიშვნელოვანი, რომ ერთი ეკონომისტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ფულის საკითხმა წარმოშვა მთელი ეკონომიური მეცნიერება.

ნორმალურ პირობებში ქაღალდის ფულის ნიშნების გამოშვება არ იწვევს მისი კურსის დაცემას, თუ გამოშვებულია მთავრობის მიერ იმდენი რაოდენობა ქაღალდის ფულისა, რამდენიც შეეთანაბრება ბრუნვაში არსებულ ოქროს მარაგს. ასეთ შემთხვევაში ქაღალდის ფულის დანიშნულებაა-ოქროს მაგიერობის გაწევა.

ნორმალურ დროს ოქროს ფული აქა იქ გამოაჩენდა თავის სახეს ალებ-მიცემაში და ეს სრულიად საკმაო იყო რომ ქაღალდის ფულის კურსი მტკიცე ყოფილიყო.

ხოლო ომებისა და რევოლიუციების დროს, როდესაც მთავრობა მთელი რიგი მოულოდნელი ხარჯების დასაფარავად ისვრის ბაზარზე ქაღალდის ფულს, რომელიც თავის მხრივ ერთგვარი ხარკია, რომელსაც საზოგადოება იხდის ასეთ შემთხვევებში ირღვევა მტკიცე დამოკიდებულება ოქროსა და ქაღალდის ფულის ნიშნებს შორის—ოქრო საიდუმლო ხვრელებში ინახება, ხოლო ქაღალდის ფულის კურსი კი თანდათანობით ეცემა.

კაცობრიობას არ ახსოვს ფულის კურსის ისეთი დაცემა, როგორიც რუსეთში მოხდა. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ასიგნატების ფასი დაეცა 600 ჯერ, ხოლო რუსეთში ჯერ კიდევ 1921 წ. 40300 ჯერ იყო დაცემული. დღეს ს ციფრი კიდევ უფრო გაიზარდა.

რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა მსოფლიო ომმა ძალზე შეარყია, რაიც უფრო გაძლიერა რუსეთის რევოლიუციამ.

სამოქალაქო ომმა გაცილებით უფრო ძლიერად შეარყია რუსეთის მეურნეობა, ვინემ საგარეო ომმა.

რუსეთის მრეწველობა და ალებ-მიცემა რევოლიუციის ეპოქაში საგრძნობლად დაზარალდა, ვინაიდან დაეცა შრომის ნაყოფიერება, რუსეთი მოექცა გამიჯნული ევროპის კაპიტალისტური ბაზართან და სხვა.

ქაღალდის ფულმა რუსეთში სამხედრო კომუნიზმის დროს თითქმის დაკარგა ყოველგვარი ღირებულება, გლეხები ნებაყოფლობით არც კი ღებულობდენ ქაღალდის ფულს, მაგრამ რევოლიუციონური მთავრობა ამას არ შეუშინდა და განაგრძო საბეჭდავი მანქანის მუშაობა. ამით შესაძლებელი შეიქმნა რუსეთის რევოლიუციის გადარჩენა. ქაღალდის ფული ეს ის საშუალება იყო, რომლითაც ხერხდებოდა სურსათ-სანოვაგის შეძენა და მუშებისა და წითელ ჯარის უზრუნველყოფა, რომლის ხერხემალზე გადაიარა სამოქალაქო ომების სუსხმა.

სამხედრო კომუნიზმი, რომელიც მიჩნეული იყო ხელსაყრელ სამეურნეო ფორმად რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურისა, მსოფლიო რევოლიუციის მოლოდინში თითქოს ამართლებდა ფულის კურსის დაცემას და ზოგს კიდეც სწამდა, რომ ფულის როლი სრულდება რუსეთში.

ასეთმა პირობებმა მეტად უხერხული მდგომარეობა დაბადა-სახელმწიფო სალაროში თით-

ქმის არაფერი შედიოდა და შეუძლებელი შეიქმნა ამა თუ იმ ეკონ. ორგანიზაციის, ნაყოფიერობის გამორკვევა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებას მოყვა ფინანსების გაჯანსაღებაც. თავისუფალი ბაზრის არსებობას მოყვა მტკიცე საგადამხდელო და საბრუნავი საშუალებების შექმნა. მთავარი საკითხი, რომელზედაც მიქცეული იყო საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება, იყო თუ როგორ მოეხდინათ ფულის ერთეულის სტაბილიზაცია. მე-XI ყრილობაზე რ. კ. პ. სათანადო რეზოლიუცია იქმნა შემუშავებული, რომელშიაც მოცემულია სახელმძღვანელო გეგმა. ერთი მთლიანი ფინანსიური სისტემის შემოღება, სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის შემცირება, რაიც შესაძლებელი შეიქნება მთელი რიგი ზომების მიღების საშუალებით, როგორიც არის: მმართველი აპარატის გამარტივებით, შრომის ნაყოფიერების გაზრდით და გადასახადების წესიერი აკრეფით.

ახალი ფინანსიური პოლიტიკის შედეგია სახელმწიფო ბანკის დაარსება, რომელმაც გამოუშვა საბანკო ბილეთები ჩერვონეცის სახით, რომლის ნახევარი უზრუნველყოფილია რუსეთის ხაზინაში მოთავსებული ოქროს მარაგით.

დღეს სათანადო უწყება დაწყებულ მტკიცე კურსის მქონე ქაღალდის ფულის ნიშნების გამოშვებას აფართოებს, უშვებს 5, 3, 1, ჩერვ. მანეთებს, ხოლო მოკლე დროში საკავშირო მთავრობა უშვებს ხურდა ფულს 1, 3, 20 და 50 კ. კაპეიკის ღირებულებისას ვერცხლისა და სპილენძისას. ამნაირად შეჩერებულია ქაღალდის ბონების გამოშვება, რომლის კურსი მეტად მერყევი იყო და უკანასკნელ ხანებში მეტის მეტი სისწრაფით მიექანება დაცემისაკენ.

თუ აქამდი ქაღალდის ვალიუტა სისტემატიურად და პროგრესიულად ეცემოდა, რაიც თავის მხრივ ხელს უწყობდა სპეკულიაციის განვითარებას, ხოლო სპეკულიაცია თავის მხრივ კიდევ უფრო აჩქარებდა კურსის დაცემას, დღეს, როდესაც ხდება მტკიცე ვალიუტის შექმნა, ანუ, როგორც, ამბობენ ხდება ვალიუტის სტაბილიზაცია, ეს უდიდეს გავლენას მოახდენს ვაჭრობის და მრეწველობის გაჯანსაღებაში, სპეკულიაციას გარდაქმნის ნორმალურ ვაჭრობად, და თუ დღეს ქაღალდის ბონები ერთი ხელიდან სწრაფად გადადის მეორეში თითქოს გავარვარებულ ნაკვერცხალი იყოს და ეშინოდეს მისით ხელის დაწვის, თუ დღეს არანორმალურ ფინანსიურ მდგომარეობაში ხდება ფულის სწრაფი მიმოქცევა, ახლო მომავალში ჩვენ მოწამენი ვიქნებით მოვლენათა პირუკუ განვითარებისა, გაიზრდება საქონლის მიმოქცევა, რაიც მიდუხებულ ქვეყნის სამეურნეო მაჯის ცემას გამოაცოცხლებს და ნორმალურ კალაპოტში მოაქცევს.

მტკიცე ფულის შემოღება ხელს შეუწყობს იმ მტკივანი საკითხის მოშუშებასაც, რომელსაც „მაკრატელი“ ეწოდება. დიდი ხანია, რაც „მაკრატლის“ პირების დაახლოვებაზე არის ლაპარაკი, მაგრამ ჯერ-ჯერობით რაიმე დამაკმაყოფილებელი შედეგი ვერ მივიღეთ. ამის ერთი მიზეზთაგანი ფულის კურსის რყევა იყო. თუ სახელმწიფო-სამეურნეო ორგანიზაციები მაგ. კოოპერატივები ფულის კურსის ოდნავი რყევითაც საგრძნობ პანიკას ეძლევიან, კერძო ვაჭრები გაცილებით უფრო ადვილად ერევიან ამ საკითხს და ამ მხრივ არა ერთი და ორი ანომალიებს ქონდა ადგილი კოოპერატივების არსებობაში. მაგ. ხშირია მოვლენა, როდესაც კერძო ვაჭარი შედარებით უფრო იაფად ყიდის საქონელს, ვინემ კოოპერატივი.

თუ დღემდის ჩვენი საზოგადოებრივი ხასიათის სამეურნეო ორგანიზაციები ძლიერ მცირედ სარგებლობდენ კრედიტით. რასაც ხელს უშლიდა იგივე მერყევი კურსის არსებობა, ამიერიდან კოოპერატივები ფართოდ ისარგებლებენ ამ საშუალებით და უნდა შესძლონ დიდი მეტოქეობის გაწევა ფასების დაკლებაში კერძო ვაჭრებთან.

მერყევი კურსი მძიმე ტვირთად აწვებოდა მუშა-მოსამსახურეებსაც მიღებული ჯამაგირით თუ იმავე დღეს არ შეიძენდენ თუ გინდ არა პირველ საჭიროების საგნებს, მისი რეალური ღირებულება ყოველ დღე მოიკლებდა და ხშირად იძულებულნი იყვნენ მიღებული ფული დაეხარჯათ ისეთ რამეში, რაც დიდ საჭიროებას არ შეადგენდა მისთვის.

მართალია არსებობენ შემნახველი კასები, მაგრამ მათი რიცხვი ჩვენში მეტად მცირე იყო და ის ფორმალიზმი, რომელიც იქ არსებობდა-გაღება დილით მხოლოდ 2 საათით და სხვა, ხელს უშლიდა მუშა მოსამსახურეებს ამ სასარგებლო დაწესებულებით ფართოდ ესარგებლათ. ამიერიდან მუშა მოსამსახურე უზრუნველყოფილი იქნება თვისი მცირე ჯამაგირის თვის ბოლომდი უკლებლივ შენახვაში. საერთოდ ფინანსიური საკითხები მჭიდროთ დაკავშირებულია ეკონომიური პოლიტიკის საკითხებთან.

რუსეთის ეკონომიური გაჯანსაღება, რომელიც დაიწყო ახალ ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ ლოღიკურის აუცილებლობით იწვევს ფინანსების გაჯანსაღებას.

აკაკი კალაძე.

# მენშევიკების განცხადება

ჩვენ წავიკითხეთ სეით დევდარიანის წერილები, „საბოლოო სიტყვა“. და ვფიქრობთ, ვგრძნობთ, რომ ეს არის დღეს საქართველოსთვის ერთად-ერთი გამოსავალი. მეტად სამწუხაროა, რომ ასე დაგვიანებით მიგვითითა ამაზე სეით დევდარიანმა. კარგ მებრძოლს უნდა შეეძლოს ტაქტიკის გამოსცვლა 24 საათის განმავლობაში. საქართველოს სოციალ-დემორატიული პარტიის სახელით კი, სამი წელიწადია ტარდება ისეთი ტაქტიკა, რომელიც სრულიად არ ეგუება ცვალებად საერთაშორისო პირობებს.

თვითეულ ჩვენგანს აქამდის მართლა შესისხორცებული ჰქონდა ის აზრი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართული ერის წინსვლა შეუძლებელია, თუ არ ჩამოვარდა ახლანდელი მთავრობაო. თუ ჩამოვარდნა არ მოხდება მშვიდობიანად. უმტკივნელად, ეს უნდა მოხდეს ძალით და... გასაგებია ყველაფერი, რასაც მოგითხრობენ აქ დაგროვილი მასალები. ბუნებრივია ამ აზრით ხაზი გარეშე ინტერვეციის მზადებიდან შინაურ ანარქიამდის— ხიდეების აფეთქებამდის და მატარებლის ძარცვამდის. ძალიან დამაფიქრებელია, რომ ვერც ერთი დავალება ამ ხაზზე ვერ მოყვანილა სისრულეში. ალბათ ეს ხაზი უნიადაგოა და არ ეკარება ხალხის გულს და მისი შედეგია მხოლოდ გაუმართლებელი მსხვერპლი.

დროა შევიგნოთ, რომ რუსეთი გამოსულია საშინაო და საგარეო ომებიდან, ინელებს ეკონომიურ გაჭივრებას და მიდის წინ. ახლა ისე გრძნობს თავს, რომ შარშან და შარშანწინდელათ აღარ სჭირდება იურიდიულად ცნობა. აქამდის ბევრ რამეს დაათმობინებდენ ამ ცნობისთვის. დღეს კი იმდენად მოღონიერებულია ის, რომ არაფერს არ დაუთმობს. ახლა რაც უფრო დააგვიანებს ევროპა რუსეთის ცნობას, მით უფრო მეტს დაუთმობს ის თვითონ რუსეთს, არასოდეს არ შეთანხმდებიან ევროპის სახელმწიფოები რუსეთის დანაწილების საკითხში. შეუძლებელია ევროპის გამოლაშქრება რუსეთზე ამ მიზნით, შესაძლებელიც რომ იყო, არც ერთი მუშა, არც ერთი სოციალისტური პარტია ევროპაში მხარს არ დაუჭერს ამნაირ გამოლაშქრებას. ჩვენ რომ ინტერვეციის და ომების გზით ვიაროთ საქართველოს საკითხის გადასაჭრელად, თვითეულ ჩვენთაგანს თოფის მიზნება დასჭირდება მუშების და სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ.

ეს იქნება გზა საერთაშორისო რეაქციისაკენ. ვისაც საქართველო უყვარს და არ გაუწყვეტია კავშირი სოციალიზმთან, ის ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ამ გზაზე.

ნუ თუ ძნელი გასაგებია ვინმესთვის, რომ საქართველოს არ შეუძლია აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ? ნუ თუ დიდი გამჭრიახობა საჭიროა იმის გასათვალისწინებლად, რომ აჯანყებით ჩვენ ვერ ჩავიგდებთ ხელში ძალაუფლებას და რომც ჩავიგდოთ, ვერ შევინარჩუნებთ? ნუ თუ ვერ იგრძნობს თითეული მუშა, თითეული გლეხი, რომ ინტერვენციის და აჯანყების გზით საქართველოს მოელის უნაყოფო სისხლისღვრა, შეუშრობელი ცრემლი და სამუდამო დასამარება ეროვნული დამოუკიდებლობისა.

მტერია ქართველი ერის, ის ვისაც ეს ვერ გაუგია, ვინც ამას ვერ გრძნობს.

საქართველოს ეროვნული ჩამოყალიბება ხდება საბჭოთა კავშირის ფარგლებში. აქ უნდა ვიყოთ ჩვენ და ვაკეთოთ რისი გაკეთებაც შეიძლება ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღორძინებისათვის. ამით მეტი გაკეთება და უფრო მტკიცე საძირკველი ყაეყრება ეროვნულ დამოუკიდებლობას მხოლოდ მაშინ, როცა გაიმარჯვებს მსოფლიო რევოლიუცია, როცა ევროპაში დამყარდება მუშათა კლასის დიქტატურა.

ყოფილ მენშევიკების ყრილობამ ხელში აიღო შარშანდელ ყრილობაზე ეს დროშა, დროშა მუშათა კლასის დიქტატურისა და მსოფლიო რევოლიუციის. ჩვენ ვდგებით ამ დროშის ქვეშ და გვწამს, რომ ეს ჩვენი ნაბიჯი ერთად ერთია საქართველოს ინტერესებისათვის, მშრომელი ხალხისთვის: ჩვენ გვწამს, რომ ჩვენთად ერთად იქნება სეით დევდარიანი, როგორც ვკითხულობთ იმის საბოლოო სიტყვაში.

მისი მოწოდება არ არის ვიწრო, პარტიული ხასიათის, ის არის საყოველთაო, ეროვნული. ჩვენ დარჩენილი პოლიტიკური ტუსაღები უერთდებით სავსებით მას და ფიცსა ვდებთ ქართველი მუშის, გლეხის, მთელი ერის წინაშე, რომ სამუდამოთ ზურგს შევაქცევთ იმ გზას, რომელსაც საშინელი საფრთხისაკენ, უფსკრულისაკენ მიჰყავს საქართველო, კავშირს ვსწყვეტთ საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიასთან, რომელიც კიდევ აპირებს ძველი გზით სვლას. მივმართავთ ყველას, ვისაც კი გული უძგერს საქართველოსათვის, დაგმონ ეს გზა, შეგვიერთდენ ჩვენ. ეროვნულ ინტერესებზე მაღლა ნუ დააყენებენ პარტიულ, ჯგუფურ და პირად თავმოყვარეობას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! გაუმარჯოს 3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს! გაუმარჯოს კომუნიზმს!

1. კალენიკე გიორგის ძე ქავთარაძე—პარტიის წევრი—1907 წ. 2. ნიკოლოზ იაგორის ძე შახნაზაროვი ძველი მუშა—1902 წ. 3. ილია ზაქარიას ძე მაისურაძე—ძველი მუშა—1896 წ. 4. მიხეილ ვლადიმერის ძე გძელიევი—1918 წ. 5. ბაგრატ ლუარსაბის ძე ბიბილური— 1902 წ. 6. არჩილ დიმიტრის ძე წერეთელი—1917 წ. 7. დიმიტრი ოქროპირის ძე ქოჩლაძე—1905 წ. 8. არკადი იესეს ძე ხუნდაძე—1916 წ. 9. ნიკოლოზ გიორგის ძე ქურთაული—1923 წ. 10. გრიგოლ დიმიტრის ძე თავყელიშვილი—1892 წ. 11. ვასილ ალექსანდრეს ძე ელიოზაშვილი (ს. ფ.) 1919 წ. 12. რეზო ბეჟანის ძე ჩხეიძე—1905 წ. 13. ვასო სიმონის ძე ჯოიჯაშვილი—1923 წ. 14. გიორგი ლაზარეს ძე ყაუთაშვილი—1922 წ. 15. სიმონ მიხეილის ძე ბასილაშვილი, 16. ანნა გრიგორის ასული პარკაძე—1905 წ., 17. სარდიონ ესტატეს ძე არავიაშვილი—1923 წ., 18. ქეთევან ქრისტეფორეს ასული სააკოვისა—1904 წ., 19. მიხეილ ნიკოლ. ძე ბროძელი—1920 წ., 20. ევგენი ილარიონის ძე ურუშაძე—1912 წ., 21. პეტრე კონდრატეს ძე მანჯგალაძე— 1913 წლიდან 22. ზაქარია გიორგის ძე ჯავახიშვილი—1903 წლიდან, 23. მამია ილარიონის ძე ჯაში—1917 წ., 24. კალისტრ. პავლეს ძე ტორონჯაძე—1917 წ., 25. ნესტორ სამსონის ძე საბაშვილი—1917 წ., 26 ნიკოლოზ ივანეს ძე ერგებლიძე—1900 წ., 27. მიხეილ ვახტან. ძე კალანდაძე—1892 წ., 28. არ. დ. კაკულია—1919 წ., 29. დავით მალხაზის ძე დარასელია—1917 წ., 30. ელენე ერასტის ასული მაისურაძე—1917 წ., 31. ელ. ალექსის ასული ქერეჭაშვილისა—1917 წ., 32. ანნა ელიზბარის ასული გვასალია—1912 წ., 33. ნინო სამსონის ასული საბაშვილი—თანამგრძნობი, 54. მაშო ანდრიას ასული კახიანი—1900 წ., 35. თამარ ალექსანდრეს ასული ლალიაშვილი თანამგრძნობი—1919 წ., 36. თამარა მიხეილის ასული ადამია სოციალ-ფედ.—1917 წ., 37. ივანე გერასიმეს ძე ჭეიშვილი—1915 წ., 38. დავით ალქესანდრეს ძე ბორისოვი—1915 წ,

ყველა ზემოჩამოთვლილნი სეით დევდარიანთან ერთად განთავისუფლებულნი არიან.

# პრება მეტეხის ციხეში.

(გაგრძელება.)

### ლ. ბერიტაშვილის სიტყვა.

ამხანაგებო! დღეს თავი მოვიყარეთ მეტეხის ციხის მთელ პოლიტიკურ პატიმრებმა და საბოლოოდ უნდა გავერკვეთ, ვსთქვათ რას ვაკეთებდით დღემდის და რა უნდა გავაკეთოთ დღეის შემდეგ. თუმცა ამხ. ფარნიევის მოხსენების და იქ წარმოთქმული სიტყვების შემდეგ ამაზე თითქოს აღარ არის საჭირო ლაპარაკი, მაგრამ მე მაინც მინდა გაგიზიაროთ მოკლეთ ჩემი აზრი. ჩვენმა განდგომითი პოლიტიკამ და სამი წლის საბჭოთა არსებობამ ჩვენში ძალიან ბევრს აუხილა თვალები, ჩაახედა სინამდვილეში და დაანახვა ბევრი რამ ისეთი, რამაც მიგვიყვანა აქამდის, რომ აი, აქ მეტეხის ციხეში შევიკრიბენით და ვადგენთ გავწყვიტოთ ერთხელ და სამუდამოთ კავშირი მეორე ინტერნაციონალთან, რომელმაც ვერ გამოიჩინა რევოლიუციონური უნარი, რომელმაც მუშათა კლასი რევოლიუციის გზას ააცდინა—დაათრო ბურჟუაზიული იდეებით და დააჩოქა პარლამენტარული წესწყობილების სამლოცველოს კარებთან. შეიძლება ვინმემ მისაყვედუროს ან ვინმეს ეჭვი შეეპაროს ჩემს გულწრფელობაში და სთქვას ან იფიქროს, რომ მე დღეს ვისიმე გავლენით ან შიშით ვამბობ ამას, ეს არ იქნება მართალი, ვინაიდან აქ თქვენშიაც მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც დამემოწმებიან, რომ მე არც ჩვენი პარტიის ბატონობის დროს ვმალავდი ჩემს აზრს-შეხედულებას, ამის შესახებ, რომ ჩვენი პარტია არ მიდის სწორი გზით, თანდათან შორდება რევოლიუციონურ მარქსიზმს და უახლოვდება წვრილ ბურჟუაზიას. ამისთვის მე თითქმის დევნილი ვიყავი პარტიაში, და, მაშასადამე, მე დღეს მალაპარაკებს არა ზეგავლენა—შიში, არამედ ჩემი შეგნება-დაკვირვება და მუშათა კლასის ტკივილები—ინტერესები. ამხანაგებო! ვინ ვართ ჩვენ და ვის უერთდებით? ჩვენ ვიყავით მარქსისტები და უერთდებით მარქსისტებს—კომუნისტებს. აქ რა არის სადაო და გაუგებარი, არაფერი ჩვენ ვიბრძოდით ისევე, როგორც ბოლშევიკები, თვითმპყრობელობის, მემამულეების, სამღვდელოების და ბურჟუაზია-კაპიტალისტების წინაალმდეგ, მაგრამ სამწუხაროთ ფრაქციულმა თავმოყვარეობა-ჟინიანობამ იქამდის მოწამლა ჩვენი გონება-შეგნება, რომ ჩვენ შეუმჩნევლად ბურჟუაზიის მხარეზე აღმოვჩნდით პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლის დროს. ამ უმიზნო ბრძოლით დიდი ზიანი მივაყენეთ არათუ ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების ინტერესებს, არამედ აგრეთვე მთელი ქვეყნის მუშათა კლასის ბრძოლასაც.

ყველაფერი ეს ჩვენზე ადრე გაბედულათ-მოურიდებლათ აღიარეს ჩვენი პარტიის წევრების დიდი უმრავლესობის კონფერენციებმა. ყრილობამ გასულ წლის აგვისტოში და მათ მაგალითს დღეს ჩვენც დაგვიანებით ვბაძავთ. ამისთვის ცეკის დარჩენილი ორიოდე წევრი რას იტყვის ან რას დასწერს ჩვენ შესახებ, მე სრულიადაც არ მაინტერესებს, ვინაიდან მას არაფერი ფასი-ღირებულება არა აქვს. ერთი რამ აშკარაა, ჩვენც გაგვიმასპინძლდებიან ისე, როგორც ჩვენ ამხანაგებს, მაგრამ რადგანაც ჩვენც რევოლიუციონერები ვართ, ამიტომ ჩვენც გაბედულათ ვსდგამთ რევოლიუციონურ ნაბიჯს და მივდივართ პროლეტარიატის რევოლიუციონურ ოჯახში, კომუნისტურ პარტიაში. დეე ამისთვის გვიწოდონ მოღალატეები, გამყიდველები, მშიშარები, პარტიაში უცნობები, პარტიის ზედმეტი ბარგი და თუ მოესურვებათ ტყვიითაც გაგვიმასპინძლდენ. ჩვენც ისევე ავიტანთ ყველაფერ ამას, როგორც ჩვენმა ამხანაგებმა. ჩვენ სრული შეგნებით შევდივართ კომუნისტურ პარტიაში, რათა მშრომელი ხალხის ინტერესებისმისწრაფების საბოლოო გამარჯვებისთვის და ამისათვის კომუნისტური პარტიის ნდობა უნდა იყოს ჩვენდამიც. მაშ, ძირს ყოველგვარი მერყეობა-თავმოყვარეობა, გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას, გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომლის რიგებშიც გადავდივართ ჩვენ დღეიდან.

### დ. მიქელაძის სიტყვა.

ამხანაგებო, მეტად სერიოზული მდგომარეობის წინაშე ვდგევართ, პასუხისმგებლობა მეტად დიდია.

ჩვენს წინ სდგას მეტად დიდი-რთული საკითხი, გვმართებს მეტი დაკვირვება, მეტი სიდინჯე-დაფიქრება. ამხანაგებო! ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის დაუნდობელმა ბრძოლამ ბევრი რამ გვასწავლა, ამ სამი წლის განმავლობაში. ბევრი რამ გადაფასდა, ბევრი რამ ისტორიას ჩაბარდა. დღეს ჩვენი მიზანია პროლეტარიატის რიგებში დაბრუნება და ბრძოლა ბურჟუაზია-კაპიტალისტების დასამხობათ და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარება მსოფლიოში. ჩვენ დღეიდან ვშორდებით მეორე ინტერნაციონალს, ვსწყვეტთ კავშირს იმ ბრძოლის მეთოდებთან, რომელსაც აქამდის ვაწარმოებდით, რომლის მიზან შეუწყნარებლობაში-უნაყოფობაში დიდი გამოცდილება-დაკვირვების-დაფასების შემდეგ ყოველგვარ ზეგავლენა-შიშის გარეშე დავრწმუნდით.

ჩვენ დღეიდან უდაოთ ვსთვლით პროლეტარიატის დიქტატურას და საბჭოთა სისტემას სოციალიზმის განხორციელება-დამყარებისთვის და უარს ვყოფთ დემოკრატიულ—პარლამენტარიზმის გზით სვლას-ბრძოლას, რამაც თავისი მნიშვნელობა დაკარგა და გადაიქცა რეაქციონურ მოვლენათ და ბურჟუაზიის მიზნებისთვის მისაღწევ იარაღათ პროლეტარიატის წინსვლა-მიზნების წინააღმდეგ. ჩვენ ეს შევიგენით ჩვენს უნაყოფო ბრძოლის მაგალითებიდან და ამისათვის არავის არა აქვს უფლება გვისაყვედუროს, რომ ჩვენ ვღალატობთ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამ დასკვნამ-

დის მივიდა დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ სეით დევდარიანი, ამ გზას დაადგენ ჩვენი პარტიის წევრების დიდი უმრავლესობა თავიანთ კონფერენციაზე და ყრილობაზე, ამ გზას ადგია მთელი მსოფლიო პროლეტარიატის დაკვირვებული-გამოფხიზლებული ნაწილი და დღითი დღე აძლიერებს თავის რაზმებს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით. ბურჟუაზია-კაპიტალისტები-ფაშისტები ამ სამზადისს სამკვიდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს, ხმარობს ყოველგვარ საშუალებას დაამარცხოს მუშათა კლასი, ბრძოლა სასტიკი და ულმობელია, ამ ბრძოლის დროს მეორე ინტერნაციონალი არ ცდილობს შეებრძოლოს მათ და პირიქით ეძებს და პოულობს საერთო ენას მათთან და თანდათან გაითიშა-გაშორდა რევოლიუციონურ მარქსიზმს. ამ ბრძოლის დროს ჩვენ არ შეგვიძლია ვიდგეთ განზე, ჩვენ თუ-სოციალისტები-მარქსისტები ვართ, და რომ ვართ, ამაში მე ეჭვი არ მეპარება, უსათუოთ უნდა ვიდგეთ რევოლიუციონური პროლეტარიატის რიგებში, რომლის ბრძოლასაც ხელმძღვანელობს მესამე ინტერნაციონალი. ჩვენ ამხ. ფარნიევმა ყველა ეს დებულებები მოკლეთ, მაგრამ დასაბუთებულათ-დამაკმაყოფილებლათ დაგვიმტკიცა და ამ აზრისანი ვართ ჩვენც. ჩვენ დიდ ხანს ვარჩიეთ ეს საკითხები და ამ დასკვნამდის ჩვენით მივედით, ახლა მხოლოთ გვიხდება დასკვნა გაუკეთოთ ყველაფერ ამას და რომ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი აზრი რეზოლიუციის სახით, ამისათვის ავირჩიოთ კომისია, რომელიც ფარნიევის მოხსენებიდან და ორატორების ნათქვამიდან შეიმუშავებს ერთ რეზოლიუციას. ამხანაგებო! ამიერიდან ჩვენ აღარ ვითვლებით მენშევიკურ პარტიაში, მას სამუდამოთ ვშორდებით და ვდგებით კომუნისტური პარტიის რევოლიუციონურ დროშის ქვეშ. დღეიდან ჩვენსა და კომუნისტებ შორის უნდა გამთელდეს ჩატეხილი ხიდი, დღეიდან კომუნისტების ჩვენდამი უნდობლობა აღარ უნდა ჰქონდეთ და ამიერიდან ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა ვიბრძოლოთ საბჭოთა სისტემის საბოლოოთ გამარჯვებისათვის. მე, ამხანაგებო, პირადათ ამ აზრისა ვარ მას შემდეგ, რაც გავეცანი საბჭოთა ხელისუფლების მოქმედება მოღვაწეობას, ყოფილ მენშევიკების კონფერენცია-ყრილობის დადგენილებებს, რის შესახებ საგანგებო კომისიის გამომძიებელს და პოლიტიკურ პატიმართა გამტვირთველ კომისიის თავმჯდომარეს შარშან გამოუცხადე კიდეც. ასე რომ მე არავისი არც შემშინებია და არც ვისმეს მოუხდენია ჩემზე გავლენა. მე, ვიცი რომ ყველა აქ დამსწრეთაგანიც ასევე აზროვნობს და რომ ეს ასეა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ჩვენ ამ კრებაზე სრულიად მოურიდებლად-გაბედულად ვლაპარაკობთ გულის ნადებს.

ტრამვაიელი.

# მუშათა წერილები

## სამი წლის თავი საქართველოს განთავისუფლებისა.

დღეს სრულდება სამი წელიწადი, რაც საქართველოში დამყარდა მუშურ გლეხური მთავრობა, რაც განთავისუფლდა საქართველოს პროლეტარიატი ნაციონალ-შოვინისტური მონობისაგან. მე მახსოვს საშინლათ იყო მოწამლული ხალხი კომუნისტების წინააღმდეგ საზიზღარი პროვოკაციის წყალობით. რა საშინელ სურათს არ გვიხატავდენ, ის ყველა ჩვენგანმა იცის. აი შემოვა ჯარი, არავის არ დაინდობს, ყველას დახოცავს, გასცარცვამს, ქალებს გააუპატიურებსო და სხვა, წერდენ და ლაპარაკობდნენ მენშევიკები: მაგრამ რას ვხედავთ: შემოდის წითელი ჯარი, ის ათარ ჰგავს ყოფილ ნიკოლოზის არმიას, თითქმის სრულიად გამოცვლილი, მშვენიერი დისციპლინა, შესანიშნავი ზრდილობა, მშვენივრათ მოპყრობა მცხოვრებლებისადმი, მტკიცება იმისი, რომ ჩვენ მხოლოდ გაგანთავისუფლეთ ნაციონალ-შოვინისტურ მონობისაგანო, აი რას გვეუბნებოდნენ ისინი. მაგრამ ჩვენმა მესვეურებმა მაშინვე დაიწყეს საშინელი ხმების თესვა: ჩვენ დაპყრობილი ვართ რუსეთს უნდა თავის რუსული პოლიტიკით შემოსვლა და ერის გადაგვარება როგორც იმპერიალისტებსო. ჩვენც უჯერებდით ამას. თითქმის მთელი ორი წლის განმავლობაში ვებრძოდით და ხელს უშლიდით საბჭოთა ხელისუფლებას. ოთხმოცი პროცენტი ქართველი მუშა და გლეხისა ასე მტრულად იყო განწყობილი და უჯერებდა ათას ნაირ ჭორებს და ყოველგვარ პროვოკაციას საქართველოს კომუნისტური პარტია კი გაათკეცებული მუშაობდა, რომ დაემტკიცებინა მუშებისთვის, რომ ისინი მუშების ინტერესების დამცველი არიან და დაამტკიცა კიდეც. ეროვნული საკითხი, რომლის გულისთვის ისე საშინლათ სწამლავდნენ ჰაერს მენშევიკები. მშვენივრათ არის გადაჭრილი მეთორმეტე ყრილობის მიერ და ტარდება ცხოვრებაშიც. მიწის საკითხი, რომელიც ჩვენ დროს გადასჭრეს მემამულეების სასარგებლოთ, უკვე გადაჭრილია და ცხოვრებაშიც გატარებული: მიწები მიეცა მხოლოთ მშრომელ გლეხებს და არა თავადებს. მუშათა საკითხი ხომ პირველ საფეხურზე სდგას: ცდილობენ, რაც შეიძლება გააუმჯობესონ მუშების მდგომარეობა, მართალია ამ ბონების კურსის რყევის გამო ცოტა კრიზისს განიცდის მუშა, მაგრამ მაინც დაზღვეულია შიმშილისგან, შედარებით უკეთეს პირობებში ცხოვრობს. წინათ თუ მუშების სწავლაზე ნაკლებათ ზრუნავდნენ, ეხლა სწავლა განათლება მუშებისთვის ჩქარი ტემპით მიდის წინ. წერა კითხვის უცოდინარი მუშა თითქმის ქარხანაში არც კი მოიპოვება. ავადმყოფობის დროს მუშა დაზღვეულია, ის ღებულობს სრულ ჯამაგირს, უფასო წამლობას, უმუშევრობის დროს კიდევ ღებულობს დახმარებას, თუმცა მცირეს, მაგრამ მაინც შშიერი არ მოკვდება. რაც შეეხება მუშების უფლებას, ეხლა დიდი უფლებები აქვთ მუშებს. იმას ისე უბრალოთ ვერ შეურაცყოფს ვინმე, როგორც წინათ ხდებოდა. წინათ მართალიც რომ ყოფილიყო მუშა, მუდამ ხაზეინთან მტყუანი გამოდიოდა. ყველა ამ აწონ-დაწონის შემდეგ, როცა დავრწმუნდით, რომ ჩვენ ვაკეთებდით ბურჟუაზიის საქმეს, გადავწყვიტეთ ზურგი შეგვექცია და 26 აგვისტოს 1928 წ. თორმეტი ათასმა მუშამ და გლეხმა დავადექით საბჭოთა პლატფორმაზე — მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ჩვენთან ერთად თუმცა დაგვიანებით, (მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს) დადგა ჩვენი ძვირფასი ლიდერი სეით დევდარიანიც. 25 თებერვალი 1924 წ. ეს იქნება უფრო მჭიდროთ შეკავშირებული და დარაზმული კომუნისტურ პარტიასთან. მაშ, გაუმარჯოს 25 თებერვალს. გაუმარჯოს საქართველოს მუშას და გლეხს.

მუშა ნაბია.

## სამი წლის თავი.

დღეს სრულდება სრული სამი წელი მას შემდეგ, რაც ტფილისში აფრიალდა წითელი დროშა ეროვნული დროშის მაგიერ. დღეს ყველა ქართველი მშრომელი მუშა და გლეხი მთელ საქართველოს ფარგლებში დღესასწაულობს საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამი წლის თავს, უნებლიეთ მიხდება უკან მახედვა, რომ გავიხსენო ის დრო, როცა საქართველოში ბატონობდა მენშევიკური ძალაუფლება მთელი ორი წლის განმავლობაში, ებრძოდა შეუბრალებლათ მუშებს და გლეხებს, რომელნიც კი ხმას ამოიღებდნენ საბჭოთა ძალის დამყარებაზე, ებრძოდა მათ ცეცხლით და მახვილით, უფრო უარესათ ანგრევდა და ანადგურებდა ისედაც დანგრეულ ყოველ კუთხეს. ავიღოთ თელავი, დუშეთი, ცხინვალი, ლეჩხუმი, აჭარა და აფხაზეთი. ყველგან აჯანყების ცეცხლი ენთო და ვალიკო ჯუღელი, სახალხო გვარდიის სულის ჩამდგმელი ცეცხლითა და მახვილით „აწყნარებდა“ ხალხს. რა თქმა უნდა, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, მას ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოღებოდა და დამყარდა კიდეც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება. ეს იყო 25 თებერვალი 1921 წელი, სწორეთ ამ დღეს ერთმანეთს ხელი გაუწოდა მშრომელმა გლეხმა და მუშამ და თვითონ დაეპატრონენ თავიანთ თავს. ამავე დღიდან იწყება ახალი ხანა ქართველ მშრომელთა ხალხის ცხოვრებაში. დღეს აღარ არსებობს ხელოვნურათ გამოწვეული ნაციონალური სისხლის ღვრა, რის გამო მოსვენება არ ჰქონდა მშრომელ ხალხს და ხან სად უკრავდნენ თავს და ხან სად. დღეს სასტიკად ებრძვიან წერა-კითხვის უცოდინარობას, რაც ვერ გააკეთა დემოკრატიულმა მთავრობამ, ზრუნავენ მშრომელთა ჯან-მთელობაზე. ჩვენს დროს ეს ყველაფერი მარტო სიზმარი იყო, ჩვენი ვალია, რომ ყველა ნაბიჯებს, რომელიც იქნება ჩვენი ხელისუფლების მიერ გადადგმული, მთელი ჩვენი ძალ-ღონით ხელი შევუწყოთ. ჩვენ ვმრომობთ და ვიშრომებთ მხოლოდ ჩვენთვის, სა-

კუთარ თავისთვის და არა სხვისთვის, როგორც ეს წინათ იყო.

მაშ გაუმარჯოს 25 თებერვალს.

გაუმარჯოს ჩაგრულთა მხსნელ წითელ ჯარს.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ მუშას და გლეხს.

მუშა სიმონა

## ხელის შემშლელნი

მუშათა კლასის ცხოვრების სინამდვილეში არსებობენ ისეთი მოწინააღმდეგე ელემენტები, რომელთაც თუმცა მოაქვსთ თავი მუშათა ხელისუფლების მომხრეთ, მაგრამ არსებითად მოქმედობენ წინააღმდეგ და აბრკოლებენ საერთო საქმის წინსვლას. ვინაა ეს ხალხი?

წვრილ-ფეხა „ხაზეინობა", სახლის მეპატრონენი და ეგრედ წოდებული „სამტრუდები". დავიწყოთ პირველებიდან. ესენი ფარული, მაგრამ მოწყობილ ბრძოლას აწარმოებენ პროფესიონალურ კავშირების წინააღმდეგ სამსახურში კავშირის წევრ-მუშა-მოსამსახურეების არ მიღებით. მაგრამ ამითი როდი კმაყოფილდებიან. დაუყოვნებლივ ითხოვენ ადგილიდან იმ მოსამსახურეს, რომელიც გაბედავს და კავშირში ჩაეწერება წევრად. ასეთების მოსარჯულებლად, რასაკვირველია, შემოღებულია მაგარი ზომები დაჯარიმების და ციხის სახით, მაგრამ გამოდის, რომ ამ ზომებმაც ვერ შეაშინა ისინი და ისევ განაგრძობენ თავიანთ „ხელობას", ამიტომ თვით ამ დარგებში მოსამსახურე ამხანაგებმა უნდა დაეხმარონ კავშირს, მიაწოდონ ცნობები და სასჯელის სიმკაცრე მიაყენებინონ დუქნების ჩამორთმევამდე იქ, სადაც ხსენებული „წესებით" ხაზეინები ებრძვიან მუშათა კავშირებს.

თუმცა სხვა გზით, მაგრამ ისეთივე შინაარსის ბრძოლას აწარმოებენ სახლის მეპატრონენიც. თუ როგორი ალმაცერის თვალით უყურებენ ისინი საბჭოთა მდგმურებს საერთოდ, ეს მე მგონია არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას და ამიტომაც არც შევუდგები ახსნა-განმარტებას. ვიტყვი მხოლოდ. სასტიკად უნდა იქნეს დასჯილი ქირის არ მიღების ყველა შემთხვევები. კანონით დაწესებული ქირა ეცოტავებათ, არ იღებენ, ჩვენც მიგვაქვს და ვაბარებთ ხაზინას. სწორეთ დეკრეტის ამ მუხლს ბოროტად ხმარობენ სახლის პატრონნი და ჩვენს წინააღმდეგაც იყენებენ მას. ჯერ ერთი, აშკარად არღვევენ კანონს დაწესებულ ქირის არ მიღებით, მეორეც ხაზინაში გზავნით ჩვენი გაბეზრება უნდათ თანაც სასამართლოში გვიჩივიან ქირის დროზე არ მიცემაზე. სასამართლოში, რა თქმა, ვერაფერს იგებენ, მაგრამ, რომ ყველა ამითი თაღლითობას ბოლო მოეღოს, ქირის არ მიღება უნდა ჩაითვალოს სახლის პატრონების მხრივ კანონის დამარღვეველ ფაქტად და უნდა იქნენ პასუხისგებაში მიცემულნი ისინი. ამიტომ უნდა ვთხოვოთ ქალაქის აღმასკომს ასეთი შინაარსის კანონის გამოცემა.

ავიღოთ ეხლა „სამტრუდები". ეს ხალხი ხომ კავშირის სრულუფლებიან წევრად სთვლის თავს. მართლაც ასეა. სარგებლობენ კავშირის წევრთათვის შემოღებულ ყოველ შეღავათ— უპირატესობით, როგორც ბინის ქირის აგრეთვე სხვა გადასახადებში. მაგრამ სინამდვილეში ესენიც ებრძვიან მუშებს და ამათი კავშირებსაც. იშვიათად თუ ნახავთ „სამტრუდ" ხაზეინს, რომელსაც ყავდეს დაქირავებული მუშა-მოსამსახურე. ყველანი დაითხოვეს, მუშაობენ „შინაურულად" და იოლად მიდიან პატარა შეგირდების შენახვით, რომელთაც ამუშავებენ როგორც დუქნებში, აგრეთვე ოჯახებშიაც, რასაკვირველია იქაც პროფკავშირების გარეშე...

როგორც ვხედავთ, ყველა ამ ელემენტების მოქმედების მთავარი და ძირითადი ხაზი მიმართულია კავშირების წინააღმდეგ. ამიტომ გაძლიერებულ მუშაობით ხელი უნდა შევუწყოთ ჩვენს საქმიანობაში შემჩნეულ ხელის შემშლელ ყველა ჯურის და ფერის ელემენტებთან ბრძოლას. რაც შეეხება კერძოთ „სამტრუდებს", აქ მართლაც დიდი ყურადღების მიქცევაა საჭირო. სასტიკი გაწმენდაა საჭირო. აქ უნდა ვიცოდეთ ნამდვილი თავის შრომით მომუშავე ხელოსანი და გავარჩიოთ შავ ბირჟაზე მოვაჭრე „სამტრუდის" ნიღაბ ქვეშ მიმალული სპეკულიანტისაგან და ვუჩვენოთ თავის გზა, როგორც ერთს ისე მეორესაც...

ძველი მუშა.

## კომუნალური მეურნეობის კავშირში.

ამხ. ასრიევმა ვრცელი მოხსენება გაუკეთა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ც. გამგეობას იმის შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი უმთავრესი წარმოებები. მან ფაქტებით ხელში დაამტკიცა, რომ დღეს კომ. მეურ. წარმოებები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე მენშევიკების დროს იყო.

მომხსენებელი ამბობს:—ტრამვაი იყო ისეთ მდგომარეობაში, რომ ის ზარალის მეტს არაფერს არ იძლეოდა თუნდაც მაშინაც, როცა ის იმყოფებოდა „ბელგიის ამხანაგობის ხელში". თითო ვაგონზე მოდიოდა 8 მუშა, დღეს კი თითო ვაგონზე მოდის 24 მუშა და მიუხედავათ ამისა, დღეს მოძრაობაშია 84 ვაგონი, რეზერვში კი 15 მატორიანი ვაგონი. გაყვანილია ორი ლიანდაგი: ერთი სასაკლაომდის და მეორე ფუნიკულიორამდი. ელექტრონული სადგურებიც სავსებით დანგრეული იყო, დღეს მდგომარეობა საგრძნობლათაა გაუმჯობესებული. ჩვენ შევაკეთეთ ყველა სადგურები, დავდგით 16 სადგურში 54 მანქანა. დღეს ჩვენ თავისუფლათ შეგვიძლია იმედი გვქონდეს იმისი, რომ სანამ არ დამთავრდება ავჭალის გიდრო-ელექტრონული სადგურის აშენება, უზრუნველყოფილი ვიქნებით ელექტრონის ენერგიით.

წყალსადენიც ასეთ მდგომარეობაში იყო წინეთ, როგორც სხვა წარმოებები. ის იძლეოდა დღეში 600 ვედრა წყალს 21 წელში. ტურბინები დაძველებული იყო და ბევრი წყალი იკარგებოდა, ჩვენ შევაკეთეთ ეს ტურბინები და მდგომარეობა გამოკეთდა. ამიტომ საშვალება გვეძლევა 1-ლ იანვრიდან მუშებს წყალი იაფად მივცეთ: $1/4$ კაპეიკად ვედრო.

საბინაო საქმეც ცუდათ იყო წინეთ, მაგრამ დღეს უძრავ ქონების სამმართველოს ენერგიული მუშაობით ეს საქმეც ძალიან გამოკეთდა. ყველა სახლები აღებულია აღრიცხვაზე და აქ ჩვენ გვაქვს 15% მუშების და მოსამსახურეებისათვის. საერთოდ მოხსენებიდან აშკარათ გამოირკვა, რომ ჩვენი მდგომარეობა საგრძნობლათ გაუმჯობესებულა."

„მუშკორი".

## როგორ უნდა გავავრცელოთ მუშებში პროლეტარული კულტურა

კომუნიზმის განხორციელება შეუძლებელია გარეშე პროლეტარული კულტურისა.

ვ. ლენინი.

გარდა ეკონომიური უსწორ-მასწორობისა, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწევს მთელს კაცობრიობას და განსაკუთრებით კი პროლეტარიატს, არა ნაკლებ ცუდ პირობებში აყენებს მას საკუთარი პროლეტარული კულტურის უქონლობა და იგი იძულებულია ჯერჯერობით ისაზრდოოს იმ უვარგისი და მისთვის მიუღებელი კულტურით, რომელიც შექმნილია თანამედროვე ბურჟუაზიის მიერ თავისი კლასიური გამოვნების მიხედვით. პროლეტარიატი ვერ შექმნის თავისებურ ზნეობრივ კულტურას, მანამ იგი ხელში არ აიღებს ძალაუფლებას და თითონ არ გახდება ბატონ-პატრონი იმ ქვეყნის, რომელიც მას შეუქმნია და ამავე დროს მის კუთვნილებას შეადგენს.

რუსეთის პროლეტარიატმა ამ მხრივ ძალიან მიწონ-შეწონილად აწარმოვა ბრძოლა თავისი უდიდესი ბელადის ლენინის ხელმძღვანელობით. მან 1918 წელშივე შექმნა პროლეტარული კულტურული ორგანიზაციები, და რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამ ორგანიზაციებს აქვთ თავისი მიღწევები და მომავალში კი უფრო მეტი ექნება. ჩვენში, საქართველოში კი, როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა საქართველოს პროლეტ-კულტთა მოღვაწეთა ყრილობაზე განსაკუთრებით კი სალიტერატურო სექციის პლენუმზედ მომხსენებლები ადგილებიდან აღნიშნავდენ უსახსრობისა გამო საკუთარი ორგანოს უქონლობას.

აუცილებლათ საჭიროა მთავრობა დაეხმაროს პროლეტარულ პრესას. ეს ერთ-ერთი იარაღთაგანია კულტურის გავრცელებისათვის. მაგრამ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვიერ პროპაგანდასაც. პროლეტკულტის დღევანდელ შემადგენლობას რომ თვალი გადავავლოთ, დავინახავთ, რომ ის შესდგება უმთავრესად ინტელიგენტ მოწაფეებისაგან — 80%. მუშებს აქ მცირე ადგილი უჭირავთ. ეს დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, ამისათვის აუცილებლად საჭიროა მჭიდრო კავშირი ფაბრიკა-ქარხნებთან, ვინაიდან კულტურის შეძენა თუ საჭიროა ვისთვისმე, ეს პირველად ყოვლისა მუშისათვის. ყველა ქარხანაში უნდა მოეწყოს წრეები და უეჭველად სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს მეცადინეობა, უნდა იკითხებოდეს ლექციები მდაბიო მასაში, რომ ძველი აზროვნება ახლით იქნას შეცვლილი. გარდა ამისა პროლეტკულტის მოქმედება აუცილებლად გადატანილ უნდა იქნას ჩვენი მუშების ოჯახების დასახლებებში. აქაც საჭი-

როა ბრძოლა ძველ აზროვნებასთან და ცრუმორწმუნეობასთან.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ მცირინავი ლექციები უბნებში და ხან გამოშვებით მაინც მოვასმენინოთ ეს ლექციები ჩვენს დიასახლისებს. სასტიკი ბრძოლა ძველ ბურჟუაზიულ კულტურას გაუმარჯოს ახალ პროლეტარულ კულტურას. მან უნდა ჩაუყაროს საფუძველი ახალ ცხოვრებას — კომუნიზმს.

მკერვალი ნიკო.

# პოლიტიკური მიმოხილვა

* * *

რამოდენიმე თვის წინედ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრი გერმანია იყო, იქ ამბები ისე სწრაფად ვითარდებოდენ და რევოლიუცია ისე მზადდებოდა, როგორც არსად და არისოდეს. ამ მოძრაობას იქ ხელმძღვანელობდა და ტონს აძლევდა კომპარტია. მაგრამ სოც.-დემოკრატიამ არ მოინდომა რევოლიუციის მოხდენა და საქმე ჩაიფუშა. დღეს გერმანიაში ბატონობს შავი რეაქცია, რომელიც თანდათან ავიწროებს მუშების უფლებებს და მათ საშინელ პირობებში აყენებს.

წარსულ კვირას კვლავ განახლდა გერმანიის მიძინებული მუშათა მოძრაობა. მუშებმა განაახლეს ბრძოლა. გერმანიის სამრეწველო ცენტრებში მუშებსა და პოლიციას შორის სისხლის მღვრელი შეტაკებები მოხდა. შეტაკებები მოხდა კენისბერგში, შტეტინში, ჰამბურგში და ბერლინში. ბრძოლაში ჩაებენ თვით ქრისტიანულ პროფკავშირებში გაერთიანებული მუშებიც.

საქსონიაში გენერალმა მიულერმა აკრძალა იმ მუშების სამსახურში მიღება, რომელნიც ფაშისტებს არ ემხრობიან.

ტეეტონური პარტია მუშების ჩოსატყუებლად მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას.

ამ რიგად გერმანიაში ბრძოლა კვლავ დაიწყო. განსაკუთრებით მუშები იბრძვიან სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბრძოლას ანელებს პროფკავშირთა სიმხდალე.

რეინის ვესტფალიის მუშების ბრძოლა ორი თვის განმავლობაში სამუშაო დღის გახანგრძლივების წინააღმდეგ, შესუსტდა. მთავარი როლი ბრძოლის შესუსტებაში ითამაშა პროფკავშირების სათავეში მდგომ ბიუროკრატების პროპაგანდამ გაფიცვის შეწყვეტის სასარგებლოდ, მათმა მოღალატურმა პოლიტიკამ და აგრეთვე უმუშევრებისათვის დახმარების მიცემის შეწყვეტამ. პროფკავშირების ყვითელი ბელადების მოღალატეობის გამო ფეიქრები და საალმშენებლო მუშები ვუპერტლში დასთანხმდენ სამუშაო დღის გადიდებაზე.

რეიმშეიდში, ზოლინგენში და რეინის ქვანახშირის რაიონში მუშების ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის გრძელდება.

პროფკავშირების ბელადების მოღალატეობამ საგრძნობათ შეასუსტა სოციალ-დემოკრატების გავლენა პროფკავშირებში. ხელახალი არჩევნების დროს პროფკავშირებში იმარჯვებენ კომუნისტები. ოპლანდენში რკინისგზელთა გამგეობის არჩევნების დროს კომუნისტებმა გამგეობაში მიიღეს ხუთი ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა კი ერთი.

* * *

წარსულ კვირას გერმანიაში სწარმოებდა მელითონეთა კონგრესი.

8 თვის წინად მომხდარ არჩევნების შედეგები ასეთია: მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს 150 დელეგატი, კომუნისტებმა — 145 და მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა — 100.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა არა ერთხელ მისცეს წინადადება კომუნისტებს გამოსულიყვნენ არჩევნებში მათთან ერთად მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

„როტე ფანე“ ამის გამო სწერს, რომ კომუნისტები წავლენ პირდაპირი გზით და წარუდგენენ კონგრესს თავიანთ პლატფორმას. კომუნისტები არ დაუშვებენ არავითარ შეთანხმებას სოციალ-დემოკრატებთან.

„როტე-ფანე“ ამას სწერდა, სანამ კონგრესი გაიხსნებოდა. გაიხსნა კონგრესი. ჩამოვიდა 400 დელეგატი.

კომუნისტები ყრილობაზე მესამედს შეადგენენ.

კომუნისტურ დემონსტრაციებისათვის ხელის შეშლის მიზნით რეიხსვერის უფროსმა გენერალმა რაინჰარდტმა დაატუსაღა კომპარტიის საოლქო კომიტეტი. მელითონეთა ლიდერი დიტმანი მოლაპარაკებას აწარმოებს დელეგატკომუნისტებთან შეერთებული სიის შედგენის შესახებ.

კომფრაქცია თანახმა არის საერთო სიაზე შემდეგის პირობით: მემარცხენე სოციალ-დემოკრატები უნდა გაიმიჯნონ მემარჯვენეებისაგან, ხელმძღვანელ თანამდებობიდან უნდა მოიხსნას ყველა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები, გაფართოებული უნდა იქნას ფაბქარხკომების უფლებები, დაგმობილ უნდა იქნას პროფკავშირების სრულიად გერმანიის გაერთიანების პოლიტიკა, ფროფკავშირებიდან გარიცხული წევრები აღდგენილი უნდა იქნან უფლებებში; ყრილობამ უნდა მიიღოს ენერგიული საპროტესტო რეზოლიუცია კომპარტიის აკრძალვის გამო, სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების სასარგებლოდ.

თავისთვის სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარის თანამდებობის უზრუნველსაყოფად, დიტმანი სცდილობს დაითანხმოს კომფრაქცია კომპრომისზე, მაგრამ უკანასკნელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არავითარ დათმობაზე არ წავიდეს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებში.

* * *

ჩვენ წინა კვირეულში მოვათავსეთ ინგლისის მუშათა მთავრობის დეკლარაცია. ახლა მოკლედ მოვიყვანთ კამათის შინაარს ამ დეკლარაციის გამო.

თემთა პალატაში ჩემბერლენი შეეკითხა პრემიერს: აქვს თუ არა მას განზრახვა უზრუნველჰყოს თავის მიმართ ქვეყნის ნდობა და გაარკვიოს თავისი პოზიცია საკითხში კაპიტალზე გადასახადების დაწესების შესახებ? მას აგრეთვე სურს გაიგოს მთავრობის პოზიცია ბრიტანეთის მრეწველობის ინტერესების დაცვის საკითხში.

შემდეგ ჩუმბერლინმა სთქვა, რომ არსებობენ მხოლოდ ბაზრები, რომლებზედაც ინგლის შეუძლია იქონიოს იმედი და არ შეამციროს თავისი ძველი ვაჭრობა და დღევანდელ არევ დარევის ხანაში გასაქანი მისცეს მას. ეს ბაზრები არსებობენ ბრიტანეთის დომინიონებსა და კოლონებში.

პალატის ზოგიერთი სხვა წევრების სიტყვების შემდეგ, მაკდონალდმა ილაპარაკა სხვადასხვა საკითხებზე. ეროვნულ თავდაცვის შესახებ მან სთქვა, რომ მთავრობა ამ საკითხს უფრო მეტი ყურადღებით ეკიდება, ვიდრე ეს იყო წინად. მსოფლიოში არ მოიპოვება ერი, რომელსაც უნდოდეს ხელახლა დიდი ომის დაწყება. ყველა ქვეყნის ხალხთა სულიერი განწყობილებაა სურვილი მიაღწიონ შეთანხმებას, რომლის საშუალებით შეიარაღება კი არ გაფართოვდება, არამედ შემცირდება ნორმალურ რაოდენობამდე.

ამიტომ მთავრობა იხილავს ამ საკითხს არა სამხედრო თვალსაზრისით, არამედ ინგლისის საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკის ინტერესების თვალსაზრისით. მთავრობა ათანხმებს ამ ინტერესებს. გარეშე საქმეთა მინისტრი, აწარმოებს რა მოლაპარაკებას უცხო სახელმწიფოებთან, იქნება დამოკიდებული არა სამხედრო ძალებზე, არამედ „შესაძლებლობის“ პოლიტიკაზე.

შემდეგ პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობას სურს დაიცვას ეკონომია და განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს გაბედულად გაატაროს ეს პოლიტიკა. რაც შეეხება გადასახადებს კაპიტალზე, ეს საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას თემთა პალატის დღევანდელ სესიაზე. მაკდონალდის შემდეგ ხაზინის კანცლერმა სნოუდენმა, უპასუხა რა შეკითხვებზე, განაცხადა, რომ გადადგმული იქნება ნაბიჯები ეროვნულ ვალების ლიკვიდაციისაკენ, როგორც ამას პრემიერი გვპირდებოდა. კომისია შედგენილი იქნება 9—10 კაცისაგან, აქედან არც ერთი არ იქნება თემთა პალატის წევრი.

ბალდვინი და ასკვიტი სასტიკად ილაშქრებდენ თემთა პალატაში მაკდონალდის წინააღმდეგ, რომლის პროგრამას უწოდებდენ უფერულს და გაურკვეველს. ბრიტანეთის კაბინეტი ოთხშაბათის საღამოს სხდომაზე არჩევდა მდგომარეობას, რომელიც შექმნილია ასკვიტის ოპოზიციის მიერ.

როგორ შეხედა გერმანიის და საფრანგეთის პრესა მაკდონალდის დეკლარაციას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პრესა ხაზს უსვამს, რომ მაკდონალდის სიტყვა არის დასაწყისი ახალი ხანისა ევროპაში.

მთავრობის წრეები ჩუმად შეხვდენ პროექტს ერთა ლიგაში გერმანიის მიღების შესახებ.

მემარჯვენე წრეები მაკდონალდის სიტყვას არ შეხვდენ თანაგრძნობით და ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მაკდონალდი იცავს მხოლოდ ინგლისის ინტერესებს და ილტვის საფრანგეთთან შეთანხმებისაკენ იმ მიზნით, რათა რეინის ოლქი გადავიდეს ერთა ლიგის სუვერენიტეტის ქვეშ.

ინგლისს სურს მონაწილეობა მიიღოს რურის საქმეებში გერმანიის ხარჯზე, რისთვისაც იწონებს საფრანგეთის მოთხოვნილებებს მისი საზღვრების უშიშროების გარანტიის შესახებ.

რაც შეეხება საერთაშორისო კონფერენციის პროექტს, მემარჯვენე წრეები მას ილიუზიების პოლიტიკად სთვლიან.

საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა დაკმაყოფილებულია მაკდონალდის სიტყვით და მისი დაპირებით საფრანგეთთან თანამშრომლობის სესახებ. ზოგიერთი მემარჯვენე გაზეთები ეჭვს. გამოსთქვამენ სარეპარაციო საკითხის სასურველად გადაჭრაში, რადგან მაკდონალდმა არ წარმოადგინა ამის შესახებ არავითარი კონკრეტიული წინადადებანი.

მემარცხენე ბლოკის პრესა აღტაცებულია მაკდონალდის სიტყვით. „ტანი" ხაზს უსვამს მაკდონალდის სიტყვის ფრთხილ ტონს და შენიშნავს, რომ ბალდვინი, რომელიც აკრიტიკებდა მაკდონალდს, ვერ დაამტკიცებს იმაზე მეტ ბურჟუაზიულ სულის კვეთებას, ვიდრე თვით მაკდონალდი იჩენს.

* * *

ინგლისში ვერ არის ყველაფერი რიგზე. გაფიცვების ტალღა არ სცხრება. ახლა გაიფიცა ტრანსპორტელები, გემზე მომუშავენი და სხვა.

გემების საალმშენებლო სახელოსნოების მუშების გაფიცვაში მონაწილეობას იღებენ ინგლისის ყველა ნავთსადგურების მუშები—სულ 120,000 ტრანსპორტელი.

რკინისგზელთა ეროვნულ კავშირმა უბრძანა თავის წევრებს, რომელნიც პროფესიის მიხედვით დოკერებათ ითვლებიან, შეუერთდენ გაფიცვას, კავშირის დანარჩენ წევრებს კი უბრძანა უარი სთქვან ბარგის გადაზიდვაზე. მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მოუმატონ შრომის ხელფასი 1 შილინგით დღეში ყველა იმ მუშებს, რომელნიც განაახლებენ მუშაობას. ამის გამო ტრანსპორტელთა კავშირის მდივანმა დევლიმ განაცხადა, რომ ყველა ის, ვინც დათანხმდება ამ შილინგზე, გახდება მუშათა კლასის იუდათ.

ტრანსპორტელთა მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ მაკლდონალდმა დაუყოვნებლივ გამოიყენოს საგანგებო უფლებები და დააწესოს მუშების სრული კონტროლი ნაოსნობასა და გემების საალმშენებლო სახელოსნოებზე; რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე შრომის ხელფასის გადიდებას, სანამ მწარმოებლებსა და კავშირს შორის მიღწეული არ იქნება შეთანხმება.

# ქრონიკა

◆ **25** თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავზე სალამოს ყველა მუშათა კლუბებში იქნება საკლუბო სალამოები და მოხსენებები საქართველოს საბჭოების შესახებ. მოხსენებების შემდეგ თვითმოქმედების სალამოები. მოხდება აგრეთვე ლენინის სახელობის სხვადასხვა დაწესებულებების გახსნა და კედლის გაზეთების გამოშვება.

◆ ციხიდან გაათავისუფლეს ამხ. სეით დევდარიანი და მასთან 38 პატიმარი, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი პლატფორმა.

◆ **საგანგებო** კომისიამ აღმოაჩინა მენშევიკების არალეგალური სტამბა. სტამბაში მუშაობის დროს დაპატიმრებულ იქნენ სამი მომუშავე—1) მუჯირიშვილი, 2) დილმელაშვილი და 3) კვიციანაძე დავითი.

◆ **კვირას,** 17 თებერვალს, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა იდღესასწაულა დამსახურებულ პროფესორის პ. გ. მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის თავი. პირველად იუბილიარს მიესალმა რექტორი ივ. ჯავახიშვილი, შემდეგ ფაკულტეტების წარმომადგენელნი: პროფ. კეკელიძე, ნუცუბიძე, უძნაძე და სხვები. დამსახურებულ პროფესორს მიულოცა აგრეთვე განათლების სახალხო კომისარმა დ. კანდელაკმა. იყო მისალმება სხვადასხვა ორგანიზაციებიდანაც. დასასრულ იუბილიარმა ყველას მადლობა გადაუხადა პატივისცემისათვის,

## სხვა და სხვა ამბები:

◆ **სახალხო კომისართა საბჭომ** მიიღო პროექტი დეკრეტისა ვერცხლისა და სპილენძის ფულის მოჭრის და ხმარებაში გამოშვების შესახებ, საბჭოთა ნიმუშის ვერცხლის ფული გამოშვებული იქნება 10, 15, 20, 50 კაპეიკის და ერთი მანეთის ღირებულებისა. სპილენძის ფული—1, 2, 3 და 5 კაპ. ღირებულებისა. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატს წინადადება ეძლევა გააძლიეროს ფულის მოჭრა იმ ანგარიშით, რათა მოჭრილი ფულის ჯამი 1925 წ. 1 იანვრისთვის უდრიდეს არა ნაკლებ 100 მილიონ მანეთს ფინანსთა სახ. კომისარიატს ნება დართული აქვს, იმ შემთხვევაში, თუ მახლობელ თვეებში მან ვერ მოასწრო ფულის საჭირო რაოდენობის დამზადება, ფულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოუშვას შრომის და თავდაცვის საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით ბონები 1—15 კაპეიკამდე, რომლებიც მიიღებიან ვერცხლის ფულთან თანაბრად და არა უგვიანეს 1925 წ. 1 იანვრისა დახურდავდებიან ლითონის ფულზე თანასწორი ღირებულებით.

სახ. კომისართა საბჭო ამავე დროს კრძალავს ანგარიშების გასწორებას მეფის დროის მოჭრილ ფულით.

◆ **ფინანსთა სახ. კომისარიატი** გეგმა შეწონილად აგზავნის ვერცხლის ფულს ადგილებზე იმ მიზნით, რომ ლითონის ფულის ხმარებაში გამოშვება მოხდეს ერთსა და იმავე დროს მთელ საბჭოთა კავშირში.

◆ **მოდის ცნობები** კომპარტიაში მუშების მასიური შემოსვლის შესახებ: მოსკოვში 18 თებერვლამდე შეტანილია 21,499 განცხადება, მოსკოვის გუბერნიაში—10,000-ზე მეტი, ბაქოში—4,600 ვოლოგდში—2,300. რიბინსკში—275, ბლაგოვეშჩენსკში—300, კრემენჩუგში—500, პსკოვში—765.

დონის როსტოვში ილიჩის გარდაცვალების შემდეგ შემოვიდა 1,800 განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. გრძელდება განცხადებების მიღება.

ცარიცინში პარტიაში შესვლის შესახებ სულ შემოვიდა 1000 განცხადება.

◆ **რომში** გაიხსნა ერთა ლიგის კრება, რომელზედაც მიწვეულია 18 მთავარი სახელმწიფოს წარმომადგენელი. მათ შორის რუსეთის წარმომადგენელიც. კრების მოწვევა უნდოდათ შვეიცარიაში, მაგრამ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა პროტესტი განაცხადა—ჩვენ არ წავალთ იქ, სადაც ამხ. ვოროვსკის მკვლელი გაამართლესო.

◆ **იტალიის** ელჩი უკვე ჩავიდა მოსკოვში.

◆ **საფრანგეთის** სოციალისტური პარტიის კონგრესმა დაადგინა მონაწილეობა მიიღოს მემარცხენე პარტიების ბლოკში მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

◆ **1,000 სეპარატისტი** გაიქცა პფალციდან მათ გადალახეს საფრანგეთის საზღვარი და თავი შეაფარეს ელზასში.

◆ **გერმანიის** მუშებმა განაახლეს ბრძოლა მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები პოლიციასა და მუშებს შორის მრავალ სამრეწველო ცენტრებში.

◆ **ვარშავაში** გაიხსნა ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია. ეს არის მორიგი კონფერენცია, რომელიც სხვათა შორის განიხილავს საბჭოთა კავშირთან ურთი-ერთობის საკითხს.

# წერილები პროვინციიდან

## მარნის თემი.

ყოფილ სბროვოიავკას ხე-ტყის ქარხანაში, მარნის თემში, მუშებმა შეამჩნიეს, რომ ქარხნის დირექტორის თანაშემწე ვერ დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე, მასალებს ფლანგავს და ფქვილებით ვაჭრობს; მუშებმა მოითხოვეს, რომ ასეთი უფროსი გადაეყენებია დირექტორს, რადგან მუშების აზრით ის მეტად მავნე იყო წარმოებისათვის, მაგრამ მას დირექტორმა გადააფარა თავისი მოწყალე კალთები და მუშებს უთხრა: რა თქვენი საქმეა ჩემი მოსამსახურის ავ კარგიანობაო თქვენ ეს არ გეკითხებათო და სხვა.

გადის დრო: მუშები ჯამაგირს ვერ ღებულობენ. ქარხანა დავალიანდა. მწარმოებელი მიდის იტალიაში და მუშებს უტოვებს მხოლოდ „ტაბელებს", რჩება მუშები პირში ჩალა გამოვლებული, გაისმის გულიდან ამონაკვნესი ხმები.: „ნუ თუ ეხლაც, მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროსაც უნდა გვაძრობდეს ტყავს კერძო მწარმოებელი? როდის, როდის უნდა გათენდეს ჩვენთვის?" მაგრამ რამოდენიმე მოწინავე ამხანაგებს არ სძინავთ. ქარხკომთან ერთად ადგენენ „ტაბელებს", აწერინებენ დირექტორის მოადგილეს ხელს და საქმე გადადის მუშურ-გლეხურ სახალხო სასამართლოში, სა-

დაც საქმე თავდება მუშების სასარგებლოთ: ინიშნება საჯარო ვაჭრობა და ქარხანა რჩება მუშებს ვალში, რომელსაც ყიდულობს მორიგებით რკინის გზა. და აი ეხლა ამ რამოდენიმე დღეში ყოფილ სბროვთავკას ხე ტყის ქარხნის მუშები მიიღებენ იმ ფულს, რომელსაც ბევრი ამხანაგები თვლიდნენ უკვე დაკარგულად. ეხლა მე იმედი მაქვს, რომ ამხანაგები ჯამაგირის განსაზღვრულ პროცენტს გადადებენ კულტურული საქმისათვის, როგორიცაა შეძენა: კინემატოგრაფიული აპარატის, მუსიკალური ორკესტრის კომპლექტის და საბეჭდი მანქანისა.

ურო.

## აგვისტოს გამარჯვება.

(წერილი ბათომიდან)

დიდ ოქტომბრის დამატებათ საქართველოს მაშტაბით აუცილებლად იქნება ჩვენი აგვისტო. საქართველოს სინამდვილეში მენშევიკური ხაზის დამარცხება უდიდეს გამარჯვებათ ჩაითვლება და ეს გამარჯვება დაგვირგვინდა 1928 წლის აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში. ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით აგვისტოს ყრილობის სიდიადეში, მტკიცეთ გვწამდა, რომ ეს ყრილობა აკეთებდა მუშათა კლასის საქმეს, მაგრამ ისიც ვიცოდით, თუ როგორ სახელს დავიმსახურებდით როგორც არალეგალური ცეკას ისე „მეშჩანების" დიდი ნაწილის თვალში; მაგრამ ბრწყინვალე მომავლის პერსპექტივები ყველაფერს გვავიწყებდა. ყრილობის შემდეგ მხოლოდ ხუთმა-ექვსმა თვემ განვლო და ჩვენ სინამდვილის წინაშე დავდექით: გამართლდა ჩვენი ხაზი, გაპართლდა ყრილობის მიერ მიღებული პლატფორმა, ნოე ჟორდანიასთან შეზრდილი და პარტიის მეორე ლიდერი დღეს ჩვენთან არის: „არ შეცდკით, თქვენი ხაზი სწორია, მეც თქვენთან ვარო", აი სეით დევდარიანი, არალეგალურ მენშ. ცეკასთავმჯდომარე. სეითის გამოსვლამ დიდი გავლენა იქონია ამაზე, რომლებიც ამდენხანს კიდევ ჯიუტობენ. მაგრამ სეითის ჩვენთან გადმოსვლით მათ რიგებში ყოყმანი აღარ არის, ყველა ისინი ჩვენთან მოდიან. ამის ერთი დამამტკიცებელი იყო ამ დღეებში ქალაქ ბათომში გამართული ყოფილ მენშევიკთა და ახალგაზრდა მარქსისტთა კრება, რომელსაც დაესწრენ ყველა ძველი მუშები, ყველა ისინი, ვინც თავის მხრებზე გადაიტანეს მეფის რეაქციის უსაშინელესი რისხვა და სუსხი. კომუნალურ მეურნეობის დარბაზი გაივსო ძველი აქტიური ამხანაგებით: იქ იყვნენ ქალაქის რკინისგზელები, სანაპიროს მუშები და სხვა.

საღამოს 7 ს. კრება იხსნება. კ. გოგიბერიძე აკეთებს ვრცელ მოხსენებას მომენტზე და ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობაზე. გაზეთ „ბრძოლის" ფურცლებზე სისტემატიურად თავსდება წერილები ჩვენი პოზიციის გასამაგრებლად და პლატფორმის დასაცავად. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. კამათში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვები წარმოსთქვეს: ქავთარაძემ, ჯიბლაძემ, გომართელმა, ს. [illegible], ხავთასიმ, დიასამიძემ, ფირცხა[illegible] [illegible]რიძემ და სხვამ.

[illegible]ვა გომართელი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

1928 წლ. ოქტომბრის თვიდან, სხვა ამხანაგებთან ერთად (კოლექტიურათ), მეც განვაცხადე, რომ მე გამოვედი ს.-დ. მენშევიკების პარტიიდან, მაგრამ დაბეჭდილი ვერ ვნახე არც ერთ გაზეთში (მიზეზი არ ვიცი).

ამისათვის, ხელმეორეთ ვაცხადებ, რომ ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი მაქვს მენშევიკურ პარტიასთან და ვდგევარ მე-III კომინტერნის პლატფორმაზე, როგორიც არის ერთად-ერთი მუშათა კლასის ინტერესების დამცველი. ამასთანავე ერთად გულ-წრფელის გრძნობით ვიზიარებ ს. ს. დ. პარტიის 26 აგვისტოს ყრილობის ყველა დადგენილებებს.

სილიბისტრო სამსონისძე თოდაძე.

### სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრები, ვიზიარებთ პოლიტიკური პატიმართა და 30 აგვისტოს დადგენილებებს, ვსტოვებთ რა მენშევიკურ პარტიას, რომლის მუშაობა უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში იყო მიმართული პროლეტარიატის საწინააღმდეგოდ, დღეის რიცხვიდან წმინდა ადამიანურის შეგნებით ვგმობთ ძველ გზას და ვდგებით მე-3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალის პლატფორმაზედ, რომელმაც დაგვიმტკიცა, რომ ის და კომპარტია პროლეტარიატის დამცველი ფხიზელი დარაჯია, და მოუწოდებთ სხვა დარჩენილ ამხანაგებსაც, რომ დადგნენ ისინიც ამ ხაზზედ.

1. შ. სალუქაშვილი გაბრიელისძე,
2. ივანე მუმლაძე.
3. გიორგი გიორგისძე ხუხუნი.

1904 წ. მე ძალიან ახლოს ვიდექი საქართველოში რევოლიუციონურ მოძრაობასთან, სხვა და სხვა აქტიურ გამოსვლებში მე განურჩევლად ვეხმარებოდი სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთას, ჩემ სახლში ინახებოდა ბომბები, შრიფტი და პროკლამაციები, აგრეთვე ხდებოდა საიდუმლო კრებები, შემიკერავს ორი დროშა. მაგრამ ოფიციალურათ მე არ შევდიოდი პარტიაში 1917 წლამდე, ამ წლიდანვე კი მე ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიაში, დღეს კი დიდი დაკვირვების შემდეგ დავრწმუნდი, რომ მენშევიკური პარტია ასცდა რევოლიუციონურ გზას, რითაც შეაფერხა მსოფლიო რევოლიუციის მსვლელობა. ჩემის აზრით და რწმენით კომუნისტური პარტია არის მუშების და გლეხების ერთად-ერთი პარტია, რომელიც სიმტკიცით იცავს დაჩაგრულ ხალხის კლასიურ ინტერესებს. ამიერიდან სიტყვას გაძლევთ ხელი შეუწყო ყოფილ მენშევიკების ყრილობის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას, მიგულისხმეთ თქვენს რიგებში.

ბარბალე მელიქოვი.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ ჟურნალში მოათავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება:

1921 წლიდან მე ვირიცხებოდი საქ. დამოუკიდებელ სოც. დემოკრატიულ („სხიველების") მუშათა პარტიის წევრად, პირველ ხანებში ამ პარტიის ორგანიზაციულ მუშაობის პერიოდში ვიყავი რამოდენიმე თვის განმავლობაში ცეკას მდივანი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბევრს გვეგონა, რომ დამოუკიდ. სოციალ დემოკრატია, რომელმაც მიზნად დაისახა კლასობრივი ბრძოლის და მეცნიერული სოციალიზმის გზით მსვლელობა, სრულიად გაიმიჯნებოდა მენშევიკურ ოპორტიუნისტულ იდეოლოგიისაგან, როგორც პოლიტიკურად, ისე ორგანიზაციულად, დაადგებოდა სოციალისტურ გზას და გამონახავდა საერთო ენას მმართველ საბჭოთა ხელისუფლებასთან, რადგან ჩვენი პარტია არსებულ სხვა დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებთან შედარებით უფრო ახლოს იდგა კომუნისტებთან,—მაგრამ ამაოდ. ჩვენი იმედი გაცრუვდა და საქ. დამოუკ. სოც. დემოკრატია მისდაუნებლიეთ მოექცა კონტრ-რევოლიუციის არალეგალურ მუშაობის ორბიტში.

საქ. დამოუკ. სოც. დემოკრატია, რომელიც 1921 წელში გამოცემულ პლატფორმაში, პრინციპიალურად არ უარყოფდა საბჭოთა სისტემას და, პირიქით, თავის პროგრამის თანახმად არსებულ საბჭოთა სისტემის ნიადაგზედ საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ-კულტურულ აღორძინების მიზნით აღიარებდა გაბატონებულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას,—როგორც ვიცით, არალეგალურ მუშაობის პროცესში დაჰკარგა დამოუკიდებლად არსებობის ყოველგვარი აზრი და გარდაიქცა ფილიალურ განყოფილებად არალეგალურ მენშევიზმისა.

და აი, სწორედ ამ ნიადაგზედ იყო, რომ პარტიაში იჩინა ორმა მიმდინარეობამ. პარლამენტარულ დემოკრატიზმის ტენდენცია დაეჯახა პროლეტარულ დიქტატურის ტენდენციას. პარტიის ერთი ნაწილი ეგრედ წოდებულ „ლიდერების" მეთაურობით გაექანა არალეგალურ მენშევიზმისაკენ, მხოლოდ პარტიის წევრთა მეორე ნაწილი, რომელიც კატეგორიულად ითხოვდა სისტემის სრულ ცნობას და კომინტერნის დროშის ქვეშ დარაზმვას, სავსებით გაემიჯნა და გასწყვიტა მასთან ყოველგვარი კავშირი.

და აი მეც, რომელსაც ამ დრომდე მეკავა ნეიტრალური პოზიცია და არ ვემხრობოდი არც ერთ მიმდინარეობას, რომელიც წარმოიშვა პარტიაში,—დღეს მორალურად, ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გავსწყვიტო სავსებით კავშირი დამოუკ. სოც. დემოკრატიასთან და შევუერთდე ჩემს ყოფილ ამხანაგებს, რომელნიც დიდი ხანია, რაც დაადგენ კომპარტიის, კომინტერნის და სოციალურ რევოლიუციის გზას.

გრიგოლ მაჭავარიანი.

სარედაქციო კოლეგია:
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
ქ. თოფაძე.
ქ. შენგელია.
გ. ვარდოიანი.

[illegible] განყოფ. 3-ლი სტამბა შეკ. № 768. ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ № 1076: ტირაჟი 1000

23 მარტი 1924 წ. მეორე წელიწადი პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# სოფლის ხმა

№ 19 ყოველკვირეული ჟურნალი № 19

| რედაქცია და კანტორა | ფ ა ს ი | რედაქცია და კანტორა |
|---|---|---|
| ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102. | 5 კაპ. ბაჯაღლო ოქროთი | ღია ა ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა დილის 8 ს. შუად. 1 ს.-დე. |

## მუშების საყურადღებოთ.

**ვინაიდან მუშებს არ აქვთ დრო მუშაობის დღეებში რედაქციაში შემოსასვლელად, ჩვენი ჟურნალის რედაქცია ღია იქნება კვირა-უქმე დღეებშიაც 9 ს.—1 საათამდე, დანარჩენ დღეებში კი 10 ს.—3 საათამდე.**

## ნიღაბი სავსებით ახდილია.

დაიშალა სოციალ-დემოკრატია. მუშათა და გლეხთა ფართო წრეებმა პირი იბრუნა მისი რიგებიდან.

მენშევიზმის დროშა ხელში ჩაუვარდა კონტრ რევოლიუციას, თავადაზნაურობას, ბურჟუაზიას და მათ დამქაშებს.

ამ დროშის ირგვლივ ყოფილ მენშევიკთა პარტიის ნამსხვრევებთან ერთად თავი მოიყარა ყველა იმათ, ვინც ფსიხოლოგიურათ კლასიურ სხვაობის გამო ვერ შერიგებია არსებულ წყობილებას, მუშათა და გლეხთა ბატონობას.

ჩვენ იმ თავითვე ვამბობდით, როდესაც დავსტოვეთ მენშევიკური პარტიის რიგები, რომ ამიერიდან ეს „წმინდა“ კავშირი კონტრრევოლიუციისა, დამშვენებელი ოდესღაც რევოლიუციონური საქმით დღეს კი ფერ დაკარგულ დროშით, გაკოტრებული პოლიტიკის დროშით, რომელზედაც აწერია მენშევიზმის სახელი, მოლიპულ გზაზეა შემდგარი და ერთი ავანტიურიდან მეორესაკენ მიემართება, წარბ შეუხრელათ, გაუწითლებლათ.

და ჩვენ არ მოვსტყუვდით.

ის, რაც დამტკიცდა წმინდა ამბროსის გასამართლების დროს უსათუოდ დიდი მნიშვნელობის მქონეა, როგორც ნათელი სურათი იმისა, თუ სად მივიდა უგზო უკვლოდ მოხეტიალე მენშევიზმის ნამსხვრევები, ვისთან შეუკრავს კავშირი, ვისი დამცველი და ქომაგი გამომდგარა.

შემთხვევითი როდია ის მოვლენა, რომ „მამა“ ამბროსის და ძმათა მისთა გასამართლების დროს მის დამცველთა რიგებში შეხვდებით ისეთ სახელებს, როგორიც არის კ. ნინიძე, დადიანი, ოსიკო ბარათაშვილი.

უსათუოდ პირველ მოვლენას მეორესთან ძალიან დიდი კავშირი აქვს და აი ჩვენც სწორედ ამ გარემოებას გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

რა მოიმოქმედა საქართველოს სამღვდელოებამ?

რისთვის დასვა „წმინდა მამები“ მშრომელთა ხელისუფლებამ საბრალმდებლო სკამზე?

საქართველოს სამღვდელოებამ „ვილაცას“ შთაგონებით, რასაკვირველია საკუთარ ინტერესებთან შეფარდებით, შეადგინა მემორანდუმი და გაუგზავნა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს თხოვნით:

— გააყვანიეთ საქართველოდან წითელი ჯარი.

— „გაანთავისუფლეთ“ ქართველი „ერი“: განათლებულო ევროპა!

გადაარჩინეთ ქართველი ხალხი ფიზიკურ და მორალურ გადაშენებისაგანო.

ასე სწერდა გენუის კონფერენციას და შორით ლოცვა კურთხევას უგზავნიდა სისხლში ყელამდის მცურავ ავაზაკებს „სულიერი მამა“, ამბროსი კათალიკოსი.

მერე რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს უცხო ძალების შემოპატიჟებას.

ეს ნიშნავს ინტერვენციის მოთხოვნას.

მან მოიპატიჟა აქ შეიარაღებული ძალა, ძალა, რომელსაც უნდა იძულებული გაეხადა საბჭოთა მთავრობა წასულიყო საქართველოდან.

ვისთვის იყო ეს საჭირო?

ყველა იმათთვის, ვინც თავს იყრის კონტრრევოლიუციონურ დროშის ირგვლივ.

ვისი საოცნებო საგანია ინტერვენცია? უცხო ძალების

ყველა იმათი, ვისაც რევოლიუციის წყალობით აყრილი აქვთ ქონება და უფლება.

და რომ ეს ასეა, განა ეს კიდევ სადაოა ვინმესთვის?

მაგრამ ვინ არიან ისინი?

აი ის კითხვა, რომელზედაც ჩვენ დღემდისაც თამამად უპასუხებდით, მაგრამ ჯერ კიდევ ზოგიერთებში, განსაკუთრებით ყ. სოც.-დემოკრატიული პარტიის ზოგიერთ წრეებში იწვევდა დავას.

ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე იყო და არის

საქართველოს თავად აზნაურობა და მისი პარტია,—ნაც. დემოკრატია.

საქართველოს წვრილი ბურჟუაზია, უგზო უკვალო ინტელიგენცია და მისი [illegible]ტია—მემარჯვენე ფედერალისტები.

საქართველოს მენშევიკური პარტია, თუ პირველ ორ მონაწილეზე ლაპარაკი არავისში დავას არ იწვევდა, მესამე მონაწილის შესახებ კიდევ გაისმოდა აქა იქ ხმები, მენშევიკურ პარტიას ჯერ კიდევ ჰყავდა თვის ბრჭყალებში გამომწყვდეული ზოგიერთი მუშები, რომელთაც სჯეროდათ, რომ ის ინტერვენციის წინაალმდეგი იყო.

მაგრამ დღეს, როდესაც „მამა“ ამბროსის კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და ის საბრალმდებლო სკამზე მოექცა, უკვე დამტკიცდა ის, რაც თავის თავად ჩვენთვის კარგი ხანია არ იყო სადავო, დამტკიცდა ის, რომ მენშევიზმი საქართველოში სამღვდელოებას და კონტრ-რევოლიუციას უდგას გვერდში. ვინ უნდა მოსულიყო მამა ამბროსის დამცველ...

რა თქმა უნდა ის, ვინც მასთან კავშირში იყო წინათვე.

ის, ვისიც კარნახით და შთაგონებით დასწერა წმინდა „მამამ“ ეს ცილისწამებით აშმორებული დოკუმენტი.

პარიტეტული კომიტეტი, და აი ჩვენც ბრალდებულთა დამცველების რიგებში ვხედავთ ისეთ სახელებს, როგორიც არის კ. ნინიძე, ო. ბარათაშვილი, ს. დადიანი, გელაზაროვი, სურათი ნათელია. განმარტებები აღარ სჭირია.

დღეის იქით მაინც დაინახავს ყველა, იმას, რომ ჩვენ მართალი ვიყავით, მართალი ვართ.

აბა რა გააჩერებდა მუშას და გლეხს რევოლიუციის ქარცეცხლში გამობრძმენდილს, — სამღვდელოების გვერდში. —

საქართველოს სამღვდელოების გასამართლებამ დაამტკიცა ის, რომ მენშევიკური პარტიის ნამსხვრევები გადაიჩეხენ უფსკრულში, შავ ბაღეში, სადაც ბნელი სამღვდელოება ბუნაგობს და თარეშობს.

ამ მხრივ უდიდესი სამსახური გაუწია „მამა“ ამბროსის გასამართლებამ მშრომელი ხალხის იმ ნაწილს, ვინც ბრმებსავით მისდევდა კუდში მენშევიზმის დანძლღეულ კიდობანს.

აეხადა პირბადეები იმათ, ვინც დღემდე ურცხვილოდ ასაღებდენ თავიანთ თავს მშრომელ ხალხის დამცველებათ, დეე ნახოს, დეე გაიგოს ყველამ და სთქვას:

შეუძლია განა ხალხის ინტერესების დაცვა იმას, ვინც თავგამოდებით, პირზე დორბლ მორეული, უტიფრად იცავს კონტრ-რევოლიუციონურ სამღვდელოებას.?

ამ მოსისხლე მტერს, სისხლის მწოველ პარაზიტებს მშრომელი ხალხისა და განსაკუთრებით საქართველოს მშრომელი, გლეხობისა.

დეე ჩაუკვირდენ ამ მოვლენას ისნი, ვისაც ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია კავშირი ასეთ ხალხთან და ვინც თავს მშრომელი ხალხის შვილათ სთვლის.

# საზღვარ გარეთელი მენშევიზმის ბედი.

ჩვენ მოგვეხერხდა მუდამ მენშევიზმის გაკოტრებაზე წერა და მის საქმეთა საგმიროთა დღის სინათლეზე გამოტანა.

მაგრამ მწარე სინამდვილე ამას დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან.

სასიკვდილოდ განწირული ქართული მენშევიზმის სიკვდილის პროცესი მეტად ხანგრძლივად მიმდინარეობს.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა კარგა ხანია, რაც სწორად დააფასა ეს მოვლენა და ზურგი აქცია მას.

საკმაოდ გათვითცნობიერებულ მუშათა კლასს არ შეეძლო იმ პარტიის დროშის ქვეშ დარჩენა, რომელმაც ჩოლოყაშვილის ბანდების ხელმძღვანელობა იკისრა და ათასგვარი სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა.

ქართველ ხალხს საერთოდ და კერძოდ მის მშრომელ ნაწილს არ უყვარს შფოთი, ჯანყი, მას სწყურია და სწადია შემოქმედობიანი ცხოვრება, შემოქმედებითი მუშაობა.

და როდესაც მის წინ დადგა ორი ძალა: ერთი მენშევიზმი, რომელიც მას მოუწოდებდა ბურჟუაზ.-ფეოდ. ურთიერთობის აღდგენისაკენ (სხვა გვარად არ შეიძლება დაფასება თავად ჩოლოყაშვილის გამოსვლისა). ამ გარემოებამ გააერთიანა წინეთ მოსისხლე მტრები: ნაციონალ-დემოკრატები, მენშევიკები, ფედერალისტები და ძმანნი მათნი პარიტეტულ კომიტეტში. მოიშალა კლასობრივი ბრძოლის საზღვრები და შეიქმნა ერთი კონტრ-რევოლიუციონური პარტია კათალიკოს ამბროსის ლოცვა კურთხევით.

მეორე ძალა იყო ბოლშევიზმი, რომელიც მშრომელ ხალხს კომუნიზმისაკენ, მშრომელთა სამეფოს შექმნისაკენ მოუწოდებდა და მოუწოდებს დღესაც. ეს არის ძალა, რომელიც სახელმწიფოს აშენებს კლასობრივ ნიადაგზე დაყრდნობით. ამ ძალამ გამოიჩინა დიდი შემოქმედებითი და აღმშენებლობითი უნარი. არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების ისეთი დარგი, რომლისთვისაც თავისი აღმშენებლობითი ძალი არ დაესვას საბჭოთა სისტემას. ქვეყნის მეურნეობა სწრაფი ნაბიჯებით მიდის აღორძინებისა და აყვავების გზით.

კულტურული საქმიანობა პირველ ამოცანადაა დასახული მთავრობის მიერ, ყველა დარგი კულტურისა წინსვლის გზაზეა შემდგარი. და როცა ამბროსის გასამართლების დროს დაიბარეს ექსპერტის სახით ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენელი პროფ. კორნელი კეკელიძე და ჰკითხეს: არის თუ არა შევიწროებული ქართული კულტურა და უნივერსიტეტი, კეკელიძემ უყოყმანოთ განუცხადა სასამართლოს: ქართულ კულტურას საბჭოთა მთავრობა ძალიან ეხმარება და მას არავითარი საფრთხე არ მოელისო.

და მართლაც საბჭოთა მთავრობა დღევანდელ გაჭირვებულ ფინანსიური მდგომარეობის დროსაც არ ზოგავს თანხებს კულტურის ასაყვავებლად და უხვად ეხმარება ყველას, ვინც კი დაინტერესებულია კულტურის განვითარებით.

ამ გარემოებას დღეს არ უარყოფენ თვით საბჭოთა სისტემის აშკარა მოწინააღმდეგენიც. ჩვენი სახელმწიფო გამომცემლობა თანდათან აფართოვებს თავის მუშაობას. ამ მხრივ ყოფილი ნ. ჟორდანიას მთავრობის დროს შეიძლება აშკარათ ითქვას, რომ სულ არაფერი არ გაკეთებულა. საქართველოს ს.-ც. დემოკრატიამ თავის ბატონობის დროს ვერ გამოსცა ჭოლა ლომთათიძის ნაწერებიც კი, თუმცა რამოდენიმე წელიწადი ემზადებოდა ამ საქმისთვის. თვით ნ. ჟორდანიას ნაწერებიდან დიდის ვაი ვაგლახით მხოლოდ ორი ტომის გამოცემალა მოახერხა.

ხიდების, გზების შეკეთება, ელექტრონის სადგურების მოწყობა ეს ხომ დღეს ფაქტია. მაშინ, მენშევიკური მთავრობის დროს ეს არ კეთდებოდა. ამ მხრივ მაშინდელ მთავრობას თითიც არ გაუნძრევია.

მუშების უფლებები, მათი დაზღვევა ავადმყოფობის დროს და სხვა, საუცხოვოდ არის დაყენებული.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს აქ ჩამოვთვალოთ ყველაფერი ის, რაც გაკეთდა ამ სამი წლის განმავლობაში და რაც ამჟამად კეთდება, ჩვენ გვსურს მხოლოდ ხელმოსაკიდებლად ავღნიშნოთ, თუ რატომ აირჩია ეს მეორე ძალა საქართველოს მშრომელმა ხალხმა.

ყველაფერი ეს და მრავალი სხვა კეთდებოდა ყველას თვალწინ და დასანახად. ამ გარემოებამ ჩააფიქრა ჩვენი მშრომელი ხალხი და ქართულ მენშევიზმს, უმოქმედო და დამღუპველ პარტიას ზურგი შეაქცია, უარყო იგი.

აი ეს ძირითადი გადაფასება, რომელიც მოხდა სოც. დემოკრატიულ პარტიაში და რომელიც დამთავრდა უკანასკნელის ლიკვიდაციით, ნ. რამიშვილს, ამ ქართველ მუსოლინს, დაუხასიათებია პარიზში, როგორც „სასაცილო ამბავი“.

ნაციონალ-დემოკრატ ს. კედიას შეკითხვაზე: „იციან თუ არა მენშევიკებმა რაიმე მათი პარტიის ლიკვიდაციის შესახებ და იმის შესახებ, რომ ყველა მენშევიკებმა მიატოვეს ბრძოლის ველი?“ ნ. რამიშვილს უპასუხნია: „ეს არაფერია. არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა და სირცხვილია ასეთი ხმების მოკრეფა ქუჩაში და მოტანაო“.

აი ასე ატყუებს პარიზში ნ. რამიშვილი და საზღვარ გარეთელი ბიურო იქ მოკალათებულ ქართველობას.

ასე ატყუებს ის ბიურო აქაურ არალეგალურ ცეკას. ხოლო თავის მხრივ არც არალეგალური ცეკა რჩება ვალში და ოთხჯერ მეტად ატყუებს საზღვარ გარეთელ ბიუროს.

და აი ასეთი მოტყუებით, მახინაციებით აბრიყვებს მენშევიკური პარტია, რომელიც სეით დევდარიანის თქმით უკვე გადიქცა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიად, იმ წრეებს, რომელნიც ჯერ კიდევ მისი გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ავანტიურაში ითრევს მათ.

ცხადია, ემიგრაციას არა აქვს ცნობები იმ შემოქმედებითი და აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ, რომელსაც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება ეწევა. მაგრამ აქ, საქართველოში ხომ ყველა მოწამეა ამ მუშაობის? დიახ, მოწამეა და კიდევაც იწამეს მშრომელებმა ეს ხელისუფლება. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ემიგრაციის უმრავლესობაც მალე იწამებს ამას. ამის სიმპტომები უკვე არის.

ხოლო რაც შეეხება ემიგრაციის „თავებს“, უმათოდ, როგორც ეს აღნიშნა ს. დევდარიანის მოხსენებაზე ს. ორჯონიკიძემ, ჩვენი აღმშენებლობა მიდის და კიდევაც წავა წინ.

დასკვნა. მენშევიზმი დაიშალა შიგნით; მშრომელმა ხალხმა მას ზურგი შეაქცია, როდესაც დარწმუნდა მის პოლიტიკის დამღუპველობაში და თვალნათლივ დაინახა საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ-ეკონომიური შემოქმედებითი მუშაობა.

მენშევიზმი იშლება საზღვარ-გარეთაც და შორს არ არის ის დრო, როცა მას დამლოცველიც აღარ ეყოლება საქართველოში.

ასეთია ცხოვრების ლოღიკა და ნება ისტორიისა. ამას ვერ გადააბიჯებს ვერავინ.

გ. ვ——იანი.

# საკითხს მარქსისტულად უნდა მიდგომა.

ს. დევდარიანი, მართალია, გაემიჯნა არალეგალურ ცეკას პოლიტიკას, მან უარყო ამ უკანასკნელი სამი წლის განმაელობაში მიღებული გეზი, რომლის ერთი ავტორთაგანი თვითონაც იყო, მაგრამ ის კიდევ შუა გზაზე სდგას, იბნევა სამ ნაძვში და იხლართება აზრთა წინაალმდეგობის ტყეში.

ს. დევდარიანი აცხადებს, რომ ის არის ძველი მენშევიზმის პატრიოტი. მაგრამ მას ავიწყდება, რომ მთელი პოლიტიკა მენშევიზმის უკანასკნელი წლებისა არის ნაყოფი ძველი მენშევიზმის.

თუ ს. დევდარიანი გულწრფელად უარყოფს უკანასკნელი წლების მენშევიზმს, მიაჩნია რა მუშათა კლასისთვის დამღუპველად ამ ჟამად აღებული ხაზი, ის ვალდებულია მარქსისტულად მიუდგეს ამ საკითხს და გამოძებნოს ამ უარსაყოფ მოვლენათა მიზეზი, სათავე.

მენშევიზმი დღეს უარყოფს საბჭოთა ხელისუფლებას, პროლეტარიატის დიქტატურას.

მაგრამ განა დღეს დადგა მენშევიზმი ამ გზაზე?

დღეიდან განხეთქილების დაწყებისა ს. დ. პარტიაში ამ გზაზე იდგა მენშევიზმი.

მოიგონეთ გაცხარებული კამათი ს. დ. პარტიაში ჯერ კიდევ 1903—1905—1906 წლებში რუსეთის რევოლიუციის გეგემონის შესახებ.

მენშევიკები ამტკიცებდენ, რომ რუსეთის რევოლიუცია იქნება ბურჟუაზიული და რევოლიუციის გეგემონიაც ბურჟუაზიას უნდა ქონდესო.

ეს აზრი ისე მტკიცეთ იყო ფესვებ გამდგარი მენშევიზმში, რომ ვერც 1905 წლის და ვერც 1917 წლის რევოლიუციების დროს მენშევიზმმა ვერ დაინახა სტიქიური მოძრაობა მუშათა კლასის ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.

1905 და 1917 წლების მუშათა საბჭოების შექმნა, ეს უკვე იყო ბრძოლა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.

პროლეტარიატი, რომელიც იყო რევოლიუციის ავანგარდი, სრულიად სამართლიანად მოითხოვდა ძალა-უფლების ხელში აღებას.

მენშევიზმი, ძველი გერმანულ სკოლაში აღზრდილი მენშევიზმი, მწარედ წინაალმდეგი იყო ასეთი გზის. ის კოალიციას, სალმრთო კავშირს კრავდა ბურჟუაზიის აგენტებთან მაშინ, როცა მუშათა კლასი ქუჩებში იბრძოდა ძალა-უფლების ხელში ასაღებად, ირ. წერეთელი ფრონტიდან იწვევდა რეაქციონურ გენერლებს (გენ. პოლოვცევი), რომელსაც სთხოვდა აეყარა იარაღი მუშებისთვის. წინეთ თეორეტიული ბრძოლა გადმოტანილ იქნა პრაქტიკაში, სადაც მენშევიზმმა მოიტეხა ფეხი.

დღეს განა მტკიცება უნდა იმ ფაქტს, რომ ბოლშევიზმი მართალი იყო რევოლიუციის საკითხში, რომ ამ ისტორიულ ბრძოლაში გაიმარჯვა ბოლშევიზმმა?

როგორი იყო მენშევიზმის გზა ჩვენში, საქართველოში? აქაც კავშირი ბურჟუაზიასთან.

ნ. ჟორდანია განა თავის პირით არ აცხადებდა — დასავლეთის იმპერიალისტებთან კავშირი გვირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო?

განა ევგ. გეგეჭკორმა არ გნუცხადა თეთრ გენერალ ალექსეევს:

— ჩვენ და თქვენ ერთ წერტილს ვცემთო, რომელ წერტილზე იყო ლაპარაკი?

საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაზე იყო ლაპარაკი.

დემოკრატიული გზა, რომლითაც მენშევიზმი მიდიოდა სოციალიზმისაკენ, აღმოჩნდა რეაქციონური. ამან დაღუპა მენშევიზმი.

საქართველოს მენშევიზმის უკანასკნელი ნაბიჯები, რომლის წინაალმდეგ ს. დევდარიანი დღეს ილაშქრებს, ეს არის მხოლოთ უფრო

## „პანაშვიდი"

**მოძღვარი.**

სამრეკლო დაყრუედა — არ რეკენ ზარები.
სულყველა საყდრების დაკეტეს კარები.
სტირიან „მამები", იხდიან პანაშვიდს;
ცრემლებით ხედებიან თებერვლის ოცდა შვიდს.

ოთახის კუთხეში ჩურჩულებს მოძღვარი;
თვალებზე ჩამოსდის ცრემლების მას ღვარი.
არ არის, რომ იყო მეფის დროს მაძღარი;
ოდესმე მსუქანი-დღეს არის გამხმარი.

ლოცულობს: „ნიკოლოზ, ამდეხანს რას შვრები?
„თუ მალე არ მოდი ცრემლებით დავშრები.
„ჩვენ — „მამებს", წმინდანებს, მოციქულთ, მწყემსებსა
„გვჩაგრავენ, გვცინიან, გვასობენ ნემსებსა.
„მოგვისპეს: ალაპი, ჯვარწერა, საკურთხი;
„ენატრობთ და არა გვაქვს: კვერცხ-ერბო და ზუფხი.
„მაქ ჩვენი ვაება, როგორც სჩანს, არ ადის...
„იძინე მეფეო, იძინე მარადის"

**ემიგრანტის მონოლოგი.**

უკვე გავიდა წელიწადი მას შემდეგ შვიდი.
და მე ცხოვრება არ მეღირსა ამდეხანს მშვიდი.
ვინ იფიქრებდა: შვიდ წელიწადს საბჭო გასძლებდა?
ასე სასტიკად ყველა მტრებსა იგი დასძლევდა?
გადაიტანდა: გაჭივრებას, ნეპს და შიმშილსა
და რომანოვებს არ მისცემდა ბოლოს გზას ხსნილსა.

ო, ჩემო თავო, ევროპაში დაძრწოდე უნდა;
რასაც ველოდი გულის ძგერით აღარ დაბრუნდა.
ჯერ კორნილოვი, ალექსეევ და დენიკინი:
იუდენიჩი, პეტლიურა, მახნო-ტიკინი:
შემდეგ: კოლჩაკი და ბოლოს კი ბარონ ვრანგელი—
—მაგრამ ამაოდ... არ მოგვეცა მაინც საშველი.

ვიცი ძაღლსავით ამომხდება სული ამ მხარეს.
ვერ ვეღირსები მშობლის ცრემლებს და შავ სამარეს.
მოვკვდები სადმე და მეტყვიან: „გიყვეა ძაღლმა"
უბედურია — ვინც გაკიცხა მშრომელმა ხალხმა.

**წითელ არმიელი.**

ხა-ხა-ხა-ხა.... ხა-ხა-ხა-ხა...
გაიხედეთ, როგორ ძვრება;
იმ საცოდავს გაეცივა, როცა თოფით დამინახა
და დაფრთხალი სოროებში იმალება.

ჩაიჩოქე, ხმა გაკმიდე, თორემ მოგხდა ჩემი მუშტი;
ცემით ისე გამოგბერო, ლიპიანო, როგორც ბუშტი,..
კაპიტალი და ანტანტა
ეხლა ნანობს, ბევრი ფული რომ დაფანტა
და სანაცვლოდ ვერ მიიღო ვერცა პანტა...
ავო სულნო, გადიხადეთ ნიკოლოზის პანაშვიდი;
გაგიცრუვდათ იმედები-და გავიდა წელი შვიდი.
საიქიოს ვერ გადევით მეფისათვის გრძელი ხიდი.

ხა-ხა-ხა-ხა... ხა-ხა-ხა-ხა...
დაუღიათ ჩვენს მტრებს ხახა...
ან რა დარჩათ ყოველ წლობით გადიხადონ პანაშვიდი
გაუცრუვდათ იმედები და გავიდა წელი შვიდი.

მენგო.

აშკარა, უფრო ალვირ ახსნილი და პირწავარდნილი გამოხატულება ძველი მენშევიზმის ტაქტიკის, გზის, მიმართულების.

მენშევიზმი შესცდა რუსეთის რევოლიუციის ანალიზში.

ძველი მენშევიზმი ამბობს:

— ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიულია. რევოლიუციის გეგემონი ბურჟუაზიაა, კადეტების მიმართ ჩვენ გვჭირია დიდი ტაქტიო.

ამიტომ მენშევიზმი შეიქნა პროლეტარული რევოლიუციის საშინელი მტერი და ბურჟუაზიის აგენტების მეგობარი, მოკავშირე.

ს. დევდარიანი თავის თავს უწოდებს მარქსისტს.

არც ჩვენ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ ს. დევდარიანმა კარგად იცის მარქსიზმი.

მაგრამ მას ძალიან ხშირად აკლია მარქსიზმი, მარქსისტულად მიდგომა ამა თუ იმ საკითხის გაშუქებაში.

როცა ს. დევდარიანი ამბობს, რომ დღევანდელი მენშევიზმი, არალეგალური ცეკას ტაქტიკა არის დამღუპველი გზა პროლეტარიატისთვისო, მან უნდა აღნიშნოს ამ გზის მიზეზიც, საიდან მოდის ეს გზა, სადაა სათავე იმ საშინელი უკუღმართობის, საიდანაც რუსეთის რევოლიუცია იღებდა მხოლოდ ლახვარს.

ასეთივე არა მარქსისტულია ს. დევდარიანის მიდგომა რუსეთის პროლეტარიატის დიქტატურის საკითხთან.

ს. დევდარიანი ამბობს, რომ საბჭოთა სახელმწიფოების სოციალისტურ კავშირში არაა განხორციელებული პროლეტარიატის დიქტატურა. აქ მხოლოთ კომუნისტური პარტიის დიქტატურა არისო.

უნდა შევნიშნოთ ს. დევდარიანს, რომ არ ყოფილა და არც არის ისეთი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა, რომელიც არ ყოფილიყოს დამყარებული ამა თუ იმ კლასზე.

თუ ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაშინ, აშკარაა, საბჭოთა წესწყობილება ემყარება რომელიმე კლასზე.

მაგრამ რომელ კლასზე?

— პროლეტარიატის კლასზე, რომელიც არის მშრომელ გლეხობასთან კავშირში.

მე მგონია, ესეც ისეთი ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ამაშიც არავის ეჭვი არ შეეპარება.

კლასი კი უნდა იყოს შეკავშირებული. მას სათავეში უნდა უდგეს ისეთი პარტია, რომელიც გამოხატავს მის ინტერესებს.

ასეთი პარტია არის კომუნისტური პარტია.

მენშევიზმს ქონდა დიდი პრეტენზია გამოეცხადებია თავისი თავი პროლეტარიატის კლასათ. ეს პრეტენზია დღესაც მასში არსებობს. მაგრამ რევოლიუციის მსვლელობაში მენშევიზმი ჩამოშორდა მუშათა კლასს და დაბინავდა თუ მოწინააღმდეგე კლასში არა, ყოველ შემთხვევაში მასთან ძალიან ახლოს მაინც.

საბჭოთა ხელისუფლება—ეს არის სისტემა პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების.

საბჭოები—განა ეს წმინდა პროლეტარული ორგანიზაციები არაა?

პარტია კი უწევს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ამ დიად ისტორიულ მიღწევაში, რომელიც ბრძოლით მოიპოვა პროლეტარიატმა.

კიდევ ერთი მარქსისტული მარცხი, რომელიც ემართება ს. დევდარიანს.

საოპერიო თეატრში 17 მარტს ს. დევდარიანმა საყვედური უთხრა ყოფ. მენშევიკებს თუ რატომ იხსენიებენ ისინი უარყოფით და უკმეხად მენშევიზმის მთელ წარსულს,

ვინაა ამაში დამნაშავე? განა ამაში ყოფილი მენშევიკი მუშებია დამნაშავე?

აქაც მიზეზი უნდა ვეძიოთ ღრმათ.

დამნაშავეა აქ თვით მენშევიზმი, ხაზი ამ პარტიის.

დამნაშავენი არიან ხელმძღვანელები ამ პარტიის და მასთან ერთად ს. დევდარიანიც, რომლებიც უკაფავდენ გზას ამ პარტიას.

მენშევიკური პარტიის მთელი მუშაობა, მთელი ხაზი დღეს აშკარა მიუღებელი გახდა.

ძველი მენშევიკი, დღეს მოშორებული ამ პარტიას, რომ გადაავლებს თვალს წარსულს, იგონებს თავდადებას რევოლიუციონურ საქმისათვის, აუარებელ მსხვერპლებს რევოლიუციის გზებზე, ბრწყინვალე წუთებს და შემდეგ მოიგონებს, თუ რა შეცდომებით იყო სავსე ის გზა, რომლითაც ის მიდიოდა სოციალიზმისკენ, თუ რა რეაქციონური მასალით იყო სავსე ეს დემოკრატია, რომელთანაც ის კრავდა კავშირს,—რა გასაკვირია, თუ უდიერად შეეხება ამ გზას და მასთან ერთად ხელმძღვანელებსაც?!

ს. დევდარიანი მიზეზს ხედავს სუბიექტებში.

ნამდვილად კი მიზეზი ასეთი მტრული გამოსვლებისა მენშევიზმის წინააღმდეგ სძევს ობიექტში, თვით მენშევიზმის მიერ შექმნილ პირობებში.

ს. დევდარიანი უარყოფს მენშევიზმის მხოლოდ უკანასკნელი სამი წლის მუშაობას, რომლის ხელმძღვანელი თვითონ იყო.

ეს მხოლოდ სირაქლემას ტაქტიკაა.

ს. დევდარიანი მხოლოთ თავს მალავს ქვიშაში და გონია მთელი ტანი დამალა.

ტყუილია. თავთან ერთად ტანიც უნდა ჩაფლათ ქვიშაში.

თანამედროვე მენშევიზმის უკანასკნელი სამი წლის მუშაობა შედეგია ძველი მენშევიზმის ტაქტიკის, გზის, რუსეთის რევოლიუციის ალღოს აუღებლობის.

ძირითად საკითხში, თუ ვისგან შესდგებიან რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები და ვინ უნდა იქმნეს გეგემონი რევოლიუციის, მენშევიზმი და ბოლშევიზმი დაშორდნენ ერთმანეთს.

ამ საკითხებში ისტორიამ გაამართლა ბოლშევიზმი. დემოკრატიული გზა დამარცხდა. გაიმარჯვა პროლეტარიატის დიქტატურის გზამ, რომლის ირგვლივ შემოკრბა რუსეთის პროლეტარიატი.

დამარცხებული მენშევიზმი კი მაინც სდგას ძველ პოზიციაზე.

მაგრამ ნიადაგ გამოცლილი, მიტოვებული პროლეტარიატისაგან, ის ეყრდნობა მხოლოთ ისტორიის მიერ განწირულ ელემენტებს.

აქედან კი მიდის გზა ავანტიურიზმისკენ, ბანდიტიზმისკენ, სისხლის სამართლის საქმეებისკენ.

ა. რ—ძე.

# მესამე ინტერნაციონალი.

(პასუხად ს. დევდარიანს).

ს. დევდარიანმა 4 მარტის მოხსენებაზე განაცხადა, რომ მესამე ინტერნაციონალი მისი აზრით, არაა გამომხატველი მუშათა ფართე მასსების ინტერესების და ამიტომ ის მიუღებელია.

ვნახოთ, რამდენათ მართალია აქ ს. დევდარიანი.

მეორე ინტერნაციონალი, როგორც საერთაშორისო სოციალისტური შტაბი, დამარცხდა 1914 წელს. იმპერიალისტურმა ომმა ის მოსპო სამუდამოთ. ამ საშინელი ომის გამოცხადების დღე სოციალისტურ მოძრაობაში აღინიშნება მეორე ინტერნაციონალის, როგორც სოციალისტური მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოს, სიკვდილით.

კომინტერნის 5 წლის თავზე ამხ. ზინოვიევი სწერდა ამის შესახებ.

— II интернационал убит, это верно, если подходить с прежним критерием. Если посмотреть на этот интернационал, как на международную рабочую революционную организацию, то как фактор международной революции II интернационал не существует, но как фактор международной контрреволюции он, увы, имеет серьезное значение.

1914 წელს დაქსაქსული მეორე ინტერნაციონალი დღესაც განაგრძობს იმ როლს, რომელიც ამ წელს იკისრეს ბურჟუაზიის წინაშე ამ ინტერნაციონალის ბელადებმა.

მათ მაშინ დაუჭირეს მხარი სამხედრო კრედიტებს (გერმანელი სოციალ-დემოკრატები), ამოუდგენ სამხედრო ფრონტებზე გვერდში თავიანთ იმპერიალისტებს და ამნაირად საერთაშორისო სოციალიზმის ინტერესები გაანიავეს თოფ-ზარბაზნების ქუხილში.

მაგრამ არ ვიქნებით ჩვენ მართალნი, თუ ვიტყვით, რომ მეორე ინტერნაციონალს არავითარი დამსახურება არ აქვს მსოფლიო მუშათა კლასის წინაშე.

მუშათა მოძრაობის პრაქტიკაში მეორე ინტერნაციონალმა გამოიყენა I ინტერნაციონალის გამოცდილება. ის შეუდგა მუშათა კლასის დარაზმვას, კლასობრივ ორგანიზაციებში ჩამოყალიბებას, შეკავშირებას. ამ მხრით მეორე ინტერნაციონალმა დიდი საქმე გააკეთა. მან შესძლო მძლავრ მუშათა ორგანიზაციების შექმნა, მუშათა მასსების შეკავშირება პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში, მაგრამ მან ცალმხრივ გამოიყენა პირველი ინტერნაციონალის გამოცდილება. ამ დიდ საქმეში მეორე ინტერნაციონალს აკლდა I ინტერნაციონალის რევოლიუციონური სული, რევოლიუციონური მოქმედება.

და ამიტომ, როცა საჭირო გახდა რევოლიუციონური მოქმედება, მეორე ინტერნაციონალი თავისი მძლავრი მუშათა ორგანიზაციებით გამოდგა სრულიად დამპლა დაცემული.

თვითონ ლენინი ასე ხსნიდა მესამე ინტერნაციონალის მნიშვნელობას:

პირველმა ინტერნაციონალმა ჩაუყარა საძირკველი პროლეტარიატის საერთაშორისო ბრძოლას სოციალიზმისთვის.

მეორე ინტერნაციონალი იყო ეპოქა მთელ რიგ ქვეყნებში ფართე, მასსიური მუშათა მოძრაობის ნიადაგის მოსამზადებლად.

მესამე ინტერნაციონალმა მიიღო მეორე ინტერნაციონალიდან მისი მუშაობის ნაყოფი, მოაშორა რა მას ოპორტუნისტული, სოციალ-შოვინისტურ, ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული უწმინდურება, და შეუდგა პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებას.

მესამე ინტერნაციონალის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ის შეუდგა პრაქტიკულად განეხორციელებია მარქსის დიადი ლოზუნგი, რომელმაც გაუკეთა ჯამი სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის საუკუნოებრივ განვითარებას, ლოზუნგი, რომელიც ხასიათდება ორი სიტყვით: პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის ირგვლივ თავს იყრის მუშათა კლასი, რომლითაც იწყება თანამედროვე რევოლიუციები.

ლენინი იყო მესამე ინტერნაციონალისთვის ის, რაც მარქსი 1 ინტერნაციონალისთვის.

რაში გამოიხატება მესამე ინტერნაციონალის დიდი უპირატესობა მეორის წინაალმდეგ?

უმთავრესად იმაში, რომ მესამე ინტერნაციონალმა წაიღო მეორე ინტერნაციონალიდან ყველაფერი რევოლიუციონური, რაც მასში იყო.

მეორე ინტერნაციონალი იყო, კ. კაუცკის თქმით, „მშვიდობიანი დროის ინსტრუმენტი“.

მესამე ინტერნაციონალი კი დაიბადა ომის ქარცეცხლში და მან შესძლო პროლეტარიატის შეკავშირება, რევოლიუციონურად დარაზმვა ომის პირობებში, სწორედ იმ დროს, როცა იმპერიალისტურ ტალღას ვერ გაუძლო მეორე ინტერნაციონალმა და დაიმსხვრა.

მეორე ინტერნაციონალის ნანგრევებზე ჯერ კიდევ ციმმერვალდის კონფერენციაზე ჩაისახა მესამე ინტერნაციონალი.

ფაქტიურად კი ის დაიბადა 1919 წელს.

დაიბადა მაშინ, როცა მეორე ინტერნაციონალმა დაკარგა ნდობა მუშათა კლასში, როცა ის შეიქნა მუშათა კლასის საწინააღმდეგო ორგანიზაცია და უტიფრად დადგა საერთაშორისო ბურჟუაზიის მხარეზე.

ჩვენი მტრები ამბობენ, რომ მე-3 ინტერნაციონალი არ არის მასიური ორგანიზაცია.

მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ მთელი დედა მიწის მეექვსედ ნაწილის მუშათა შეერთება ამ ინტერნაციონალში, ეს უკვე დიდი მოვლენაა.

საბჭოთა წესწყობილების კავშირში დღეს სრულიად დაშლილია ყველა ის პარტიები, რომლებიც წინად იდგენ მეორე ინტერნაციონალის რიგებში. აქედან ზოგი მხოლოდ ფაქტიურად, ზოგი კი როგორც ფაქტიურად, ისე იურიდიულადაც დგება მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე სრულიად შეგნებულად.

ეს უკვე საკმაო ძალაა.

დღეს კომუნისტური პარტიები არსებობენ გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, სკანდინავიაში, ამერიკაში, იაპონიაში, ინგლისში და სხვა მრავალ ქვეყნებში.

დღეს კომინტერნი წარმოადგენს მეტად მოქნილ და მომქმედ ორგანიზაციას, რომელსაც მუშაობის ფხაში ვერავინ შეედრება.

მესამე ინტერნაციონალი, რომლის ჩ წლის თავი ვიდღესასწაულეთ ამ რამოდენიმე დღის წინეთ, დღეს მიუხედავად იმისა, რომ მისი შედგენის შემდეგ ძალიან ცოტა დრო გაეიდა, უკვე წარმოადგენს მეტად მძლავრ ორგანიზაციას, რომელსაც დიდი პოპულიარობა აქვს მუშებში, მაშინ, როცა მეორე ინტერნაციონალი, რომელიც 1889 წლიდინ მოქმედებს, უკვე ძალა დაკარგულია.

და ეს ლოღიკურია.

1 ინტერნაციონალი დაინგრა პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ.

მეორე ინტერნაციონალი მოკვდა ოპორტიუნიზმის და მოღალატეობის სენისაგან.

მესამე ინტერნაციონალის, როგორც მუშათა კლასის მოძრაობის ცენტრის, საჭიროება წამოაყენა თვით არსებულმა პირობებმა.

და ამ ამოცანას პირნათლად ასრულებს მე-3 ინტერნაციონალი.

და თუ ს. დევდარიანი გულწრფელად ეძებს მომქმედ, სიცოცხლის მქონე საერთაშორისო რევოლიუციის ფაქტორს, ის აუცილებლად მივა მხოლოდ მესამე ინტერნაციონალთან.

ა. რ.

## ᲒᲐᲫᲐᲮᲘᲚᲘ.

მთელი სიცოცხლე ეკლიან გზებზე, ვით მწირი შიშველად დავიარები.
გადამავიწყდა ყისმათზე მღერა, და მომეხარშა ცრემლში თვალები.
ახ, რათ არ ვგრძნობდი სიცარიელეს, საღამოს ჩრდილში რისთვის ვჭკნებოდი.
ახ, რათ ვიცავდი სხვის საგუშაგოს, ვით დილის ფიფქი თუ დავდნებოდი.

აწ გზა ვიცვალე... ვისთანაც დიდხანს ყოფნა არ ყოფნის ბეწვზე ვიარე.
ისე გავშორდი, რომ სასალამოდ მის დახშულ ბჭეში ვერ შევიარე.
„მრწამს ერთი ღმერთი“-ს კერპი უარ ვყავ, ქურუმი დავწვი, გავანიავე.
მტკვარს გავატანე წარსულზე ფიქრი... ასე რათ ვქენი რისთვის ვიავე?!

მეტს ვერ გაუგებთ ერთი მეორეს... ცოდვის კითხვებმა ხაზი წაშალა.
მიკვირს, თუ დღემდი რათ იყო ასე, უძირო ხიდი რამ არ ჩაშალა.
სადაც მზის სხივი ნათლად შუქსა ფენს, სადაც არწივმა ფრთა ვერ გაშალა.
მე იქით ვივლი ცეცხლის მერანით. სხვა გზა დაიწყო... აქ მესაშველა.

ეჰ მეგობრებო! თქვენ რომ მიილტვით, ის გზა ბრუნდია და ორჭოფული.
მე იქ დამლიეს უნდო სიზმრებმა და ამიშალეს სხეულზე წყლული.
ვისაც არა სურს ულრანში ყოფნა. გამარჯვებისთვის ულევის გული.
ბანს შემოსძახებს წითელ დროშის ქვეშ, ამით აგვცთება მხოლოდ უფსკრული.

გრ. უშაფათელი.

## ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

(შთაბეჭდილებანი ერთ. გამოფენიდან)

ბეჭდვითი საქმის ჩასახვის პირველ ხანებიდანვე ბეჭდის თავისუფლება ისეთი მომხიბლავი ლოზუნგი შეიქნა, რომ ყველა პოლიტიკური პარტიები ეპოტინებოდა მას ფონს გასასვლელად. თვით რევოლიუციამდე არსებულ რუსეთის მაგალითს არ ახსოვს არც ერთი რეაქციონური პარტიაც-კი, რომელსაც თავის კარაბადინი ამ ლოზუნგით ?არ დაემშვენებინოს. სინამდვილეში არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, ან საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელიც-კი ოდესმე მოქცევია სათავეში სახელმწიფო აპარატს, არ შეუსრულებია და ვერც შეასრულებდა ამ ლოზუნგის ხორცის შესხმას, თუ ის ძირბუდიანათ არ დაამხობდა იმ სოციალურ ურთიერთობას, რომელსაც კაპიტალისტური საზოგადოება ეწოდება, ამიტომ ბურჟუაზიულ საზოგადოების პირობებში ბეჭდის თავისუფლებაზე ლაპარაკი ჩვეულებრივი თვალთმაქცობა და პირმოთნება არის.

ბურჟუაზიამ კარგათ იცის, რა საუცხოვო იარაღს წარმოადგენს ბატონობისათვის ბეჭდითი სიტყვა. მისი ყურადღება განსაკუთრებით პერიოდულ პრესისაკენ არის მიმართული. იმ პრესისაკენ, რომელიც აყალიბებს და შესაფერ მიმართულებას აძლევს საზოგადოებრივ აზრს. გაბატონებულ კლასისათვის ყოველთვის და ყოველგან მზათაა ეკონომიურ და ადმინისტრატიულ ზეგავლენის საშვალებანი, რომლის მეოხებითაც ის იმორჩილებს საზოგადოებრივ აზრის კალამს და თავის მსახურად იყენებს მას.

ამიტომ, მიუხედავათ იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს უცნაურადაც გვეჩვენება, ბეჭდის თავისუფლებას სხვებთან შედარებით ბურჟუაზიულ საზოგადოების პირობებში ყველაზე უფრო მშრომელთა რევოლიუციონური პრესა ატარებს და ატარებდა. უმეტესად მას ატყდება თავს სახელმწიფო აპარატის მთელი რისხვა, მაგრამ მისი ხმა ყოველთვის სინდისის და საკუთარ შეგნების ძახილი არის, მისი სიტყვა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ხმაა, მის სტრიქონებს არ უდის ქრთამის სუნი, მის კალამს ვერ იყიდის როკფელერების ვერავითარი სალაროები.

მაგრამ გარემოებათა ვითარებამ რუსეთის მუშათა კლასი თვით მოაქცია სახელმწიფოს სათავეში. ძველ სახელმწიფოს მანქანასთან ერთად ოქტომბრის რევოლიუციამ უფსკრულში გადაჩეხა შესყიდული ძველი პრესაც. მუშათა პრესამ პირველად მიიღო ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი უფლება. მთელი ტერიტორია მოიფინა რევოლიუციონურ გამოცემებით, საბჭოების, პარტიულ კომიტეტთა ორგანოებით. იატაკ ქვეშიდან ამოსულმა მუშათა პრესამ თან მოიტანა მთელი მისი დადებითი მხარეები და მზის სინათლეზე თავისუფლად გაშალა ის. საბჭოთა პრესამ მკაცრი ბრძოლით მოწინააღმდეგესთან და დაუნდობელი თვითკრიტიკით-პირველი მაგალითი შექმნა ყოვლადღიური მწერლობის ისტორიაში. მან პირველმა დაანახვა კაცობრიობას-რა არის ჭეშმარიტი ბეჭდის თავისუფლება, რას ნიშნავს თავისუფალი მწერლობა.

მაგრამ ფიცულობდენ უსაქმოდ დარჩენილი ქრთამით მოშუშავე ბურჟუაზიული ჟურნალისტები: „მოკვდა თავისუფალი სიტყვა", რუსეთის ჟურნალისტიკა „კაზიონშჩინამ" შთანთქა", „საბჭოთა პრესა ოფიციალურ ორგანოებათ გადაიქცა". ამას ამბობს ის ხალხი, რომელსაც არასდროს საკუთარი აზრი არ ჰქონია, ამაზე მოსთქვამს ის ადამიანი, რომელიც საქმით ეიტეუ სტოლიპინის, პროტოპოპოვის ორგანოებში მუშაობდა, მაგრამ სიტყვით დამოუკიდებელ, სამხატვრო-სალიტერატურო და პოლიტიკურ ორგანოს „თავისუფალ თანამშრომლად იყო". რევოლუცია კი თავის გზით მიდის. დღითი-დღე მტკიცდება მისი ნიადაგი, და აი, სხვა მონაპოვართან ერთად მან ახალი საუნჯე შეიძინა: ძველი, გაცვეთილი და მუშათა კლასის სისხლში ამოსვრილ კალმის ნამსხვრევებზე იჭედება ახალი მკვეთრი კალამი. ეს მუშათა ჟურნალისტიკა-მოსკოვის ეხლანდელი კედლის გაზეთის გამოფენაა.

ის ამ ისტორიულად ქცეულ დარბაზშია გამართული, აქ, სადაც იშვიათ ადამიანის ცხედარს ეძებს დღე და ღამის განმავლობაში ეთხოვებოდა მოსკოვის პროლეტარიატი. ჯერ კიდევ არ გამქრალა ამ დარბაზიდან გლოვის აჩრდილი, ჯერ კიდევ აკრავს მწუხარების ელფერი მაგი სვეტებით და გლოვის დროშებით შემოსილ კედლებს. მაგრამ ვერ მოასწრეს ამ კედლებმა ძვირფას ცხედრის გამოსხვენება და მათ ახალი სტუმარი ეწვია, მუშათა გაზეთის, პროლეტარ ჟურნალისტის ხმა შემოიჭრა შიგ პირველად ნუგეშის ხმით. „არ მივქვდარა, ბრძოლ და არის მხოლოდ ეხლა აინთო კაპიტალიზმის ჯურღმულიდან სოციალიზმის ლენინიზმის ლამპარი"! ასე ამბობს კედლის გაზეთთა გამოფენაზე მუშათა ერთი ორგანო და მართლაც ფართედ გაშლილი, ლოკალური და მოხდენილ ლოზუნგებით შემკობილი კედლის გაზეთის გამოფენა იშვიათ ცხოველმყოფელობის იმედს აძლევს მგლოვიარე დარბაზში.

ოქტომბრის რევოლუციამ ახალი ცხოვრება მოიტანა. ახალ ცხოვრებასთან ახალი ჟურნალი და ახალი ჟურნალისტი მოვიდა. ამის თავდებია ეს გამოფენა. მისი აზრის სახარეოთ, მკვეთრი ენა და სიცოცხლით მჩქეფარე აზრები.

სად არის ეხლა ბურჟუაზიის კალამ დაგირავებული ტლე ჟურნალისტები, ვინც სახის მათ თვალში და შეიძლოს ტაიმს-სადა ილუსტრირებული „ტაიმს", „ტაიმს" „ტაიმს" დასქელეთ მოსყიდულ ხელის მისაკეთი ტანი. სად არიან, რათ არ მოვლენ აქ „ნოვოე ვრემია", „სლოვო", „იდეოლოგის" კალამ შერაცხულნი ლიტერატორები რომ იხილონ მათმა მუდამ ცრუ თავისუფლებაზე მტირალ თვალებმა, სად ეხლა საპატიო ადგილი მისცა ყველაზე თავისუფალი სიტყვის მეშვეობით თავისუფლებას, რა მოიტანა დღეს ოქტომბრის რუსეთის ჟურნალისტიკაში.

[illegible]

მოსკოვი 7 მარტი 1924 წ.

## სარწმუნოების წინააღმდეგ.

დღეს საბჭოთა ხელისუფლების დროს სარწმუნოების წყარო ცხოვრება სხვაგან. გამოაშკარავდა მათი თვალთმაქცობა. ნათქვამია: „ბია მიტო გიკოლცნი კეირაცხლიან თვალებს, რომ კოლორი გამოიცხოვი". აი სწორედ ასე იყო იმ დროს, როცა ღვდლები მეფეს გვერდში უდგნენ, ხალხს გონებას უბნელებდნენ და მეფის მორჩილებას ქადაგებდნენ. ამიტომ მეფის მთავრობაც მათ კოლორებს უცხობდა და კარგ ჯამაგირით აჯილდოვებდა. მაშინ, როდესაც ქარხნის მუშას ან სოფლის გლეხს დღიურ ქირად ოთხი აბაზი ქონდა დანიშნული, იმ დროს ყველაზე დაბალი არქიეპისკოპოსი იღებდა დღეში 140 მანეთს. მაგალითად კიევის მიტროპოლიტს ქონდა წელიწადში ოთხმოცდა ათი ათასი მანეთი, მოსკოვის მიტროპოლიტს 95,000 მანეთი, პეტერბურგის მიტროპოლიტს 270,000 მანეთი. ყველაზე უმცირესი მიტროპოლიტის ჯამაგირი აწევდა 80,000 მანეთს წელიწადში. ამ გვარად მშრომელი ხალხის ზურგიდან აღებული ფული, მიდიოდა მუქთა ხორა სამღვდელოების შესანახად, გარდა ჯამაგირისა მათ სხვა შემოსავალიც ქონდათ, ქორწინების, მონათვლის, დასაფლავების სხვა და სხვა კურთხევის და სხვა...

ეხლა წარმოიდგინეთ რა ოდენობით რიცხვს წარმოადგენდა სასულიერო წოდება მთელს რუსეთში. 1909 წლის სტატისტიკური ცნობით ბლაღოჩინები იყო 2,919, მღვდლები 40,790, დიაკვნები 15,040, მედავითნენი 40,617. საერთოთ ყველა ეკლესიებში დაბალ მოსამსახურეთა და ბერ-მონაზონთა რიცხვი შეადგენდა 200,218 სულს. აი ამოდენა მუქთა ხორა სამღვდელოებას ინახავდა მშრომელი ხალხი. საბჭოთა ხელისუფლების დაფუძნებიდანვე ერთ დამკვრელ და შეგნებულ ძალით ისპობა ის მავნე საზოგადოება, რომელიც საუკუნოების განმავლობაში შეთანხმულ რელიგიის მეოხებით ეროვ მეფის სასარგებლოთ გონებას უბნელებდა ქვეყნის მკვიდრ და მშრომელ ხალხს.

გიორგი ჩარხიშვილი.

## „სხივლების" სიკოტრე

სხივლების სიკოტრე დღეს ყველასათვის ცხადია: იმის შემდეგ მაინც, როცა ამ ჯგუფის მეთაური კიკილე ნინიძე „სოციალისტი" მოტყუარა ეპისკოპოსების და ღვდლების დასაცავათ გამოდის, იმ მღვდლების, რომლებიც რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ატყუებდნენ-ცარცვავდნენ მუშა ხალხს თავისიანი ხრიკებით. სამღვდელოება ეს თეთრ-შპიონების ცენტრია შპიონების ბუდე, რომელმაც მოაწყო ინტერვენციის საშუალებით ქართველი მშრომელი ხალხის სისხლში ჩახრჩობა, რომელმაც გაქურდა და გაცარცვა ხალხის სიმდიდრე და იკისრა ევროპის კონტრ-რევოლუციის აგენტობა. ეს სამღვდელოება პარტიულ კომიტეტში ისე, იღებს მონაწილეობას, როგორც თვით „სხივლები" მეისამინელი ჩოლოყაშვილის და სხვა ბანდების საიდუმლოებში; სამღვდელოებამ მშრომელ ხალხს უკანასკნელი ტყავი გააძრო. აი ამ სამღვდელოებას იცავს დ. ს. დ. მ. პ. (სხივლების) ჯგუფის მეთაური „სოციალისტი". ამ ჯგუფის მეთაურმა მოიხსნა ნიღაბი და აშკარა გახადა თავის გამცემლობა. ჩვენ არ გვგონია, რომ იმ ბანაკში ეყოს ვინმე მუშა კიდევ. მაგრამ, ამის შემდეგ თუ კიდევ მაინც დარჩა ვინმე, მათთვის აშკარა იქნება, რომ ეს ჯგუფი კონტრ-რევოლუციის და მუშათა კლასის მოღალატეების ჯგუფია, თავს მიანებებს მათ და მონახავს წმინდა მუშურ გზას.

„ისარი".

## ა. ფარნიევის სიტყვა.

4 მარტს საოპერო თეატრში სეით დევდარიანის მოხსენებაზე.

სეით დევდარიანმა აქ წაგიკითხათ საზღვარგარეთ დაარსებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს მიმართვა-მოწოდება ქართველი ერის და მუშებისადმი. თქვენ მასში მოისმინეთ ის ჩვეულებრივი ლანძღვა-გინება ნაცარქექიასებური მუქარა კომუნისტური ინტერნაციონალის, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა რესპუბლიკებისადმი და ათასგვარი ტყუილი დაპირებანი, რასაც სამი წლის განმავლობაში აქაური არალეგალური ცეკა თავის პროკლამაციებში იმეორებდა.

მე ამ ეხლათ საზღვარგარეთ დაარსებული ბიუროს ქართველი ერისადმი მოწოდება-მიმართვის შინაარსზე არ მსურს დავიბანდო თქვენი ყურადღება, ვინაიდან ამაზე თვით სეით დევდარიანმა ბევრი ილაპარაკა და მას უწოდა ჟორდანიზმის საბოლოოთ გაკოტრება, მარქსიზმისადმი ღალატის დამამტკიცებელი დოკუმენტი, მე მხოლოთ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, თუ რა სთქვა სეით დევდარიანმა. ეს მიმართვა გამოუგზავნია საზღვარგარეთის ბიუროს ყოფილი მენშევიკების ყრილობის მიერ ნოე ჟორდანიას სახელობაზე გაგზავნილ მიმართვის საპასუხოთ. თქვენ მოგეხსენებათ შინაარსი იმ მიმართვის, რომელიც ჩვენ გავუგზავნეთ ნოე ჟორდანიას, თქვენ მოისმინეთ საზღვარგარეთ დაარსებული ბიუროს მიმართვის შინაარსიც და ყველა ჰკითხავს მყოფი დამეთანხმება იმაში, რომ ეს სრულიადაც არ არის პასუხი ჩვენი ყრილობისადმი მიმართვისა. მართალია, არ არის პასუხი თქვენი მიმართვისა, ამბობს სეით დევდარიანი. დიახ, არ არის პასუხი, სეით, თქვენ ეს აქამდისაც იცოდით და საკვირველია რისთვის დაჰკარგეთ იმის თქმა, რომ იგი ჩვენი მიმართვის საპასუხოთაა გამოგზავნილი?

თქვენ იცით, თუ როგორი დაუცხრომელი ბრძოლას აწარმოებდა არალეგალური ცეკა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც აქტიური ხელისუფლებას უწევდნენ ქალაქებში და სოფლებში კონფერენციების და შემდეგ სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევას. თქვენ იცით ისიც, რომ ჩვენ მოღალატეებათ, გამყიდველებათ, პროვოკატორებათ გვაცხადებდა ცეკა თავის პროკლამაციებში, ამაში სეითიც იღებს ცოტა წილს, მაგრამ ვინაიდან ცეკამ იგიც ახლა ავერ ქანდარიდან გადმოყრილ პროკლამაციებში მოღალატეთ, გამყიდველათ და ჯაშუშათ გამოაცხადა ამიტომ სეითს მხოლოდ ერთს შევეკითხები: თქვენ რამდენი ოქრო-ბრილიანტი მოგცათ კომუნისტურმა პარტიამ ძველი ტაქტიკა-ბრძოლის მეთოდების გადაფასებისათვის?

არავითარი არ მოუციათ, [illegible] მეუბნება სეითი, დიახ, არავითარი მოგცეს, ეს ჩვენ ვიცით,

და თქვენც იცოდით, რომ არც ჩვენთვის მოუციათ არავითარი ამ „უპასუხისმგებლო" კომუნისტებს, მაგრამ მაინც გულახდილად-სეით. და მიუხედავად ყველა ამისა, ცეკა დამარცხდა და ცეკას მოწოდებები, „არ გაეკაროთ გამყიდველების კომიტეტს"-ო რჩებოდა და დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ცეკამ თავისი დამარცხება ერთ-ერთ პროკლამაციაში კომუნისტებს დააბრალა, თქვენ პროვოკაცია გაგვიწყვეთ, ვითომ ჩვენ პარტიიდან გასულებს უწოდეთ ზედმეტი ბარგი, და ბოლოს იძახდა, რომ ამან გაუგებრობა გამოიწვიაო.

ამის შემდეგ ცეკას თავმჯდომარე სეით დევდარიანმა თავისი საკუთარი ხელმოწერით მიმართავდა საქართველოს მშრომელ ხალხს (ერთი პირადათ მეც გადმომეგზავნა), სადაც გვირჩევდა თავი შეგვეკავებინა „ჩვენი პარტიის მესაფლავეებთან" დაახლოვება-შეერთებისაგან. სეით დევდარიანის ავტორიტეტული მიმართვამაც უნაყოფოდ ჩაიარა. ამის შემდეგ საჭირო იყო უფრო დიდი ავტორიტეტული ორგანოს მიმართვა, რომ მისი გაგონებას შესძლებოდა დაეშალა სრულიად საქართველოს ყრილობა, აწ პირიქით, ყრილობა გამოეყენებინა ცეკას თავისი სასარგებლოთ. და აი, ამისთვის საზღვარ გარეთ დაბეჭდეს და გამოგზავნეს სეით დევდარიანის მიერ აქ წაკითხული ქართული ერისადმი მიმართვა. მართალია ამ მიმართვამ ვერ ჩამოუსწრო აგვისტოს ყრილობას, მაგრამ ჩვენც არ გამოადგებოდა ცეკას გამკურნებელ მალამოთ გაუკურნებელი სენისათვის. თქვენ იცით, რომ ყრილობის დასრულების შემდეგ არ გავიდა ერთი კვირა, და გავრცელდა ხმები, ნოე ჟორდანიამ პასუხი გასცა მისდამი მიმართვასო. მე არა ერთხელ განვაცხადე კრებაზე, და ახლაც ვიმეორებ, რომ ჟორდანიას დღემდის არავითარი პასუხი არ გაუცია. და თუ სეით დევდარიანს სურს საზღვარ გარეთ დაარსებული ბიუროს ქართველი ერისადმი მიმართვაში აღნიშნული სისულელე ჩვენი ჟორდანიასადმი მიმართვის და მის გარშემო გავრცელებული ხმების დაუკავშიროს და აქედან დასკვნა გამოიყვანოს, რომ ყოფილი მენშევიკების აგვისტოს ყრილობას არავინ სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევს, დიდათ სცდება, ვინაიდან აქ წაკითხული მიმართვა დიდიხნის წინათაა გამოგზავნილი, რომლისადმი აგვისტოს ყრილობის პასუხია „გაუქმებულად ვაცხადებთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, მანდატებს ვართმევთ საზღვარ გარეთ მყოფ პარტიის რწმუნებულობისა და ვდგებით მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ" ეს მხოლოდ ფაქტიური შენიშვნაა. ახლა მინდა სეით დევდარიანის მოხსენების შესახებ გამოვსთქვა ჩემი აზრი.

სეით დევდარიანმა გვითხრა, მარქსი გვასწავლიდა მიუდგომელი და სასტიკი დაუნდობელნი იყავით კრიტიკის დროსო. მეც მინდა მარქსის ანდერძი შევასრულო და იმედია სეითი არ მიიღებს თავის თავზე შეურაცხყოფათ ლანძღვათ.

ჩემ მოხსენებას არა აქვს მიზნათ ვისიმე ლანძღვა, ამბობს სეითი, გამოდის, ვითომ

# ლენინს.

შენ მოკვდი, მაგრამ შენი იდეა
ანთია როგორც კილეპტარები,
შენ არასოდეს არ დაგივიწყებს
მთელი მსოფლიოს პროლეტარები.
ცოცხლობენ აზრით დიადი რწმენით
შენ გაანათე ყოველი მხარე
შენ წითელ ვარსკვლავს ელვის შუქებით
მთელი მსოფლიოს არე და მარე,
მსოფლიო ცაში ზარებს რეკავდი
ჩვენ ბნელ წყვდიადის გამაკრთობელსა
არ დაივიწყებს მშრომელი ერი
თვის შვილად ლენინს მანათობელსა
შენ მოკვდი, მაგრამ შენი იდეა
ანთია როგორც კილეპტარები,
შენ ცოცხალი ხარ, შენ არ მომკვდარხარ
ამბობენ მუშა პროლეტარები

გიორგი ჩარხიშვილი.

---

ჩვენ ვისიმე ლანძღვა გვქონდეს მიზნათ, როდესაც ვიწვევდით კონფერენციებს და ყრილობას, ეს ასე არ იყო. და თუ გვიყვედრიდენ გვიწერდენ ამას, ეს მხოლოთ იმისთვის, რომ ჩვენდამი უნდობლობა-ზიზღი დაეთესა ცეკას. და თვით სეით დევდარიანის ლია წერილშიაც ხომ სწერია, თქვენ ვერ შექმენით ისეთი მდგომარეობა, რომ დაიახლოვოთ მუშები, პირიქით, თქვენს და პარტიაში დარჩენილებს შორის ჩამოვარდება უნდობლობა-მტრობაო. საბედნიეროთ ეს არ გამართლდა, პირიქით მოხდა და თვით წერილის ავტორი იგივე ცეკას თავმჯდომარე სეით დევდარიანიც, კი, და მრავალი მუშები ყრილობის შემდეგაც თან და თან ჯგუფ-ჯგუფად გადმოვიდენ ჩვენს რიგებში. დიახ, ჩვენ არავის არ ვლანძღავდით, პრამედ ვამხელდით ჩვენი პარტიის მოქმედება-მოღვაწეობას, ისე, როგორც შეეძლო მუშურ რევოლუციონურ ჭკუა-გონებას, და რომ ჩვენ მართალნი ვიყავით, განა ამას თვით სეით დევდარიანი არ ამტკიცებს ახლა?- საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავს სამი წლის განმავლობაში და ამაში დიდი დანაშაული მიუძღვის ჩვენს პარტიას და მის შეცდომებს — ამბობს სეით დევდარიანი. ჩვენც ხომ ამას ვამბობდით, მაშ რათ გვაცვეთ ამისთვის ჯვარზე? დევდარიანმა სთქვა, რომ ის უარყოფდა პარტიის ძველ ხაზს და 1921 წ. 20 აპრილსაც ამას ვიტყოდი, მაგრამ პარტიის დისციპლინას დავუმორჩილე და აღარ ვსთქვიო. აქაც უნდა გავახსენოთ დევდარიანს, რომ ის თავის ლია წერილებში გვიყვედრიდა, ვინც პარტიიდან გავიდენ ისინი მათ ამდენ ხანს პარტიაში წმინდა გულით არ ეცხოვრიათ. მსჯელობის ლოღიკა დევდარიანს ვერ ამართლებს, ვინაიდან მას არ სწამდა პარტიის ძველი ხაზი, ჯერ 1921 წელსაც დისციპლინა ვერ დაურღვევია მხნობის, სანამ ჩვენ მუშებმა ვერ დავანგრიეთ ის ზღუდე, რომელიც დევდარიანს უშლიდა თავისუფლად აზრის გამოთქმას აქაც არ არის მართალი დევდარიანი, ვინაიდან თუ მას პარტიის ხაზი არ აკმაყოფილებდა, მაშასადამე არც წმინდა გულით ცხოვრობდა ამდენ ხანს პარტიაში, ჩვენ რაღას გვერჩოდით?

ცეკა აცხადებს თავის პროკლამაციაში, რომ ჩვენ თვითონ შეთხზა დოკუმენტებიო. მე ვაცხადებ, რომ ეს საბუთები არ არის შეთხზული, ამბობს დევდარიანი. რა თქმა უნდა. ტყუილს აცხადებს ცეკა, მართალს ამბობს დევდარიანი, მაგრამ სეითმა ისიც გაიხსენოს, თუ რას გვიყვედრიდა ჩვენ თავის ლია წერილში, თქვენ ჩვენი მასალებით ხელმძღვანელობთ, როცა ამბობთ, რომ პარტიას კავშირი აქვს ბანდებთანო. ჩვენ გვიხარიან, რომ ახლა სეითიც დარწმუნდა იმაში, რომ ჩვენ მართლები ვყოფილვართ და თვითონ კი სცდებოდა. დევდარიანმა სთქვა: სამწუხაროთ ჩვენმა აჯობა არალეგალურ ცეკასო. მე ვფიქრობ, რომ ეს სამწუხარო კი არა, სასიხარულოა, ვინაიდან ჩვენს რომ არ აღმოეჩინა არალეგალური ცეკას მიმოწერის და მოქმედება-მოღვაწეობის საბუთები და არ მიეცა სეით დევდარიანისთვის მათი გაცნობის საშუალება, დევდარიანი დღეს აქ არ გამოვიდოდა ვრცელი მოხსენებით, არ იტყოდა იმას, რომ მეორე ინტერნაციონალი დათვურ სამსახურს უწევდა საქართველოს მშრომელ ხალხს და სხ. და უსათუოთ იქნებოდა უნებლიეთ მოკავშირე-ხელმძღვანელი ბანდების და მას კი ამას არც გააგებინებდენ და ვერც ეჭვი შეეპარებოდა თავის შეცდომა-დანაშაულში. ჩვენ ამიერიდან ყველაზე მეტათ სეით დევდარიანი უნდა უმადლოდეს და განსაკუთრებით კი საქართველოს მშრომელი ხალხი, რომელიც წარმოუდგენლად-წმინდა გულით, წმინდა რწმენით უგდებდა ყურს არალეგალურ ცეკას, რომელსაც ხალხი უტყუარ დაღუპვისაკენ მიყავდა, და ჩვენმა კი აღმოჩენილი საბუთებით ყველას, განსაკუთრებით სეით დევდარიანს, დაანახვა, რომ ცეკა მშრომელი ხალხის დამღუპველ პოლიტიკას აწარმოებს.

დევდარიანმა განაცხადა: მეორე ინტერნაციონალი დამარცხდა საერთაშორისო მასშტაბით, მან ვერ აამოძრავა მასში თავმოყრილი მრავალი მუშები; ჩვენც გვკვეხავდა იმედებით და ამ იმედებით დათვური სამსახური გაგვიწიაო, პირადათ არც მესამე ინტერნაციონალი მაკმაყოფილებს, მასაც ჰქონდა შეცდომებიო — ამბობდა დევდარიანი და ფიქრობს, შეიძლება ახალი ინტერნაციონალი დაარსდესო. აქ კი უნდა უთხრათ დევდარიანს, რომ ბელადს არ შეშვენის ასეთ გაურკვევლობაში იყოს. მარქსი ამბობდა ერთი საათით დაგვიანება რევოლუციის ნახევრათ წაგებას ნიშნავსო, დევდარიანი კი გვეუბნება: მეორე ინტერნაციონალი დამარცხდა, მესამე ინტერნაციონალიც არ მაკმაყოფილებს, და შეიძლება ახალი დაარსდესო. სანამ ახალი დაარსდება მანამდის რა ვაკეთოთ, ამაზე დევდარიანი სდუმს. რატომ, რისთვის?

ჩვენ დევდარიანი გვეკამათებოდა თავისი ლია წერილებში და გვიყვედრიდა გარკვეული აზრი არა გაქვთო, ჩვენ დავდექით მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, ეს სეითმა ძალიან კარგათ იცოდა მაშინაც, სანამ ის თავის უკანასკნელ წერილში დასწერდა: მაგრათ გეჭიროსთ რევოლუციონური დროშა, არ გაუშვათ ხელიდან, მეც თქვენთანა ვარო. ახლა კი ამბობს ამდენ ხალხში, დღეს მე ხელში მიკავია მუშათა კლასის დიქტატურის დროშა,

თუმცა კომინტერნს არ უერთდები და ამიტომ არც ყოფილ მენშევიკების ყრილობის პლატფორმას ვიზიარებ სავსებითო. იზიარებს თუ არ იზიარებს სეითი, ეს მისი საქმეა, მაგრამ პასუხი კი უნდა გაგვცეს; მუშათა კლასი, რომლის დიქტატურის დროშაც გიკავიათ დღეს ხელში, რა აწერია ზედ, რომელ ქვეყანაში არსებობს ეს მუშათა კლასი, რა მიზნები აქვს დასახული, რომელ კლასს ებრძვის? მე ვფიქრობ, რომ ყოფილ მენშევიკების ყრილობამ უფრო სწორი გზა აირჩია და რაც დროზე ამოირჩევს ამ გზას დევდარიანი, მით უკეთესი იქნება. მით უმეტეს, თვით სეითი გველაპარაკება; მარქსიზმი მხარს უჭერს რევოლიუციას და არა რეაქციას. ამიტომ მარქსიზმი არის ბოლშევიკებთან და არა ანტანტასთან. ჟორდანია კი გვეუბნება ევროპასთან უნდა ვიყოთო. ევროპა ორ გვარია; მმართველი წრეები და მუშათა კლასი. მენშევიკების არალეგალური კონფერენცია მმართველი წრეებისკენ არის, საბჭოთა რესპუბლიკები იმიჯნებიან მმართველი წრეებისაგან და მარქსისტებიც მასთან უნდა იყვენო. ბალშევიკებს ეხერხებათ სიტყვის საქმეთ გადაქცევა, მესამე ინტერნაციონალი ამ მხრივ უფრო მოძრავი-ხერხემალიანიაო. თუ კი სეითი მარქსისტია, თუ კი მარქსიზმი ბოლშევიკებთან არის, თუ კი მარქსისტები საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ უნდა იყვენ, თუ კი ბალშევიკებმა სიტყვის საქმეთ გადაქცევა მოახდინეს, თუ კი მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი მოძრავი ხერხემლიანია, მაშ რაღაშია დავა? იმედია სეითი საპასუხო სიტყვაში გარკვეულ პასუხს მოგვცემს დასმულ კითხვებზე და ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს იმ წვრილობით შეკითხვებს, რომლებში ც მარტო სეითის ლანძღვა-გინების მეტი არაფერია, რომლების კითხვაშიაც სეითი უნაყოფოთ კარგავს დროს, კარგი კი იქნებოდა აკინძოთ და გაუგზავნოთ მეორე ინტერნაციონალს, დეე გაეცნონ აქაური მენშევიკების თავდადებულ გმირულ და „სოციალისტურ“ საქმიანობას ამ შეკითხვების ფურცლებიდან.

(ხანგრძლივი მქუხარე ტაში).

დევდერიანმა თავის საბოლოვო სიტყვაში ფარნიევის და სხვა ორატორების მიერ დასმულ არც ერთ კითხვაზე გარკვეული პასუხი არ გასცა და მსმენელები გაკვირვებული-დაუკმაყოფილებელნი დაიშალნენ. საზოგადოთ დევდერიანის სამ საათის განმავლობაში გაკეთებულმა მოხსენებამ დასტოვა მხოლოთ ის შთაბეჭდილება, რომ გაკოტრდა და დამარცხდა მეორე ინტერნაციონალი და საქართველოს მენშევიზმი თავისი ლიდერებით. ძლიერდება და დღითი დღე იხვეჭს ნდობას საბჭოთა რესპუბლიკები და მათი ხელძღვანელი-გზის მაჩვენებელი კომუნისტური პარტიები. თვით სეით დევდერიანი, რომელ ინტერნაციონალს ემხრობა, ეს კი გამოურკვეველი დასტოვა.

დამსწრე.

# რა ხდება ემიგრაციაში

(პარიზში მყოფ ერთი ამხანაგის წერილიდან*)

„...საქართველოს და ქართველი საქმეების შესახებ აქ არავინ არაფერი არ იცის. მენშევიკები, რასაკვირველია, ინფორმაციას რეგულიარულად იღებენ, მაგრამ ამის შესახებ არავის არაფერს არეუბნებიან, ყველაფერს უმალავენ, არა მარტო უბრალო ქართველებს, არამედ (ს. კედია, ასათიანი, კ. გობეჩია, გვაზავა ვეშაპელი, ფირცხალავა და სხვები). ვინც მათთან მუშაობს და ესწრება ყველა ფარულ და ღია კრებებს. ამ ნიადაგზე სერიოზულ შეტაკებებს ჰქონდა ადგილი „ცენტრში“. ამ შეტაკებებს და უთანხმოებას თავისი შედეგები უნდა მოჰყოლოდა: ან სხვა პარტიების წარმომადგენელები უნდა ჩამოშორებოდენ მენშევიკებს, მენშევიკების მთელი ტყუილი, სიყალბე უნდა გამოსულიყო მზის სინათლეზე, ემიგრაციის სამსჯავროს წინაშე, იმ ემიგრაციის, რომელმაც არაფერი არ იცოდა არც იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა ყოფილი მთავრობა, არც იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში. ამ დროისათვის მე მივიღე ცნობები საქართველოს მენშევიკების ყრილობის შესახებ და ის ქაღალდები, რომელიც შენ გამომიგზავნე.

### რეზოლიუციები, დევდარიანის წერილის და სხვათა შესახებ.

შენი წერილი სტუდენტების რეზოლიუციის თანდართვით და აგრეთვე ტფილისში მომხდარ მენშევიკების ყრილობის ოქმებით მე სწორეთ დროზე მივიღე. ეს ოქმები გადაცემული იქნა „ცენტრის“ ერთ ერთ წევრისათვის და მან ს. კედიას საშუალებით სხდომაზე დასვა კითხვა:

„იციან თუ არა მენშევიკებმა რაიმე მათი პარტიის ლიკვიდაციის შესახებ და იმის შესახებ, რომ ყველა მენშევიკებმა მიატოვეს ბრძოლის ველი“. აქ დიდი ამბავი დატრიალდა, უპასუხებდა რამიშვილი. ის ამბობდა, რომ ეს არაფერია, რომ არაფერი ამგვარი არ მომხდარა და სირცხვილია ასეთი ხმების მოკრეფა ქუჩაში და მათი სხდომაზე გამოტანა. მაშინ წაკითხული იქნა ოქმები, სეითის წერილი, პასუხი ამ წერილზე და სხვა. ამან მოახდინა არაჩვეულებრივი ეფექტი, მენშევიკები ცუდათ გრძნობდნენ თავს და რომ რითიმე ეხსნათ მდგომარეობა, რამიშვილმა „დააწვა“ სტუდენტების დეკლარაციას. მან განაცხადა, რომ ტფილისში მომხდარი ამბავი მათ მით უფრო არა სწამთ, რომ ბერლინელ სტუდენტთა ისტორია პირდაპირ სასაცილო აღმოჩნდა.

### იმის შესახებ, თუ რა მოხდა შემდეგ და რითი გათავდა.

ამ დროისთვის მე მივიღე ახალი გაზეთი. ამ ახალი ინფორმაციით და აგრეთვე ძველით ისარგებლა ა. ასათიანმა და მოხსენება გააკეთა ქართული კოლონიის საერთო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 200 კაცი. ილაპარაკა ოთხი საათი, ამასთანვე ატმოსფერა მეტისმეტათ დამძიმდა, საქმე იქამდის მივიდა, რომ მენშევიკებს (მთავრობა) მოღალატეები უწოდეს. ვილაცამ დაიყვირა „ძირს ჟორდანია“, ასეთი შეძახილი მე პირველათ გავიგონე მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში. უეცრათ გამეფდა სამარისებული სიჩუმე, მაგრამ ის დაარღვია რამიშვილმა, რომელმაც პირზე დორბლ-მორეულმა იყვირა. „გააგდეთ აქედან ის“. წამოხტენ: ჯუღელი, ცინცაძე და სხვა დამქაშები. წამოხტა ჯოხებით მეორე მხარეც. ნოე რამიშვილს დაუძახეს „არამზადა“, (СВОЛОЧЬ) „მინისტრი კი არ ხარ, ციგანი ხარ“. და მენშევიკები იმ წამსვე ჩაჩუმდნენ. კამათი გადადებული იქნა შემდეგი კვირისათვის. იქ გამოვიდნენ კედია, გობეჩია, ნიკოლაძე, ჩხენკელი, ასათიანი, გეგეჭკორი, არსენიძე და სხვები. ეს კრებაც აგრეთვე ანტიმენშევიკურათ გათავდა და ყველა ამის დასასრულ კი გეგეჭკორი და გენ. კვინიტაძე წაიჩხუბენ. კვინიტაძემ მას და მის ამხანაგებს უწოდა „ქურდები, მაშენიკები და მშიშარები“. ერთმანეთზე მიიწიეს მუშტებით, მაგრამ ისინი გააშველეს...

### დ უ ე ლ ი.

**გენერალმა კვინიტაძემ გეგეჭკორი დუელში გამოიწვია.** უკანასკნელმა უარი სთქვა ოფიციალურ დუელზე და მის მაგიერ წამოაყენა ამერიკული დუელი. მაგრამ შემდეგ როგორღაც დააშოშმინეს ისინი და ეხლა ორივე ცოცხლებია.

### კიდევ ერთი წვრიმალი.

მოხსენებისათვის ემზადება სპ. კედია, რომელმაც აღნიშნულ კრებაზე ვერ მოასწრო თავისი აზრის ბოლომდი განვითარება და განაცხადა, რომ წაიკითხავს სპეციალურ მოხსენებას იმის შესახებ, თუ როგორ ეწევიან მენშევიკები სისტემატიურათ შანტაჟს ქართველი ხალხის მიმართ.

### ეხლა კი როგორაა საქმე.

ეხლა განწყობილება პარიზში ბუნდოვანია. აქ არის ემიგრაციის ცენტრი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მთავარი შტაბი, ეს შტაბი კი დიდ გავლენას ახდენს ყველა ქართველებზე. მათი რიცხვი ეხლა პარიზში 400 კაცს აღემატება. მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ ცნობის საკითხი არც ისე მარტივად სდგას... ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ემიგრაციის სულიერ განწყობილებისათვის, განსაკუთრებით კი ქართველი ემიგრაციის. რუსეთს არც თუ ისე ჩქარა იცნობენ.*)

### ცნობის, პუანკარეს და მღელვარების შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს ლევილლეში.

აქ დაბეჯითებით ლაპარაკობდენ იმის შესახებ, რომ საფრანგეთის და საბჭოთა მთავრობის შორის ადგილი ჰქონდა მოლაპარაკებას და ვითომ პუანკარემ კატეგორიულად განაცხადა: საფრანგეთი იცნობს საბჭოთა მთავრობას არჩევნებიდან 2—3 თვის გასვლის შემდეგ.**)

მენშევიკებმა, რასაკვირველია, გაიგეს ამის შესახებ და გადასწყვიტეს თავისი აზრი შე-

---

*) წერილი მიღებულია ერთი ჩვენი ამხანაგის მიერ ტფილისში.

*) წერილი დაწერილია ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობამდი.

**) ლაპარაკია საფრანგეთში პარლამენტში არჩევნების შესახებ, რომელიც განზრახულია მაისში.

ემუშავებიათ ამ საკითხის შესახებ, სანამ გვიან არ არის. დაიწყო კონფერენცია ლევილლეში (მენშევიკების მამულია:) „ვიცნოთ, თუ არ ვიცნოთ.“ ნაწილი მენშევიკებისა, როგორც მე ამის შესახებ საიდუმლოთ გადმომცა ერთერთმა კონფერენციაზე დამსწრემ, მოითხოვეს „ცნობას.“ ამ თვალსაზრისს ადგია ჩემი მოსაუბრეც (სახელი ნაჩვენებია). მეორე ნაწილი წინააღმდეგია: მოითხოვს ბრძოლის გაგრძელებას, „თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა უაზროა.“ მე არ ვიცი, რითი გათავდა ეს დისკუსია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც მეტათ დამახასიათებელია“ *).

## ძმები კრასნოშჩოკოვები.

(წერილი მოსკოვიდან).

დღეს დილის 5½ საათზე დასრულდა ძმათა კრასნოშჩოკოვების პროცესი. უმაღლესმა სასამართლომ ერთ მათგანს—ალექსანდრე კრასნოშჩოკოვს—სამრეწველო ბანკის დირექტორს—ექვსი წლის იზოლიაცია მიუსაჯა და მეორეს 3 წლის იზოლიაცია.

ძმათა კრასნოშჩოკოვების გასამართლება პირველი პროცესია ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, რომელიც საბჭოთა მართლმსაჯულების პრაქტიკაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს. ვინ იყო ძმები კრასნოშჩოკოვები ან რა დააშავეს მათ, რომ მათი სახელი მთელი თვის განმავლობაში არ მოშორებია მოსკოვის გაზეთების ფურცლებს და „როსტას“ ტელეგრაფიც შეუსვენებლივ ლაპარაკობდა მათზე? პირველი მათგანი—ძველი რევოლიუციონერი, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ყოფილი თავმჯდომარე, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს წევრი და სამრეწველო ბანკის დირექტორი. მეორე-კი ჯიბა-გახერეტილი, ფუქსავატი ინჟინერი, ნეპის ბურჟუაზიის პირწავარდნილი ტიპი, რომელმაც რამდენიმე ხნის განმავლობაში არაფრისგან ვეებერთელა თანხა შეიძინა.

ამნაირათ ხორცით ძმები, მაგრამ იდეურათ და შეგნებით ერთმანეთისათვის გარეშე, შორეული კრასნოშჩოკოვები კვლავ ერთმანეთს უახლოვდებიან. პირველი მათგანი მშრომელთა ნდობით აღჭურვილი, კომუნისტურ პარტიის მანდატით სათავეში უდგება ფორმით და ორგანიზაციით კაპიტალისტურს, მაგრამ დანიშნულებით სოციალისტურ დაწესებულებას, როგორიც არის საბჭოთა რესპუბლიკების სინამდვილეში ბანკი. მეორე—გამდიდრების, ფულის მოგების ანგარიშებით გატაცებული სარგებლობს ნათესაური დამოკიდებულებით, ჰპოულობს საძრომელას ბანკის შინა კარებში და ყურგახვრეტილ შაურის არმქონე მოკლე ხანში კაპიტალის პატრონი ხდება.

მართალია ამით, როგორც პროკურორმაც აღნიშნა თავის სიტყვაში, ბანკის ოპერაციას დიდათ არ შეფერხებულა; პირიქით კრასნოშჩოკოვის ხელში ბანკის ძირითადი თანხა ბევრათ გაიზარდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, დირექტორი კრასნოშჩოკოვი მაინც ვერ გაექცა ბრალდებულის სკამს.

*) გადმობეჭდილია გაზეთ „კომუნისტაან“.

ნეპის შმორით თავბრუდახვეული, ნათესაური გულშემატკივრობის სახით ძმის ავანტიურის ქსელში გახვეული, ის სუსტი სიმტკიცის პატრონი აღმოჩნდა, როგორც კომუნისტი და მსწრაფლად დაეშვა გადაგვარების დაღმართით. გაჰქრა წარსულის ნიშან-წყალი, მოკვდა ძველი, დამსახურებული რევოლიუციონერი. წარსულისაგან მას მხოლოდ მოგონება და კომუნისტური ნიღაბი შერჩა. მან დაივიწყა, რომ რამდენადაც საამაყო და სასახელოა მუშათა კლასის მანდატის ხელში ჭერა, იმდენადვე მეტ სიფრთხილეს და მორიდებას ითხოვს იგი. მას აღარ ეგონა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ნდობის შებღალვა შაქრათ არავის შერგებოდა.

ამნაირათ „კრასნოშჩოკოვშჩინა“ ეს ის უფსკრულია, რომლის პირთანაც ახლო გაივლის სამეურნეო ფრონტზე მომუშავეთა ბილიკები. ეს საფრთხე ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა მართებს ყველა სამეურნეო ფრონტზე მომუშავეთ, რომ ლისეულად შეასრულონ პარტიის ნდობა და უფსკრულში არ გადაიჩეხონ. ამიტომ იყო, რომ კრასნოშჩოკოვის პროცესი საბჭოთა მთელი საზოგადოების დიდ ყურადღების საგნათ გადაიქცა. ამიტომ იყო, რომ ამ პროცესის ხმა გამაფრთხილებელ ზარის რეკათ გაისმა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

საბჭოთა მმართველობის სისტემა თავის-თავად უანგაროების და უმაღლეს ზნეობრიობის მმართველობის სისტემაა. ის ვერ ითმენს, სრულიად ვერ ეგუება თავის საქმიანობაში ბოროტმოქმედების ლანდს, წარსულის აჩრდილსაც-კი.

თუ ნავთის მრეწველ, მილიარდერ გარრი სინკლერის მოქსოვილი პანამა ისეთი სრული და განიერ კალთებიანი აღმოჩნდა, რომ თავზე ჩამოეფხატა ათეულ მინისტრ-სენატორებს და პრეზიდენტის ყურებსაც კი მიწვდა, საბჭოთა მართვა-გამგეობა ეს ისეთი ჯანსაღი, ნოყიერი ნიადაგია, რომელზედაც ვერასოდეს ვერ იხეირებს პანამის საქსოვი ჭაობის ბალახი. საბჭოთა საზოგადოებრიობა ვერ ითმენს ვერავითარ იარას, რომელიც მის ტანზე აღმოჩნდება. დოსტაქარის წითელი დანა ძირშივე მოჰკვეთავს მას.

რა უყოთ, რომ შეერთებულ შტატების ბედის მმართველნი ნავთის მორევში ცურაობენ ბურჟუაზიულ მორალისათვის ის არც ისეთი სათაკილო რამაა. ისტორიულათ ფარულ ქურდობაზე აღზრდილი, მყვლეფელი კლასის ბუნება ადვილათ მოინელებს აშკაარაა ქურდობასაც.

სულ სხვაა მუშათა კლასი. მისმა ზნეობამ ვერ მოითმინა კრასნოშჩოკოვის „უდანაშაულო დანაშაულობაც“, როგორათაც ის მიაჩნია ბურჟუაზიულ პრესის მოსკოველ კორესპონდენტებს. მუშათა კლასის სინიდისის წინაშე კრასნოშჩოკოვი უმაღლეს სასამართლოს მჯავრის გამოტანამდე მოკვდა ზნეობრივათ და პოლიტიკურათ ამ სასჯელთან შედარებით რას წარმოადგენს ექვსი წლის იზოლიაცია. ამის შემდეგ რაღა იქნება მისთვის ფიზიკური სიკვდილი!

ა. ქ.

## კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ გასამართლება

### 11 მარტის სხდომა

(მეორე დღე. გაგრძელება)

**ამბროსის ჩვენება:**

**ოკუჯავა:** ვისი ბრძანება იყო საქართველოს მიწების სხვაზე გადაცემა, რომელზედაც თქვენ მემორანდუმში სწერდით.

**ბრალდებული:** იბნევა, გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა.

**კითხვა:** თქვენ გწამდათ საბჭოთა მთავრობა? სცნობთ მას?

**პასუხი:** ვსცნობ... (პაუზის შემდეგ) უსათუოდ.

**კითხვა:** იცოდით თუ არა, რომ საბჭოთა რესპუბლიკებთან მტრული განწყობილება ჰქონდა ინგლისისა და სხვა ქვეყნების მთავრობებს?

**პასუხი:** ვიცოდი... გაზეთებიდან.

**კითხვა:** სუვერენობა ვინ წაართვა საქართველოს?

**პასუხი:** უცხო ჯარებმა.

**კითხვა:** ჰქონდა თუ არა თქვენ აქტს პოლიტიკური ხასიათი?

**ბრალდებული:** გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა, იბნევა.

დამცველი ნინიძე აცხადებს ბრალმდებლის უკანასკნელი კითხვის გამო პროტესტს, თითქოს იგი სცდილობდეს ჩასჭრას ბრალდებული.

**თავმჯდომარე** აცხადებს ნინიძის პროტესტის საპასუხოდ, რომ კითხვები ეძლევა ბრალდებულთ მხოლოდ საქმის გამოსარკვევად.

**კითხვა:** თქვენ ამბობთ, რომ ხართ ქართველი ხალხის სურვილების გამომხატველი, მშრომელი ხალხის წარმომადგენლებს აქვთ თუ არა ასეთი უფლებები, როგორც თქვენ?

**ბრალდებული:** აქვთ.

**კითხვა:** მაშ, იცოდით თუ არა, რომ წითელი ჯარის შემოსვლას მოითხოვდენ ქართველი მუშები და გლეხები და მისი დამცველი პარტია—ქართველი კომუნისტები.

**ბრალდებული:** იბნევა. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ,—არ ვიცოდი. ბრალმდებელის შეკითხვაზე, რა საბუთებით და რა ცნობებით ხელმძღვანელობდა, როცა იგი მემორანდუმში სწერდა ქართველი ხალხის ფიზიკურად გადაშენების შესახებ, ბრალდებული ვერაფერს ამბობს და ბოლოს ყოყმანის შემდეგ აცხადებს, რომ დაწესებულებებში არ იყვნენ ქართველი

მოხელეები და შემოღებული არ იყო ქართული ენაო.

ბრალდებულს კითხვას აძლევს საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხანაგი ალექსანდრე ერქომაიშვილი.

**კითხვა:** მემორანდუმი თქვენი სურვილის წინააღმდეგ ძალაუნებურად ატარებს პოლიტიკურს ხასიათს, წითელი ჯარის გაყვანა განა პოლიტიკური მოთხოვნილება არ არის?

**პასუხი:** ბრალდებული ყოყმანობს,—ბოლოს,—მგონია არის.

**კითხვა:** გერმანიის, ინგლისის და სხვა სახელმწიფოების ჯარიც ხომ იყო საქართველოში და მათი უფროსები ხომ ერეოდენ საქართ. შინაურ საქმეებში, რატომ მაშინ არ იცავდით საქართველოს სუვერენობას?

**პასუხი:** მე არაფერი გამიგია იმის შესახებ, რომ უცხოეთის ჯარის უფროსები ჩირეულიყვენ საქ. საქმეებში. რომ მცოდნოდა, აუცილებლად ამოვიღებდი ხმას.

დარბაზში გაკვირვების ხმები და სიცილია.

შეკითხვაზე, თუ ვის გულისხმობდა გენუაში საქართველოს წარმომადგენლად—ჩხენკელს თუ ბუდუ მდივანს, ბრალდებული უპასუხებს, რომ ჩხენკელს არ გულისხმობდა (საერთო გაკვირვება, სიცილი). შემდეგ სასამართლო გადადის განძეულობის გატაცების შესახებ დაკითხვაზე.

კათალიკოსი აცხადებს, რომ მან განძეულობის დაფარვის შესახებ არა იცოდა რა, რადგან იგი იმ ხანად აფხაზეთში იყო მღვდელმთავრად. შეკითხვაზე თუ როგორ მოხდა შემდეგ, როცა ის კათალიკოსად დაინიშნა, რატომ არ დაინტერესდა გამოერკვია განძეულობის ბედი, ბრალდებული უპასუხებს, რომ იგი დარწმუნებული იყო, რომ განძეულობა წაღებული იყო საზღვარგარეთ.

**კითხვა:** როდის შეიტყვეთ, რომ განძეულობა ინახებოდა აქ, საქართველოში.

**პასუხი:** როცა იგი აღმოაჩინეს, გავიგე არქიმანდრიტ ჯაფარიძისაგან.

**ბრალმდებელი: როგორც ვიცით ამ ხანში** თქვენ დაპატიმრებული იყავით და აკრძალული გქონდათ გარეშე პირებთან ურთიერთობა; როგორ მოხდა, რომ არქიმანდრიტმა ჯაფარიძემ საჭიროდ სცნო და შესძლო კიდეც შეეტყობინებინა კიდეც ასეთ განსაკუთრებულ პირობებში იმ განძეულობის აღმოჩენის შესახებ, რომლის გადამალვის შესახებ თქვენ არაფერი იცოდით?

**ბრალდებული:** არქიმანდრიტი ჯაფარიძე მოვალე იყო ეცნობებია ამის შესახებ ეკლესიის მეთაურისათვის.

**კითხვა:** განა მანამდე, ვიდრე განძეულობას არ აღმოაჩენდენ, არქ. ჯაფარიძე მოვალე არ იყო ეუწყებია თქვენთვის, ეკლესიის მთავრისათვის ასეთ დიდი მნიშვნელოვან საქმის-განძეულობის შენახვის შესახებ?

**ბრალდებული:** ამ კითხვაზე ვერ აძლევს პასუხს. საზოგადოთ მრავალი კითხვა კათალიკოს ამბროსისაგან რჩება უპასუხოთ. ზოგს კითხვაზე პასუხის გაცემას საჭიროდ არ სცნობს, ზოგი გარემოება არ ახსოვს და ზოგს საკითხში თითქოს ვერ ერკვევა.

**ანდრია ლეჟავას (მიტროპოლიტი ნაზარი) ჩვენება.**

**თავმჯდომარე:** იცოდით თუ არა თქვენ რამე მემორანდუმის გაგზავნის შესახებ?

**ბრალდებული:** მემორანდუმის შესახებ ჩემთვის არავის არაფერი არ უთქვამს (გამომწვევი კილოთი).

**თავმჯდომარე:** რა აზრის ხართ თქვენ მემორანდუმზე?

**ბრალდებული:** ამ კითხვაზე არ სურს უპასუხოს.

**თავმჯდომარე:** ვინ გაგაგებიათ განძეულობის გადამალვა?

**ბრალდებული:** განძეულობის დაფარვა საიდუმლოდ გამანდო პატრიარქმა ლეონიდმა, რომელმაც დამავალა **მის შესახებ არავისთვის არაფერი მეთქვა.** მისგანვე გავიგე, რომ შენახვა ევალებოდა არქიმანდრიტ პავლეს.

**თავმჯდომარე:** ვისთვის ინახებოდა განძეულობა?

**ბრალდებული:** იგი ინახებოდა ეკლესიისა და ერისათვის.

**თავმჯდომარე:** თუ განძეულობას ერისათვის ინახავდით, რატომ არ განუცხადეთ ამის შესახებ ხელისუფლებას?

**ბრალდებული:** საეკლესიო ქონების შენახვა და პატრონობა იმ თავითვე სამღვდელოების საქმე იყო, და ვალდებულიც არ ვიყავი, ვიდრე დეკრეტი არ გამოიცემოდა, გადამალული ქონების შესახებ მთავრობისათვის მეცნობებია, მით უმეტეს, რომ მე განძეულობა მეგულებოდა შენახული საიმედო ადგილზე. ქონების ეკლესიაში დატოვება საერთო არევდარევის დროს საშიში იყო, რადგან ასეთ ხანაში ხშირი იყო ძარცვა-რბევა, რასაც შეიძლება შედეგად განძეულობის დაკარგვა მოჰყოლოდა.

**წივწივაძე:** როცა მშვიდობიანობა ჩამოვარდა და ხელისუფლება განმტკიცდა, მაშინ რათ არ ამოიღეთ მიწიდან დამარხული განძეულობა და არ გადაეცით მთავრობას?

**ბრალდებული:** არ ამოვიღეთ იმ მოსაზრებით, რომ მოველოდით მთავრობის მიერ დეკრეტის გამოცემას, რომელშიაც კონკრეტულად მითითებული იქნებოდა ქონების ჩაბარების წესი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მთავრობა გამოგვიგზავნიდა კომისიას, რომელსაც ჩვენ გადავაბარებდით ქონებას.

**პ. ჯაფარიძის (არქიმანდრიტ პავლეს) ჩვენება.**

მიტროპოლიტ ნაზარის შემდეგ სასამართლო ჩვენებას ართმევს არქიმ. პავლე ჯაფარიძეს, რომელსაც ბრალდება სიონისა და მცხეთის განძეულობის გატაცება და გადამალვა.

**სასამართლოს თავმჯდომარე:** ვინ დაგავალათ თქვენ განძეულობის შენახვა?

**ბრალდებული ჯაფარიძე:** განძეულობის შენახვა დამავალა კათალიკოსმა ლეონიდმა. მე, როგორც ბერობაში აღზრდილს და სამონასტრო წესების მტკიცედ აღმასრულებელს, არ შემეძლო ეკლესიის თავის ბრძანებაზე უარი განმეცხადებია. კათალიკოსმავე მიბრძანა, რომ განძეულობის დამალვა არ გამეხმაურებია და თუ ვინმე მკითხავდა რასმე, მეთქვა, რომ იგი საზღვარ გარეთ არის გაგზავნილი.

**ბრალმდებელი:** მაგრამ ეს ხომ ტყუილის თქმაა, რომელიც სასულიერო პირს არ შეშვენის.

არქიმანდრიტი პავლე **ჯაფარიძე**

**ბრალდებული:** ტყუილის თქმაც არის და ტყუილის თქმაც ღმერთის განრისხება იმდენად არაფერია, ღმერთი მრავალმოწყალეა.

**კითხვა:** როგორ ჰფიქრობთ, ტყუილის თქმა ღვთის წინააღმდეგია?

**პასუხი:** წინააღმდეგიც არის და არც არის წინააღმდეგი (სიცილი დარბაზში) იმის მიხედვით, თუ რას შეეხება ტყუილი. ზოგ შემთხვევაში ტყუილის თქმა შესაწყნარებელია. ჩვენ საშუალება გვაქვს ჩვენი ცოდვა, ტყუილის თქმა საიდუმლო აღსარების დროს მოვინანიოთ.

მემორანდუმის შესახებ არქ. ჯაფარიძე აცხადებს, თითქოს მას არაფერი არ სცოდნია, რადგან მონასტერში სცხოვრობდა და პოლიტიკაში არ ერეოდა, საერთოდ ჯაფარიძეს თავი უჭირავს, როგორც „გულუბრყვილოს“ და ცხოვრების „უცოდინარ“ ბერს, რომელიც თითქოს სრულიად ვერ ერკვევა საზოგადოებრივ და პოლიტიკურს მოვლენებში.

**ბრალმდებელი:** აძლევს მას შეკითხვას, გაუგონია თუ არა მას ოდესმე, რომ მღვდლები ეწეოდენ ულირსს ცხოვრებას და სჩადიოდენ ბოროტ-მოქმედებას. ამ შეკითხვაზე ბრალდებული უპასუხებს, რომ მას გაუგონია ასეთი შემთხვევები.

არქ. ჯაფარიძის დაკითხვის შემდეგ სხდომა სწყდება.

## 12 მარტის სხდომა

(მესამე დღე)

სხდომა იწყება დღის 1 საათზე და 20 წუთზე.

**დამცველებში ნერვიულობაა.**

**კირილე ნინიძე:** დამცველთა სახელით აცხადებს, რომ პირველ დღეს დამცველთა მუშაობისთვის ნორმალური პირობები იყო, ეხლა კი როგორც დარბაზში, ისე მის გარეთ, კერძოთ პრესაში შეიქმნა ისეთი ატმოსფერა, რომ შეუძლებელი ხდება პროცესის ნორმალური მსვლელობა, საბჭოთა კანონმდებლობა კი ერთნაირ პირობებში აყენებს ორივე მხარეს.

**თავმჯდომარე:** შენიშნავს მოქ. ნინიძეს, რომ წესრიგი დაცულია დარბაზში და არავინ მათ ხელს არ უშლის საქმის წარმოებაში.

მოქ. **ნინიძე** ბოდიშს იხდის და ამბობს, რომ სასამართლოს დარბაზში წესრიგი დაცულია, მაგრამ მის გარეთ კი არა. პრესაში დამცველებს სინიდისით მოვაჭრეებს ეძახიან, დანაშაულს წინასწარ კვალიფიკაციას უშვრებიან როგორც, მაგალითად, გაზეთ „კომუნისტში“. იგი მოითხოვს სასამართლომ მიიღოს ზომები ამ მდგომარეობის წინააღმდეგ, უდგენს სასამართლოს წერილობით განცხადებას.

მოქ. კირილე ნინიძის საპასუხოდ სიტყვას ამბობს ამხ. **ერქომაიშვილი,** რომელიც აცხადებს, რომ დამცველნი სცდილობენ პროცესი სააგიტაციო მასალათ გამოიყენონ. მშრომელი მასა ღელავს, რადგან ვერ წარმოუდგენია, რომ საბჭოთა წყობილების დროს სამღვდე-

ლოებას იცავდეს ის, ვინც გუშინ მარქსიზმის სახელით მის წინააღმდეგ იბრძოდა. ეს გარემოება იწვევს დამცველთა წარმომადგენლის ნინიძის ნერვებაშლილობას.

**თაჯმჯავა:** დამცველთა გამოსვლა იმ ობსტრუქციის გაგრძელებაა, რომელიც მათ პირველ დღესვე დაიწყეს, როდესაც მოითხოვდენ გასამართლების გადადებას. მათ სურთ პროცესის ჩაფუშვა, რის ნებასაც ჩვენ მათ ვერ მივსცემთ.

სასამართლოს სხდომა სწყდება რამდენიმე წუთით.

### სხდომის განახლება.

თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს დადგენილებას, რომლის მიხედვით დამცველთა განცხადება შეტანილი იქნება ოქმებში.

### ბრალდებულ ლაზარიშვილის ჩვენება.

ბრალდებული ლაზარიშვილი აცხადებს, რომ მემორანდუმზე არაფერი არ იცის, რომ მას მისი პოლიტიკური შეფასება არ შეუძლია. კათალიკოს ლეონიდესაგან მას ნაბრძანები ჰქონდა ჩაებარებია ნივთები არქ. ჯაფარიძისთვის ქუთაისში. წასაღებად, რაც მის მიერ შესრულებულ იქნა. რა ბედი ეწია შემდეგ განძეულობას, მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. კითხვაზე-ეტყოდა თუ არა მთავრობას, რომ სცოდნოდა განძეულობის გადამალვა, ბრალდებული უპასუხებს, რომ არ იცის, როგორ მოიქცეოდა.

### ბრალდებულ ტყემალაძის ჩვენება.

მე დავესწარი ყუთებში განძეულობის ჩალაგებას, თუმცა მე სამჯერ განვაცხადე უარი ნივთების გაგზავნაზე; განძეულობა გვქონდა შენახული სალაროში, ერთი ყუთი გასაღების ალმოუჩენლობის გამო გავსტეხეთ. როგორც საკათალიკოსო საბჭოს წევრი, დავესწარი საკათალიკოსო საბჭოს სხდომას სობოროს საუწყებათაშორისო კომისიისთვის გადაცემის შესახებ, ჩვენ ვერ გავიგეთ რას ნიშნავდა ჩაბარება, ან ვისთვის უნდა ჩაგვებარებია. გადავსწყვიტეთ სხდომაზე, რომ ჩვენი ხელით ვერ დავანგრევდით ეკლესიას. თუმცა მთავრობის წინააღმდეგობის გაწევის სურვილი არ გვქონდა.

საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე, რომელზედაც კათალიკოს ამბროსის გაგზავნილ მემორანდუმის შესახებ მოხსენება უნდა გაეკეთებია, მე გამოვაცხადე, ქვორუმის უყოლობას გამო სხდომა არ შესდგა. წევრების მოსვლის მოლოდინში ამბროსიმ მითხრა, რომ გაგზავნა მემორანდუმი, რომელიც ჩასული უნდა იყოსო. იმ სხდომაზე რა კითხვები იყო გასარჩევი ან ჰქონდა თუ არა მემორანდუმის შესახებ მოხსენება ამბროსის,—ჩვენთვის არ უცნობებიათ. სხდომაზე მოსულ მესამე წევრის გვარი არ „ახსოვს".

**ბრალმდებელი:** სერიოზულად სთვლიდით თქვენ ამბროსის ნაბიჯს თუ არა?

**პასუხი:** მე ვთვლიდი მემორანდუმის გაგზავნას პატრიოტულ საქმედ. მემორანდუმის გაგზავნის უფლება კათ. ამბროსის ჰქონდა, როგორც მღვდელმთავარს და არა, როგორც საბჭოს თავმჯდომარეს.

**კითხვა:** თქვენ თანაგრძნობით შეხედეთ მემორანდუმს და სიმართლეთ მიგაჩნიათ თუ არა მემორანდუმში აღნიშნული ცნობები?

**პასუხი:** მე ვერ ვიტყვი მაგაზე ვერაფერს, რადგან პოლიტიკურად მომზადებული არა ვარ.

**ბრალმდებელი:** თქვენ წინასწარ გამოძიების დროს განაცხადეთ, რომ მემორანდუმს ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა.

**ბრალდებული:** მე ეს არ გამიცხადებია.

**თავმჯდომარე:** ბრალმდებელის თხოვნით კითხულობს წინასწარი გამოძიების ოქმს, სადაც ტყემალაძეს მიერ ნათქვამი შემდეგნაირად არის აღნიშნული: მე მემორანდუმს ვაძლევ პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამნაირი მემორანდუმის დაწერის უფლება ქართველი ერის სახელით ამბროსის არ ჰქონდა.

**თავმჯდომარე:** თქვენ მიერ ნათქვამში, რომელი მიგაჩნიათ სწორედ, ის, რაც დღეს სთქვით, თუ რაც წინასწარ გამოძიების დროს განაცხადეთ?

**ბრალდებული:** ახლა რომ ვამბობ, ის უფრო მართალია, მგონია: სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ საკათოლიკოსო საბჭოს სხდომის რეზოლიუციის რედაქცია ბრალდებულს არ მიაჩნია სწორად, რადგან იქ სავსებით გამოხატული არ არის საბჭოს წევრთა აზრი, რომელიც თითქოს არ ეწინააღმდეგებოდა მთავრობის დადგენილებას.

### ბრალდებული მირიანაშვილის ჩვენება.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, ბრალდებული აცხადებს, რომ მემორანდუმზე მისთვის არავის არაფერი უთქვამს.

**ბრალმდებელი:** აძლევს შეკითხვას, თუ რათ ინახებოდა ეკლესიის განჯინაში 30 გირვანქა განძეულობა.

**პასუხი:** ნივთები იყო შემოწირული ტაძრის ასაგებად.

**კითხვა:** რა დროს ტაძრის აგება იყო, როცა ხალხს შიოდა, პური ესაჭიროებოდა?

**პასუხი:** ხალხისთვის სულიერი საზრდოც საჭიროა. მე შემომწირველთა სურვილის წინააღმდეგ სხვა დანიშნულებას ვერ მოვახმარდი შემოწირულ ნივთებს.

**კითხვა:** მემორანდუმმა მოუტანა თუ არა სარგებლობა სამღვდელოებას?

**პასუხი:** ამის შესახებ არ შემიძლია რაიმე გადაჭრით ვსთქვა.

**კითხვა:** როგორ ჰფიქრობთ,—მემორანდუმის გაგზავნა უფრო დიდი საკითხია, თუ ცნობა მემორანდუმის გაგზავნის შესახებ.

**პასუხი:** არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი:

### ბრალდებული კალისტრატე ცინცაძის ჩვენება.

ბრალდებული ცინცაძე აცხადებს, რომ იმ სხდომას, რომელზედაც ამბროსიმ რამოდენიმე პირს გააცნო მემორანდუმის შინაარსი, არ დასწრებია.

ბრალდებულის შეკითხვაზე—რა ხასიათი ჰქონდა მემორანდუმს, ბრალდებული არ უპასუხებს.

**კითხვა:** რა აზრის არის სამღვდელოება საერთოდ მემორანდუმზე.

**პასუხი:** მათ შორის ასეთი კითხვა არ წამოჭრილა, პირადათ ვფიქრობ, რომ მემორანდუმი რელიგიურ მიზანს ისახავს. სარგებლობა მოუტანა თუ არა მემორანდუმმა სამღვდელოებას, ამის თქმა ჩემთვის ძნელია.

**კითხვა:** ეკლესიის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტის ცხოვრებაში გატარება დააკმაყოფილებს თუ არა სამღვდელოებას.

**პასუხი:** აკმაყოფილებს სავსებით.

**კითხვა:** მაშ, რა საჭირო იყო რელიგიოზური მიზნით მემორანდუმით მიმართვა ევროპისადმი?

**პასუხი:** ამაზე ვერ გაგცემთ პასუხს.

### ბრალდებულ თოთიბაძის ჩვენება.

(სამხედრო ტაძრის ყოფილი წინამძღვარი)

მემორანდუმის შესახებ თურმე მასაც მხოლოდ პრესაში წაუკითხავს; განძეულობის წაღების შესახებ „არა იცოდა-რა"; ამბობს, რომ წინააღმდეგობის გაწევა მთავრობისთვის არც მას, არც მის ამხანაგებს „არ ნდომიათ". ეკლესიის კომკავშირისთვის გადაცემის განკარგულებას ემორჩილებოდენ, მაგრამ ეკლესიის დანგრევაში მონაწილეობას ვერ მიიღებდენ. დაკითხვიდან ირკვევა, რომ ამას მათგან არც არავინ მოითხოვდა. კომისიას, სადაც მათ „წარმომადგენლის წარგზავნაზე" უარი განაცხადეს, მხოლოდ ნივთების აწერა უნდოდა; ლომი და ჩაქუჩი ეკლესიის დასანგრევად კომისიას არ ჰქონია, მაგრამ მათ მაინც შეუძლებლად დაინახეს კომისიაში მუშაობა.

ეკლესიის ყველა ნივთები სათანადოთ ჩაწერილი წიგნებში არ ყოფილა.

## მ უ შ ე ბ ი ს ხ მ ა.

18 მარტს საღამოს სხდომის გახსნის წინ აუარებელი ხალხი იყრის თავს ქუჩებში. უმთავრესად მუშები. ხალხში მოსჩანს სურათები ნინიძის და ბარათაშვილის, რომელთაც ზიზღს უცხადებს მთელი მასა. სხდომის დროს დარბაზში შემოდის დელეგაცია რკინის გზის მთავარ სახელოსნოს და სავაგონო პარკის მუშების, რომელთა წარმომადგენლები: აზრუმელაშვილი, ხებრიელაშვილი, ვარლამოვი და უმბრიევი მოითხოვენ დასჯილი იქნან სასტიკად ბრალდებულნი საქართველოში იმპერიალისტური ჯარების მომწვევნი, სისხლის ღვრის მქადაგებელნი, ამასთანავე ერთად ზიზღს უცხადებენ ნინიძეს და მის კამპანიას და მოითხოვენ მათ საბრალმდებლო სკამზე დასმას.

## 18 მარტის სხდომა.

(მესამე დღე)

### ს ხ დ ო მ ი ს წ ი ნ.

პროცესისადმი ინტერესი სხდომის წინ დღითი დღე იზრდება. სასამართლო დარბაზის ეზოში შესავალ კარებში წინადღეებზე კიდევ უფრო მეტი აუარებელი ხალხი იყრის თავს, რომელთა შეკავება ძალლიან უჭირს მცველ რაზმს. მოსჩანს სურათები ნინიძის და ბარათაშვილის, რომელთა სახით სამღვდელოების შავბნელ საქმეთა დამცველთა კორპორაციას ტფილისის მშრომელი მასა, განსაკუთრებით რკინის გზის სახელოსნოების დეპოს და სავაგონო პარკის მუშები, ზიზღს უცხადებენ.

### სხდომის გახსნა.

იწყება დაკითხვა ბრალდებულ ნ. თავდგირიძის (საკათალიკოსო საბჭოს წევრია) მემო-

რანდუმის შესახებ თურმე მასაც მხოლოთ გაზეთ „კომუნისტი“-დან გაუგია. მემორანდუმის შედგენაში მისი აზრით ალბათ საკათალიკოსო საბჭოს ყოფილ მდივანს რ. ინგილოჩ (ივანიცკი) მიუღია მონაწილეობა. წაკითხულ ოქმებიდან აღმოჩნდა რომ წინასწარ გამოთიებაზე ბრალდებულს განუცხადებია, რომ მისი აზრით მემორანდუმის შედგენაში გულმოდგინე მონაწილეობა უნდა მიეღოთ რ. ივანიცკის და მღვდელ კაპანაძეს, რომელიც ამ ჟამად საზღვარგარეთ იმყოფება, შეკითხვაზე, Ou რატომ არის წინააღმდეგობა მის პირველ ჩვენებაში და დღევანდელში, ის აცხადებს, რომ ს აიხსენბა იმ მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფებოდა თავის დატუსაღების დროს. ბრალდებული სცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ ვითომ ეს პირობები საშინელი იყო.

ბრალმდებელ ოკუჯავას მოთხოვნით, ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს ამ პირობების შესახებ. ირკვევა, რომ არავითარ საშინელ და განსაკუთრებულ პირობებს მისი დაკითხვის და პატიმრობის დროს ადგილი არ ჰქონია.

შეკითხვაზე—სხვა ეპარქიების ეპისკოპოსები ეთანხმებოდენ თუ არა მემორანდუმს,—ბრალდებული ამბობ, რომ „წინააღმდეგი არ ყოფილან“.

სამღვდელეობის დამოკიდებულობის შესახებ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასთან, რომლის წევრათ ითვლებოდა თავდგირიძე, ის აცხადებს, რომ რაიმე დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონია, რადგანაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაშლილათ იქნა გამოცხადებული ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებშივე.

---

## მუშათა დელეგაციის შემოსვლა სასამართლოს დარბაზში.

თავდგირიძის დაკითხვის დაკითხვის დროს კომენდანტი მოახსენებს სასამართლოს, რომ დარბაზში შემოსვლას აპირებს ქუჩაში მყოფ მუშათა დელეგაცია. თავდგირიძის დაკითხვის დასრულების შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ჩხეიძე ნებას აძლევს დელეგაციას შემოვიდეს დარბაზში.

**სიტყვა 4000 მუშის სახელით.**

ერთი დელეგატთაგანი, ამხ. **აზრუმელიშვილი** აცხადებს, რომ დელეგაცია არჩეულია რკინისგზის მთავარ სახელოსნოს და სავაგონო პარკის მუშებისაგან, მოითხოვს მიეცეს მათ წარმომადგენლებს განცხადებისათვის სიტყვა.

**ამხ. ხებრელაშვილის სიტყვა.**

პირველ სიტყვას ამბობს ამხ. **ხებრელაშვილი**, რომელიც აცხადებს, რომ ისინი არიან 4,000 მუშების წარმომადგენლები. მოითხოვს ამ მუშების სახელით, რომ სასტიკად დასჯილ იქნას საბრალმდებლო სკამზე მჯდომი სამღვდელოება, რომელიც ხალხის ქონებას ფლანგავდა და საქართველოში იმპერიალისტურ ჯარებს იწვევდა. მათი დამცველი ცრუსოციალისტებიც გასამართლებული უნდა იქნან კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის. გამოფხიზლებული მუშათა კლასი მოითხოვს ამას და მუშათა წრიდან გამოსული სასამართლო. იმედი გვაქვს, ანგარიშს გაუწევს ჩვენ მოთხოვნილებას; ამხანაგო მოსამართლენო! გთხოვთ გახვიდეთ დარბაზიდან და პირადათ მისცეთ პასუხი მუშებს, რომ დამნაშავენი სასტიკათ იქნებიან დასჯილნი.

**ამხ. ვარლამოვის სიტყვა.**

სავაგონო პარკის მუშების წარმომადგენელი ამხ. ვარლამოვი იგონებს სამღვდელოების დამოკიდებულებას საერთაშორისო ომისადმი, როდესაც ისინი ლოცვა-კურთხევას უგზავნიდენ ომის ინიციატორებს, საბჭოთა ხელისუფლებას კი მათ ბრძოლა გამოუცხადეს, იმპერიალისტების ჯარების საშუალებით ომის ასპარეზად უნდოდათ გაეხადათ საქართველო. მოითხოვს მათ სასტიკ დასჯას.

**ამხ. უმბრიევის სიტყვა.**

**ამხ. გუმბრიევი.** ძველი მუშა, ყოფილი მენშევიკი, იგონებს 1905 წლის 9 იანვარს, მღვდელ გაპონს, რომელმაც დალუპა რამოდენიმე ათასი მუშა. მიმართავს ბრალდებულთ და მათ დამცველებს და ამბობს, რომ მათაც ბევრი ხალხი დალუპეს.

ზიზღი ნინიძეს და ყველა მათ დამცველებს!

ნინიძე ოდესღაც სოციალიზმს ქადაგებდა და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოგვიწოდებდა, ეხლა კი შავბნელი სამღვდელოების და კონტრ-რევოლიუციის დამცველათ გამხდარა. თუ თქვენ, მოსამართლენო, არ დასჯით ბრალდებულებს და მათ დამცველებს, ჩვენ თითონ მუშები დავსჯით მათ.

**ამხ. ოქუაშვილის სიტყვა.**

მე ვეკითხები „სოციალისტს“, როგორ გაბედა და იკისრა მან სამღვდელოების დაცვა? ისიც მოითხოვს დასჯილ იქნან როგორც ბრალდებულნი, ისე მათი დამცველნი.

**ამხ. ლალიაშვილის სიტყვა.**

ნინიძემ სოციალისტათ გამზარდა, თვითონ კი ხულიგნათ გამხდარა, დამცველები არა ნაკლები დამნაშავენი არიან, ვიდრე საბრალმდებლო სკამზე მჯდომი სამღვდელოება. ისიც მოითხოვს მათ სასტიკ დასჯას.

**ამხ. აზრუმელაშვილის სიტყვა.**

აზრუმელაშვილის აზრით სამღვდელოებამ არ იკმარა ის დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა წინეთ და ეხლაც საბჭოთა ხელისუფლების დროს კიდევ უფრო მეტს დანაშაულს სჩადის, როდესაც მემორანდუმით მოითხოვს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტების საბჭოთა საქართველოს საქმეებში ჩარევას, სისხლის ღვრას, ჩვენი ქვეყნის ომის ასპარეზად გადაქცევას.

ჩვენ ბარბაროსებს გვეძახიან, მაგრამ ჩვენ თუმცა შეგვეძლო სხვა გზითაც გავსწორებოდით ბრალდებულთ, მაგრამ ჩვენ ეს სასამართლოს მივანდვეთ, რომელიც ჩვენ ნდობას გაამართლებს და ბრალდებულთ ისე მოექცევა, როგორც ამას მოითხოვს მუშათა კლასის ინტერესები.

მოკლე სიტყვას ამბობს აგრეთვე ამხ. ხარტიშვილი და სხვები.

**ამხ. გ. ჩხეიძის სიტყვა.**

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ჩხეიძე უპასუხებს დელეგაციას. ამბობს, რომ დამცველები დაშვებული არიან პროცესში საქმის გამოსარკვევათ. უზენაესი სასამართლო თქვენი უფლების დამცველია, თქვენ მას ენდვეთ, დამნაშავეებისადმი სასამართლო ულმობელი იქნება და იმავე დროს სამართლიანი. გადაეცი ეს გარეთ თავმოყრილ მუშებს.

**მუშათა დემონსტრაცია ქუჩაში.**

ამის შემდეგ სასამართლო სხდომას სწყვეტს და გამოდის გარეთ, ქუჩაში თავმოყრილ ხალხთან. ხალხში მოსჩანს პლაკატები: „ძირს ამბროსი“, „ძირს უწმინდესი კონტრ-რევოლიუცია“, „ძირს კონტრ-რევოლიუციონური სამღვდელოების დამცველები, ნინიძე, ბარათაშვილი და სხვები“.

სასამართლოს გამოსვლის დროს ქუჩაში სიწყნარე ჩამოვარდა. ამხ. ჩხეიძე მიმართავს დემონსტრატებს და ამბობს, რომ უზენაესი სასამართლო არკვევს საქმეს, ყველა დამნაშავე სათანადო სასჯელს მიიღებს. ასეთივე შინაარსის სიტყვებით მიმართავენ დემონსტრატებს სასამართლოს წევრნი ამხ. გ. როველაძე და ვ. წივწივაძე.

## სხდომის განახლება.

იწყება ბრალდებულ **არჯევანიძის** დაკითხვა, რომელიც საკათალიკოსო საბჭოს წევრათ იყო არჩეული საეკლესიო კრებაზე გელათში 1921 წ., თუმცა იქ ბრალდებული არ დასწრებია ხსენებულ კრებას: ის ყოფილი პირადი ადიუტანტია მეფის მთავრობის გენერლების. მემორანდუმის შესახებ, აგრეთვე განძეულობათა გადამალვის შესახებ ის აცხადებს, რომ არაფერი იცოდა.

სამხედრო ტაძრის კომკავშირისათვის გადაცემაზე მისი სიტყვით მას უარი არ უთქვამს, თუმცა მონაწილეობას იღებდა საკათალიკოსო საბჭოს იმ სხდომაზე, რომელმაც გამოიტანა რეზოლიუცია მთავრობის კომისიაში მათი წარმომადგენელთა „წარგზავნაზე“ უარის თქმის შესახებ.

**მოწმე მღ. ნიკიტა თალაკვაძის ჩვენება**

მოწმე დეკანოზი თალაკვაძე სასამართლოს წინაშე წარსდგა, როგორც საუკეთესო დამცველი თავის მოძმეთა. „ძმა-ძმისთვისო,—შავი დღისათვისო“ ითქმის დეკ. ნიკიტა თალაკვაძის ჩვენებაზე. იგი დიდის რიხით და პათოსით ახასიათებს ყველა ბრალდებულს ამბროსიდან დაწყებული მღვდელ მირიანიშვილამდე. ამბროსის მიერ გადადგმულ ნაბიჯის პოლიტიკურ ხასიათს ის მაინც ვერ უარყოფს, კათალიკოსმა ლეონიდეს გაუგზავნა ვრცელი ეპისტოლე რუსეთის პატრიარქ ტიხონისათვის, ვიდრე ამ წერილს გააგზავნიდა, კათალიკოსმა ლეონიდემ ეს წერილი თურმე წაუკითხა საკათალიკოსო საბჭოს, რომელმაც მის განხილვაში მონაწილეობა მიიღო და საბჭოს წევრებმაც ხელი მოაწერეს მასზე.

**ბრალდებული:** თქვენ ამბობთ, რომ საკათალიკოსო საბჭომ კათალიკოს ლეონიდის წერილი პატრიარქ ტიხონისამდი განიხილა და ხელი მოაწერა.

**მოწმე თალაქვაძე:** უკაცრავად, წამომცდა (ატყობს, რომ დაიჭირეს სიცრუეში); ეს იყო „Lapsus linguae“ (საერთო სიცილი) საბჭოს არ განუხილავს, მხოლოდ ცნობად მიიღო.

**მოწმე მოქ. პლატონ ცქიტიშვილის ჩვენება.**

მოქ. ცქიტიშვილი ჰყვება განძეულობის ქუთაისში ჩატანის ისტორიას.

მე ვიყავ მოწმე იმისი, რომ ქუთაისის საკრებულო ტაძრიდან—ნივთები საარქიელო შენობაში წაიღეს—შემდეგ რა დაემართა ნივთებს, არ ვიცოდი.

შარშან, როცა ქუთაისის პოლიტ-ბიურომ დამიჭირა,—დარწმუნებით მითხრეს, რომ იციან, სად არის დამალული განძეულობა, მე არ ვიცოდი—სად იყო განძეულობა და ვერ ვიტყოდი. მე არქიმანდრიტ პავლესთან ერთად მომათავსეს. იგი ძალიან შეშინებული იყო. აპირებდა გაემჟღავნებია ცნობები განძეულობათა შესახებ. მე ურჩიე მას თუ რამე იცოდა მას ეცნობებია ხელისუფლებისათვის, რადგან დარწმუნებული ვიყავ, რომ პოლიტ-ბიურომ განძეულობის შესახებ ყველაფერი იცოდა, შემდეგ მოწმეს ეკითხებიან, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს სამღვდლო პირთა შორის.

**პასუხი:** ძალიან გახშირებულია პირად ნიადაგზე მტრობა, კინკლაობა და შურიანობა.

**მოწმე დავით კაჭახიძის (ეპისკ.) ჩვენება.**

მოწამეს დავალებული ჰქონდა განძეულობის ქუთაისში წაღება, მაგრამ ამის შესრულება ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო.

მემორანდუმის გაგზავნის შესახებ არაფერი იცის, რადგანაც ის ფოთში მსახურობდა. მემორანდუმის პოლიტიკურ ხასიათს ვერც ის უარყოფს.

მემორანდუმი საზარალო გამოდგა სამღვდელოებისათვის, რადგანაც ამან გაამწვავა საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება სამღვდელოებისადმი.

**მოწმე დავითაშვილის ჩვენება.**

საეპარქიო კანცელარიის მდივანი იყო, და თუ დაუჯერებთ, მაინც არაფერი იცოდა მემორანდუმის შესახებ, დეკ. თალაქვაძისებურათ ისიც სცდილობს უშველოს გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეებს. ბრალმდებელთა შეკითხვაზე ამბობს, რომ კირიონის მკვლელობის შესახებ ხმები იყო გავრცელებულიო, ნამდვილი კი არაფერი იცის.

დავით კვაჭახიძის ხელმეორედ დაკითხვის შემდეგ სასამართლო სხდომა გადაიდო მეორე დღის ხუთი საათისათვის.

## რუსთაველის თეატრში.

12 მარტს თებერვლის რევოლიუციის 7 წლის თავის აღსანიშნავათ, რევ. მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა საღამო. მოკლე სიტყვით გამოდის საზოგადოების წევრი ძველი კატორღე..ი ამხ. კ. მოდებაძე, რომელიც ახასიათებს საზოგადოების დაარსების მიზანს და მის საჭიროებას, აღნიშნავს იგი თუ რამდენი ათეულ სული რევოლიუციონერი იტანჯებიან დასავ. ევროპის სახელმწიფოთა ციხეებში, აღნიშნა ისიც, თუ „როცა პირისპირ დაუდგება ორი მოსისხლე მტერი პროლეტარიატი და ბურჟუაზია, საჭირო იქნება მაშინ დახმარება ყოველგვარი და ამისთვის უნდა ვიყოთ მზათ ამხ. მოდებაძეს სიტყვას საზოგადოება ოვაციებით შეხვდა. შემდეგ იმავე საზოგადოების წევრის ძველი კატორღელის ამხ. არჩ. რუხაძის წინადადებით საზ. ფეხზე ადგომით პატივს სცემს რევოლიუციისათვის მებრძოლ დაღუპულ გმირების ხსოვნას. შემდეგ იწყება წარმოდგენა პიესა ლ. ანდრეევის „О семи повешенных“, რომელმაც მაყურებელნი ცხარე ცრემლით ატირა. ამის შემდეგ იხდება ფარდა და სცენაზე მოსჩანან ძველი კატორღელები (კატორღელთა ტანისამოსებში) რომელთაც ხელ-ფეხზე ბორკილები ადევთ, მაგრამ შემდეგი ფარდა იხდება, და იგივე კატორღელები იხდიან ძველ ტანისამოს, (კატორღელისა) ბორკილებს ამსხვრევენ, სცენის ბოლოში მოსჩანან გლეხი, მუშა და წითელ არმიელი, რომელთაც მტკიცეთ უჭირავთ წითელი დროშა. შორიდან ისმის ინტერნაციონალის ხმა, რომელიც წინასცენებით აღელვებული საზოგადოებას აიმედებს. ბოლო განყოფილებაში იმართება ვრცელი საკონცერტო განყოფილება. საზოგადოება კმაყოფილი იშლება. კარგი იქნებოდა ამ საზოგადოების თაოსნობით ამასთანავე შინაარსი საღამოები გამართულიყო გარე უბნების თეატრებში, სადაც მშრომელთა მასას ექნება საშუალება დაინახოს თუ როგორი ბრძოლები გადაიტანეს მათმა გმირებმა, დღევანდლამდის მისაღწევად. ნაძალადევის თეატრშიც საჭიროა ამისთანა საღამოს გამართვა.

**ინ-შან.**

# მუშათა წერილები

## პარიზის კომუნა 1871 წ.

საფრანგეთის დედა ქალაქში, რომელიც მხოლოთ რეაქციის მთავარ ბანაკს წარმოადგენს, ოცდა ცხრამეტი წლის წინათ მოხდა გრანდიოზული მნიშვნელობის ამბავი. პარიზის მშრომელმა მასამ მოინდომა ძალა-უფლების აღება, ექსპლოატატორთა დამხობა, მშრომელთა სახელმწიფოს დაარსება. მან ჩაიგდო ხელში ძალა უფლება, სამოცდა თორმეტი დღე ეჭირა ხელში, დადგა სახელმწიფოს სათავეში და ამ ხნის განმავლობაში ეწეოდა გაათკეცებულ მუშაობას და სასტიკ ბრძოლას მის შესანარჩუნებლათ, მოზღვავებულ მტრებისაგან თავის დაცვას. პარიზი გარშემორტყმული იყო გერმანიის ურდოებით. ძველი მთავრობა, რომელიც გახიზნული იყო ვერსალში უცხო ჯარების დახმარებით, ყოველივე საშუალებით ცდილობდა დაემხო მუშათა მთავრობა, ის არ ერიდებოდა გინდ უცხო ჯარს დაეპყრო თავის სამშობლო, ოღონდ კი დაემარცხებინა მუშათა მთავრობა. ერისა და ხალხის მოღალატე ბურჟუაზიამ ვერსალის თეთრ გვარდიელების დახმარებით დაამარცხა მუშათა მთავრობა და დახოცეს 35000 ათასი მუშა საუკეთესო კომუნარები. თეთრ გვარდიელების სიმხეცემ იმ ზომამდი მიაღწია, რომ საშინლად, შეუბრალებლად და გაუსამართლებლად ხვრეტდნენ ასობით და ათასობით მუშებს. ვაი მათ, ვისაც ხელზე მაზოლი ექნებოდა, ან ცოტა მუშურათ ეცვა, გამოიყვანდნენ და ხვრეტდნენ. ასეთი საშინელი შური იძია საფრანგეთის ბურჟუაზიამ, მერე რისთვის? იმისთვის, რომ მუშებმა მოინდომეს თავიანთ საქმის მოგვარება და ძალა-უფლების ხელში აღება და ბურჟუაზიის ჩამოშორება. პარიზის კომუნის დამარცხების მიზეზი ის იყო, რომ პარიზის კომუნარებმა ვერ დაიჭირეს კავშირი დანარჩენ საფრანგეთის ქალაქებთან და ვერ გააბეს კავშირი გლეხებთან, და აი სწორეთ ამან გამოიწვია პარიზის კომუნის დამარცხება, ამასთან ერთად აჯანყება იყო სტიქიური, აჯანყებულებს არ ჰქონდათ ნამდვილი პროლეტარული ხაზი, აი ამან გამოიწვია პარიზის კომუნის, დამარცხება. რუსეთის კომუნა ეს გაგრძელებაა პარიზის კომუნის, მხოლოთ უფრო შეგნებულათ, ჩამოყალიბებული მუშათა კლასი და გლეხ-კაცობა უფრო შეგნებულია, თავისი კლასიური ინტერესები გარკვეულათ ესმის. რუსეთის შეგნებულმა დარაზმამ უკვე ნაყოფი გამოიღო მთელ ევროპის მუშათა კლასში, ამას მოწმობს ის საბუთები, რომ კაპიტალისტების ქვეყნებში იტანჯებიან ასი ათასი მუშა გლეხი ციხეში კომუნისტური იდეების გავრცელების გულისათვის და შორს არ არის ის დრო, როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატი მოიხსნის მონობის ბორკილებს და დაამხობს კაპიტალისტების მუქთა ხროვებს და დაამყარებს ძმობა ერთობა და სიყვარულს. პარიზის კომუნა—ეს ცდა იყო კაპიტალისტების წინაალმდეგ, მან ბევრი რამ გვასწავლა თავისი შეცდომებით, ჩვენ ერთი მთავარი ამოცანა უნდა გვახსოვდეს. შეუბრალებელი ბრძოლა კაპიტალისტების წინაალმდეგ. მჭიდროთ დარაზმვა მუშისა და გლეხისა. მაშ გაუმარჯოს პარიზის კომუნარებს, დიდება მათ სახელს, ვინც დაიღუპა პარიზის ბარიკატებზე. გაუმარჯოს რუსეთის კომუნას.

**მუშა ნაბია.**

## ახალი გზით

8 მარტს, ამ ქალთა დიად დღეს, კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის კეცხოველის და ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში შეიკრიბა 200 მუშა ქალი. მიტინგს შემოუერთდა ბევრი ხალხი. დარბაზში ტევა აღარ იყო, მიტინგს 700 კავშირის წევრი დაესწრო. მიტინგს ხსნის კავშირის კულტურული განყოფილების მდივანი. სიტყვას ამბობს და ესალმება მიტინგს ქალთა ორგანიზაციების ორგანიზატორი ამხ. ვ. გაბრილეკოვისა (უპარტიო) ის ეხება ქალთა დღის მნიშვნელობას და ამბობს ჩვენ თავისუფალი ქალები აქ დღეს ფიცსა ვდებთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდი ვიბრძოლებთ კომუნიზმის გზით, სანამ არ დავამყარებთ სოციალიზმსო, რომელიც ათავებს შემდეგი სიტყვებით:

გაუმარჯოს თავისუფალ მშრომელ ქალებს!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს მე-III კომინტერნს, რომელიც ჩვენ გაგვიძღვება წინ! ტაში, მუსიკა.

შემდეგ სიტყვას ამბობს აბრამოვის ქალი, რომელიც ამბობს: ჩვენ ამ დაკოჟრილი ხელებით და დაუღალავი შრომით შევებრძოლებით

მუშათა კლასის მტრებს, კომუნისტებთან ერთად საუკუნოთ მოესპობთ მათო, ამბობს ის. ლენინმა გაგვანთავისუფლა ჩვენ მშრომელი ქალები და მის დაპირებებს პირნათლად შევასრულებთ. და ათავებს თავის სიტყვას შემდეგი სიტყვებით: გაუმარჯოს საერთაშორისო ქალთა მოძრაობას! გაუმარჯოს ჩვენ მეთაურს ამხ. ლენინის პირმშო შვილს მე-3 კომინტერნს. ტაში და მუსიკა.

შემდეგ სიტყვას ამბობს კულტ-განყოფილების გამგე ამხ. გრუკოვი, რომელიც პირდება მათ ყოველივე დახმარებას კულტურულ ფრონტზე. მოუწოდებს მათ, რომ სწავლა-განვითარებას მიაქციონ დიდი ყურადღება, ვინაიდან ეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო იარაღიაო. გაუმარჯოს თქვენს მეთაურს მე-3 კომინტერნს! ტაში. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

თავმჯდომარე აცხადებს: აქ დღეს მოიყვანეს კომუნისტურად მოსანათლად ხუთმა მუშა ქალებმა მათი შვილები და ითხოვენ, რომ მონათლოთ და გამოუნახოთ შესაფერისი სახელები. ისინი ფიცსა სდებენ, რომ თავიანთი შვილებს აღზრდიან კომუნისტურად. შეფობას ღებულობს კომუნალური მეურნეობის კავშირი და აძლევს მათ დღესვე კავშირის წიგნაკებს. დღეიდან ეს ხუთი ბავშვი იქნება ჩვენი კავშირის წევრები. ურიგებს მათ პროფკავშირის წიგნაკებს. სცენაზე გამოდის ოთხი წლის ვაჟი. დედა ამბობს: მე დღემდის ეს ბავშვი არ მომინათლავს იმიტომ, რომ არ მინდოდა ის მატყუარა ღვდლების ხელით მონათლულიყო და თან ფულებიც არ მქონდა ღვდლისთვის მიმეცაო. შემოდის წინადადება დაერქვას სახელად ლევანი—ტროცკის სახელი. მიტინგი წინადადებას ერთხმათ იღებს. განუწყვეტელი ტაში და უკრავს მუსიკა. იცინის პატარა კომუნისტი. ის ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ადის თავმჯდომარის წინ მაგიდაზე და იძახის: „Да здравствует Советскй власть"! გაუზომელი სიხარული, ტაში და მუსიკა.

გამოყავს მეორე დედას 6 თვის ვაჟი. შემოდის წინადადება დაერქვას სახელათ „მარტეენი, რომელიც გამოხატავს 8 მარტს—ქალთა დღეს. შემოდის მეორე წინადადება დაერქვას, „საშიკო" ხმის უმეტესობით მიიღო მიტინგმა —მარტეენი. გამოდის მესამე ქალი და მოითხოვს მოუძებნონ მის ვაჟს რევოლიუციონური სახელი. შემოდის წინადადება დაერქვას „ლენინმარ", რომელიც გამოხატავს ლენინს და მარქსს, კომუნისტური რევოლიუციის ბელადებს. მიტინგი ერთხმად იღებს.

გამოყავს მეოთხე ქალს თავისი ვაჟი. შემოდის წინდადება დაერქვას „მორატ" საფრანგეთის კომუნისტ რევოლიუციონერის სახელი. მიტინგი ერთხმად იღებს.

გამოყავს მეხუთე ქალს თავისი 4 თვის ქალი და ითხოვს ამ ქალს გამოუნახონ რევოლიუციონერი ქალის სახელი, რომელსაც აღვზრდი ისე, რომ არ შევარცხვინო ეს ბრწყინვალე სახელი. შემოდის წინადადება დაერქვას „როზა", როზა ლიუქსენბურგის სახელი. მიტინგი ერთხმად ღებულობს.

მიტინგის თავმჯდომარე უკითხავს „ნაკაზს"—დარიგებას მშობლებს, აძლევს მათ თითო ფურცელს.

ასე ჩატარდა 8 მარტი მუშა-ქალების დღესასწაული, ამ დღეს ჩვენ კავშირს მოემატა 5 ახალი წევრი, რომელნიც დაბადებიდანვე დაადგენ კომუნიზმის გზას. გაუმარჯოს მათ და იმ დედებს, რომლებმაც გადააბიჯეს ნაბიჯი წინ და ზურგი აქციეს მატყუარა ღვდლებს და ტერტერებს!

მიტინგი იხურება. რამოდენიმე ხნის შემდეგ ფარდა იხდება და სცენაზე თამაშობს 8 მარტის წარმოდგენას, სადაც ყველა ერის ქალები უარყოფენ ძველ ზნეჩვეულებას და დგებიან კომუნიზმის დროშის ქვეშ. წარმოდგენა თავდება ღამის 12 საათზე.

მუშკორი კ. თოფაძე.

## პირველი სტამბის მუშების პროტესტი.

შაბათს 15 მარტს პირველ სტამბაში მოხდა საერთო კრება. აქ ახლათ დაარსებულ სამკითხველოს გახსნა ამხანაგ მიხნევიჩმა მოგვილოცა, ეს პირველი მაგალითია ჩვენ დარგში სამკითხველოს გახსნა და უსურვა ამ საქმეში წარმატება. შემდეგ ილაპარაკა ამხანაგმა ნუცუბიძემ, დაახასიათა წინანდელი დრო, რანაირ სიბნელეში გვაყენებდნენ, როგორც მღვდლები, აგრეთვე ყველა მათი დამქაშები დაახასიათა სწავლა განათლების მნიშვნელობა. ამხანაგ ა—ძის წინადადებით მიმდინარე საკითხში დასმული იყო კათალიკოსი ამბროსი და მისი საბჭოს შესახებ. მოკლეთ შეეხო კათალიკოსის მოქმედებას, როგორ გაყიდვას აპირებდა მუშებისა გენუას კომფერენციაზე და იწვევდა უცხო ძალებს მუშების ჩასახრჩობათ, საეკლესიო ქონების გადამალვა ქურდობის მიზნით და სხვა მრავალი, მოითხოვდა მათი სასტიკ დასჯას, იმ დამცველებს კი ვითომდა „სოციალისტებს" გამოეცხადოს ზიზლი. ილაპარაკა ამხანაგ ცინცაძემ და სხვებმა, შემდეგ წამოყენებული იყო წინადადება: „ჩვენ პირველი სტამბის მუშები მოვითხოვთ სასამართლოსაგან სასტიკათ გასამართლებული იქნან, როგორც კათოლიკოსი, ისე მისი შავრაზმული საბჭო, რაც შეეხება დამცველებს, ვითომდა „სოციალისტებს" ყოფილი მენშევიკ კირილე ნინიძეს და თავად ბარათაშვილს, ზიზლი მათ".

პირველი სტამბის მუშა.

## რატომ არ ასრულებთ მთავრობის განკარგულებას?

მზრუნველთა კავშირის საყურადღებოთ.

1923 წელს ნოემბერს ჩვენ კავშირს ჰქონდა III კონფერენცია, რის შემდეგაც გამოსცა კონფერენციის მსვლელობის ანგარიში რუსულ ენაზე, რომელიც ბევრისთვის გაუგებარი რჩება, რადგან უმრავლესობას შეადგენს ქართველნი, მზრუნველთა კავშირის წევრთა შემადგენლობაც ასეთია მარტო ქალ. თბილისში.

| | |
|---|---|
| ქართველები . . . | 546—45,2°/₀ |
| სომხები . . . | 307—25,4 „ |
| რუსები . . . . | 281—23,2 „ |
| სხვა ეროვნები. . . | 76— 6,2 „ |
| სულ. . . | 1210—100, „ |

რატომ არ ემორჩილებიან კომპარტიის XII ყრილობის დ ადგილობრივ ხელისუფლების განკარგულებებს, სადაც ნათქვამია, რომ საქმის წარმოება უნდა სრულდებოდეს სახელმწიფო ენაზე იქ, სადაც ქართველთა რიცხვი შეადგენენ უმეტესობას? მერე რათ დასჭირდათ მარტო რუსულათ და არ გამოსცეს ქართულათაც, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს? ამას გარდა აგრეთვე საჭიროა აუცილებლად ყოველივე საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა სწარმოებდეს ქართულ ენაზე. კავშირში, სადაც დღეს წარმოება რუსულათ არის, არ უნდა ჰქონდეს ადგილი მთავრობის განკარგულებების შეუსრულებლობას, ამას მოითხოვს თვით სახელმწიფოს ინტერესიც.

მუშა სიმონა.

# პოლიტიკური მიმოხილვა

## (კვირიდან-კვირამდე).

ეს ერთი ხანია, რაც დაიწყო საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის ხანა. ეს ხანა დღესაც გრძელდება. ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას მოჰყვა სხვა მსხვილი და წვრილი სახელმწიფოების მიერ ჩვენი ცნობა; დღემდე არის ცნობა: ინგლისის, იტალიის, საბერძნეთის, ნორვეგიის, პოლონეთის და სხვების მიერ. მათ რიცხვს უკანასკნელ კვირაში მიემატა შვეცია და ჩინეთი.

არის მეორე წყება სახელმწიფოების: საფრანგეთი, იაპონია და ამერიკა, აი ეს სახელმწიფონი ჯერ-ჯერობით არ მოტეხილან და არ უცვნიათ საბჭოთა კავშირი. არა თუ არ უცვნიათ, პირიქით, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ არც სხვებმა იცნონ. აი როგორ მოხდა ეს:

გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა მიიღო ცნობა, რომ ჩინეთის მთავრობასთან მოხდა შეთანხმება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის შორის დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების შესახებ.

ჩინეთის მთავრობამ და კარახანმა ხელი მოაწერეს წინასწარ შეთანხმებას. საბოლოო შეთანხმება რამდენიმე დღის შემდეგ იქნება ხელმოწერილი.

წინასწარ შეთანხმების ხელის მოწერის წინ, რომელი შეთანხმებაც ითვალისწინებს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის შორის ნორმალურ ურთიერთობის განახლებას, იმპერიალისტური სახელმწიფოები შეეცადენ ჩაეშალათ შეთანხმება. საფრანგეთის ელჩმა პეკინში გადასცა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა, რომელიც აფრთხილებს ჩინეთს იმ სერიოზულ შედეგების შესახებ, რომელიც მოყვება ყოველგვარ შეთანხმებას საბჭოთა კავშირისა და ჩინეთს შორის, რადგან შეთანხმება

სცვლის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მდგომარეობას რუსეთ აზიის ბანკის თანხმობის გარეშე, რომელიც არის ფაქტიურად საფრანგეთის ხელში.

ნოტაში ნათქვამია, რომ ბანკის ინტერესების დასაცავად ხმას აღიმაღლებს არა მარტო საფრანგეთი, არამედ სხვა სახელმწიფოებიც.

17 მარტს ჩვენ მოგვიტანა დეპეშმა შემდეგი ცნობა.

საფრანგეთის, იაპონიის და ამერიკის ელჩებმა მუქარით მოსთხოვეს ჩინეთის მთავრობას არ დაამტკიცოს შეთანხმება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. პეკინის პროფესორები, სტუდენტები და ხალხის ფართე მასები ახდენენ ძალების მობილიზაციას იმპერიალისტების ძალადობის წინააღმდეგ.

14 მარტს ჩინეთის მთავრობის დელეგატმა ვანმა ხელი მოაწერა შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. იმავე დღეს ვანსა და ამხ. კარახანს დამატებით უნდა მოეწერათ ხელი კალიგრაფების მიერ გადაწერილ დოკუმენტებზე. მაგრამ ვანის მიერ შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ ჩინეთის მთავრობამ დაადგინა არ დაემტკიცებია მისი ხელის მოწერა.

ამის გამო კარახანმა გადასცა ვანს ნოტა, რომ ის მზად არის სამი დღის განმავლობაში უცადოს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დამტკიცებას.

კარახანი ჩინეთის მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას მოლაპარაკების ჩაშლისათვის.

ვიატსკის მუშების მრავალრიცხოვანმა კრებამ, რომელიც მოწვეული იყო პარიზის კომუნის 52 წლის თავის აღსანიშნავად პროტესტი განაცხადა საფრანგეთის, ამერიკისა და იაპონიის იმპერიალისტების ჩარევის წინააღმდეგ რუსეთ ჩინეთის საქმეებში. კრება მოუწოდებს ჩინეთის მუშებს ალაგმონ წრეგადასული იმპერიალისტები.

ასეთი ხერხით სურთ იმპერიალისტებს საბჭოთა კავშირის ცნობის ჩაფუშვა. ტყუილია. ფონს ვერ გაელენ საბოლოვოდ. ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი, სტუდენტობა და პროფესორები მთავრობაზე ზეგავლენას ახდენენ, რომ მან დაამტკიცოს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან.

* * *

შვეციის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა სავაჭრო ხელშეკრულების დადების, საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობის და მასთან დაუყოვნებლივ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს შვეციის დელეგაციის წარმომადგენელმა ლეგრენმა კმაყოფილება გამოსთქვა ორ ქვეყანას შორის შეთანხმების გამო.

ამხ. ოსინსკიმ, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა შვეციაში, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს სთქვა, რომ ამჟამად მხოლოდ საფუძველი ჩაეყარა ორივე ქვეყანას შორის ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებას. მოლაპარაკების ნელმა მიმდინარეობამ და სიძნელემ უარი ათქმევინა საბჭოთა კავშირს თავისი დაკვეთების შვეციისათვის გადაცემაზე. ახლა საბჭოთა კავშირი განაახლებს საქმიან ურთიერთობას შვეციასთან.

გაზეთი „სოციალ-დემოკრატ“ ხაზს უსვამს, რომ შვეციის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის დაყოვნების გამო, შვეციამ დაჰკარგა ის უპირატესობანი, რომელსაც მიიღებდა ამ ნაბიჯის დაჩქარებით.

* * *

საფრანგეთი ძალიან ცდილობს საბჭოთა კავშირის არ ცნობას, მაგრამ მოხუცი პუანკარე ამ კითხვაზე უსათუოდ მოიტეხს კისერს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი გახდება საარჩევნო ბრძოლის მთავარ საკითხად „ნაციონალურ“ და „მემარცხენე ბლოკს“ შორის.

აქ უსათუოდ მოიგებს ის პარტია, რომელიც წამოაყენებს საბჭოთა კავშირის ცნობის ლოზუნგს.

ამას კარგად გრძნობს პუანკარე და ალბად ამით აიხსნება ის ცნობა, რომელიც გაზეთებმა მოგვიტანა. ეს ცნობა ამბობს: საფრანგეთის გაზეთების ცნობით პუანკარე სენატორ დე-მონზის რჩევის თანახმად, მხარს დაუჭერს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას.

საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში რეაქციონურ საფრანგეთს გამოეთიშა მისი მოძმე რეაქციონური ბელგიაც. დღეს ბელგია და ჰოლანდია ერთმანეთს ეცილებიან საბჭოთა კავშირის ცნობაში.

ბელგიაში შეშინებული არიან ახლო ხანში ჰოლანდიასა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკების დაწყების შესაძლებლობით.

ანტვერპენის სამრეწველო გაზეთი „ნეპტუნ“ შიშობს, რომ ანტვერპენის ადგილს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში დაიჭერს როტერდამი და მოითხოვს საბჭოთა კავშირთან დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყებას.

* * *

გამოქვეყნდა ებერტის დეკრეტი, რომლითაც რეიხსტაგის არჩევნები დანიშნულია 4 მაისს.

მემარჯვენე პრესა ზეიმობს რეიხსტაგის დათხოვნის გამო და წინასწარმეტყველებს მემარჯვენეების გამარჯვებაზე მომავალ არჩევნებში.

კომპარტია გაფაციცებით ემზადება არჩევნებისათვის და იმედი აქვს, რომ მოიპოვებს დიდ გამარჯვებას.

კომპარტია ანვითარებს საარჩევნო კამპანიას. კომუნისტები გამოდიან სოციალ დემოკრატების, რესპუბლიკანელების, ნაციონალისტების და ტევტონთა პარტიების ყველა კრებებზე. ბურჟუაზიული პარტიები შეშფოთებული არიან კომუნისტურ პარტიის გაძლიერებული საგიტაციო მუშაობის გამო.

ფოსტის მუშების გაფიცვა ჰამბურგში, ბრემენში და კილში ფართო ხასიათს ღებულობს. გაფიცვაში მონაწილეობას ღებულობს 120,000 კაცი. ბრემენში გაიმართა გაფიცულების მასსიური დემონსტრაცია, რომელსაც შეუერთდენ მეღვინეები და უმუშევრები. დემონსტრაციამ გაიარა ყველა ქუჩებზე. მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რომელმაც იხმარა ცივი იარაღი. დაჭრილია მრავალი დემონსტრანტი, მოხდა დაპატიმრებანი.

* * *

ბესარაბიის საკითხი მეტად აქტიური გახდა საერთაშორისო მასშტაბით. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს კალინინმა განაცხადა, რომ ბესარაბიის საკითხი ერთი აქტუალური საკითხი იქნება რუსეთ-რუმინეთის კონფერენციაზეო. მუშებს და გლეხებს გამოაქვთ დადგენილებები საბჭოთა კავშირთან გაერთიანების შესახებ.

* * *

ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიების კონფერენციის პირველ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ბუქარესტში, ირჩეოდა ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საკითხი. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ისინი ცანკოვის კაბინეტში შევიდენ სამოქალაქო ომის თავიდან აცდენის მიზნით. წესრიგის და ნორმალური მდგომარეობის აღდგენის შემდეგ, სოციალ-დემოკრატები გამოვიდენ მთავრობის შემადგენლობიდან და ჩადგენ ოპოზიციის რიგებში, დემოკრატიის შენარჩუნების მიზნით.

* * *

საბერძნეთის მთავრობის და მონარქისტულ პარტიის შორის მიღწეულია შეთანხმება მეფის გადადგომის შესახებ. მეფეს რჩება ტიტული და იღებს კმაყოფას 7 მეხუთედი საკივილისტ. დინასტიის წევრები უარს ამბობენ ტახტზე. მთავრობა ვალდებულია გამოაცხადოს საყოველთაო ამნისტია და შეძლებისდაგვარად მიიღოს უკან სამსახურში დათხოვნილი აფიცრები.

# ქრონიკა

◆ **დღეს**, 23 მარტს დილის 11 საათზე ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში მოხსენებას წაიკითხავს ამხ. სერგო ორჯონიკიძე. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

◆ **ჩვენი რედაქცია** ღია იქნება კვირა-უქმე დღეებშიაც დილის 9 ს. 1 საათამდე. დანარჩენ დღეებში კი 10 ს. 3 საათამდე.

— **ამ დღეებში** ციხიდან გაანთავისუფლეს 49 მენშევიკი, რომლებიც დადგენ საბჭოთა ხელისუფლების და მე-3-ე კომინტერნის პლატფორმაზე.

◆ **უზენაეს სასამართლოს განაჩენი.** 19 მარტს, საღამოს 8 საათზე. 25 საათის თათბირის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი. **მიესაჯათ:** 1. კათალიკოს ამბროსის,—იგივე ბესარიონ ხოსიმესძე ხელაიას—დაპატიმრება 7 წ. 9 თ. 23 დღ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

2. **იასონ კაპანაძეს** (გაქცეულია)- 9 წ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

3 **კალისტრატე მიხეილის-ძე ცინცაძეს** —3 წელი 9 თ., 23 დღ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

110/34

4. **ნიკოლოზ ყარამანის-ძე თავდგირიძეს** — 3 წ. 9 თ. 23 დღ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

5 **მარკოზ პავლეს ძე ტყემალაძეს** — 9 თ. 23 დღ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

6 **იოსებ დიმიტრის ძე მირიანიშვილს** — 9 თ. 23 დღ. სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

**სრულიად განთავისუფლებულნი არიან:**

1. მიტრ. ნაზარი, 2. ჯაფარიძე, 3. არჯევანიძე, 4. თოთიბაძე, და 5 ლაზარიშვილი (როგორც უდანაშაულო).

✦ **17 მარტს** საოპერო თეატრში სეით დევდარიანმა გაიმეორა თავისი მოხსენება რუსულ ენაზე. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ბ. ლომინაძემ, მ. ორახელაშვილმა, ს. ორჯონიკიძემ და სხვებმა. დაწვრილებით შემდეგ.

✦ **მთავრობამ** განკარგულება გასცა, რომ შემნახველ-გამსესხებელმა კასებმა სალამოსაც დღის კურსით მიიღონ ფული. ამით მუშამოსამსახურეებს საშუალება ეძლევათ თავის დროზე ჩააბარონ კასას თავიანთი ფული.

✦ **განზრახულია** ამ მოკლე ხანში მტკიცე ფულის შემოღება. სათანადო მუშაობა უკვე სწარმოებს.

✦ **16 მარტს** ზეიმით გაიხსნა შორაპნის ახალი ხიდი, ხიდის გახსნას დაესწრენ თფილისიდან ჩამოსული სტუმრებიც.

✦ ამ ჟამად დიდ ყურადღებას იქცევს ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგება. მიღებული ცნობებით სადგურის კეთება დასრულდება 1926 წელს.

## სხვა და სხვა ამბები.

✦ **ფულის** რეფორმას საბჭოთა რუსეთში საზოგადოების ყველა წრეები დიდის სიხარულით შეხვდნენ. უცხოეთის ვალიუტა თანდათან ეცემა.

✦ **შვეციამ** უკვე იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი. შვეციაში დიდი კმაყოფილება გამოიწვია საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებამ.

✦ **ჩინეთმაც** იურიდიულათ იცნო საბჭოთა კავშირი, მაგრამ ჩინეთის მთავრობამ არ დაამტკიცა ჩინეთის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება. ამის მიზეზია იაპონიის, საფრანგეთის და ამერიკის მუქარა ჩინეთისადმი.

✦ **ბელგია** და **ჰოლანდია** ახლო ხანში აპირობენ საბჭოთა კავშირის ცნობას. ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ეცილება ამ ცნობაში.

✦ **საფრანგეთის** პრესის ცნობით პუანკარე სენატორ დე-მონზის რჩევის თანახმად მხარს დაუჭერს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას. ეს ალბათ იმიტომ, რომ მოახლოვებულია საპარლამენტო არჩევნები.

✦ **ჰამბურგში,** ბრემენში და კილის ნავთსადგურში გაფიცულია 120.000 მუშა. ბრემენში გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია. დემონსტრატებსა და პოლიციას შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება. მრავალია დაჭრილი.

✦ **გერმანიის** რეიხსტაგის ახალი არჩევნები დანიშნულია 4 მაისისთვის. კომუნისტები თანდათან ანვითარებენ თავის პროპაგანდა—აგიტაციას. ისინი გამოდიან ყველა კრებებზე.

✦ **ბესარაბიის** მუშები და გლეხები თანდათან ანვითარებენ პროპაგანდას საბჭოთა კავშირთან გაერთიანების შესახებ. სწარმოებს კრებები, მიტინგები, სადაც გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები რუმინიის წინააღმდეგ.

✦ **საბჭოთა კავშირის** სრულ უფლებიან წარმომადგენელს იტალიაში ამხ. იურენევს დიდი ზეიმით შეხვდენ რომში. მას საუბარი ჰქონდა მუსოლინთან.

✦ **საბერძნეთის** პარტიებს შორის, მოხდა შეთანხმება საბერძნეთის რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ.

# წერილები პროვინციიდან

## ითქვა სიტყვა, სიტყვა ეხლა საქმით.

28 ოქტომბერს შეიკრიბა სრულიად საქართველოს ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 5250 კაცი. რა სთქვა ამ ყრილობამ? რა გადაწყვეტილება გამოიტანა? მან ერთხელ და სამუდამოთ დაგმო ის კონტრევოლიუციონური გზა, რომლის ბრჭყალებში იხშობოდა 8 წელი, და აირჩია გზა ნამდვილი რევოლიუციონური, გზა პროლეტარიატისა.

დასტოვეს რა სოციალ გამყიდველი მენშევიკები, ეხლა სურთ, რომ განამტკიცონ საბჭოთა სისტემა და საჭიროა მათი პრაქტიკული საქმიანობაში გადაყვანა. ამ სტრიქონების დამწერს შემეკითხენ თუ როგორი არის ჩვენი პოლიტიკური სვე-ბედი მომავალშიო. მე ვეკითხები საინიციატივო ბიუროს და კომკავშირის ცეკას: აქვთ თუ არა მათ გამომუშავებული ინსტრუქცია იმ ახალგაზრდებისათვის, რომელთაც სურთ შევიდენ კავშირში? და თუ აქვთ: რისთვის პროვინციას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. მეტი ყურადღება ახალგაზრდებ[ს] ისინი არიან კადრი ძველი მუშებისა. ისინ[ი] თქვენთან ერთად შექმნიან იმ სამყაროს, რი[ს]თვისაც იბრძვის პროლეტარიატი. ითქვა სიტყვა, ეხლა საქმე, და პრაქტიკული საქმიანო[ბა] იქნება ნამდვილი დამტკიცება იმისა, რა[ც] ითქვა 28 ოქტომბერს. ამ პატარა წერილი[თ] მინდა მივაქციო ყურადღება კომკავშირის ცე[კ]კას და საინიციატივო ბიუროსი. პროვინცი[ა] უყურადღებოთ არის მიტოვებული და დრო[ა] რომ პროვინციას ექცეოდეს ჯეროვანი ყურადღება, იქ სცხოვრობენ ნამდვილი ახალგაზრდა მუშები და გლეხები. არასდროს ერთი წუთით არ უნდა იქნეს დავიწყებული პროვინცია ახალ. კომკავშირის ვსთხოვთ, რათა იქნას გამომუშავებული ინსტრუქცია ყოფილ ახალ. მარქსისტების კომკავშირში მიღების შესახებ. განვამტკიცოთ რიგები და წავიდეთ წინ ბრძოლისაკენ.

გაუმარჯოს ახალგაზრდობის მთლიან ოჯახს.

„გენო"

## სად. შორაპანი.

სათანადო გამოძახილი პოვა წარსული წლის 25 აგვისტოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობამ, იყო მოწვეული წინასწარი კრებები და ყრილობისათვის არჩეული დელეგატები. ყრილობამ სასსრველი ნაყოფი გამოიღო. ამ მხრივ ჩვენი რაიონი ძლიერ ჩამორჩა, რადგანაც არ ყოფილა მოხსენებები თავის დროზე და ის მუშათა უბანი, რომელიც მუდამ ხასიათდებოდა მოწინავეობით, დღეს თითქმის გამოურკვევლათ იმყოფება. ყოფილ მენშევიკებს დღემდის აქ ვერ გადაუდგამთ გაბედული ნაბიჯი, ისინი კარგი ხანია უნდა შესულიყვნენ კომპარტიის რიგებში, მაგრამ ის ხიდი, რომელიც დღემდის ჩატეხილი იყო ბოლშევიკ-მენშევიკთა შორის, აქ ჯერ კიდევ არ გადებულა და ურთიერთს ეჭვის თვალის უყურებენ, დროა ეს საკითხი აქ მოგვარდეს საბოლოოთ. საჭიროა ცენტრიდან და ადგილებიდან ამხანაგების ხშირი მოხსენებები განმარტება ადგილობრივ კომუნისტების და ყოფილ მენშევიკების დასაახლოვებლათ.

**ლევანი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

მე ვირიცხებოდი სოც. დ. პარტიის წევრათ 1914 წ. და როგორც ასეთი ვასრულებდი პარტიის მიერ მონდობილ სხვა და სხვა საპასუხის მგებლო საქმეებს, როგორც პარტიულ, აგრეთვე საზოგადო ხასიათისას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც არ გამიწყვეტია პარტიასთან კავშირი, მაგრამ დღეს, როდესაც აშკარა შეიქნა პარტიის მიერ პროლეტარული ხაზის დაჰკარგვა და მისი ეხლანდელი პოლიტიკა ხელს უწყობს მუშათა კლასის მტრებს, ამიტომ გამოვდივარ პარტიიდან და სრულიად ვერთდები იმ დადგენილებას, რომელიც იყო

[...] მ. უ. ს. [...] განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 1190. ნებადართულია ლიტ. და გამ. [...]